სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი
ილია II

ეპისტოლენი

წიგნი I

თბილისი
2009

სარჩევი

სინას წმიდა მთაზე წარმოთქმული ლოცვა		7			
ლოცვა წმიდა გიორგისადმი		12			
ლოცვა წმიდა ნიკოლოზისადმი		14	1978 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	19
1979 წ.	საშობაო ეპისტოლე	25	1979 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	31
1980 წ.	საშობაო ეპისტოლე	37	1980 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	45
1981 წ.	საშობაო ეპისტოლე	53	1981 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	63
1982 წ.	საშობაო ეპისტოლე	73	1982 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	85
1983 წ.	საშობაო ეპისტოლე	97	1983 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	109
1984 წ.	საშობაო ეპისტოლე	119	1984 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	129
1985 წ.	საშობაო ეპისტოლე	143	1985 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	153
1986 წ.	საშობაო ეპისტოლე	165	1986 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	179
1987 წ.	საშობაო ეპისტოლე	193	1987 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	207
1988 წ.	საშობაო ეპისტოლე	225	1988 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	235
1989 წ.	საშობაო ეპისტოლე	249	1989 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	263
1990 წ.	საშობაო ეპისტოლე	277	1990 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	293
1991 წ.	საშობაო ეპისტოლე	305	1991 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	315
1992 წ.	საშობაო ეპისტოლე	333	1992 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	341
1993 წ.	საშობაო ეპისტოლე	353	1993 წ.	სააღდგომო ეპისტოლე	367

მამაო ჩვენო, – დიდება შენდა!
ძეო ღმრთისაო, – დიდება შენდა!
სულო წმიდაო, – დიდება შენდა!
ყოვლადწმიდა სამებაო, ერთარსებაო, შემოქმედო და
განმგებელო ორსავ სამყაროსაო, – დიდება შენდა!

ვითარ ვთქვა ქება მე უღირსმან და გლახაკმან შემკობად შენდა; გონება ჩემი და გული ჩემი ვერ შემძლებელ არს გამოთქმად დიდებისა შენისა. გარნა გვედრი: მიითუალე იგი, ვითარცა უმეცარი სიტყუა ყრმისა მშობლისა მიმართ. ბაგითა ჩემითა მით ცოდვილითა, ღმერთო ჩემო, შენ შეგღაღადებს ერი ჩემი, შენს მიერ შეყვარებული.

უფალო ჩემო, შენ გიგალობენ სერაფიმნი და ქერუბიმნი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი, ურიცხვნი ძალნი ზეციურნი. მე რა ვთქვა, როგორ შეგასხა ქება? ან რა საქმენი გიჩვენო, ოდეს ღვაწლითა თვისითა განბრწყინდნენ წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მოწამენი, მღვდელმთავარნი, ღირსნი მამანი და ყოველნი სხვანი წმიდანნი შენნი?

ვითარ სახელი გსდვა? არა უწყი, დამიდუმდა ენა ჩემი წინაშე დიდებისა შენისა. ვიცი ოდენ, რომ ჩვენთანა ხარ და არა განგვეშორები, რომ ხარ დაუსაბამო და უსასრულო სიყვარული, რომ თბილა შენთან და გარეშე შენსა არა არს ცხოვრება ჩვენი.

წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, უფალო საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანაჲ დიდებითა შენითა! დიდებაჲ შენი, ვითარცა სიყვარული შენი, დაუტეველი შენში, ეფინება ყოველსა ქმნულსა შენსა; და ჩვენც

მდაბალნი ზიარებულნი მადლსა შენსა დიდებისასა ვმაღლდებით უფალო, ვიწმიდებით, მამაო ჩვენო.

მსგავსად წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა, მე, ცოდვილი მონა შენი, ილია II, ყოველთა ქართველთა სახელით ვხმობ: დიდება და მადლობა შენდა ყოვლისათვის, გადიდებ შენ, რომელი ყოველგან ხარ, რომელი ხარ ჩვენთან და რომლისა წიაღშიც ვართ ჩვენ: გადიდებ შენ, რომელმან სავანედ თვისსა აღირჩიე გული ჩვენი და მუნითგან გვსწავლი და გვწურთნი, ვითარცა ასწავებდი მოსეს და ელიას ქორების წმიდასა მთასა ზედა.

გადიდებ შენ და გმადლობ შენ, მოწყალეო, რამეთუ გვქმენ მსგავსად შენდა, რამეთუ მოგვანიჭე ენა ქართული და რწმენა ჭეშმარიტი, სიყვარული ღმრთისა და სიყვარული მოყვასისა, მოგვფინენ ნათელი გონებისა და ჭეშმარიტებაჲ მეცნიერებისა!

გარნა რაჲ არს ჭეშმარიტი? ადამის მოდგმა დასაბამიდან ეძიებდა მას. ერნი მრავალნი, ჩვენზე ძლიერნი, მოსწყდნენ და აღიხოცნენ პირისაგან მიწისა მის ძიებაში. ჩვენზე მოიღე მოწყალება სახიერო და გამოგვიცხადე თავი შენი, და ოდეს კაცობრიობას მოუვლინე ძე შენი საყვარელი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, შენი კურთხევით, შენი წყალობით ერმა ჩემმა ისმინა მისი, შეისისხლხორცა მცნებანი მისნი შენგნით ბოძებულნი, სიყვარულით იტვირთა უღელი მისი ტკბილი და ტვირთი მისი სუბუქი. ამისთვის გმადლობთ შენ, რამეთუ მოძღვრავდი და მოძღვრავ ხალხსა ჩემსა, ატარებ რა მას გზითა მით შენითა იწროჲთა, ვითარცა ატარებდი ერსა ისრაელისასა უდაბნოთა შინა.

გმადლობ მამაო უფალო, რამეთუ გვრწამს და აღვიარებთ სულსა წმიდასა, შენგნით გამომავალსა, სულსა, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს მადლითა შენითა; რომელი არს უძლურთა მკურნალი, დაცემულთა საყრდენი, ნაკლულევანთა სრულმყოფელი. გმადლობ შენ, წმიდაო სამებაო, აღმავსებელო ჩვენო ძალითა შენითაო.

და კვლავ გმადლობ შენ, ღმერთო ჩემო, იმ მრავალთა წყალობისათვის, რომელი გარდმოავლინე თავსა ზედა ჩემსა, რომელი დამადგინე მოძღვრად ერისა შენისა ივერიისა. ხოლო დღეს მონა შენი ცოდვილი ღირს მყავ ხილვად წმიდისა მთისა ამისა და თაყვანისცემად დიდისა სიწმიდისა მისისა.

„ითხოვდით და მოგეცეთ თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ. ირეკდით და განგეღოს თქვენ“, – ბრძანებს მაცხოვარი და იტყვის ესე: „რასაცა ითხოვდით მამისაგან სახელითა ჩემითა, გეყოს თქვენ“. მამაო სახიერო, გევედრები სახელითა ძისა შენისათა, ნუ განეშორები ერსა ჩვენსა, შეცოდებათა გამო ჩვენთა; მოგვიძიენ, ვითარცა მამაჲ მოიძიებს ძესა თვისსა წარწყმედულსა; შეგვინდევ ურწმუნოებაჲ, გულფიცხობაჲ, ამპარტავნებაჲ, შური და ვერცხლისმოყვარებაჲ, გეაჯებით, აღხოცენ ცოდვანი ჩვენნი და განკურნენ სულნი ჩვენნი ვნებულნი. მოგვმადლე სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი, ძალი წყლისა და ძლიერებაჲ ცეცხლისა. აღგვავსე მადლითა ყოვლადწმიდისა სამებისა; სარწმუნოებასა და სიყვარულსა შინა შენსა, სულიერად განამტკიცე მთავრობა ჩვენი; გვაკურთხე მშვიდობითა, უფალო, მოგვფინე სული სიწმიდისაჲ, თავმდაბლობისაჲ და მოთმინებისაჲ.

განამრავლენ შვილნი და შვილთა შვილნი ჩვენნი, გული წმიდაჲ დაბადე მათ შორის, სული წრფელი განუახლე გვამსა მათ შინა.

აკურთხე გვირგვინი ქორწინებულთა და სიყვარულითა განამტკიცე კავშირი მათი, ცოდვანი სიჭაბუკისა და უმეცრებისანი შეუნდევ და ნათელ ჰყავ მომავალი მათი.

სრულასაკოვანთა მიჰმადლე გული ბრძენი და მოწყალე, გონება საღი, რათა გიცნან შენ და აღასრულონ ნებაჲ შენი.

მხცოვანთა წელნი აკურთხენ სიმშვიდითა. განამრავლენ მოდგმა მათი; ცხოვრება მათი სათნო ჰყავ, რათა უშფოთველად შეერთონ საუკუნეთა.

გევედრები უფალო, განუნათლე გონება მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა ჩვენთა. დალოცე საქმე მათი, რათა იქმნას ნაღვაწი მათი საკეთილოდ ქვეყნისა, რათა შრომითა თვისითა გემსახურონ შენ, ემსახურონ ერსა შენსა ივერიისასა.

დალოცე ჩვენი მშრომელი ხალხი, ყოველი მაშვრალი და ტვირთმძიმე. ჩვენთა დიდთა წინაპართა რწმენა, სიყვარული და სიწმინდე მიანიჭე მათ.

ღმერთო, განამტკიცე და განაძლიერე ჩვენი წმიდა სამოციქულო ეკლესია და მღვდელმსახურნი მისნი, ყვენ იგინი ნათელ ერისა, აღადგინე ტაძარნი და მონასტერნი ჩვენნი და შეგვკრიბე საფარველსა ქუეშე შენსა.

გარნა რა გთხოვო, უფალო, მათთვის, რომელნი უარგყოფენ შენ, რომელნი ვლენან გზასა ცთომილთასა? გეაჯები, შეიწყალენ იგინი, მოაქციე და მრევლსა შენსა შეუერთე: „რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“.

მერმეცა გევედრები ღმერთო, რათა მოიხსენო სასუფეველსა შენსა სულნი ქართველთა მოღვაწეთა სინას მთისათა; გევედრები; რათა მოიხსენო მეფენი და დედოფალნი ჩვენნი, მამამთავარნი, კათოლიკოს-პატრიარქნი, სამღვდელო და სამონაზვნო წესით აღსრულებულნი, პატიოსანი შრომით დაღლილნი, აღმშენებელნი ტაძართა და მონასტერთა, ბრძოლის ველზე მოწყვეტილნი და ყოველნი შვილნი შენნი ქართველნი. დალოცე სავანენი ზეციურისა საქართველოჲსა, შეუნდე შეცოდებულთა და იხსენ ტანჯვისაგან, მოჰფინე მათ ნათელი შენი და სიყვარული შენი.

მუხლმოდრეკილი აღვავლენ ლოცვებს, უფალო, მშვიდობისათვის სოფლისა, რათა სუფევდეს ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება: მამაო წმიდაო, გეაჯები, შეისმინე ლოცვისა ჩემისაჲ და დაგვიფარე ჩვენ!

დასაბამო და მიზეზო ყოვლისაო, არსთაგამრიგეო, სავსე დიდითა წყალობითა შენითა, კვალად ვხმობ: დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა! დიდება შენდა შემოქმედო ჩვენო, მწყალობელო ჩვენო, დიდება შენდა! დიდება შენდა, ღმერთო ერისა ჩვენისაო, რომელმან დაწერე სახელნი ჩვენნი წიგნსა მას ცხოვრებისა კრავისასა!

„მე ვარ ანი და Ѯ, იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს და, რომელი იყო და, რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოცხ. 1, 8). მოვედ ჩვენთანა უფალო, და გვაცხოვნენ ჩვენ, ღმერთო ჩვენო, ამინ!*

* ეს ლოცვა უწმიდესმა და უნეტარესმა დაწერა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში, ხოლო წარმოთქვა სინას მთის წვერზე, სადაც უფალმა მოსე წინასწარმეტყველს ათი მცნება უბოძა.

ძლევაშემოსილსა, საკვირველმოქმედსა,
ბოროტის დამთრგუნველსა, დიდსა მოწამესა,
წმიდასა ნათელ გიორგის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II-ის
მოკრძალებული თხოვნა

ტყვეთა განმათავისუფლებელო, ტანჯულთა შემწეო, უძლურთა მკურნალო და მწუხარეთა ნუგეშინისმცემელო, ქართველთა დიდო იმედო, ძლევაშემოსილო წმიდა გიორგი, მე, მსასოებელი შენი, ილია II, წყალობითა და განგებითა ღვთისათა კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი, გევედრები, აწ და მარადის იყავ წინამძღვარ ქართველთა ერისა და მფარველ ეკლესიისა ჩვენისა.

შენ ბრძანდები ოდითგანვე ერისმთავარი ჩვენი; ნუ დაივიწყებ ერსა შეცოდებულსა; მეოხ გვეყავ, რათა უფალმან შეგვინდოს და განკურნოს უძლურებანი სულთა ჩვენთანი; გვიხსნას: ურწმუნოებისა, ამპარტავნებისა და შურისაგან, ღვარძლისა, მტრობისა და ცილისწამებისაგან, ვერცხლისმოყვარეობისა, ურთიერთშუღლისა და წყევისაგან, სიძვისა, პატივმოყვარეობისა და სხვათა ქონების მითვისებისაგან და მოგვიტეოს უმეცრებანი ჩვენნი: ეკლესია-მონასტერთა ნგრევა, კერპთაყვანისმცემლობა, ცრუმორწმუნოება...

შესთხოვე უფალსა, რათა მოგვმადლოს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, მოგვანიჭოს გრძნობები წმიდა და სული წრფელი; გაგვიხსნას გულისყური შეწ-

ევნად ქვრივთა, ობოლთა, მწირთა და ყოველთა გაჭირვებულთა, განამრავლოს ურთიერთშორის სათნოებანი და საქმენი კეთილნი.

დიდმოწამეო გიორგი, განგვინათლე გონება, რომ ვცნათ უფალი, ვითარცა გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე; აღგვავსე ღვთაებრივითა სიბრძნითა, რათა ყოვლითა არსებითა შევიყვაროთ შემოქმედი, მოყვასი, მამული და ენა ჩვენი; ჰყავ გულნი ჩვენნი ლმობიერ და ურთიერთ ცოდვათა მიმტევებელ; მოგვიძიე და შეგვკრიბე ქრისტეს წმიდა ეკლესიაში.

სასოებით შეგვედრებ ხალხსა ჩემსა, ქრისტეს გვირგვინოსანო მხედარო გიორგი; წმიდითა მახვილითა შენითა მარად დაგვიცევ და დაგვიფარე ბოროტთაგან და ყოველთა ძვირთა საქმეთა მათთაგან; ხოლო ჟამსა განკითხვისასა შუამდგომელ გვეყავ წინაშე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რათა ღირს ვიქმნეთ მოპოვებად საუკუნოჲსა ცხოვრებისა.

მხურვალითა გულითა შეგთხოვ, შეეწიე საუკუნითგან გარდაცვალებულთა მამათა, დედათა და ყოველთა წინაპართა ჩვენთა და დასჯილნი სულნი სატანჯველთაგან იხსენ.

მუხლმოდრეკილი გევედრები, წმიდაო გიორგი, ნუ უგულებელყოფ ვედრებასა ჩემსა, აკურთხე ერი ქართველთა და წმიდა ეკლესია მისი; მოიღე წყალობა ჩემ ცოდვილსაცა ზედა, რამეთუ მძიმეა ჯვარი ჩემი; შემეწიე და დამიცევ მადლითა შენითა, უძლეველო.

ჩვენთან არს ღმერთი!

შენი სულიერი შვილი,
ძალისაებრ ჩემისა აღმსრულებელი ნებისა შენისა,
მდაბალი ილია II

მსოფლიოს დიდსა მოძღვარსა, სასწაულთმოქმედსა
და მსწრაფლ შემწესა, მირონ-ლუკიის
მთავარეპისკოპოსსა, წმიდასა ნიკოლოზს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II-ის
მოკრძალებული თხოვნა

წმიდათა შორის საკვირველო, დიდო სასწაულთმოქმედო, მოწყალეო ჩვენო მამაო ნიკოლოზ, მე, მდაბალი მორჩილი შენი ილია II, განგებითა და ნებითა ღვთისაჲთა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ჩემი ერისა და ეკლესიის სახელით შეგივრდები და გევედრები:

უწინამძღვრე და მარადჟამს იყავ მფარველი საქართველოს წმიდა ეკლესიისა და ქართველი ხალხისა, რათა ერსა ჩვენსა აწ და მარადის ქრისტეს გზით ევლოს; მოგვმადლე სარწმუნოება ჭეშმარიტი და სიყვარული შეუორგულებელი, დაგვიცევ ხილულ და უხილავ მტერთაგან, უწმიდურ ზრახვათა და უკეთურ საქმეთაგან, გვიხსენ ღვთის გმობისა და უარყოფისაგან, ამპარტავნებისა, შურისა და დიდებისმოყვარეობისაგან; ურთიერთმტრობისა, განკითხვისა, ცილისწამებისა და ვერცხლისმოყვარეობისაგან; სიცრუისა, სიძულვილისა, ანგარებისა და ცუდმეტყველებისაგან.

მოგვანიჭე განცდა ცოდვათა ჩვენთა, სიმდაბლე და მოთმინება, გული სახიერი და წრფელი, რათა ვიხილოთ უფალი და დაემკვიდროს იგი ჩვენ თანა. მოიღე წყალობა მწყალობელო: სოფელს მშვიდობა მოჰფინე და კაცთა შორის სათნოება დანერგე; განაახლე

და მოქმედჰყავ ეკლესია-მონასტრები ჩვენი სადიდებელად ღვთისა; განანათლენ, დაიფარე და დაიცევ ყოვლადსამღვდელონი, ბერ-მონაზონნი და მღვდელმთავარნი... ქართველნი განგვამრავლენ, მოგვიტევენ უშჯულოებანი ჩვენნი და ღვთის კალთის ქვეშ შეგვკრიბე, რათა ერთი სამწყსო ვიყოთ და მწყემსი მხოლო უფალი იყოს.

წმიდაო მღვდელმთავარო და მსწრაფლშემწეო ნიკოლოზ, მხურვალითა გულითა შეგავედრებ წარსულთა ჩვენთა წინაპართა, მეფეთა, დედოფალთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, მღვდელმთა-ვართა, ბერ-მონაზონთა და ყოველთა სამღვდელო და სამონოზნო წესით აღსრულებულთა, ერისმთავართა, მწერალთა, მეცნიერთა, აღმშენებელთა ეკლესია-მონასტერთა, მათ შინა მშრომელთა, მხე-დართა და მხედართმთავართა, ბრძოლის ველზე მომწყდართა, რწმენისა და მამულისათვის თავდადებულთა და საუკუნითგან გარ-დაცვალებულთა ქართველთა; მოიხილენ იგინი და ეყავ მეოხად წინაშე წმიდისა სამებისა, რათა წყალობითა ღმრთისაჲთა დაიმ-კვიდრონ სავანე მართალთა. ხოლო ჩვენ ყოველთათვის შესთხოვე შემოქმედსა, ქრისტიანული მშვიდობითი აღსასრული მოგვანიჭოს და ჟამსა განკითხვისასა გვიხსნას საუკუნო სიკვდილისაგან.

მსასოებელთა შენთა შემწეო, მომმადლე მე უღირსსაცა ძალა, რათა ყოვლითა გულითა და გონებითა ჩემითა ვემსახურო უფალს, ეკლესიასა და ერსა ჩემსა.

მუხლმოდრეკით გამოვითხოვ შენს წმიდა ლოცვა-კურთხ-ევას.

ჩვენთან არს ღმერთი.

მორჩილი და მარად მადიდებელი შენი, მდაბალი ილია II
წმიდა ნიკოლოზობა
9.V.1985 წ.

საშობაო
და
სააღდგომო
ეპისტოლენი

1978-1993წწ.

სააღდგომო ეპისტოლე

1978 წ.

ყოვლად სამღვდელო მღვდელმთავართა, პატიოსან
მოძღვართა, ღირსთა ბერ-მონაზონთა და ყოველთა კურთხეულ
შვილთა მიმართ საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი
და სამოციქულო ეკლესიისათა

ქრისტეს მიერ საყვარელნო ღვთივგანბრძნობილნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, ღირსნო ბერ-მონაზონნო, ძვირფასო ძმანო და დანო – შვილნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, მკვიდრნო საქართველოჲსა და მცხოვრებნო მის საზღვრებს გარეთ, გილოცავთ დიდსა და სასიხარულო დღესასწაულს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას, ამ ზეიმთა ზეიმს – პასექს მარადიულსა და საცხოვნებელს, და ვხმობ:

ქრისტე აღდგა!

ეს საზეიმო მილოცვის სიტყვა გამოსახავს არსს ჩვენი რწმენისა, გამოსახავს ჩვენი სასოების სიმტკიცესა და უძლეველობას, უდიადეს ძალას ჩვენი საუკუნო სიყვარულისა.

ქრისტე აღდგა!

მაშ, მიღებული და შეწყნარებულია ღვთის მიერ საცხოვნებელი მსხვერპლი და აღსრულებულია საიდუმლო კაცთა მოდგმის გამოხსნისა.

ქრისტე აღდგა!

გამოისყიდა უფალმა ის ქმნილება, რომელიც ყოველი მისი ქმნილების გვირგვინად შეიქმნა – ადამიანი, და რომელსაც ღვთისაგან მინიჭებული ჰქონდა პასუხისმგებლობა და თავისუფლება: მოვალეობა და უზენაესი ჯილდო.

„რაჲ არს კაცი, რამეთუ მოიჴსენე მისი, ანუ ძე კაცისაჲ, რამეთუ მოხედავ მას? დააკლე იგი მცირედ რაჲმე ანგელოზთა, დიდებითა და პატივითა გჳრგჳნოსან ჰყავ იგი. და დაადგინე იგი ზედა ქმნულსა ჴელთა შენთასა, ყოველივე დაამორჩილე ქუეშე ფერჴთა მისთა“ (ფსალმ. 8, 5-7).

რა იდუმალება და ძლიერება იფარება ამ სიტყვებში საღვთისმეტყველო აზრისა და ქრისტიანული მოღვაწეობისათვის! ყოველი ეს ღვთივბოძებული ნიჭი ჩვენ წინაშე განუსაზღვრელ სივრცეს ხსნის სულიერი მოქალაქეობისა და სულიერი ღვაწლისათვის. ასეთი კურთხევა შესაძლებლად ხდის ჩვენს ზნეობრივ სრულყოფას, და კურთხეულია შემოქმედება, სწორედ მაშინ ხდება ჩვენთვის

გასაგები ჩვენი აზროვნება, სიტყვა, გრძნობა და დაუოკებელი სწრაფვა პირველმიზეზისადმი. ყოველივე ეს კი შედეგია უსასრულო ღვთაებრივი სიყვარულისა.

წმიდა ბასილი დიდის სიტყვით, ადამიანი არის ქმნილება, რომელმაც მიიღო ბრძანება განღმრთობისა, მაგრამ ეს ბრძანება ადამიანის თავისუფლებაზე ძალდატანება როდია; ადამიანმა, როგორც თავისუფალმა და პიროვნულმა არსებამ, შეიძლება მიიღოს ან უარყოს ბრძანება ღვთისა; იგი პიროვნული თავისუფლების გვირგვინით შემოსილი რჩება იმ შემთხვევაშიც კი, როცა ძალიან შორდება ღმერთს და მაშინაც, როცა თავისი ბუნებით ღვთის მსგავსებასაც კი კარგავს.

ეს ნიშნავს, რომ ღვთის ხატება არავითარ შემთხვევაში არ ირღვევა ადამიანში (წმიდა ბასილი დიდის სიტყვები, ჩვენთვის ცნობილი წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის 43-ე სიტყვიდან. იხ. მოსკოვში 1844 წ. გამოცემული „წმიდა მამების შრომები“, ნაწ. IV, გვ. 104-129).

ღმერთო მრავალმოწყალეო, სიყვარულსა შენსა არა აქვს ზღვარი!

როგორი ურთიერთდამოკიდებულება იყო ღმერთსა და ადამიანს შორის? ადამიანის სულს თავისი საზრდო უნდა ეპოვა ღმერთში და ღვთით ეცხოვრა, ხოლო ადამიანის სხეული უნდა დაქვემდებარებოდა სულს, – ასეთი იყო ადამიანის უკვდავი ბუნების თავდაპირველი სახე.

კარგავს რა ღმერთს, ადამიანის სული იწყებს ცხოვრებასა და საზრდოობას თავისივე ფიზიკური სხეულით, საიდანაც წარმოდგებიან ვნებები, ხოლო სხეული, რომელიც იძულებულია გარე სამყაროში – უსულო და მკვდარ მატერიაში – ეძიოს საზრდო, შედეგად მხოლოდ სიკვდილს პოულობს და ადამიანის სრულყოფა ირღვევა.

დღეს, ვზეიმობთ რა თქვენთან ერთად მსოფლიოს ერთ-ერთ

უდიდეს სასწაულს – ქრისტეს დიდებულ აღდგომას, რომელიც საწინდარია ჩვენი მომავალი სულიერი და ფიზიკური აღდგომისა და აღვავლენთ ლოცვებს უფლისა ყოვლისამპყრობელისა მიმართ, რათა მან განაახლოს ჩვენი სულიერი არსი და დაგვიბრუნოს პირველქმნილი ბუნება, რათა ჩვენი აღდგომა და განახლება დაიწყოს ჯერ კიდევ აქ – დედამიწაზე. როცა ვუერთდებით სიცოცხლის წყაროს – უფალს – მისი უკვდავი ხორცისა და სისხლის ზიარებით, ვხდებით ნაწილი მისი მარადიული და უკვდავი სხეულისა, რომელიც შეაერთებს თავის არსში ცოცხალთა და მკვდართა და წარმოქმნის ერთს, ქრისტეს წმიდა ეკლესიას.

ღვთისა და კაცის ამ ერთიანობაშია ჩვენი ძალა, ამაშია ჩვენი იმედი, „რამეთუ რომელმან აღადგინა უფალი იესუ, ჩუენცა იესუჲს მიერ აღმადგინნეს“ (2 კორ. 4, 14).

ეს ერთიანობა გვაიძულებს ვიფიქროთ ჩვენი ცხოვრების აზრსა და მიზანზე, რათა იგი არ დაემსგავსოს მთიდან დაგორებულ ლოდს, რომელიც საჭიროებს ისევ და ისევ ზევით აზიდვას და რომლის შეჩერება და უკან დაბრუნება დიდ სულიერ დაძაბულობასა და სულიერ ტანჯვასთანაა დაკავშირებული.

ღმერთი არის უმაღლესი იდეალი ყველა ჩვენი ზნეობრივი სწრაფვისა. ეს უზენაესი ძალა უდევს საფუძვლად და იგია შინაარსი და მისწრაფება ადამიანის მორალური ცხოვრებისა.

ამგვარად, განახლებული ქრისტიანის მიზანი, მტკიცე რწმენასთან ერთად, უნდა იყოს სიყვარული, კეთილმოქმედება, სულიერი სრულყოფა, რის შედეგადაც ადამიანი დაუსრულებელ სიხარულსა და ნეტარებას აღწევს.

ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია, თუ მოვუხმობთ მთელ ჩვენს ნებისყოფას და გავყვებით წმიდა პეტრე მოციქულის სიტყვებს: „აღორძნდებოდეთ მადლითა და მეცნიერებითა უფლისა და მაცხ-

ოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა“ (2 პეტრ. 3, 18).

ქრისტიანობა – ესაა რელიგია სრულყოფილი სიყვარულისა, მარადიული სიხარულისა და უხვი ღვთაებრივი ენერგიისა.

გისურვებთ, გქონოდეთ სრულყოფილი და ყოვლისმძლეველი სიყვარული: სიყვარული ღვთისადმი, სიყვარული მოყვასისადმი, სიყვარული დედასამშობლოსადმი, სიყვარული ჩვენი უკვდავი სულისადმი, სიყვარული მარადიული მომავალი სიცოცხლისადმი, სიყვარული სიკეთისა და ყოველივე იმის მიმართ, რაც კი ხელს შეუწყობს ჩვენს სულიერ თვალთა აღხილვასა და აღდგომას.

ძვირფასო დებო და ძმებო, აღდგომილი უფალი ჩვენ ყველას გველოდება სიყვარულით გაშლილი ხელებით. ვიქმნეთ ღირსეულნი მისი ღვთაებრივი სიყვარულისა, რადგანაც „ვითარცა – იგი მამაჲ აღადგინებს მკუდართა და აცხონებს, ეგრეთცა ძე, რომელთაჲ ჰნებავს, აცხონებს“ (იოან. 5, 21).

სიხარულით მოდით და დატკბით ღვთაებრივი ტრაპეზის ზიარებით.

ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1978 წ.

საშობაო ეპისტოლე

1979 წ.

ღვთივრჩეულთა ყოვლადსამღვდელოთა მღვდელმთავართა, ღირსთა ბერ-მონაზონთა და ყოველთა კურთხეულთა შვილთა საქართველოს ავტოკეფალური წმიდა მართლმადიდებელი და სამოციქულო ეკლესიისათა, მკვიდრთა საქართველოჲსა და მცხოვრებთა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ

„პირველითგან იყო სიტყუაჲ... მის თანა ცხორებაჲ იყო და ცხორებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოან. 1; 1, 4-5).

ქრისტეს მიერ საყვარელნო და ძვირფასნო ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, ანგელოზებრივი სახით შემოსილნო ღირსნო ბერ-მონაზონნო, ძმანო და დანო – ძენო

და ასულნო წმიდისა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისანო, მკვიდრნო საქართველოჲსა და მცხოვრებნო ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ!

სასიხარულო და საცხოვნებელ დღეს, როდესაც ჩვენ ვახსენებთ ქვეყნად მოსვლას ღვთისა, მამისაგან უწინარეს საუკუნეთა შობილ მაცხოვარს, რომელსაც მოციქული იოანე ღვთისმეტყველი უწოდებს სიტყვას, გულითადად მოგილოცავთ ამ მშვიდობისა და სიყვარულის ზეიმს, ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს და ვხმობ: გიხაროდეთ, რადგან ჩვენთან არს ღმერთი!

ჩვენ ვადიდებთ შობას იესო ქრისტესა, მხოლოდშობილისა, წმიდისა, თანაარსისა მამისა და სულისა წმიდისა და ამასთან ერთად მტვირთველისა ადამიანის ბუნებისა, მწყალობელისა მეზვერეთა და ცოდვილთა, აღმღებელისა თავის თავზე კაცობრიობის უბედურებათა, ცრემლთა, ტკივილთა და განსაცდელთა, რამეთუ ყოველივე ეს მან იტვირთა ჩვენთვის, რათა ჩვენი გამოხსნის დიდი საიდუმლო აღესრულებინა. იესო ქრისტე – ღმერთი ღმერთთაგანია, ნათელი – ნათლისაგან, რომელიც დღეს, ხვალ და მარად ღვთაებრივი დაუსრულებელი ცხოვრების პროცესში იშვება წიაღთა ღვთისა მამისაგან.

ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა!

იგი არა ჰგავს ყოველივე იმას, რაც ჩვენთვის ჩვეულებრივია. ის თითქმის მარტოა და უცხოა ჩვენთვის, მაგრამ, ამავე დროს, უსაზღვროდ მახლობელი და ძვირფასია. საწყლებთან მას სურს იყოს ღარიბი, მდიდართ იგი მოუწოდებს მოწყალებისაკენ, დევნილებთან იგი დევნილია, განსაცდელში მყოფთან განსაცდელის მტვირთველია, მომაკვდავთან – ჯვარცმულია. მან თავისი მხრებით იტვირთა ადამიანი მთელი მისი სისუსტით, რადგან მხოლოდ ის ერთია შეუძლებლის შემძლებელი, და სწორედ ამაშია მისი დიდი მისია როგორც

მხსნელისა. მაცხოვარს უყვარს ღარიბნი არა მათი სიღარიბის გამო, არამედ იმიტომ, რომ ისინი მდიდარზე მეტად ცდილობენ გაიგონ და შეიგრძნონ სულიერი საუნჯენი. სიმდიდრე კი, პირიქით, ატყვევებს ადამიანის გულს იმდენად, რომ მას უკვე ავიწყდება ყოველივე და იკეტება საკუთარ ეგოიზმში. იგი უკვე აღარ ისწრაფვის სულიერებისაკენ, არამედ იფარგლება და ისაზღვრება მხოლოდ უხეში მატერიით. ასეთებზე მაცხოვარი ბრძანებს, „შვილებო, რარიგ ძნელია სიმდიდრეზე დაყრდნობილთათვის ღმრთის სასუფეველში შესვლა! უადვილესია ნემსის ყუნწში აქლემის გასვლა, ვიდრე მდიდრის შესვლა ღმრთის სასუფეველში“ (მარკ. 10, 24-25). დროა ადამიანმა სულიერი თვალი აახილოს და განსაზღვროს, რომელია მთავარი და რომელი მეორეხარისხოვანი; დროა ადამიანმა გადასინჯოს სულიერი და მატერიალური ფასეულობანი.

როდესაც მორწმუნე ადამიანი რეალურად შეხედავს ცხოვრებას, თავის გარემომცველ სამყაროს, მიდის დასკვნამდე, რომ ჩვენი მიწიერი ცხოვრება – ეს არის მხოლოდ ნაწილი რაღაც დიდისა, განუსაზღვრელისა. ეს არის მხოლოდ მომზადება მარადიული და უკვდავი ცხოვრებისათვის. მაგალითად, თუ პირველი ქრისტიანებისათვის სასწაულნი და გამოცხადებანი ჩვეულებრივი საღმრთო მოვლენა იყო, თანამედროვე ადამიანში ის ხშირად იწვევს უნდობლობას ან უკეთეს შემთხვევაში – გულისტკივილს, რადგან მისი ახსნისა და შემეცნების უნარი არ შესწევს.

ქრისტეს შობის დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ შევიცნობთ, რომ იესო ქრისტე ისტორიაში არის განსაკუთრებული რეალობა, დროების შემობრუნების ნიშანსვეტი, ახალი ადამიანის საწყისი. შეხედულებანი მის პიროვნებაზე განსხვავდებოდნენ და ამჟამადაც განუწყვეტლივ სცილდებიან ერთმანეთს. მისთვის და მისი რწმენის გამო იღვრებოდა სისხლი და ცრემლი იმიტომ, რომ „ეს არის მოწმობა, რამეთუ საუ-

კუნო სიცოცხლე მოგვცა ჩვენ ღმერთმა, და ეს სიცოცხლე მის ძეშია“ (1 იოან. 5, 11). ამ რწმენით, ამ სულიერი სათნოებით ცხოვრობდა და ცხოვრობს ჩვენი კეთილმორწმუნე ერი.

ახალშობილმა ყრმამ დაჩრდილა საქართველოში მანამდე არსებული წარმართული რელიგიები და სულიერად გარდაქმნა ადამიანი. ამჟამად საქართველოს მიწა წმიდაა. მის წიაღში განისვენებს მაცხოვრის კვართი. ივერია არის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი. აქ ქადაგებდნენ მოციქულნი – ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი. აქ შეასრულა თავისი სამოციქულო მისია მოციქულთასწორმა და ქართველთა განმანათლებელმა წმიდა ნინომ. აქ ბევრი წამებული გვირგვინოსან იქმნა. ივერია ბრწყინავს მღვდელმთავართა და ღირსთა მამათა ღვაწლით. ამ მიწაზე გვესმის ჩვენ საიდუმლო სიტყვები, რომლებიც ოდესღაც მოისმინა ღვთისმხილველმა და დიდმა წინასწარმეტყველმა მოსემ: „გაიხადე ფეხსაცმელი ფერხთაგან შენთა, რადგანაც მიწა, რომელზედაც დგახარ, ადგილი წმიდა არს“ (გამ. 3, 5).

დღეს ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია საგალობელი, რომელიც ანგელოზებმა იგალობეს ბეთლემსა ზედა ქრისტეს შობის ღამეს: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“ (ლუკ. 2, 14). მშვიდობა, რომელიც გვაუწყეს ანგელოზებმა, კაცობრიობისათვის არსებითი აუცილებლობაა, როგორც წყარო, რომელიც აღვიძებს წყურვილს ხალხთა შორის მადლიანი მშვიდობისათვის, როგორც სიყვარულის მოვლენა, რომელიც საფუძველია მეგობრობის, მშვიდობიანი ურთიერთობისა და ხალხთა ცხოვრების აყვავებისა. ადამიანის უმაღლესი დანიშნულებაა მოუტანოს ხალხს სიხარული. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ გარეგანი მშვიდობა – სიწყნარე, სიმშვიდე, ცხოვრება სისხლის ღვრისა და ომების გარეშე შინაგანი სულიერი სამყაროს შედეგს

წარმოადგენს. მხოლოდ ამ შემთხვევაში დადგება ის კურთხეული დრო, რომლის შესახებაც გვაუწყა წინასწარმეტყველმა ესაიამ: „და დასჭრიდნენ მახვილებსა მათსა სახნისად, და ლახვრებსა მათსა მანგლად; და არა აღიღოს ნათესავმან ნათესავსა ზედა მახვილი, და არღა ისწავებდნენ მერმე ბრძოლასა“ (ეს. 2, 4).

განსაკუთრებული სიყვარულის გრძნობით მე მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო, რომელნიც ცხოვრობთ ჩვენი მამულის საზღვრებს გარეთ; თქვენ არ ხართ დავიწყებულნი, ჩვენ გვახსოვხართ და ყოველთვის ვლოცულობთ თქვენთვის. არ დაივიწყოთ თქვენი სამშობლო – მზიური საქართველო, მის კურთხეულ მიწაში განისვენებენ თქვენი დიდებულნი წინაპარნი, გახსოვდეთ და შეისწავლეთ მშობლიური ქართული ენა, წაიკითხეთ და შეითვისეთ ჩვენი მდიდარი საეკლესიო და კლასიკური ლიტერატურა, რომელიც სულიერად გაგვამდიდრებს და გაგვაერთიანებს.

ჩვენი საერთო მიზანია – ვიყოთ ერთად.

ქრისტეს მოყვარენო ძმანო და დანო, კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ქრისტეს შობის დიდ დღესასწაულს და გისურვებთ, რომ ღვთის სიტყვა – მაცხოვარი იშვას თქვენს გულშიც, რომ ის თქვენთან იყოს განუშორებლად და მარად გესმოდეთ მისი სანატრელი ხმა: „არა დაგიტეო შენ, ნუ გეშინინ, რამეთუ შენ თანა ვარ. ნუ შესცდები, რამეთუ მე ვარ ღმერთი შენი, რომელმან განგაძლიერე შენ, და შეგეწიე შენ, და მოგიკრძალე შენ მარჯუენითა მართლითა ჩემითა“ (ეს. 41, 9,10).

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა. ამინ.

ქრისტეს შობა
თბილისი, 1979 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1979 წ.

ღვთივრჩეულთა ყოვლადსამღვდელო მიტროპოლიტთა,
მთავარეპისკოპოსთა, ეპისკოპოსთა, მოძღვართა, ქრისტეს
მიერ დიაკონთა, პატიოსან ბერ-მონაზონთა და ყოველთა კურთხეულთა
შვილთა მიმართ საქართველოს წმიდა ავტოკეფალური
მართლმადიდებელი და სამოციქულო ეკლესიისათა, მკვიდრთა
საქართველოჲსა და მცხოვრებთა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ

„მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და
ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ (მათ. 28, 20).

ვირფასნო და ქრისტე იესოს მიერ საყვარელნო ყოვლადსა-
მღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ამა
სოფლის ამაოებათა დამტევებელნო პატიოსანნო ბერ-მონაზონნო,

ხორციელნო და სულიერნო ძმანო და დანო, შვილნო საქართველოს წმიდა სამოციქულო ეკლესიისანო, მკვიდრნო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი კურთხეული ივერიისა და მცხოვრებნო ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ!

ჩვენ ვქადაგებთ და ვაღიარებთ ქრისტეს, ჯვარცმულსა და აღდგომილს, რომელიც დღეს განსაკუთრებული ძალით მოგვმართავს თითოეულ ჩვენგანს: „...იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკუდილადმდე, და მოგცე შენ გვრგვნი იგი ცხორებისაჲ“ (გამოცხ. 2, 10). მაინც რომელ რწმენაზე, რის ერთგულებაზეა აქ ლაპარაკი? – უპირველეს ყოვლისა, ღვთიური საწყისის, ქვეყნიერებისა და სამყაროს მმართველი და მფარველი უმაღლესი გონების რწმენაზე, ქრისტიანის სახელის ერთგულებაზე, მშობელი ხალხისა და მამულის ერთგულებაზე, იმ ჰუმანური პრინციპების ერთგულებაზე, რომელთაც წმიდა ეკლესია ქადაგებს.

ყველას, ვინც ამ მაღალი იდეალების ერთგულნი ხართ და რომელნიც მიილტვით მათკენ, გულითადად გილოცავთ აღდგომას განკაცებული დაუსაბამო ლოგოსისას, რომელიც მორწმუნეთ „ცხოვრების გვირგვინით“ ამკობს:

ქრისტე აღდგა!

ამ სიტყვებშია ჭეშმარიტების გამარჯვება! ამ სიტყვებშია საიდუმლო ზეშთაგონება და სასიხარულო მოწოდება, სიყვარულის მისალმება და მშვიდობის წადილი!

ქრისტე აღდგა!

ეს ორი სიტყვა მოიცავს ორთავე სიცოცხლეს, აერთებს ორივე

სოფელს, აკავშირებს მიწას ზეცასთან, ქმნილებას – შემოქმედთან; ადამიანს – ღმერთთან!

ქრისტე აღდგა!

ამ სასიხარულო და მადლიან სიტყვებს იმეორებდნენ ჩვენი დიდებული წინაპრები; ეს სიტყვები გადაეცემოდა ბაგიდან ბაგეს, თაობიდან – თაობას და ავსებდა ადამიანებს იმ სიხარულით, რომელიც მარადიული სიყვარულის წიაღიდან მომდინარეობს!

პასექი ქრისტესი – ეს ის დღეა, როდესაც მორწმუნე ადამიანის უკვდავ სულს თვალთახედვა მიენიჭება და მის წინაშე წარმოჩინდება მანამდე უხილავი, მაგრამ მუდმივად საგრძნობი დაუსაბამო საწყისი. ესაა შეხვედრა ორი სამყაროსი – გარეგანისა და შინაგანისა. ამ სულიერი გაცისკროვნების დროს ადამიანის წინაშე თითქოსდა უსასრულობა გადაიშლება და მატერიალური სამყაროს მიღმა ის იწყებს სხვაგვარი სამყაროს ხილვას. ამ დღეს ადამიანი სრულად შეერწყმის მისთვის უჩვეულო სულიერ სამყაროს და შეიგრძნობს სრულ ჰარმონიას ღმერთთან!

ღვთაებრივი ენერგიით მადლმოსილთ შესწევთ უნარი, გარდა მატერიალურისა, სხვა სამყაროც დაინახონ. ისინი ცხადად ხედავენ სიკვდილზე ქრისტეს გამარჯვების კანონზომიერებას. აღდგომილი ქრისტე არის განმათავისუფლებელი; მან იმისათვის დასდო თავი სასიკვდილოდ, იმისათვის დაჰყვა უხეში მატერიის ძალას, რომ ეს მრისხანე გამანადგურებელი სტიქია თავისი ღვთიური ძალით დაემარცხებინა! დიახ, ჩვენ გვწამს და ვაღიარებთ ქრისტეს აღდგომილს! ანდა როგორ შეიძლება არ გვჯეროდეს ქრისტეს აღდგომა, როდესაც ვხედავთ, რომ ყველა მოციქული ქრისტეს აღდგომის ქადაგებისათვის ეწამა და არც ერთ მათგანს სასიკვდილო წამების დროსაც

კი არ შეუწყვეტია აღდგომილი ქრისტეს ქადაგება! აღდგომილი მაცხოვრის რწმენისა და სიყვარულისთვის, სამშობლოს სიყვარულისთვის დაათხიეს სისხლი ჩვენმა სახელოვანმა წამებულებმა: წმიდა დიდმოწამე გიორგიმ, არგვეთელმა თავადებმა დავითმა და კონსტანტინემ, ქართველმა მეფეებმა – არჩილმა, ლუარსაბმა, დიმიტრი თავდადებულმა, ქეთევან დედოფალმა და მრავალთა სხვათა.

მთავარი, რაც ქრისტიანობამ ჩვენს ხალხს მოუტანა, არის ადამიანის შინაგანი გარდაქმნა, ახალი ქრისტესმიერი ცხოვრება. იესო ქრისტემ თავისი პიროვნებით ჩვენ დაგვანახვა ღმერთი, ღმერთი, რომელიც ადამიანისთვის მახლობელი და ძვირფასი შეიქნა და ამით მან ჩვენი ცხოვრება აზრით, სიხარულითა და სილამაზით აავსო!

აღდგომილმა მაცხოვარმა განმაკურნებელი ბალზამით მოუშუშა რა ძველ სამყაროს ზნეობრივი ჭრილობები, იმედი მოუტანა გამოფიტულთ და სასოწარკვეთილთ. ქრისტეს აღდგომის ღვთაებრივი საიდუმლოს აღქმას ჩვენ შეგვიძლია მივუახლოვდეთ შინაგანი, სულიერი გამოცდილების მეშვეობით, სადაც მთავარი მნიშვნელობა ენიჭება რწმენასაც და ცოდნასაც. ცოდნა და რწმენა განუყრელადაა დაკავშირებული და ავსებს ურთიერთს. როგორც ამბობს ეკლესიის ცნობილი მასწავლებელი და ფილოსოფოსი კლიმენტი ალექსანდრიელი (+215 წ.), „არ არსებობს ცოდნა, რომელიც დაკავშირებული არ იყოს რწმენასთან, ისევე როგორც არ არსებობს რწმენა, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ცოდნაზე“.* ყოველი მეცნიერება, – ამბობს ის, – დაფუძნებულია პირველსაწყისებზე, რომელნიც წარმოადგენენ თვალნათლივ ცხად ჭეშმარიტებებს – აქსიომებს. მათი დამტკიცება შეუძლებელია და ისინი მიიღებიან მხოლოდ რწმენით. უკეთუ ხილულ საგნებზე მეცნიერებასა და ცოდნას საფუძვლად უდევს რწმენაზე დამყარებული დებულებები, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება რწმენას იმ შემთხვევაში, როდესაც ადამი-

* კლიმენტი ალექსანდრიელი, „სტრომატა“, წ. V, თ. I.

ანს უშუალო კავშირი აქვს უხილავთან და ღვთაებრივთან. რადგანაც მხოლოდ წმინდათა გულით შეუძლიათ იხილონ ღმერთი (მათ. 5, 8), და ზნეობრივი სრულყოფა კი თავისუფალი ნებისყოფის შედეგია, ამდენად, რელიგიური რწმენაც თავისუფლების შედეგად ჩაითვლება. მეორე მხრივ, თუ ცოდნა დაფუძნებულია რწმენაზე, რწმენაც, თავის მხრივ, მტკიცდება ცოდნით, რომლის გარეშე ის შეიძლება მყარი არ აღმოჩნდეს. კლიმენტი ალექსანდრიელი დაასკვნის: „უბრალო რწმენა ადამიანს ჰყოფს მონად, ხოლო რწმენა გააზრებული – მეგობრად ღვთისა“.*

მთავარია, ჩვენ არ დავკარგოთ კავშირი მასთან, ვინც წარმოადგენს რწმენისა და ცოდნის წყაროს. როგორც III საუკუნის მეცნიერი ორიგენე წერს, „ღმერთი არის უმაღლესი გონება და, ამავე დროს, საწყისი ყოველი გონიერი ბუნებისა და აზრისა“.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ რელიგიური გრძნობა ერთნაირად დამახასიათებელია როგორც გაუნათლებელი ადამიანებისათვის, ასევე თანამედროვე ცოდნის მწვერვალებზე მდგომი დიდი მეცნიერებისათვისაც. ეს შესაძლებელი ხდება იმიტომ, რომ რელიგიური გრძნობა ადამიანის უკვდავი სულის ნიჭის ნაყოფია. ცნობილმა ასტრონომმა კამილ ფლამარიონმა პარაფსიქოლოგიური მოვლენების გამოკვლევის შედეგად ოთხი მნიშვნელოვანი თეზისი ჩამოაყალიბა:

1) სული არსებობს სხეულისგან დამოუკიდებლად.

2) მას ახასიათებს მეცნიერების მიერ ჯერაც შეუცნობელი თვისებები.

3) მას აქვს მანძილზე მოქმედებისა და აღქმის უნარი.

4) მომავალი მზადდება წარსულით და სულს აქვს წინასწარგანჭვრეტის უნარი (კ. ფლამარიონი. „უცნობი ფსიქიკური მოვლენები“. სპბ. 1852 წ.).

* კლიმენტი ალექსანდრიელი, “სტრომატა”, წ. I, თ. 6.

ამგვარად, წარმოიშვა ცოდნის ისეთი ახალი სფერო, როგორიცაა პარაფსიქოლოგია, რომელიც მეცნიერებას უხილავ რეალობას უკავშირებს და მატერიალური სამყაროს მიღმა ხედვის შესაძლებლობას გვაძლევს. ვაცნობიერებთ რა ყოველივე ამას, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქრისტიანობა იყო და რჩება ჩვენთვის ერთადერთ ჭეშმარიტ ძალად. „ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“ (პირველშეწირულის წირვა).

რა იქნებოდა საქართველო ქრისტიანობის გარეშე?! ჩვენ ვიცავდით ქრისტიანობას და ქრისტიანობამ გადაგვარჩინა ჩვენ! როგორც ამბობს ტერტულიანე, სული ჩვენი ბუნებით ქრისტიანია აქედან გამომდინარე დადებითი შედეგებით. დღეს ჩვენი მოზეიმე სულები ერთხმად უგალობენ და შესთხოვენ მკვდრეთით აღდგომილ მაცხოვარს: მოგვმადლე ჩვენ, ზეციერო მოძღვარო, ჩვენი დიდი წინაპრების რწმენის ძალა, სასოების შეურყევლობა და მხურვალება მათი სიყვარულისა!

მოგვმადლე ნიჭი, რომ ამქვეყნიურ ხმაურში გავიგონოთ მარადიულობის სიჩუმე და სიმშვიდე, რომ სამარადისოდ შეგიერთდეთ და ვიხაროთ შენთან!

როდესაც წუთისოფლის ბნელ გზაზე დაღლილნი და გზააბნეულნი შევჩერდებით და აღარ გვეცოდინება საით წავიდეთ, მოგვმადლე ცხოვრებისეულ ქარიშხალში შენი ნათელი სახის ხილვა და გვასმინე შენი მშვიდი გამამხნევებელი ხმა:

„მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა!“

დიახ, ჩვენთან, ჩვენს ხალხთანაა მაცხოვარი სამარადისოდ! გიხაროდეთ, რამეთუ

ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1979 წ.

საშობაო ეპისტოლე

1980 წ.

წმიდა სინოდის წევრებს – ღვთივგანბრძნობილ ყოვლადსამღვდელო მიტროპოლიტებს, მთავარეპისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს, მოძღვრებს, ბერ-მონაზვნებს და საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ყველა ღვთივკურთხეულ შვილს, მცხოვრებს დედასამშობლოში და მის საზღვრებს გარეთ.

> „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდშობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (იოან. 3, 16).

ს იხარულისა და სიყვარულის სიტყვებით კვლავ მოგმართავთ ყოვლადსამღვდელონო მიტროპოლიტნო, მთავარე-

პისკოპოსნო და ეპისკოპოსნო, მოძღვარნო, ბერნო და მონაზონნო, ძვირფასნო ძმანო და დანო – საქართველოს საპატრიარქოს კურთხეულნო შვილნო – მცხოვრებნო დედასამშობლოში და ჩვენი ძვირფასი მამულის საზღვრებს გარეთ! ღვთივდაცულ სამწყსოს გულითადად გილოცავთ ქრისტეს დაბადების დიდებულ დღესასწაულს და გისურვებთ სრულ მშვიდობასა და მარადიულ სიხარულს, რამეთუ დედამიწაზე იესო ქრისტეს მობრძანებით ზეცა შეერწყა მიწას და ყოველი ჩვენგანისათვის გაიღო საუკუნო ნეტარების კარი.

განვლო საუკუნეებმა, მიდის წლები, ქრისტიანული სამყარო კი, როგორც ყოველთვის, ზეიმით ხვდება ერთ-ერთ უდიდეს საეკლესიო დღესასწაულს – ქრისტეს შობას. დღეს ჩვენი ფიქრები მიმართულია იმ შორეული დროისაკენ, ბეთლემის იმ კურთხეული გამოქვაბულისაკენ, რომელმაც შეიფარა ახალშობილი იესო – გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება მთელი კაცობრიობისა. ის იშვა, როდესაც ეძინა ბეთლემს, ეძინა იერუსალიმს, ეძინა იუდეველთა ქვეყანას, ეძინა მთელ კაცობრიობას. პირველნი, რომელთაც შემოესმათ ანგელოსთა გალობა – „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“ და რომელნიც ღირს იქმნენ თაყვანი ეცათ ახალშობილი იესოსათვის – იყვნენ უბრალო, წმიდა გულის პალესტინელი მწყემსები. ეს იყო დასაწყისი ახალი აღთქმისა, დასაწყისი ახალი, ქრისტიანული რწმენისა, რომელსაც უნდა გარდაექმნა მთელი კაცობრიობა. „სიტყვა განკაცნა, რათა ჩვენ ღმერთ-ვიქმნეთ“, – თქვა წმიდა ათანასე დიდმა.

წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს, რომ ქრისტეს დაბადება შეუძლებელია გააზრებულ იქნეს ადამიანური ლოგიკით. ეს არის სასწაული, რომელიც აღემატება ადამიანის გონებას. „ნუ შემეკითხები: როგორ მოხდა სასწაული? რამეთუ, როდესაც ბრძანებს უფალი, ბუნება მხოლოდ მორჩილებს; მან ინება და შეძლო, მოვიდა და გვიხსნა!

ღვთის ნებამ არ იცის, რა არის წინააღმდეგობა და არსებული უწინარეს ყოველთა საუკუნეთა – დღეს ხორციელდება!“ მაგრამ ღვთის განხორციელების საიდუმლო გასაგები ხდება მისთვის, ვისი გულიც გამთბარია რწმენითა და სიყვარულით, იმიტომ, რომ ეს სიყვარულის საიდუმლოა. სიყვარულის საიდუმლო გაუგებარია იმათთვის, ვისაც არ ძალუძს რწმენა და სიყვარული, მაგრამ გასაგებია მათთვის, ვისაც ძალუძს თავისი სიყვარულით უპასუხოს ჩვენს მოყვარულ უფალს.

„სიყუარულითა საუკუნოჲთა შეგიყუარე შენ“ (იერ. 31, 3), – ეუბნება ღმერთი მის მიერ შექმნილ ადამიანს, და ამ გამოუთქმელმა მარადიულმა სიყვარულმა განაწყო შემოქმედი გაეღო ენით გამოუთქმელი მსხვერპლი. მსხვერპლი შეწირულია. საიდუმლო აღსრულდა, ახლა უფალი მოდის თითოეულ ჩვენგანთან და გვიხმობს. მაგრამ ყველას არ ესმის ეს ხმა; ერთნი შეიტკბობენ მას და მასთან არიან, სხვანი – უარყოფენ. უფლის მიღება, ანუ მისი რწმენა თავისუფალი, ჭეშმარიტად საოცარი აქტია, მსგავსი ხელახალი დაბადებისა.

ადამიანი იმდენადაა გარემოცული მიწიერი გრძნობებითა და ფიქრებით, რომ მას ხშირად უძნელდება ღვთიური ნათელის აღქმა. მაგრამ დგება ჟამი, როდესაც ყველა ეს გრძნობა და ფიქრი სადღაც ქრება, ადამიანი გადადის სხვა სამყაროში და იბადება ახალი შეგრძნება, შეგრძნება არაამქვეყნიურისა, შეგრძნება რაღაც მშობლიურისა და ამავე დროს შორეულისა და მიუწვდომელისა – შეგრძნება ღვთისა.

წმიდა მამათა აზრით: ღმერთი ძალიან ახლოსაა ჩვენთან.ის განუშორებელია ადამიანისაგან. ნეტარი ავგუსტინე ამბობს: „როგორ შემიძლია მოვიხმო ჩემში ღმერთი? არის კი ჩემში ადგილი, სადაც შეეძლება ღმერთს მოსვლა? მე არ ვიარსებებდი, ღმერთო ჩემო, შენ რომ არ იყო ჩემში, ანუ არ ვიარსებებდი, მე რომ არ ვიყო შენში,

რამეთუ ყოველი არსება იმყოფება შენში და შენით არსებობს. სად მოგიწოდო შენ, როდესაც მე ვიმყოფები შენში და საიდანღა შეძლებ შენ ჩემში მოსვლას?“

ადამიანს შეუძლია უსაზღვროდ ამაღლდეს სულიერად და შეუძლია ჩავარდეს ვნებათა უსასრულო, უძირო უფსკრულში, – ორივე შემთხვევაში ის მაინც ადამიანად რჩება. მასში არ ქრება „ხატი ღვთისა“. ხშირად ადამიანში ვხედავთ წინააღმდეგობას, კეთილი საწყისის გვერდით ვხვდებით სრულიად სხვა ხასიათის ენერგიას, დემონურ ძალას, ბოროტსა და საშიშს; საშიშს უპირველესად თავად ამ ძალის მატარებლისათვის. ადამიანი ვალდებულია იბრძოლოს ბოროტების წინააღმდეგ. ვინ უნდა იყოს ჩვენი დასაყრდენი ამ ბრძოლაში? – ღმერთი, ქრისტე, ჭეშმარიტება, სიმართლე. „ნათელი ქრისტესი განგუანათლებს ყოველთა“. ეს ნათელი იმდენად ძლიერია და ცხოველმყოფელი, რომ იგი აცისკროვნებს ხილულსა და უხილავ სამყაროს, აღწევს ადამიანის სულისა და სხეულის ყველა ნაწილში. იგი ანათებს, უხმობს ქვეყანას, გარდაქმნის მას, განსაკუთრებით ბრწყინვალედ ანათებს სიბნელეში, რომელიც ცდილობს მის შთანთქმას, მაგრამ სიბნელე, თუმცა დიდია თავისი მოცულობით, უძლურია ნათელის წინაშე. ნათელი, რომელიც გვინათებს ცხოვრებას და რომლის მეოხებითაც ჩვენ საშუალება გვეძლევა გავარჩიოთ კეთილი და ბოროტი, მართალი და ტყუილი, გვინათებს ჩვენ არა გარედან, არამედ შიგნიდან, ჩვენი ზნეობრივი არსების, ჩვენი გულის სიღრმიდან. ამიტომ ადამიანს უნდა ჰქონდეს კავშირი ნათელთან, ღვთიურ ენერგიასთან. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როდესაც მექანიზმის გენიას სურს მოაშთოს ადამიანი, როდესაც ამ მექანიზმს სურს გამოაძევოს ჩვენგან სული და დატოვოს მხოლოდ მკვდარი მატერია. ამან გამოიწვია კაცობრიობის მერყეობა სულიერ ფასეულობათა აღქმაში. ეს ჩვენი დროის დამახასიათებელი თავისებურებაა. ამის თაობაზე

გვაფრთხილებდა წმიდა მოციქული პავლე, როდესაც წერდა: „და ნუ თანა-ხატ ექმნებით სოფელსა ამას, არამედ შეიცვალენით განა-ხლებითა მით გონებისა თქუენისაჲთა“ (რომ. 12, 2).

მაგრამ ადამიანმა იპოვა ძალა თავის თავში, რათა წინაღ-უდგეს ამ ცთუნებას. დღევანდელ ადამიანს აინტერესებს სულიერი და საღვთისმეტყველო საკითხები. იმისათვის, რომ ღრმად ჩავწვდეთ სულიერი პრობლემების არსს, გავხდეთ ღვთისმეტყველი, საჭიროა ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრება და არა მხოლოდ ეკლესიური დოგმატების შესწავლა.

თანამედროვე ახალგაზრდობას არ შეიძლება დავწამოთ ინდი-ფერენტიზმი. ეს არის მოაზროვნე, მაძიებელი, ნიჭიერი ახალგაზრ-დობა. ძიება ახალგაზრდობისა, მისი უნარი მსხვერპლის გაღებისა, სწრაფვა მეცნიერებისაკენ – ყოველივე ეს მისი სულის ძალასა და სიდიადეზე მეტყველებს. სასიხარულოა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა იმას, რაც გაყინული, უძრავი, უსიცოცხლო და უსულოა, არ იწყნარებს. ბევრს გაუჩნდა წყურვილი ნამდვილი სახ-არებისეული ცხოვრებისა. დღეს ბევრს უფრო სულიერი სიმდიდრე აინტერესებს, ვიდრე მატერი-ალური კეთილდღეობა. ადამიანმა გაიგო, რა არის მატერიალური სიმდიდრე. ვის აკურთხებს იგი, ვის აბედნიერებს, ვის ალამაზებს, ვის მატებს სიკეთესა და გონიერებას? დღემდე – არავის.

ქრისტიანობა თავისი უბრალოებითა და უჩვეულობით სუსტი და უძლური ჩანდა, მაგრამ მან ბრძოლაში გამოიწვია ძველი სამყა-რო. ქრისტიანობამ უშუალოდ ადამიანის გულს მიმართა და იგი ისეთ სულიერ და ზნეობრივ სიმაღლეზე აიყვანა, რომლის მსგავსი ძველ რელიგიებსა და ფილოსოფიას ვერც კი წარმოედგინათ.

ადამიანთა გულების დაპყრობისათვის საჭირო იყო არა მტკი-ცებანი, არამედ მადლიან ცხოვრებასთან ზიარება; არა დარწმუნება, არამედ ქრისტიანობის ჩვენება, რამეთუ მოციქული პავლეს სიტყვე-

ბით: „არა სიტყვთა არს სასუფეველი ღმრთისაჲ, არამედ ძალითა“ (1 კორ. 4, 20).

ჩვენს დროში სამყარო სწრაფად იცვლის სახეს: ახლა წელიწადი მთელი ეპოქაა. ეს ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაშიც შეიმჩნევა. იგრძნობა მისწრაფება მთელი მსოფლიოს ქრისტიანთა ურთიერთგაგებისა და დაახლოებისაკენ, რაც ხელს უწყობს ხალხთა და სახელმწიფოთა ურთიერთგაგებას. ქრისტიანთა დაახლოება იწვევს იმას, რომ მტრობა და უნდობლობა წარსულს ბარდება, ისპობა ფსიქოლოგიური და სხვა წინააღმდეგობანი. ჩვენი მიზანია ადამიანური ურთიერთობების – პირადი, ოჯახური, საზოგადოებრივი, საერთაშორისო ურთიერთობების ქრისტიანულ პრინციპებზე დაფუძნება-დამყარება. ეს საერთო-ქრისტიანული საქმე, ქრისტიანთა გამაერთიანებელი და დედამიწაზე მშვიდობის, თავისუფლებისა და სამართლიანობის დამყარების განმაპირობებელი საქმე უნდა გახდეს.

„რაჲ-იგი არს ქრისტეს მიერ ახალი დაბადებული“ (2 კორ. 5, 17) – ამბობს მოციქული პავლე. აღდგენა ადამიანში „ხატისა ღვთისა“, გარდაქმნა ადამიანისა ნამდვილ ღვთისნიერ ქმნილებად – ესაა მიზანი ქრისტეს შობისა, ესაა მიზანი ახალი აღთქმისა.

„დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“ (ლუკ. 2, 14). რა შეიძლება იყოს კაცთათვის უფრო სანატრელი, ვიდრე „ქუეყანასა ზედა მშვდობაჲ“ და სათნოება კაცთა? მხოლოდ განხორციელებული უფლის დედამიწაზე მობრძანებას შეეძლო ადამიანებისათვის მოენიჭებინა ეს სიკეთე.

იესო ქრისტე ბეთლემში იშვა. მაგრამ ეს საკმარისი არაა. ის უნდა იშვას ყოველი ადამიანის გულში, და არა მარტო იშვას, არამედ მუდამ იმყოფებოდეს მასთან. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ჩვენთვის მისაწვდომი ის ზეციური მადლი, რომელიც დედამიწაზე სა-

უკუნეთუწინარესმა ლოგოსმა მოგვიტანა – მშვიდობა ღმერთთან, მშვიდობა მოყვასთან, მშვიდობა საკუთარ თავთან.

იესო ქრისტემ გვიბოძა შინაგანი განახლებისა და სულიერი ზრდის უნარი. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი ცხოვრება, ყოველი ჩვენი მოძრაობა დაფუძნებულია რწმენაზე, რწმენაზე, რომლითაც განმსჭვალულია ჩვენი გული და რომელიც წმიდას ყოფს ჩვენს გულს. „გული წმიდაჲ დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა“ (ფსალმ. 50, 12). ქრისტეს დაბადებით სამყარო ზემიწიერს, ზექვეყნიურს ეზიარა. შენ ვერასდროს შეიტყობ ამას, თუ სასწაულთმოქმედი ბარძიმიდან თავად არ შესვი ის მაცოცხლებელი მადლი, რომელიც სულიერ წყურვილს კლავს. შესვი და აღარასდროს მოგწყურდება, შესვი და შენ წინაშე წარმოჩნდება მანამდე უხილავი და უცნობი ახალი სამყარო, სულიერი სამყარო, რომელიც თავისი მადლიანი სხივებით ათბობს და ანათებს დედამიწას.

იესო ქრისტე და ქრისტიანობა სამყაროში არამიწიერი გზით შემოვიდა. მაცხოვარმა თავისი განკაცებით მიმართა არა მხოლოდ ადამიანის გულს, არამედ გონებასაც. სახარებამ დაიმორჩილა ადამიანის ნებისყოფა, მისცა კაცობრიობას ახალი სიცოცხლე. მოციქული პავლეს სიტყვებით, სახარებისეული ჭეშმარიტება კაცობრიობას წარუდგა არა ადამიანური სიბრძნის დამაჯერებელი სიტყვებით, არამედ „მოვლინებითა სულისა და ძალისა“. სულმა და ძალამ დაიპყრო მსოფლიო. „მოვედინ სუფევაჲ შენი! იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა“. ასეთია ჩვენი ლოცვა, ასეთია ჩვენი სურვილი.

დღეს ჩვენ შევთხოვთ უფალს ჩვენი რწმენისა და სიყვარულის გაძლიერებას, სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა სიუხვეს, სიკეთის გამრავლებასა და ბოროტების აღმოფხვრას, ჩვენი სამო-

ციქულო ეკლესიისა და ჩვენი ხალხის ნათელ მომავალს.

ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს, რომ მსოფლიოში აღარ იყოს ომი, შიმშილი და უსამართლობა.

ლოცვითა და მფარველობითა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ღვთისა და მამულისათვის თავდადებულ ყოველთა წმიდათა, უფალმან განწმიდოს და გარდაქმნას ჩვენი შინაგანი სამყარო, რათა ჩვენი გულები და აზრები წმიდა ძღვენის სახით მიმართულ იქნეს ახალშობილი ყრმისადმი.

განვლო ოცმა საუკუნემ, მაგრამ შობის ღამე მორწმუნე გულისათვის ისევე დაუვიწყარი და მომნუსხველია: ბაგა, ახალშობილი ყრმა დედასა და მართალ იოსებთან ერთად, მწყემსები, მოგვები თავიანთი ძღვენით, გამოქვაბულს დაჰნათის ვარსკვლავი; ყოველივე ეს დღესაც მახლობელი და მშობლიურია ჩვენთვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას ბრწყინვალე დღესასწაულს, ჩვენი სულიერი დაბადებისა და განახლების დღესასწაულს – ქრისტეს შობას. მარად გვემახსოვრება ჩვენი დიდებული წინაპრები, რომელთაც ახასიათებდათ ღრმა რწმენა და სიყვარული, შთაგონებული და შემოქმედებითი აზროვნება და თავდავიწყებული ძიება. დაე, ეს წელი მთელი მსოფლიოსათვის, ყველა ჩვენგანისათვის, ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი ღვთივდაცული ერისათვის მშვიდობის, კეთილდღეობისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს.

„აღორძნდებოდეთ მადლითა და მეცნიერებითა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა. მისა დიდებაჲ აწ და დღეთა მათ საუკუნეთაჲსა. ამინ“ (2 პეტრ. 3, 18).

ქრისტეშობა
თბილისი, 1980 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1980 წ.

საქართველოს საპატრიარქოს ღვთივკურთხეულ სამწყსოს

„ღმერთი სიყუარული არს და რომელი ეგოს
სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს და
იგი ღმრთისა თანა“ (1 იოან. 4, 16).

ღვთისმოყვარენო და ღვთისაგან რჩეულნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ძენო და ასულნო ივერიის წმიდა სამოციქულო ეკლესიისანო, მკვიდრნო საქართველოჲსანო და მცხოვრებნო ჩვენი ძვირფასი სამშობლოს საზღვრებს გარეთ!

„მშჳდობაჲ თქუენდა, ყოველნი რომელნი ხართ ქრისტე იესუჲს მიერ“ (1 პეტრ. 5, 14).

დღეს მე კვლავ გაუწყებთ თქვენ ყველას მარადიულ სიყვარულსა და სიხარულს.

ქრისტე აღდგა!

უფალი მოგვმართავს ყოველ ჩვენგანს: „ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ“ (მათ. 7, 7).

მაცხოვარო ქვეყნისა, გევედრებით, აღადგინე ჩვენი სარწმუნოება, რომლითაც ცხოვრობდნენ და იმარჯვებდნენ ჩვენი დიდნი მამა-პაპანი; გვრწამს, რომ ჯვარს ეცვი და აღდეგ ჩვენთვის და ქვეყანა გამოიხსენ ცოდვებისაგან, შენ სძლიე უძლეველი და შენი აღდგომით მოგვმადლე საწყისი ახალი ცხოვრებისა, რომელიც აქ, დედამიწაზე, იწყება და საუკუნო სასუფეველში გრძელდება.

ქრისტე აღდგა!

სასოებაო ქვეყნისა! შენ ხარ ჩვენი ერთადერთი იმედი, ჰქმენ კეთილსასწაულ და სძლიე ბოროტსა ამ სწრაფწარმავალ ქვეყანასა ზედა. გვჯერა, რომ შენ მოგვანიჭებ ძალას, რათა სულიერი აღმავლობის გზით ვიაროთ და მოგვცემ მხნეობას ჩვენი სულიერი ფერისცვალებისათვის.

ქრისტე აღდგა!

თავად სიყვარულო და სიყვარულის მომნიჭებელო უფალო, ადამიანის დაგმანული გული შენი უზენაესი სიყვარულით აღავსე, რათა შევიგრძნოთ გულისტკივილნი მოყვასთა ჩვენთა და ვიყოთ მსხვერპლად შეწირულნი ადამიანთა საკეთილდღეოდ.

პირველნი, რომელთაც აუწყეს ქვეყანას ქრისტეს აღდგომა, იყვნენ ანგელოზები. როცა მენელსაცხებელნი დედანი მივიდნენ მაცხ-

ოვრის საფლავთან, ანგელოზმა აუწყა მათ: „ვიცი, რამეთუ იესუს ნაზარეველსა ჯუარცუმულსა ეძიებთ... აღდგა, ვითარცა თქუა.მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა დაიდვა უფალი“ (მათ. 28, 5-6; მარკ. 16, 6; ლუკ. 24, 6); მენელსაცხებელნი სიხარულითა და თრთოლვით წამოვიდნენ და აუწყეს მოციქულებს: „და ვითარ-იგი მივიდოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა, და აჰა, იესუ შეემთხვა მათ და ჰრქუა: გიხაროდენ!“ (მათ. 28, 9). როგორი აუწერელი სიხარული განიცადეს მათ იმჟამს. ისინი მიდიოდნენ, რათა ეხილათ უსულო გვამი მაცხოვრისა, ხოლო პოვეს მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტე. იესო ქრისტეს აღდგომა აუწყეს ქვეყანას აგრეთვე მოციქულებმა, რომელთაც მაცხოვარი არა ერთხელ გამოეცხადა სიტყვებით: „მშვიდობა თქვენთანა!“ განსაკუთრებით საყურადღებოა მოციქული თომას მოწმობა, რომელმაც თქვა: „უკუეთუ არა ვიხილო ჴელთა მისთა სახე იგი სამშჭუალთაჲ და დავსხნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამშჭუალთასა და დავსდვა ჴელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს“ (იოან. 20, 25). მაცხოვარმა არ დატოვა იგი ურწმუნოებაში და შეიწყალა. რვა დღის შემდგომ უფალი კვლავ გამოეცხადა მოციქულებს და უთხრა: „მშჳდობაჲ თქუენ თანა!“ შემდეგ მიმართა მოციქულ თომას და ჰრქუა: „მოყვენ თითნი შენნი და იხილენ ჴელნი ჩემნი, და მოიღე ჴელი შენი და დამდევ გუერდსა ჩემსა, და ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ“ (იოან. 20, 27). თომა მოციქულმა მაშინღა უპასუხა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ (იოან. 20, 28). იგივე დიალოგი გრძელდება დღეს ჩვენთან. თუმცა ტექნიკურ-მეცნიერული რევოლუციის ორომტრიალში ვიმყოფებით, ჩვენ გვწამს, რომ თანამედროვე ადამიანი, რომელსაც სურს ყველაფერი იცოდეს, საბოლოოდ მოიკრებს სულიერ ძალებს. მისთვის გაცხადდება დაფარული და მსგავსად თომა მოციქულისა შეღაღადებს: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ დიალოგი დაწყებულია, დაველოდოთ მის დამთავრებას...

მეტად რთულია ის პრობლემები და სიტუაციები, რომლებიც

წარმოიშობიან ცხოვრებაში, მაგრამ მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ გვიჩვენა გამოსავალი – ესაა მისი მოძღვრების განხორციელება ცხოვრებაში.

ყველა მცნებას მოიცავს უკვდავი ნათქვამი: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი“ (რომ. 13, 9). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აწუხებდა და აწუხებს ქრისტიანს, ეს არის ადამიანის დამოკიდებულება ქვეყნისადმი. ალბათ საჭიროა რაღაც საშუალოს გამონახვა. როცა მოციქული იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცა-ღა რაჲ არს სოფლისაჲ ამის. უკუეთუ ვისმე უყუარდეს სოფელი ესე, არა არს სიყუარული მამისაჲ მის თანა“ (1 იოან. 2, 15), იგი გულისხმობს იმ სიახლოვეს, რომელსაც მუდამ იჩენს ადამიანი ქვეყნისა და ცხოვრების მიმართ. მატერიალურთან მეტისმეტი სიახლოვე ადამიანს უხეშ მატერიალისტად ხდის, მხოლოდ ეგოიზმსა და პირად კეთილდღეობას ცნობს. ჩვენ უფლება არა გვაქვს შევიძულოთ ქვეყანა, რამეთუ იგი ღმრთის ქმნილებაა, მაგრამ არც უნდა შევესისხლხორცოთ მას ბოლომდე, დაუდევრობამდე და გულგრილობამდე; ჩვენ გულში მუდამ უნდა ვატარებდეთ მიწასთან ინტერვალის გრძნობას, ჩვენ უნდა ვიდოდეთ არა მიწასა ზედა, არამედ მისგან ამაღლებულნი. მხოლოდ ამ შემთხვევაში არ დავივიწყებთ მარადიულ ფასეულობას.

როცა წარსულს ვაანალიზებთ, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ქრისტიანობა არ აღმოცენდებოდა და არ აღორძინდებოდა, ადამიანს ყური რომ არ დაეგდო თავისი სულის ხმისათვის, და რომ მაცხოვარს ყოველივე ის არ მოემადლებინა, რაც მთავარი და აუცილებელია ადამიანისათვის. ქრისტიანობამ დაგვანახვა, რომ იგი ზექვეყნიურია და ზებუნებრივი. მან შთაბერა ქვეყანას ახალი ენერგია, ახალი ცხოვრება ქრისტე იესოს მიერ, ცხოვრება, რომელმაც მოსდრიკა ცანი და შეუერთა დედამიწას. ქრისტიანობა თავისი არსით

თეორია კი არ არის, არამედ სიცოცხლე, კავშირი ზეცასთან და რელიგიური გამოცდილება. ამ რელიგიას ვერ შეიცნობ მხოლოდ გარკვეული იდეების, დოგმატებისა და წესების შესწავლით. უკეთუ ადამიანის გულში რელიგიური მარცვალი ძევს, იგი ცხოვრების ხედ აღმოცენდება და კეთილ ნაყოფს მოგვცემს. ეს სულიერი ძალა, რომელიც იბადება პიროვნებაში, გარდაქმნის არა მარტო თვით პიროვნებას, არამედ გავლენას ახდენს მთელ სამყაროზე, ცვლის ქვეყნის ისტორიულ სახეს. ეს ღვთაებრივი ცეცხლია, არა შემმუსრველი, არამედ გამწმენდელი და ახალი იმპულსის მიმცემი ქვეყნისათვის. ამის შესახებ მაცხოვარი ბრძანებს: „ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა და რაჲ მნებავს, რაჲთა აწვე აღეგზნეს!“ (ლუკ. 12, 49). რას ვხედავთ სინამდვილეში? ადამიანი როგორღაც განშორდა ღმერთს, მაგრამ სულიერ ფასეულობას ვერავითარი მეცნიერება, ტექნიკა და სხვა რამ მატერიალური ვერ შეცვლის. დღეს ადამიანის წინაშე გლობალური პრობლემა დგას: შეძლებს თუ არა დაიმორჩილოს თავისი თავი და მის მიერ შექმნილი ტექნიკა. აღმოჩნდება თუ არა დაგროვილი ტექნიკა ადამიანისათვის საბოლოოდ კეთილდღეობის მიმცემი. ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ მეცნიერულად დასაბუთებულმა ტექნიკამ მოგვცა არნახული ძალაუფლება ბუნების ასათვისებლად და ეს ძალაუფლება უნდა იყოს გამოყენებული არა ადამიანის სულიერი დაუძლურების, არამედ მისი კეთილდღეობისათვის, ამ სიტყვის გლობალური გაგებით.

დღევანდელ პირობებში მორწმუნენი მიილტვიან პირველი ქრისტიანების ამაღლებული სულიერობისაკენ, როცა უფალი ძალიან ახლოს იდგა ადამიანთან და ამ სიახლოვით მისი შინაგანი სამყარო აღვსილი იყო სიყვარულითა და სიხარულით. ამგვარი სიახლოვე გვწყურია ჩვენ ყველას, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვპოულობთ გზებს ღმერთთან კავშირისათვის.

ცნობილი ქრისტიანი აპოლოგეტი და მეცნიერი ტერტულიანე ერთ-ერთ ასეთ გზაზე მიგვანიშნებდა: სჯობია ადამიანმა ყური მიუგდოს თავისი სულის ხმას და მაშინ ჭეშმარიტი ღმერთი არ იქნება მისთვის უცნობი. სული, რაც უფრო ახლოა ბუნებასთან, მით უფრო განწყობილია ქრისტიანული სარწმუნოების მისაღებად, რამეთუ ბუნება არის მასწავლებელი, ადამიანის სული – მოსწავლე, ღმერთი – მასწავლებლის მასწავლებელი. აქედან დასკვნა: რაც უფრო დავუახლოვდებით ღმერთს, მით უფრო დავუახლოვდებით ერთმანეთს. ადამიანს, რომელიც ახლოა ღმერთთან და მოყვასთან, არავითარი განსაცდელი არ აშინებს. ამის შესახებ ესაია წინასწარმეტყველის პირით უფალი გვეუბნება: „წყალზე გადასვლისას მე შენთანა ვარ; მდინარენი ვერ წაგლეკავენ შენ; შეხვალ ცეცხლსა შინა და არ დაიწვები და არცა ალი მოგეკიდება შენ“ (ეს. 43, 2).

ბრწყინვალეა და საიდუმლო დღე ქრისტეს აღდგომისა. დღეს კვლავ აღდგა ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი სასოება და სიყვარული. აღდგა ჩვენი რწმენა, რწმენა შემოქმედისა, რომელიც არ გვტოვებს, რწმენა სიკეთისა, რწმენა ადამიანისა, რწმენა ჩვენი ფერისცვალებისა და აღდგომისა.

განახლდა ჩვენი სასოება, იმედი, რომ კაცობრიობა კვლავ დაუბრუნდება ღმერთს და მარადიულ სულიერ საუნჯეს აითვისებს; აღდგა იმედი, რომ მოხდება ჩვენი განახლება, იმედი იმისა, რომ არ იქნება მტრობა და შიმშილი, და რომ გაიმარჯვებს ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

გამობრწყინდა ჩვენში სამსახოვანი სიყვარული: სიყვარული ღვთისა, სიყვარული მამულისა და სიყვარული ადამიანისა.

ქრისტეს აღდგომამ განახვნა ჩვენი გულები; მაშასადამე, ქრისტე ჩვენთან არს!

თქვენ ყოველთა, ახლობელთა თუ შორეულთა, საქართველ-

ოში და სამშობლოს გარეთ მცხოვრებთა, გილოცავთ ქრისტეს აღ-
დგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, დღესასწაულს ჩვენი სულიერი
განახლებისა!

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!

„ბნელი წარვალს და ნათელი იგი ჭეშმარიტი აწვე ჩანს“
(1 იოან. 2, 8).

ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

პასექი ქრისტესი
თბილისი, 1980 წ.

საშობაო ეპისტოლე

1981 წ.

ღვთივკურთხეულ შვილთა მიმართ საქართველოს
წმიდა მართლმადიდებელი და სამოციქულო ეკლესიისათა,
მკვიდრთა საქართველოჲსა და მცხოვრებთა ჩვენი სამშობლოს
საზღვრებს გარეთ

„სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა,
და სოფელმან იგი ვერ იცნა“ (იოან. 1, 10).

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ღვთივრჩეულნო მღვდელმთავარნო, სამღვდელო დასო, ბერნო და მონაზონნო, ჩვენი ეკლესიის ღირსეულნო შვილნო, უცხოობაში მყოფნო მამულიშვილნო!

ისევ გადაიშალა ჟამთა ბრუნვის ერთი ფურცელი, ისევ ინათა

ვარსკვლავმა ბეთლემის თავზე და მოვიდა დიდებული დღე, ქრისტეს შობისა. ანგელოზთა გუნდნი ისევ მოაფენენ ჩვენს ნაცნობ ჰანგებს ცასა და ქვეყანას: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“ (ლუკ. 2, 14). მინდა მოგაგონოთ ამ ნათლით მოსილ დღეს, რომ ოქროს სასახლეებსა და ბროლით ანაგებ კოშკებს მადლი და სითბო არასოდეს მოუფენიათ ჩვენი მიწისთვის, ბეთლემის მადლი და საოცრება კი იხილეს ჩვენმა წინაპრებმა თავიანთი თვალით, და იმავ მადლს ვხედავთ დღესაც ჩვენი გონებით... იშვა ბეთლემში ის, ვისთანაც „ცხორებაჲ იყო და ცხორებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოან. 1, 4-5). დიახ, სწორედ ბეთლემში, მწყემსის გამოქვაბულში ნაშობმა სიტყვამ, ე. ი. ჯეშმარიტმა ღმერთმა ჩვენმა მოუტანა კაცობრიობას ის სასოება და სიხარული გულისა და ნათელი გონებისა, რომელიც ყოვლად მოწყალე მაღალი ღვთისაგან მზადდებოდა ადამიანისათვის მთელი წინამდებარე ათასწლეულების მანძილზე. ის უნდა მოსულიყო... ის მოდიოდა... ღვთის განგება ამზადებდა მის ჩვენთან მოსვლას... და იშვა იგი ქალწულისაგან, როგორც იყო განგება ღვთისა...

...რომ შევიცნოთ და შევისისხლხორცოთ ეს უდიდესი საიდუმლო, ამისათვის სარწმუნოებაზე დაფუძნებული ცოდნა უნდა შევძინოთ ჩვენს გულს, ჩვენს გონებას. იმდაგვარად უნდა ავმაღლდეთ, რომ უმაღლეს დონეზე სუფევდეს ჩვენში სარწმუნოება და ცოდნა...

სარწმუნოება უნდა ანათებდეს ჩვენს შინაგან სამყაროს და შინაგანი სამყაროც მზად უნდა იყოს, რომ შეიცნოს, თუ საიდან მოდის ეს ნათელი, და მიიღოს იგი... მაშასადამე, სარწმუნოების ნათელს გულმა და გონებამ თავისი ნათელი უნდა დაახვედროს; ამ ორი ნათელის შერწყმით სულიერად ამაღლდება ადამიანი, და ამ გზით იგი ღვთისაგან ბოძებული მაღალი გონებით იხილავს ღმერთს: „ნეტარ იყვნენ

წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მათ. 5, 8).

ამ უნათლეს დღეს ჩვენ ვულოცავთ ჩვენს სამწყსოს შობას უფლისას და ვუსურვებთ, რომ ისე ამაღლებულიყოს ქრისტეს მოყვარულ ჩვენს მშრომელ ხალხში ცოდნა და მასთან სარწმუნოება, რომ ერის სულიერ თვალს ჭეშმარიტად დაენახოს და გაეგოს, თუ რა დიდია ბეთლემი, გოლგოთა და ამაღლების მთა...

ადამიანის, ოჯახის, საზოგადოებისა და დღევანდელი კაცობრიობის ცხოვრებას მრავალგვარი თავისებურება ახასიათებს; ერთ-ერთი იმათგან არის ის, რომ მეცნიერება და ხელოვნება კაცობრიობის არსებობის მუდამ განუყოფელი ნაწილი იყო. მაგრამ დღევანდელმა ცივილიზებულმა ინდუსტრიულმა გონებამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ბეთლემის გამოქვაბულში შობილმა ჭეშმარიტებამ, ხორცშესხმულმა ღმერთმა ჩვენმა, იესო ქრისტემ, პირველმა მოჰფინა ნათელი მეცნიერების წინსვლას, ხოლო ხელოვნების ისტორია ქვეყნის შექმნის დღიდან იწყება და პირველი მიუწვდომელი ხელოვანი ღმერთია თავად... თავი და თავი ის არის, რომ მეცნიერება და ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს იმ ღვთიურ მადლსა და სიკეთეს, რომელიც ნერგავს ხალხთა შორის პროგრესს, სიხარულს, რწმენას, სიყვარულსა და ურღვევ მეგობრობას.

ყოველმა მეცნიერმა უნდა იცოდეს, რა შედეგი მოჰყვება მის მეცნიერულ კვლევა-ძიებებს, რას მოუტანს მისი ნაღვაწი ხალხს: სიკეთეს თუ დაღუპვას. ა. აინშტაინი ამის შესახებ წერდა: „როდესაც მე თავი მეცნიერებას მივუძღვენი, ვხელმძღვანელობდი არა ისეთი გარეგნული მოტივებით, როგორიცაა ფულის მოპოვება ან საკუთარი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება, და არც იმით (უკიდურეს შემთხვევაში, არა მხოლოდ იმით), რასაც ხშირად სპორტად თვლიან ან ტვინის ვარჯიშად, რაც დიდ სიამოვნებას მიანიჭებს ადამიანს. არამედ, როგორც მეცნიერებისაკენ მიდრეკილისათვის, ჩემთვის

ძირითადს ერთი საკითხი წარმოადგენს: რა სურს, ან რა მიზანს ისახავს ის მეცნიერება, რომელსაც მე თავი მივუძღვენი? რამდენადაა მისი ძირითადი შედეგები დაკავშირებული ჭეშმარიტებასთან“ (ტ. IV, 27-28). ხელოვნება კი, ღვთისაგან მონიჭებული ის სიკეთეა, რომელიც მთლიანად ეხება ადამიანთა არა ხორციელ ბუნებას, არამედ მის სულიერ სამყაროს. რამდენადაც მეტად მაღლდება ჩვენი სულიერი სამყარო, იმდენად მეტად ვუახლოვდებით ოცი საუკუნის წინანდელ ბეთლემს და ვმაღლდებით იმისაკენ, ვინც წარმოუდგენლად მაღლა დგას მეცნიერებასა და ხელოვნებაზე.

ჩვენ ვულოცავთ ჩვენს სიცოცხლისუნარიან ერს შობას უფ-ლისას და ვუსურვებთ ბრწყინვალე გზით მიმავალ მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებსა და ხელოვნების სიყვარულით შთაგონებულ შემოქმედებს, რომ ქრისტეს ნათელი და ჭეშმარიტება გაძღოლოდეთ მათ თავიანთი დიდი მოღვაწეობის სახელოვან გზაზე, ჩვენი სამშობ-ლოსა და მისი შვილების საკეთილდღეოდ.

არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ ჩვენმა კაცთმოყვარე ერმა მძიმე ტანჯვა გამოიარა... როგორც კუნძულს მღვრიე ტალღები დიდი მდინარისა, ისე ირგვლივ მუდმივად გვადგა ურიცხვი მტერი... ჩვენი წალეკვა უნდოდა სიბნელისა და ურწმუნოების მძვინვარე ტალღებს... ჩვენი ერი ზღაპრული ძალითა და ენერგიით ებრძოდა მუდამ მტერთა ურდოებს... პირველ ყოვლისა, ჩვენს ხალხს სწყუროდა არა მხოლოდ თავის გადარჩენა, არამედ გადარჩენა იმ დიდი მადლისა, რომელიც ქრისტეს წმიდა კვართს, მოციქულთა აქ მობრძანებას და ღვთისმ-შობლის მიერ ქალწული ნინოსთვის ბოძებულ ვაზის ჯვარს შემოჰყვა ჩვენში. ჩვენმა ეროვნულმა სულმა ქრისტიანობის მიღების შემდეგ ისე შეიყვარა მხოლოდშობილი ძე ღვთისა, რომ დაუნანებლად ვსწირავდით თავს ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის გადასარჩენად... და ჩვენ შევინარჩუნეთ ქრისტიანობა საქართველოში, და მისი მა-

დლით შევინარჩუნეთ თვითმყოფადობა და ეროვნულობა.

ცნობილია, რომ ყველა ხალხი, რომელმაც კი ქრისტიანობა მიიღო და შეიყვარა, სულიერი კულტურის აყვავების გზას დაადგა. ქართველ ხალხს კი ქრისტიანულმა მადლმა გაცილებით მეტი მოუტანა, ვიდრე სულიერი კულტურის აყვავებაა. ქრისტიანობის გარეშე ჩვენ, როგორც თვითმყოფადი ერი, ვერ ვიარსებებდით, მოვკვდებოდით... უფრო სწორად, დაახრჩობდა მღვრიე ტალღები ჩვენს ლამაზ კუნძულს... მოგვსპობდა ის გარემოცვა, ის ურჩხული, სისხლით დამთვრალი, ვერ აიტანდა ჩვენს სულსა და ქრისტიანობას... მაშასადამე, ქრისტიანობამ გადაგვარჩინა, შეგვინარჩუნა ეროვნულობა და თავისუფლება.

ქრისტიანობამ მისცა მის მიმდევარ ყველა ხალხს წინსვლისა და აყვავების დიდი უნარი, არა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი კარგად ჩამოყალიბებულ იდეებსა და იდეალებს წარმოადგენდა, არამედ იმ ღვთიური მადლისა და განგებულების შედეგად, რომელიც ღვთის ნებით უნდა მოჰყოლოდა ქრისტიანობას... და მას მოჰყვა იგი, მოჰყვა ნათელი დიდი „ნათლისაგან ჭეშმარიტისა“.

ქრისტიანული ნათელი ბეთლემში იშვა და ამ ნათელმა ქართველ ერს მისცა ნათლის ისეთი კერები, როგორიც იყო: სინას მთა და წმიდა ათონი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და ბულგარეთის პეტრიწონი, გელათისა და იყალთოს აკადემიები და სხვა.

თუ არა ქრისტიანული მადლით ძალმოსილება, როგორ შეძლებდა ურიცხვ მტერთან ბრძოლით მოღლილი ხალხი, რომ აღეშენებინა ჩვენს მცხეთაში ცას მიბჯენილი სვეტიცხოველი, თბილისისა და ბოლნისის სიონი...

ხმალს არ აგებდა ქარქაშში ქართველი კაცი: ხმალი მზად ჰქონდა მუდამ მებრძოლს და მკლავიც მზად ჰქონდა ბრძოლისა და შრომა-გარჯისათვის... თუ არა ქრისტიანული მადლი, ვინ დაბადებდა

ისეთ გმირებს, როგორებიც იყვნენ: თორნიკე ერისთავი, დავით და კონსტანტინე, შალვა, ბიძინა და ელიზბარი, მღვდელი თევდორე. მაშასადამე, ქრისტიანობამ მოუტანა საქართველოს ბევრი რამ კარგი და სასახელო. ჩვენ ვულოცავთ ჩვენს საყვარელ ერს ამ ბრწყინვალე დღეს ქრისტეს შობისას და ვუსურვებთ, რომ კვლავაც ქრისტიანული გზითა და აზრით ეტარებინოს თავისი მარად აღმავალი სული და მისწრაფება... ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენს ეროვნულ ერთიანობაში, ერისა და ეკლესიის ერთიანობაშია სარწმუნოების, სასოებისა და სიყვარულის წყარო, და მხოლოდ ასეთ ერთიანობას შეუძლია უზრუნველყოს ჩვენი დიდი მომავალი.

ქრისტიანობის მადლით ძალმოსილი შვილები ჩვენი ერისა იღვწოდნენ ჩვენი ენის, ჩვენი მწერლობის, ჩვენი ფილოსოფიური აზროვნებისა და მეცნიერების წინსვლისა და აყვავებისათვის. ჩვენი ერის დიდი შვილები უპირველესად იღვწოდნენ თავიანთი სულიერი ამაღლებისა და განწმენდისათვის, რათა ამის შემდეგ, ქრისტეს მადლით ძალმოსილნი, უდიდეს მეცნიერულ, ფილოსოფიურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას შესდგომოდნენ.

ჩვენი მხნე, სიცოცხლისა და თავისუფლების წყურვილით აღვსილი ხალხი საუკუნეების მანძილზე აყალიბებდა ჩვენს დიდებულ უნიკალურ ენას. ამ ენაზე შეიქმნა უძველესი ჩვენი მწერლობა. ამ ენაზე დაიწერა „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისა“, მთელ მსოფლიოში უსაჩინოესი „ვეფხისტყაოსანი“ და ბევრი სხვა. ამ ენაზე მეტყველებდნენ გელათისა და იყალთოს აკადემიებში. ეს ენა ჟღერდა სინას მთაზე, წმიდა ათონსა და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. ამ ენაზე ქმნიან თავიანთ შრომებს ჩვენი ბრძენი მეცნიერები ჩვენს სახელოვან მეცნიერებათა აკადემიაში და ჩვენს კურთხეულ უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში. ქართველ ხალხს ღრმად აქვს შეგნებული, რომ „რა ენა წარხდეს, ერიც დაეცეს, ჩირქი მოეცხოს ტაძარსა წმიდას“

(გრიგოლ ორბელიანი). ამიტომ უყვართ თავისი ენა საქართველოს გულკეთილ შვილებს.

ჩვენ ვულოცავთ შობას უფლისას ჩვენს ღვთივგანბრძნობილ მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, ხელოვნების სიყვარულით შთაგონებულ შემოქმედებს და ვუსურვებთ, რომ მომავალშიც არ დაეზოგოთ გონიერება და ენერგია ჩვენი ერის სრულყოფისათვის, ჩვენი უძველესი მწერლობისა და ზეგარდმო მადლით ამაღლებული პოეზიის კიდევ მეტად ამაღლებისათვის, მეცნიერების წინსვლისა და ტექნიკური პროგრესისათვის.

ამ დიდებულ დღეს მე არ შემიძლია გვერდი ავუარო და არ შევეხო სამშობლოს სიყვარულის საკითხს: სამშობლო ადამიანის სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია, უსამშობლო ადამიანი სულით ღატაკია და საცოდავი, სამშობლოს სიყვარულით მწიფდება და ყალიბდება ადამიანის სულიერი სამყარო, მისი მისწრაფებანი და ფილოსოფიური შეხედულებანი, მისი გულწრფელობა და სიყვარული სხვა ერებისადმი... ვისაც არ უყვარს თავისი თავი, ის ხომ ვერც სხვას შეიყვარებს... და ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო, ის როგორ იგრძნობს ცარიელ გულში სხვათა სამშობლოს სიყვარულს?! ამიტომ ბრძანა რაფიელ ერისთავმა: „სამშობლო – დედის ძუძუ არ გაიცვლების სხვაზედა“ და „როგორც უფალი, სამშობლოც – ერთია ქვეყანაზედა“.

სამშობლოს გულმხურვალე სიყვარული იმაზე მიუთითებს ადამიანს, რომ რაკი უყვარს თავისი სამშობლო, ის უნდა იდგეს საერთო-საკაცობრიო სიყვარულის სიმაღლეზე; ეს არის ქრისტიანული სიკეთის ნათელი... ეგოიზმის ყოველგვარი გამოვლინება, რა საკითხსა და რა საქმესაც არ უნდა ეხებოდეს ის, უცხო და მიუღებელია ქრისტიანობისათვის. ამიტომ სამშობლოს სიყვარული შოვინისტურ გრძნობათა ნაყოფი კი არ უნდა იყოს, არამედ ნაყოფი იმ მარად

უჭკნობი ხისა, რომელსაც ქრისტიანობა ეწოდება.

ჩვენ ხშირად ვმსჯელობთ ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე. ალბათ უკვე დადგა დრო, როდესაც უნდა შეიცვალოს ჩვენი თვალსაზრისი. დადგა დრო, როდესაც ეკონომიკურ კონცეფციებთან ერთად უნდა ვიფიქროთ ადამიანის სულიერი და კულტურული განვითარების დონეზე. ეკონომიკურ კეთილდღეობას არ მოაქვს ბედნიერება. ნივთები, რომლებიც სულ უფრო და უფრო ავსებენ ჩვენს ყოფას, კარგავენ თავიანთ ღირებულებას. უპრეცედენტო, მატერიალური განვითარება წარმოშობს უპრეცედენტო სიმახინჯეებს, ეგოიზმს, უნიათობასა და სულიერ სიცარიელეს. დღეს, როდესაც ასე თავგამოდებით ვზრუნავთ სხეულზე და ვივიწყებთ სულს, შეძენისა და მოხვეჭის ორომტრიალში გართულთ გვავიწყდება, რომ ამ დროს ერთდროულად ვკარგავთ სულსაც და ხორცსაც.

თესალონიკის მთავარეპისკოპოსი წმიდა გრიგოლ პალამა ამბობს, ადამიანი რეალურად კვდება იმ მომენტში, როცა კარგავს ღვთის მადლს და ეზიარება ცოდვას. სულის სიცოცხლე, – ამბობს იგივე მამა, – შესაძლებელია ღმერთთან კავშირში, ისევე როგორც ჩვენი ხორცის სიცოცხლე შესაძლებელია მხოლოდ სულთან კავშირში.

ქრისტესმიერო ჩემო შვილებო!

საყვარელო ქართველო ხალხო!

წუთი წუთს მისდევს, საათს საათი, დღეებს დღეები ენაცვლებიან, ერთი წლის ნაცვლად მეორე დგება და იფურცლებიან ამდაგვარად უთვალავი საუკუნენი... მარადიულობისათვის, რომლის შვილებიც ჩვენ გახლავართ, ეს ყოველივე არარას ნიშნავს... ჩვენს რთულ ეპოქას, დამძიმებულს ტყვიითა და წამლით, მშვიდობა უნდა და სიყვარული... ჩვენს სამშობლოსაც, საქართველოს, შრომისა და სიყვარულის მარად ერთგულ ხალხს მშვიდობა უნდა.

ჩვენ შევთხოვთ ქრისტეს შობის ცხოველმყოფელ მადლს, რომ

მშვიდობა ყოფილიყოს მთელ ქვეყანაზე. შრომის სუფევა გვირგვინია და უშრეტი წყარო ადამიანთა ამქვეყნიური ბედნიერებისა. ჩვენ შევთხოვთ უფალს, ამ დღეს შობილს, რომ მისი მადლითა და მოწყალებით, შრომისმოყვარე ქართველ ხალხს კვლავაც ჰქონოდეს საშუალება მშვიდობიანი შრომისა და მამულის აყვავებისა.

ჩვენ შევთხოვთ ღვთისმშობელ დედას, რომ მისი წმიდა საფარვლის ქვეშ ყოფილიყოს მარად საქართველო, ქართველი ხალხი და მთელი ქვეყანა.

ეს ნათლით სავსე ქრისტეს შობის დღე გვაძლევს რწმენასა და სასოებას, ჩემო ტკბილო ქართველო ხალხო, რომ ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით, რომ ჩვენ ვიქნებით ერთი სამწყსო და გვეყოლება ერთი მწყემსი – უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

„უფალმან ძალი ერსა თჳსსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თჳსი მშჳდობით“ (ფსალმ. 28, 11).

ქრისტეს შობა
თბილისი, 1981 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1981 წ.

ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავართა – წმიდა სინოდის წევრთა, მოძღვართა, ბერ-მონაზონთა და ყოველთა კურთხეულ შვილთა საქართველოს მართლმადიდებელი, წმიდა და სამოციქულო ეკლესიისათა, მკვიდრთა საქართველოჲსა და მცხოვრებთა მის საზღვრებს გარეთ

„ვიდრე ნათელი გაქუს, გრწმენინ ნათელი, რაჲთა ძე ნათლისა იყვნეთ“ (იოან. 12, 36).

ᲓᲕირფასნო და ღვთივგანბრძნობილნო ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, ბერ-მონაზონნო, კურთხეული ივერიის კურთხეულნო შვილნო, მკვიდრნო საქართველოჲსა და მცხოვრებნო მის საზღვრებს გარეთ!

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს ჩვენ ყველანი ზეცის თანაზიარნი ვხდებით და ადამიანის გული ზემიწიერი სიხარულით ივსება. ამ სიხარულს ღვთიური საწყისი აქვს. ამიტომაცაა, რომ მას ადამიანი ვერ იტევს და სხვას უზიარებს.

პირველი სიტყვა, რომლითაც აღდგომილმა მაცხოვარმა დამაშვრალ კაცობრიობას მიმართა, იყო „გიხაროდენ!“ სწორედ ეს სიხარული სწყურია თანამედროვე ადამიანს. ამიტომაც მე დღეს, ღვთიური მადლით აღვსილი, თქვენც ამ სიხარულს გიზიარებთ.

გიხაროდეთ!

ქრისტე აღდგა!

რა არის მიზეზი ჩვენი დღევანდელი სიხარულისა? მიზეზი ისაა, რომ ჩვენ დღეს ყოველდღიური საზრუნავი დავივიწყეთ, მივუტევეთ ერთმანეთს ყოველგვარი წყენა და ჩვენი შინაგანი ტაძარი იმისათვის განვიწმიდეთ, რომ მასში აღდგომილი უფალი – წყარო სიყვარულისა და სიხარულისა – მივიღოთ. დღეს ქრისტე განსაკუთრებითაა ყოველ ქრისტიანში და ყოველი ქრისტიანი – ქრისტეში, რისი მიზეზიც სიყვარულია. ღვთიური და თქვენი სიყვარულით მადლშემოსილი, გულითადად გილოცავთ მარადიული სიყვარულის დღესასწაულს.

ქრისტე აღდგა!

იმისათვის, რომ ადამიანი სულიერ სიყვარულსა და სიხარულს მუდამ გრძნობდეს, აუცილებელია შინაგანი მშვიდობა, მშვიდობა ღმერთთან, მშვიდობა მოყვასთან, მშვიდობა საკუთარ თავთან.

დღეს კაცობრიობა გიგანტურ ნაბიჯებს დგამს ცივილიზაციის გზაზე. ჩვენ მოწმენი ვართ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა, მაგრამ დავკარგეთ შინაგანი მშვიდობა, ანუ ის აუცილებელი პირობა,

რომელიც მარად საჭირო იყო და იქნება ყოველი ეპოქის ადამიანისათვის. ხოლო როდესაც შინაგანი მშვიდობაა დაკარგული, მაშინ გარეგანი მშვიდობაც და მასთან ერთად სიხარულიც იკარგება.

წმიდა აღდგომის დღეს ჩვენ შინაგანი მშვიდობა მოგვენიჭა. ეს დიდი მადლია, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ.

დღეს მიწყნარდნენ ჩვენი ვნებები და გვესმის მაცხოვრის სიტყვები: „მშვდობასა დაგიტევებ თქუენ, მშვდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ“ (იოან. 14, 27). ამ არამიწიერი მშვიდობით გამთბარი, კვლავ გილოცავთ ზეციური და მიწიერი მშვიდობის დღესასწაულს და ვხმობ:

ქრისტე აღდგა!

აღდგა წყარო ცხოვრებისა და ჭეშმარიტებისა, წყარო სილამაზისა და სიკეთისა.

ჩვენ ხშირად სამყაროს აღვიქვამთ არა ისეთად, როგორიც ის სინამდვილეშია, არამედ როგორც მას ჩვენი გონება წარმოსახავს. ამიტომ მას ყველა სხვადასხვაგვარად, თავისებურად ხედავს; ხშირად ჩვენი შინაგანი სამყაროს ცენტრში ვაყენებთ წარმავალ ღირებულებებს, ეგოისტურ მისწრაფებებს და საერთოდ არ ვუთმობთ ადგილს სულს.

ამქვეყნიური ცხოვრება ძვირფასი ნიჭია, რომელიც ღვთისგან გვაქვს მომადლებული. ჩვენ კი მას ხშირად უაზროდ და უდარდელად ვატარებთ: ვივიწყებთ ამქვეყნიური ცხოვრების ხანმოკლეობას და ხან წარსულზე ვდარდობთ, ხან კი მომავალს შევყურებთ დიდი იმედით, მაშინ როცა აწმყო, ე.ი. ჩვენი ცხოვრება, ამ უნაყოფო დარდსა და ოცნებებში გადის.

ადამიანს განსაცდელი გაცილებით შეუმსუბუქდება, თუ მას მარადიულობის თვალით შეხედავს. თუ მას მხოლოდ მიწიერი ცხო-

ვრება სწამს, მაშინ ამქვეყნიური ავადმყოფობა, ტანჯვა, განშორება და სიკვდილი უაზრობად წარმოუდგება.

სად არის გამოსავალი ამ ჩიხიდან? რა არის ცხოვრების აზრი? – ცისა და მიწის, ღვთისა და ადამიანის კავშირი, ჩვენი მხურვალე და წრფელი რწმენა.

ცდებიან ისინი, რომელთაც მტკიცებანი სჭირდებათ თავიანთი რწმენისათვის. რწმენა თავისუფალი არჩევანია. და იქ, სადაც თუნდაც დაფარული სურვილია სარწმუნოების მტკიცებისა – არ არის რწმენა. ამ შემთხვევაში ჩვენ რწმენისათვის ადგილს აღარ ვტოვებთ, არამედ გვაქვს მხოლოდ ცოდნის სურვილი. რწმენისათვის უარყოფითი პოლემიკა საშიში არ არის, არც მისი გამოცდაა საშიში გონებითა და ცოდნით. მრავალი ასეთი გამოცდა გადაუტანია მას საუკუნეების მანძილზე და ახლაც გადააქვს. მისთვის საშიშია სისუსტე ჩვენი სულისა, ინდიფერენტულობა, უნებისყოფობა. მორწმუნეთა გულგრილობა ბევრად საშინელია, ვიდრე ის ფაქტი, რომ საერთოდ ურწმუნონი არსებობენ.

ყველასი და ყველაფრის შემაკავშირებელი სიყვარულია, რომელიც პავლე მოციქულის სიტყვებით: „სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა შურნ, სიყუარულნი არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხჳნელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა; ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყუარული არასადა დავარდების“ (1 კორ. 13, 4-8).

ეს ჭეშმარიტად სიყვარულის ჰიმნია, რომელიც ყოველი ადამიანის მამოძრავებელი საწყისი უნდა იყოს. სიყვარული აერთიანებს ადამიანს ადამიანთან და ღმერთთან. ასე იქმნება სამი – ღმერთი, შენ და მე. ადამიანები სიყვარულით ერთიანდებიან ერთ მთლიანობაში, ერთ ეკლესიად, ქრისტეს ერთ სხეულად.

განსხვავებული თვისება სიყვარულისა, – ამბობს ღირსი მამა ნილოს სინელი, – ის არის, რომ იგი აერთიანებს ყველას, თვით სულის შინაგან წყობამდე, რის შედეგად ყოველი ადამიანი თავის ტანჯვას სხვას გადასცემს, ხოლო თვითონ სხვათა განსაცდელს იღებს. ე.ი. ყველა ყველასათვის პასუხს აგებს და ყველა ყველასათვის იტანჯება.

როგორც ამბობს წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი: „სიყვარული ღვთისკენ აღმყვანელი გზაა“. ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი კი ასე განგვიმარტავს: „ვისაც არ შეუძლია უყვარდეს ღმერთი, ის ვერ შეძლებს ირწმუნოს იგი“.

ღვთის სიყვარულს, რომელშიც გაერთიანებულია ყოვლისმომცველი სიყვარული მამისა, თავშეწირული სიყვარული ძისა და განმანათლებელი სიყვარული სულისა წმიდისა, კაცობრიობა შვილის სიყვარულით უნდა პასუხობდეს. წმიდა მოციქული იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ მიყვარს ღმერთი და ძმაჲ თჳსი სძულდეს, მტყუარ არს“ (1 იოან. 4, 20).

შესანიშნავია წმიდა ისიდორე პელუსიელის სიტყვები: „თუმცა სიყვარული ღვთისადმი დიდად მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო ძვირფასია შეერთება სიყვარულით მოყვასისადმი. მაგრამ იმისათვის, რომ სხვა შეიყვარო, საჭიროა საკუთარი თავი, ეგოიზმი და სიამაყე დასძლიო“.

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს, როდესაც ჩვენ უხვად ვასაჩუქრებთ ერთმანეთს სიხარულითა და სიყვარულით, მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ქორწინების საიდუმლოების სიდიადე, რომლის მიმართ დამოკიდებულება დღესდღეობით შესუსტებულია.

ქორწინება და შვილიერება ღვთით დადგენილი მისტერიაა. ესაა ახალი ცხოვრება. ქორწინების შემდეგ ადამიანი სრულებით იცვლება, უფრო მეტად ვითარდება მისი პიროვნება, ახლებურად შეიცნობს ცხოვრებას. თითქოსდა ხელახლა დაიბადა მშვენიერ სამყაროში. ქორწინება დაურღვეველია. მაცხოვარი ამბობს: „რო-

მელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნ“ (მარკ. 10, 9). არც დაქორწინებულ მამაკაცს და არც, მით უმეტეს, ქალს, მეუღლეობისას ერთმანეთზე აბსოლუტური უფლება არა აქვთ. ძალდატანება, თუნდაც სიყვარულით გამოწვეული, კლავს თვით სიყვარულს. იბადება კითხვა: საჭიროა თუ არა დამორჩილება იმ ძალდატანებისადმი, რომელშიც ყველაზე უძვირფასესის დაკარგვის საშიშროება იფარება? უბედურ ქორწინებათა უმეტესობა სწორედ იმის შედეგია, რომ ყოველი მხარე თავის საკუთრებად მიიჩნევს მას, ვინც უყვარს. უდიდესი სიბრძნეა ქორწინებისა – მისცე თავისუფლება მას, ვინც გიყვარს. მხოლოდ ქორწინებაშია შესაძლო ადამიანის სრული შეცნობა. დაქორწინებამდე ადამიანი ღრმად ვერ შეიცნობს ცხოვრებას, მას შორიდან უყურებს და მხოლოდ დაქორწინებისას შედის ცხოვრების სიღრმეში მეორე პირის მეშვეობით, რაც მას უფრო მდიდარსა და ბრძენს ხდის.

ეს ორი სისრულე უფრო ღრმავდება ბავშვების დაბადებით. ბავშვში ადამიანი ხედავს თავის სახეს, ჩვევებს, მიდრეკილებებს. როგორც გამოცდილებიდან ვიცით, სრულყოფილი მეუღლენი შობენ სრულყოფილ ყრმას, რომელიც შემდეგ განაგრძობს განვითარებას სრულყოფის კანონით. თუ მეუღლეებს შორის განხეთქილება და წინააღმდეგობაა, მაშინ ბავშვიც, ნაყოფი ამ განხეთქილებისა, მას კიდევ უფრო აღრმავებს. ასეთია გენეტიკის კანონი. ამასთან ერთად ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბავშვში, გარდა მშობელთა მსგავსებისა, არის რაღაც ინდივიდუალური, განუმეორებელი. მას აქვს საკუთარი გზა სულიერი და ფიზიკური განვითარებისა. ბავშვების აღზრდისას უმთავრესია მშობლების მაგალითი, მათი შინაგანი ცხოვრება, სიმართლე და ჭეშმარიტება.

ცნობილმა ფილოსოფოსმა და ღვთისმეტყველმა მამა პავლე ფლორენსკიმ, რომელიც თბილისში აღიზარდა, სამაგისტრო დისერტ-

აციის დაცვისას თქვა: „ჭეშმარიტება თვით ყალიბდება ჭეშმარიტებად. ეს თვითჩამოყალიბებული ჭეშმარიტება გამოიხატება სიტყვით – ერთარსება. ამგვარად, სამების დოგმატი რელიგიისა და ფილოსოფიის საერთო ფუძედ იქცევა“. ერთარსების ფილოსოფიისათვის შეუძლებელია იყოს განხეთქილება სიტყვასა და საქმეს, ლოცვასა და ღმერთს, რწმენასა და ცხოვრებას, რწმენასა და სიყვარულს შორის. ცხოვრება უნდა იყოს ერთარსი რწმენისა, ადამიანი კი – სიყვარულისა. იქ, სადაც შინაგანი და გარეგანი ერთარსად არ არის ქცეული, სადაც არ არის შინაგანი სულიერი ერთობა ადამიანისა ღვთიურ სამყაროსთან, იქ არც სიყვარულია.იქ ყველაფერი გარეგანია, უხეშად მატერიალური, დროებითი. იქ სრული გულგრილობაა.

დრო ჩვენთვის ღვთისაგან მომადლებული ძვირფასი საგანძურია, რომელიც მოგვემადლა არა იმისათვის, რომ ამაოდ განვლიოთ, არამედ სულიერი და ფიზიკური ძალების დაძაბვით სხვისა და ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ.

ძალების მაქსიმუმის დახარჯვისას ჩვენ კი არ ვუძლურდებით, არამედ მის წყალობას ვამრავლებთ.

მარადისობა ყოველდღიურად კარზე გვიკაკუნებს და გვახსენებს, რომ მალე დადგება დრო მასთან შეხვედრისა. ყოველი განვლილი დღე და საათი მარადისობის გამოძახილია. შესანიშნავად ამბობს ამის თაობაზე ნეტარი ავგუსტინე:

„სად არიან დღეს იმ მძლე ტომთა შთამომავალნი, რომელნიც აღავსებდნენ სამყაროს გასულ საუკუნეთა მანძილზე? სად გადაიკარგნენ ისინი, ვინც არსებობდა წარსულში? ისინი მიედინებოდნენ მდინარის მსგავსად და გაუჩინარდნენ მარადისობის შესართავში. ყოველი მზის ჩასვლისას იღუპება ნაწილი კაცობრიობისა; ყოველი ღამე თავისი წყვდიადის საბურველში დედამიწის მრავალ მკვიდრს წარიტაცებს, მაგრამ ადამიანი მთელი თავისი არსებით ისე უზრუნ-

ველად შეზრდია დედამიწას, თითქოს ერთმანეთს არასოდეს გაეყრებიან.

ვაი თქვენდა, ბაბილონო და ტროა! ერთ დროს ძლიერნო და დიდებულნო, თქვენ აღარ ხართ! თქვენს ბედისწერაში ვკითხულობ ხვედრს იმ სახელმწიფოთა, რომელნიც ამჟამად მსოფლიოს ყურადღებას იქცევენ“.

დასასრულ, მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო მას, რომ დღესდღეობით მთელი მსოფლიო ეძიებს სხვადასხვა სარწმუნოების, კულტურისა და იდეოლოგიების მქონე ადამიანთა დაახლოების გზებს. მთელი კაცობრიობა ჩაბმულია სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში. არსებობს ურთიერთდამოკიდებულება ადამიანთა და გარემომცველ გარემოს შორის.

დადგა დრო, როცა ომებს აღარ შეუძლიათ გადაწყვიტონ ის პრობლემები, რომელნიც ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის არსებობს. თუ ყურადღებით დავაკვირდებით მსოფლიოში წარმოქმნილ კონფლიქტებს და მათ შორის არსებულ მიზეზობრივ კავშირებს, შეიძლება დავინახოთ, თუ რა ნათლად გამოხატავენ ისინი იმ ადამიანთა ხასიათის თვისებებს, რომელთა წიაღშიც ან რომელთა ნებითაც ეს ომები აღმოცენდებიან; ეს ვლინდება ნებისმიერი მასშტაბის მოვლენებში – პირადი იქნება ეს თუ – ოჯახური, საზოგადოებრივი – თუ საერთაშორისო. ადამიანი თავისი თავისუფალი ნებისყოფით ირჩევს ორიდან ერთს – სიკეთეს ან ბოროტებას.

დღეს იმდენად გამწვავებულია საერთაშორისო მდგომარეობა, რომ მსოფლიო მშვიდობას ემუქრება. ასეთ ვითარებაში საეკლესიო მოღვაწეებმა და ეკლესიის გარეშე მდგომმა ადამიანებმა თავიანთი შესაძლებლობები მსოფლიო კატასტროფის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის უნდა გააერთიანონ.

ის, რასაც საერთო ძალებით მიაღწიეს ჰელსინკის კონფერენცი-

აზე, მთლიანად უნდა გატარდეს ცხოვრებაში. დღეს ჩვენი წმიდა ეკლესია განსაკუთრებით გულმხურვალედ აღავლენს ლოცვებს ქვეყნის შემოქმედისადმი მშვიდობისა და კაცობრიობის გადასარჩენად.

ამ წმიდათაწმიდა და ნათლითშემოსილ წმიდა პასექის დიდებულ დღესასწაულზე, ჩვენი გონებისა და გულის წინაშე ვლინდება საიდუმლო ძალა ყოვლისმძლეველი ღვთაებრივი სიყვარულისა. დღეს შუქმოსილი სხივები ქრისტეს აღდგომისა ანათებენ მთელ სამყაროს, აღდგომილ რწმენას, სასოებასა და სიყვარულს.

უფალო, ჩვენ გვესმის ხმაᲘ შენი: „ნუ გეშინინ, რამეთუ შენ თანა ვარ. ნუ შესცდები, რამეთუ მე ვარ ღმერთი შენი, რომელმან განგაძლიერე შენ, და შეგეწიე შენ, და მოგიკრძალე შენ მარჯუენითა მართლითა ჩემითა“ (ეს. 41, 10).

„სიმართლე შენი სიმართლე არს უკუნისამდე და შჯული შენი – ჭეშმარიტ“ (ფსალმ. 118, 142).

მადლი, მშვიდობა, სიყვარული და სიხარული უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყოს თქვენ ყოველთა თანა.

ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1981 წ.

საშობაო ეპისტოლე

1982 წ.

ყოველთა ღვთივკურთხეულ შვილთა საქართველოს
მართლმადიდებელი ეკლესიისა, მკვიდრთა საქართველოჲსა
და მცხოვრებთა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ

„იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკუდილადმდე, და მოგცე
შენ გჳრგჳნი იგი ცხორებისაჲ“ (გამოცხ. 2, 10).

ქრისტესმიერ საყვარელნო საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრნო, ყოვლადსამღვდელონო მიტროპოლიტნო, მთავარეპისკოპოსნო და ეპისკოპოსნო, მოძღვარნო და დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ძმანო და დანო, ძენო და ასულნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა!

საშობაო ეპისტოლე მინდა დავიწყო წმიდა პეტრე მოციქულის

სიტყვებით: „ყოველნი ერთ-ზრახვა იყვენით, მოწყალე, ძმათ მოყუარე, შემწყნარებელ, მდაბალ. ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ, ნუცა გინებასა გინებისა წილ, არამედ წინააღმდგომსა აკურთხევდით და უწყოდეთ, რამეთუ ამისთჳს მებრ იჩინენით, რაჲთა კურთხევაჲ დაიმკჳდროთ“ (1 პეტრ. 3, 8-9).

ყოველივე ეს ნაყოფია რწმენისა და სიყვარულისა. ეს ერთადერთი გზაა, რომლისკენაც მოგვიწოდა უფალმა იესო ქრისტემ, რომლის შობას დღეს ჩვენ ზეიმით ვდღესასწაულობთ.

შობა ქრისტესი – ესაა დღესასწაული მშვიდობისა და თავგანწირული სიყვარულისა. ესაა დღესასწაული ღვთისა და ადამიანის ერთიანობისა; ესაა დღესასწაული, როდესაც ადამიანმა ღმერთი არა მარტო სულიერად იხილა, არამედ – ხორციელადაც; როდესაც კაცობრიობის წინაშე გაიხსნა ზემიწიერი ნათელი ღვთიური გონებისა, იმ გონებისა, რომელმაც შექმნა სამყარო თავისი რთული კანონებით.

ბეთლემს დაიწყო გზაჲ იგი სიმართლისაჲ და ეს გზა აუცილებლად უნდა განევლო არა მარტო მაცხოვარს, არამედ ყოველთა, რომელთა ჰრწმენეს იგი.

რთული და ეკლიანია სიმართლის გზა, მაგრამ მადლმოსილია, რადგან ერთადერთია, რომელსაც ადამიანი საუკუნო ცხოვრებაში მიჰყავს. მართალია, არსებობს სხვა გზებიც, მიმზიდველნი თავიანთი მიწიერი სიმშვენიერით, სიმდიდრით, ფუფუნებით, კეთილმოწყობით, მაგრამ ეს გზები საუკუნო ნეტარებას გამორიცხავენ და ადამიანი წარსაწყმედელში მიჰყავთ.

ბეთლემს იშვა იესო ქრისტე. „მის თანა ცხორებაჲ იყო და ცხორებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოან. 1, 4-5).

ეს ღვთიური ნათელია, ნათელი მარადიული სიმართლისა და სიყვარულისა, ჩვენი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი. მთავარია

ადამიანს ჰქონდეს სურვილი ღმერთთან სიახლოვისა, რომელიც წყაროა სიყვარულისა და ჭეშმარიტებისა, რათა ყოველთვის მზად იყოს მასთან შესახვედრად.

ყოველი მორწმუნე თუ არამორწმუნე ადამიანის ცხოვრებაში რამდენჯერმე ხდება შეხვედრა ღმერთთან. უკეთუ მორწმუნე ადამიანი სამუდამოდ უკავშირებს თავის ცხოვრებას ზეციურ ხმას, არამორწმუნეს არაფრად მიაჩნია იგი და ამ ძახილს ეჭვითა და უნდობლობის თვალით უყურებს.

III საუკუნის ფილოსოფოსი პლოტინე ამბობს: „სული ვერასდროს ვერ დაინახავს მშვენიერებას, თუ თვითონ არ გახდება მშვენიერი; და ყოველმა ადამიანმა, რომელსაც სურს მშვენიერისა და ღვთაებრივის ხილვა, უნდა დაიწყოს იმით, რომ იგი თვითონ უნდა გახდეს მშვენიერი და ღვთაებრივი“.

ძალიან ხშირად ადამიანი ვერ ხედავს ღმერთს სხვადასხვა შინაგანი თუ გარეგანი ზღუდეებისა და დაბრკოლებების გამო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც აქვს სწრაფვა უზენაესისაკენ, სულიერობისა და ღვთაებრივისაკენ და ამ სულიერი წყურვილის მოკვლას ხან მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებით, ხან კი სიმდიდრითა და ვნებების დაკმაყოფილებით ცდილობს ან კიდევ მისი ეპოქის რომელიმე სხვა კერპს მიმართავს.

სარწმუნოება და სიყვარული განყენებულ და დახშულ იდეებს კი არ წარმოადგენს, არამედ ეს არის სიცოცხლე მთელი თავისი სისრულით. ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მხარე თავისი მრავალფეროვნებით არის ოჯახი. აქაა ცოლისა და ქმრის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, შვილიერება, აღზრდა და მრავალი სხვა.

ეპისტოლეში განსაკუთრებით მინდა შევეხო ზემოხსენებულ საკითხს, რადგან ქორწინებისა და ოჯახის საკითხი დღეს განსა-

კუთრებით აქტუალურია და ყურადღებით შესწავლას ითხოვს. ამ საკითხზეა დამოკიდებული ჩვენი ერის მომავალი.

ყოველი ერის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია სიცოცხლისუნარიანობა, შობადობა, გამძლეობა. ოჯახს თითოეული ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ოჯახში ვიბადებით, ვიზრდებით. იქ ყალიბდება ჩვენი ზნეობრივი ნორმები.

ცოლქმრული სიყვარული მორალურია, მასზე ღვთის ლოცვა-კურთხევაა, იგი სულიერად ამაღლებს ცოლ-ქმარს, აძლიერებს მათში ურთიერთსწრაფვას. ცოლქმრული სიყვარული მშვენიერია სიჭაბუკის წლებში, მაგრამ არანაკლებ მშვენიერია და საინტერესო ხანდაზმულობაში. ასეთ სიყვარულს ახასიათებს თავგანწირვა. შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი, როდესაც ადამიანები დღეებსა და ღამეებს ატარებენ ავადმყოფი ქმრების, ცოლებისა თუ შვილების სარეცელთან, როცა ისინი ოფლს ღვრიან საყვარელი ადამიანების ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. ამის საუკეთესო მაგალითი ჩვენი მშობლები არიან.

ქრისტიანული ქორწინება გულისხმობს თავგანწირვას, ოჯახისადმი პასუხისმგებლობას, სულიერ და ფიზიკურ სრულყოფას. ამავე დროს ქორწინებით ხდება ადამიანის მთელი ცხოვრების ფერისცვალება. ცნობილი რომაული კანონი ქორწინების შესახებ ამბობს: „ქორწინება არ არის მხოლოდ შეუღლება, არამედ – შეთანხმება“.

ჯერ კიდევ I საუკუნის დასასრულს წმიდა ეგნატე ანტიოქიელი წერდა: „ისინი, რომელნიც ქორწინდებიან ან თხოვდებიან, ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით უნდა შეუღლდნენ, რათა ქორწინება უფლისმიერი იყოს და არა მხოლოდ ხორციელი“ („პოლიკარპესადმი“, 5, 2).

პირველი პირობა ჭეშმარიტად ქრისტიანული შეუღლებისა თავისუფლებაა. ქორწინება, რომელიც ფიზიკური ან მორალური

ძალდატანებით მოხდება, არაკანონიერია.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ქორწინება ღვთისაგან დადგენილი საიდუმლოა. ადამისა და ევას შესახებ ბიბლიაში ვკითხულობთ: „და აკურთხა იგინი ღმერთმან მეტყუელმან: აღორძნდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქუეყანაჲ და ეუფლენით მას“ (დაბ. 1, 28).

უფალმა იესო ქრისტემ თავისი დასწრებით აკურთხა ქორწილი კანას გალილეაში. მოციქული პავლე წერს: „კაცად-კაცადსა თჳსი ცოლი ესჳნ, და თჳთოეულსა თჳსი ქმარი ესჳნ. ცოლსა ქმარი იგი თანანადებსა პატივსა მისცემდინ, ეგრეთცა ცოლი – ქმარსა“ (1 კორ. 7, 2-3).

მრავალი სოციოლოგის აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში ოჯახი ადამიანთა შორის ჭეშმარიტი ურთიერთდამოკიდებულების უჯრედს წარმოადგენს. იგი ადამიანის პიროვნების ზნეობრივი და სულიერი თვითმყოფადობის განვითარების სამყაროა. ოჯახია სწორედ ის ოაზისი, სადაც უნდა აღდგეს პიროვნების ღირსება და მიღწეულ იქნეს ადამიანთა შორის ჰარმონიული ურთიერთობა, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც მთელი ოჯახის, ისე მისი ცალკეული წევრის ინტერესები.

დაქორწინებისას მეუღლეებს უნდა ახსოვდეთ, რომ ქორწინებას პირადი თავისუფლების ზნეობრივი შეზღუდვა მოაქვს, მაგრამ მეუღლეთა ურთიერთსიყვარული და მათი სიყვარული შვილებისადმი ამ მსხვერპლს სრულიად ანაზღაურებს.

ოჯახის დარღვევა, განქორწინება, უპირველეს ყოვლისა, დამღუპველად მოქმედებს ბავშვებზე. ბავშვები ძალზე მტკივნეულად და მძიმედ განიცდიან ოჯახის დარღვევას. ოჯახიდან ერთ-ერთი მშობლის წასვლას ბავშვი პირად ტრაგედიად იღებს, რაც მის ცხოვრებასა და ფსიქიკაზე ღრმა და განუკურნებელ იარას ტოვებს.

ოჯახი ერთიანი ორგანიზმია, რომელსაც ერთი თავი უნდა ჰქონდეს და ეს თავი ქმარი უნდა იყოს.

„თავ დედაკაცისა – ქმარი“ (1 კორ. 11, 3);

„ვითარცა ეკლესიაჲ დამორჩილებულ არს ქრისტესა, ეგრეცა ცოლნი – თჳსთა ქმართა ყოვლითა“ (ეფეს. 5, 24).

„ცოლნი თჳსთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა უფალსა. რამეთუ ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ არს ეკლესიისა“ (ეფეს. 5, 22-23). მაგრამ ამავე დროს ქმარს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. მოციქული პავლე წერს: „ქმართა გიყუარდედ ცოლნი თჳსნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ და თავი თჳსი მისცა მისთჳს“ (ეფეს. 5, 25); „ესრეთ ჯერ-არს ქმართაჲ ცოლთა თჳსთა სიყუარული, ვითარცა ჴორცთა თჳსთაჲ, რამეთუ რომელსა უყუარდეს ცოლი თჳსი, თავი თჳსი უყუარს“ (ეფეს. 5, 28).

კეთილი და ერთგული ცოლი – ეს უდიდესი ბედნიერებაა ადამიანისათვის. ბრძენი სოლომონი ამბობს: „რომელმან პოოს ცოლი კეთილი, უპოვნის მადლი, ხოლო მიუღებიეს სიწყნარე უფლისა მიერ. რომელი განდევნის ცოლსა კეთილსა, განდევნის კეთილთა, ხოლო რომელმან იპყრას მეძავი, უგუნურ და არა წმიდა არს“ (იგავ. 18, 22-23). „დედაკაცი მჴნე ვინ პოოს, უძვირეს არს ქვისა მრავალსასყიდლისათა“ (იგავ. 31, 10). „დედაკაცი გონიერი კურთხეულ არს, ხოლო მოშიშნი უფლისანი, ამას რათა აქებდენ “ (იგავ. 31, 31). „დედათა ბრძენთა აღაშენეს სახლნი, ხოლო უგუნურმან აღმოთხარა ხელითა თჳსითა“ (იგავ. 14, 1).

მეუღლეთა ცხოვრებაში ყველაზე მთავარი პირობა ერთგულებაა. სიძვა ოჯახის სიწმინდეს არღვევს და მძიმე ცოდვაა ღვთის წინაშე. საღმრთო წერილში ამის შესახებ ნათქვამია: „პატიოსან არს ქორწილი ყოვლითავე და საწოლი შეუგინებელ; ხოლო მეძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“ (ებრ. 13, 4).

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია აგრეთვე შვილებსაც. მათი ბედნიერება და კეთილდღეობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ეპყრობიან ისინი მშობლებს. ერთ-ერთი ათი მცნებიდან (რომელიც მოსეს ღმერთმა სინას მთაზე მისცა) პირდაპირ მიუთითებს: „პატივი უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა გამცნო უფალმან ღმერთმან შენმან, რათა კეთილი გეყოს შენ, და დღეგრძელ იყო ქუეყანასა ზედა, რომელ იგი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ“ (რჯლ. 5, 16).

წინასწარმეტყველ მოსეს დროს სასჯელი მკაცრი იყო: „რომელმან სცეს მამასა თვისსა, და დედასა თვისსა, სიკუდილითა მოკუდინ“ (გამ. 21, 17).

მშობლების პატივისცემაზე მოციქული პავლეც მიუთითებს: „შვილნი მორჩილ იყვენით მამა-დედათა თქუენთა უფლისა მიერ, რამეთუ ესე არს სამართალი.

პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რომელ-ესე არს მცნებაჲ პირველი აღთქუმასა შინა, რაჲთა კეთილი გეყოს შენ, და იყო დღეგრძელ ქუეყანასა ზედა“ (ეფეს. 6, 1-3).

ქალი, უპირველეს ყოვლისა, დედაა. დედობის ძირითადი ფუნქციის შესრულება განსაზღვრავს მის საერთო სახეს, მის ღირსებას როგორც ადამიანისას, გამგრძელებელს კაცთა ნათესავისა. ძნელია გაგება ქალისა, რომელიც გაურბის თავის ძირითად მოვალეობას – დედობას. ასეთ ქალს ეუფლება ეგოიზმი, ზედმეტი სიყვარული თავისი თავისა, სწრაფვა დროსტარებისაკენ, მას ეუფლებიან სხვადასხვა სახის ვნებანი და იმ უნაყოფო ხეს ემსგავსება, რომელზეც სახარებაშია საუბარი. დღევანდელ პირობებში ქალების დიდი ნაწილი დგას პრობლემის წინაშე – იმსახუროს და თან შვილებიც აღზარდოს.

შვილის შედეგიანი აღზრდა მხოლოდ იმ ოჯახშია შესაძლებელი, სადაც მას ადამიანის, სამშობლოს, მშობლების, ბუნებისა და

წიგნის, სიკეთისა და სიმართლის სიყვარულს ასწავლიან; ასწავლიან რწმენასა და ლოცვას, სადაც მშობლებს შორის მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა სუფევს, სადაც არა მხოლოდ ბავშვისაგან მოითხოვენ მაღალზნეობრივ თვისებებს, არამედ თვით მშობლებიც მორალური ნორმების დამცველნი არიან.

ქორწინება, რომელშიც ბავშვები არასასურველია, ეგოიზმზე, ვნებებსა და, მაშასადამე, სიყვარულის მდაბალ სახეზეა დამყარებული.

მინდა განსაკუთრებით შევეხო შობადობის რეგულირების საკითხს, რადგან ეს ჩვენი დროის ავადმყოფობად იქცა. ყველა ჩვენგანს უნდა ახსოვდეს, რომ აბორტი უდიდესი ცოდვაა ღვთის წინაშე და დანაშაული ერის წინაშე. ეს არის მკვლელობა ცოცხალი ადამიანისა, საკუთარი ვაჟისა ან ქალისა, რაც ველურ მხეცებსაც კი არ ახასიათებს.

მეექვსე მსოფლიო კრების 77-ე მუხლი პირდაპირ ამბობს, რომ ადამიანი, ჩამდენი ამ მძიმე ცოდვისა, როგორც კაცის მკვლელი, ისე უნდა დაისაჯოს.

თვითონ განსაჯეთ, ჩანასახშივე რომ მოეკლათ და არ დაბადებულიყო შოთა რუსთაველი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, კათოლიკოს-პატრიარქნი: კირიონი, კალისტრატე და სხვანი, რა იქნებოდა ჩვენი ენა, ისტორია, კულტურა და, საერთოდ, სულიერი სახე საქართველოსი. შეიძლება ბავშვს, რომლის მოკვლაც მშობლებმა გადაწყვიტეს, ელოდა მომავალი უდიდესი მეცნიერისა, პოეტისა ან წმინდანისა. შესაძლოა ის ერთ-ერთი იმათგანი ყოფილიყო, ვისაც ჩვენი ერის დიდებასა და სიამაყეს უწოდებენ.

ბავშვები მომავალია ჩვენი ერისა, მატარებელი მისი სულიერი და კულტურული ფასეულობებისა, ერისა, რომელსაც დიდი ქრის-

ტიანული ტრადიციები და ისტორია აქვს. მაგალითისათვის მინდა მოვიტანო სტატისტიკური მონაცემები: შუა აზიის ოთხი რესპუბლიკა, სადაც ცხოვრობს შედარებით ცოტა – 8,4 პროცენტი საბჭოთა კავშირის მოსახლეობისა, მთელ სახელმწიფოს ახალშობილთა ერთ მესამედს აძლევს.

ამასთან, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოს ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უჭირავს.

ეს ფაქტი სამწუხაროა და დასაფიქრებელი, განსაკუთრებით იმათთვის, რომლებიც ამ მძიმე დანაშაულს სჩადიან.

მოგიწოდებთ თქვენ, ჩემო სულიერო შვილებო, ნუ მიმართავთ აბორტს, ნუ ჩაიდენთ ამ საზარელ ცოდვას. გახსოვდეთ, რომ აბორტი არის მკვლელობა უდანაშაულო და უმწეო ვაჟისა თუ ქალისა. არც ერთ მტერს არ ამოუწყვეტია იმდენი ადამიანი, რამდენიც ამ შემზარავი დანაშაულით გაწყვეტილა. ნუ შეგაშინებთ შვილების სიმრავლე, ღმერთი მოგცემთ თქვენ ძალასა და შესაძლებლობას, გაზარდოთ ისინი ჩვენი ერისათვის.

მოგმართავთ თქვენ, დედებო! შვილიერება და ბავშვების აღზრდა უდიდესი ღვაწლია, რომელიც ყველა სხვა სამსახურზე მაღლა დგას. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ერის მომავალი. გვიჩვენეთ მაგალითი რწმენისა და სიყვარულისა, სიყვარულისა ღვთისა და სამშობლოსადმი. გვიჩვენეთ მაგალითი თავგანწირული დედობისა, იყოლიეთ იმდენი შვილი, რამდენსაც გაჩუქებთ ღმერთი. შვილები თქვენი საყრდენნი იქნებიან სიბერეში და იმედი ჩვენი ერისა. ჩვენი ბავშვები უნდა ასახავდნენ თავიანთ თავში ყველაფერს, რაც შეადგენს კულტურულ სიმდიდრეს ჩვენი ერისას. დედის რძესა და ალერსთან ერთად ბავშვებმა უნდა შეისისხლხორცონ ყველაფერი, რაც ახასიათებს ჩვენს ქრისტესმოყვარე ერს: ღრმა რწმენა, მხურვალე სიყვარული ღვთისა და ადამიანისა, ჩვენი სამშობლოსი, პატივისცემა სხვა

ერებისა და მათი კულტურისა, ყველა ის სიკეთე, რითაც ამაყობდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები.

საქართველომ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან შეითვისა მაღალი კულტურის სხვადასხვა ნაკადი. მისთვის ახლო იყო კაცობრიობის სულის ყველაზე მტკივნეული და ამაღლებული პრობლემები: სულის სრულყოფისა და ადამიანის განღმრთობისა სარწმუნოებისა და სიყვარულის საშუალებით, ეკლესიისა და სახელმწიფოს, ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული კულტურების ურთიერთობისა, ფილოსოფიური აზროვნებისა, მწერლობისა და არქიტექტურისა, ფერწერისა და მუსიკისა; ყოველივე ეს მწვავედ იდგა და დღესაც დგას ჩვენი ხალხის წინაშე. რაც ყველაზე მთავარია, საქართველოს ყოველთვის ჰქონდა უდიდესი შინაგანი ძალა თავისი მოწამეების, განმანათლებლების, პოეტების, მხატვრებისა და თავისი უშიშარი და თავისუფლებისმოყვარე ხალხის სახით. ერთ-ერთი მთავარი წყარო, საიდანაც ქართველები იღებდნენ თავიანთ სულიერ ძალებს – ესაა უძველესი და მადლიანი ქართული ენა, რომელზეც საოცრად მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა, ესაა ენა, რომლის შესახებ ღირსმა მამა იოანე-ზოსიმემ თქვა: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

ცხოვრება ბრძოლაა, ბრძოლა მძაფრი და ულმობელი, რომელშიც ადამიანის ხასიათი, მისი შემეცნება, მისი ძალა ყალიბდება. ამ მუდმივმა ბრძოლამ გააძლიერა ჩვენი ხალხი სულიერად და ფიზიკურად. ჩვენ ახლა გვიკვირს, როგორ შეძლო ქართველობამ ამდენი უთანასწორო ბრძოლის გადატანა. ძალა ხალხისა და ეკლესიის ერთიანობაში იყო. მხვნელი, ხელოსანი, მებრძოლი, ბერი, პატრიარქი, მეფე, პოეტი, ყველა ერთი სულით იყო განმსჭვალული – ღრმა რწმენით სიმართლის გამარჯვებისა. ეძებდნენ მარადიულ ჭეშმარიტებას და წუხდნენ, როცა ვერ პოულობდნენ მას. ჩვენი ძალა

ჩვენი სულის სიდიადეშია: ჩვენი მონასტრები, ტაძრები არა მხოლოდ თავიანთ პირდაპირ დანიშნულებას ასრულებდნენ, არამედ აკადემიები, სამეცნიერო და კულტურული ცენტრები იყვნენ. ეს იყო ზეიმი სულისა, ზეიმი მარადიული სიმართლისა. სწორედ ამ სიმართლეს მივყავართ დღეს წინ და გვეძახის არა მარტო ჩვენ, არამედ ყველას: „ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“.* მაგრამ ყველას არ ესმის სიმართლის ძახილი, ხოლო ზოგიერთები უარყოფენ მას. სიმართლე ურჩია, იგი იყო და იქნება, მიუხედავად ჩვენი დამოკიდებულებისა მისადმი. იესო ქრისტე ამბობს: „და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ (იოან. 8, 32).

ამრიგად, ჭეშმარიტების შეცნობის გარეშე არ არსებობს პროგრესი, შეუძლებელია სულიერი აღმავლობა. ქრისტიანული თავისუფლება განუყოფელია ჭეშმარიტებისაგან. ჩვენ სამუდამოდ უნდა შევინარჩუნოთ ერთგულება სიმართლისა და იმ მაღალი იდეალებისა, რომლებისთვისაც მოგვიწოდა ღმერთმა, ერთგულება ხალხისა და სამშობლოსი; მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებს ადამიანი „ცხოვრების გვირგვინს“. „იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკუდილადმდე, და მოგცე შენ გჳრგჳნი იგი ცხორებისაჲ“ (გამოცხ. 2, 10).

როგორც ადამიანის სხეულის ორგანოები ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციას და ერთმანეთს ავსებენ, ასევე სხვადასხვა ღირსების პიროვნებები ურთიერთდახმარებას საჭიროებენ.

ჩვენ გვჭირდება მშვიდობა და სიყვარული. ესაა კაცობრიობის წყურვილი. ჩვენ მოწმენი ვართ მსოფლიოში თერმობირთვული ომის რეალური საშიშროებისა. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ჩვენზე დამოკიდებული ყველა შესაძლებლობა და შევქმნათ პირობები შრომისმოყვარე მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, რათა მსოფლიო კატასტროფა თავიდან ავიცილოთ.

„აღორძნდებოდეთ მადლითა და მეცნიერებითა უფლისა და

* პირველშეწირულის წირვა

მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა“ (2 პეტრ. 3, 18).

ქრისტიანობა რელიგიაა მშვიდობისა, სრულყოფილი სიყვარულისა და მარადიული სიხარულისა. ადამიანისათვის უმაღლესი ბედნიერებაა სხვა ადამიანისთვის სიხარულის მინიჭება.

ჩემო ძვირფასო თანამემამულენო! ყველას გილოცავთ ქრისტეს შობის დღესასწაულს და გისურვებთ, რომ ყოველი ჩვენგანი იყოს ჭეშმარიტი ღვთის მსახური და, აქედან გამომდინარე – მშვიდობის, სიყვარულისა და თავისუფლების თანამოზიარე.

„აზნაურებითა მით, რომლითა ქრისტემან ჩუენ განგუააზნაურნა, მტკიცედ დეგით“ (გალ. 5, 1).

„მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი სულისა თქუენისა თანა, ამინ!“ (ფილიპ. 4, 23).

ქრისტეს შობა
თბილისი, 1982 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1982 წ.

წმიდა სინოდის წევრებს – ყოვლადსამღვდელო მიტროპოლიტთა, მთავარეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა, მოძღვართა და დიაკონთა, პატიოსან ბერ-მონაზონთა და ყოველთა საქართველოს ქრისტეს მიერ საყვარელ საპატრიარქოს შვილთა, მკვიდრთა საქართველოჲსა და მცხოვრებთა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ

„ღმერთი ნათელ არს“ (1 იოან. 1, 5).

ქრისტეს მიერ საყვარელნო წმიდა სინოდის წევრნო – ყოვლადსამღვდელონო მიტროპოლიტნო, მთავარეპისკოპოსნო და ეპისკოპოსნო, მოძღვარნო და დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ძმანო და დანო, ძენო და ასულნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკ-

ლესიისა, მკვიდრნო საქართველოჲსა და მცხოვრებნო ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ.

„ძმანო, გიხაროდენ, განმტკიცენით, ნუგეშინის-ცემულ იქმნენით, ნუგეშინის-სცემდით, მასვე ზრახევდით, მშჳდობასა ჰყოფდით; და ღმერთი სიყუარულისაჲ და მშჳდობისაჲ იყავნ თქუენ თანა“ (2 კორ. 13, 11).

წყალობით ღმრთისაჲთა დადგა ეს კურთხეული დღე ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისა, როდესაც ჩვენი გულები სავსეა სრულყოფილი სიყვარულითა და ზემიწიერი სიხარულით, როდესაც ძლევის გალობას შეჰღაღადებს ცა და ქვეყანა აღდგომილ მაცხოვარს. აღვსილი ღვთაებრივი სიყვარულითა და სიხარულით, გულითადად გილოცავთ ამ უდიდეს დღესასწაულს:

ქრისტე აღდგა!

მარადიული და განუზომელია ეს სიტყვები. ქრისტეს აღდგომა არა მარტო სახარებისეული ისტორიის, არამედ ქრისტიანული ეკლესიის ცხოვრების უდიადესი მოვლენაა, იგი სახეა ჩვენი აღდგომისა, წინაუწყებაა ეკლესიის აღდგომისა, რომელიც ქრისტეს სხეულს წარმოადგენს.

წმიდა ათანასე დიდის მოძღვრებით, „უფალმა ცხოვნების უმთავრეს მიზნად ცნო, გამოეცხადებინა აღდგომა თავისი სხეულისა, რათა ამით ეჩვენებინა ნიშანი სიკვდილზე გამარჯვებისა და დაერწმუნებინა ყოველნი, რომ დახსნილ არს ხრწნილება და მომადლებულ არს უხრწნელობა“ (სწავლანი, წ. 1, გვ. 219).

ადამიანი მოწოდებულია არა მარტო სულიერი ხედვისა და ღვთის შემეცნებისათვის, არამედ – განწმენდისა, ფერისცვალებისა და ღმერთთან შეერთებისათვის. ქრისტიანის მიზანია დაამყაროს

კავშირი ღმერთთან წმიდა შვიდი საიდუმლოს და განუწყვეტელი ლოცვის მეშვეობით. აქ ღვთის ნებას ადამიანის ნება უნდა შეერწყას. ამ კავშირშია არსი სიწმიდისა და სიყვარულისა.

წმიდა მამები გვასწავლიან, რომ თუ ადამიანის ნება ემორჩილება ღვთის ნებას, მაშინ მისი სიცოცხლე ღვთიურია. მაგრამ როგორ მივაღწიოთ ამგვარ კავშირს ღმერთთან? ეს შესაძლებელია მხოლოდ ეკლესიაში. ყველანი, ვინც არიან წევრნი ეკლესიისა, ატარებენ რჩეულთა ბეჭედს არა იმიტომ, რომ მხოლოდ მათ დაიმკვიდრონ საუკუნო ნეტარება, არამედ რათა შეცვალონ და გააერთიანონ მთელი კაცობრიობა, დაყოფილი ცოდვითა და ეგოიზმით.

ქრისტიანები უნდა გაერთიანდნენ არა გარეგანი ნიშნებით, არამედ შინაგანი არსებით, როგორც გაერთიანებულია სამპიროვანი წმიდა სამება ერთარსებად, და ქრისტიანთა ეს გაერთიანება ერთ აზრსა და ერთსულოვნებაში უნდა ვლინდებოდეს.

ეკლესიის ცხოვრებაში, როგორც საიდუმლოში, არის ორი მხარე: გარეგნული მხარე, რომელიც მოიცავს ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებას, დაფუძნებულს ქრისტიანულ რწმენასა და სიყვარულზე; და მეორე მხარე – მისტიკური, რომელიც იწყება აქ, დედამიწაზე და ზეციური სასუფევლის მარადიულობაში გრძელდება.

ვინ შეიძლება ეკუთვნოდეს ქრისტეს ეკლესიას?! ის, ვისაც სწორად სწამს და აღიარებს წმიდა სამებას, ვინც მიიღო საიდუმლო ნათლისღებისა, ვინც შეერთებულია ღმერთთან და მოყვასთან სიყვარულით, ემორჩილება და აღიარებს სჯულის კანონებს, ვინც ეზიარება ტაძარში შესრულებულ წმიდა საიდუმლოებებს, რომელნიც სამღვდელოების მიერ წმიდა მოციქულთაგან მიღებული მადლით აღესრულება.

ადამიანი ეკლესიაში უნდა გახდეს არა მხოლოდ სულიერი, არამედ ვალდებულია იყოს წმიდა, რათა დაიმკვიდროს სასუფეველი

ღვთისა. „წმიდაა წმიდათა“, – ხმობს მღვდელი საღმრთო ლიტურგიის დასასრულს, როცა აღამაღლებს წმიდა ტარიგს, განწესებულს წმიდა ზიარებისათვის. ამ ორ სიტყვაში ღრმა აზრია: ქრისტეს წმიდა ხორცი განკუთვნილია მხოლოდ წმიდათათვის, ე.ი. მათთვის, ვინც სინანულისა და აღსარების საიდუმლოს წყალობით თავისი შინაგანი სამყაროს განწმენდით წმიდა გახდა.

თავი ეკლესიისა არის უფალი იესო ქრისტე, სული ეკლესიისა – სული წმიდა, წევრნი ეკლესიისა ვართ ჩვენ, რომელთაც გვწამს წმიდა სამება, ვართ ნათელღებულნი და ზიარნი ყოველთა საიდუმლოთა. ეკლესიის საშუალებით იღებს მორწმუნე მრევლი ღვთის მადლსა და ნიჭთა სულისა წმიდისათა.

მაშასადამე, რა არის ეკლესია? ეკლესია წარმოდგება ბერძნული ზმნისაგან „ეკკლეო“, რაც ნიშნავს ვუხმობ, მოვუწოდებ, ვეძახი შეკრებაზე, კრებაზე. ამრიგად, ეკლესია არის იმ ადამიანთა კრებული, რომელნიც ღმერთმა ამოირჩია და თავისთან მოიხმო.

მთავარი არსი ეკლესიისა არის ის, რომ მორწმუნე, მისი წევრი, განუწყვეტელ კავშირშია მამა ღმერთთან, ძე ღმერთსა და წმიდა სულთან. ეკლესიაში ხდება საიდუმლო შეხვედრა ადამიანისა ღმერთთან (იოან. 17, 21-26).

ეკლესიის ყოველი წევრი ქრისტესია – ქრისტიანია. ადამიანი, რომელიც თავის თავს თვლის მორწმუნედ და არ არის ეკლესიის წევრი, არ არის ნაწილი ერთისა ვაზისა, არ არის შეზრდილი ქრისტეს, არ იმყოფება მასში, არ ასრულებს მის მცნებებს, არ აღმართულა ცოცხალ ქვად ეკლესიის შენობაში – ასეთი ადამიანი მარტო იმყოფება აღელვებულ ზღვაში, რომელიც აუცილებლად შთანთქავს მას.

რა ახასიათებს ქრისტეს ეკლესიას? ეკლესია ერთიანია, წმიდაა, კათოლიკე და სამოციქულოა. იგი დაარსდა სულთმოფენობის დღეს. ქრისტეს ეკლესიის პირველნი წევრნი მუდამ იმყოფებოდნენ „მოძღურებასა მას მოციქულთასა და ზიარებასა, და განტეხასა პური-

სასა და ლოცვასა... აქებდეს ღმერთსა... ხოლო უფალი შესძინებდა ცხოვნებულთა დღითი-დღედ ეკლესიასა“ (საქმე. 2, 42, 47). ეკლესიაში არ არის გაყოფა, მისი წევრები არ არიან ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი დამოუკიდებელი ჯგუფები, მათ აქვთ ერთი გული, ერთსულ არიან, მათ ხელმძღვანელობს ერთი და იგივე სული წმიდა, ისინი შეადგენენ ერთ მთლიანობას – ქრისტეს სხეულს. მხოლოდ ეკლესიაში და ეკლესიის ლოცვით შეიძლება გახდეს ადამიანი ტაძარი სულისა წმიდისა.

ეკლესია სულია ერისა.

ეკლესიაში ყველაფერი ერთიანი უნდა იყოს: ერთი თავი – უფალი იესო ქრისტე, ერთი სული ღვთისა, რომელი ყოველთა აღავსებს, ერთი მოძღვრება რწმენისა და ცხოვრებისა, ერთნი მაცხოვნებელნი საიდუმლონი, რაც ყველასათვის აუცილებელია.

ეკლესია ერთია, მაგრამ დაყოფილია ადგილობრივ და ეროვნულ ეკლესიებად, რომელნიც არიან წევრნი ერთი წმიდა მსოფლიო სამოციქულო ეკლესიისა. მასში შედიან: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის და სხვ. ეკლესიები. წმიდა კვიპრიანე ამის შესახებ შესანიშნავად ამბობს: „მზე გამოჰყოფს უამრავ სხივს, მაგრამ ნათელი ერთია; ხეს გააჩნია ტოტები, მაგრამ იგი ერთია; ნაკადულნი ერთი სათავიდან გამოედინებიან..., განაცალკევე მზის სხივი მზისგან – ერთიანობა არ დაუშვებს სინათლის ცალკე არსებობას; ჩამოაჭერი ხეს ტოტი – ჩამონაჭერი დაკარგავს სიცოცხლეს; გათიშე ნაკადული სათავისაგან – ნაკადული დაშრება. მსგავსად ამისა, უფლის ნათლით გაცისკროვნებული ეკლესია მსოფლიოს ჰფენს თავის სხივებსა და ამავე დროს ის მაინც ერთია, არ ირღვევა მთლიანობა მისი სხეულისა, მთელ ქვეყანაზე გადაშლილი აქვს თავისი ნაყოფიერი ტოტები“.

ეკლესიის ერთიანობასთან ორგანულადაა დაკავშირებული

ეკლესიის სიწმიდე. როგორც ცნობილია, ცოდვა არის მიზეზი დაყოფისა. ცოდვის დათრგუნვა, უპირველეს ყოვლისა, თავად ადამიანს ამთლიანებს, მას ღმერთსა და მოყვასთან აკავშირებს.

სიწმიდე ეკლესიისა თვითმყოფადი და ურყევია.

თუკი ეკლესია ღვთის სხეულია, განა შეიძლება ქრისტეს სხეული არ იყოს წმიდა? ეკლესიის სიწმიდე ქრისტეს სხეულის სიწმიდიდან გამომდინარეობს, ამიტომ ეკლესია უძლეველია: „ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათ. 16, 18).

ეკლესიის ყოველი წევრი, მიუხედავად თავისი ნაკლოვანებებისა, თუ მისი ცხოვრება ღვთისათვის სათნოა, სულიწმიდის მადლით იმოსება. ეკლესიაში სულიწმიდის მადლის ზემოქმედებით ხდება ადამიანის განწმენდა ცოდვებისაგან და მისი სულიერი განათლება, მადლი ღვთისა გარდაქმნის ადამიანს, რის შედეგად ცოდვილი პოვებს განმართლებას და ხდება წმინდა.

წმიდა ირინეოს ლიონელი (II ს.) შემდეგნაირად აღწერს ეკლესიის მთლიანობას: „ეკლესიამ, თუმცა იგი განფენილია ქვეყნის კიდიდან კიდემდე, მიიღო მოციქულთაგან და მათი მოწაფეებისაგან რწმენა... ამ ქადაგებასა და რწმენას ეკლესია მტკიცედ ინახავს, როგორც ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ოჯახი, და სწამს, როგორც მქონეს ერთისა სულისა და ერთისა გულისა; თანახმად ამისა, ქადაგებს და ასწავლის... თუმცა ერები მსოფლიოში სხვადასხვაა, მათი გადმოცემის ძალა ერთი და იგივეა. არც ეკლესიებს, დაფუძნებულთ გერმანულ ქვეყნებში, არც ივერიის ეკლესიებს, არც კელტებს, არც აღმოსავლეთში, არც ეგვიპტეში, არც ლიბიაში... განსხვავებულად არა სწამთ; როგორც მზე, ქმნილება ღვთისა, ქვეყანაზე ერთი და იგივეა, ასევე ქადაგება ჭეშმარიტებისა ყველგან ანათებს და განანათლებს ყოველთა კაცთა, რომელთაც სურთ შეცნობა ჭეშმრიტებისა“ (წმიდა ირინეოს ლიონელი. ერეტიკოსთა წინააღმდეგ, 1, 10, 1-2).

ჩვენთვის მით უფრო ძვირფასია ეკლესიის ამ დიდი მასწავლებლის სიტყვები, რამდენადაც იგი მაგალითისათვის ასახელებს ივერიის ეკლესიებს, როგორც შემნარჩუნებელთ მოციქულთა რწმენისა და ჭეშმარიტებისა ჯერ კიდევ II საუკუნეში. აქედან ჩანს, რომ კაპადოკიიდან წმიდა ნინოს მოსვლამდე ივერიის ეკლესია უკვე არსებობდა და მოციქულთა რწმენის დამცველი იყო.

ქრისტეს ეკლესიის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა სამღვდელოების ერთიანობა. წმიდა კვიპრიანე კართაგენელი ამბობს: „მსოფლიო ეკლესია ერთია, განუშორებელი და განუყოფელია. ამიტომ უნდა გაერთიანდეს ყველა მღვდელმთავარი ერთ მთლიანობაში“. სხვაგან იგივე წმიდა მამა წერს: „ეს მთლიანობა მტკიცედ უნდა დავიცვათ ჩვენ, ეკლესიის თავში მდგომმა ეპისკოპოსებმა, რათა ვაჩვენოთ, რომ თვით ეპისკოპოსები ერთნი და განუყოფელნი არიან“.

წმიდა იოანე ოქროპირი, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი, რომელიც ცხოვრობდა IV ს-ში და საქართველოში აღასრულა თავისი ამქვეყნიური ცხოვრება, შესანიშნავად წერს ქრისტიანთათვის ეკლესიის აუცილებლობაზე: „შეუძლებელია ზღვის გადაცურვა გემის გარეშე. ქრისტეს წმიდა ეკლესია დედამიწაზე იგივეა, რაც გემი ზღვაში. ამ სულიერი გემის ბატონ-პატრონი თვით ყოვლისშემძლე მამა ღმერთია, საჭეთმპყრობელი – მხოლოდშობილი ძე მისი, წამყვანი ქარი – სული წმიდა, მმართველნი გემისა არიან მოციქულნი და მათი მემკვიდრენი, – მოძღვარნი და მასწავლებელნი ეკლესიისანი, მგზავრნი – მართლმორწმუნე ქრისტიანენი, ძირი და საფუძველია მართალი რწმენა წმიდისა სამებისა, კედლები, წინა ნაწილი და გემის საჭე წარმოდგენილია როგორც სარწმუნოების დოგმატები, ღვთის მცნებები, გადმოცემანი ეკლესიათა, კანონნი მოციქულთა და მსოფლიო კრებათა“.

ჩვენ ხშირად ვსვამთ კითხვას: რა გააკეთა წარსულში ეკლესიამ

ჩვენი ხალხისათვის, ასრულებს თუ არა დღეს იგი თავის მაცხოვნებელ მისიას, როგორია ეკლესიის როლი მომავალში?! თუ ჩვენ რეალურად არ განვიხილავთ ეკლესიის მნიშვნელობას წარსულში, ვერ შევძლებთ ნათლად დავინახოთ მისი აწმყო და მომავალი.

რა მოგვცა ეკლესიამ წარსულში? ბევრი რამ, რითაც ამაყობს ჩვენი ერი ხელოვნების, ლიტერატურის, არქიტექტურისა და სხვა სფეროში, ქრისტიანული სულიერებისა და ცივილიზაციის საფუძველზე შეიქმნა. ჩვენი ეკლესია დაარსდა მაშინ, როდესაც რომის იმპერიაში ვარსკვლავებრ ამობრწყინდა ათეულათასობით მოწამე, როდესაც ეგვიპტისა და იორდანეს უდაბნოებში მოღვაწეობდნენ ღირსი მამები, რომელთა მარხვისა და ლოცვის ღვაწლი ყოველთვის განაცვიფრებს ყველა ჭეშმარიტად მოაზროვნე ადამიანს. ჩვენი ეკლესია აღმოცენდა იმ დროს, როდესაც მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა ღრმა ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა: წმიდა იუსტინე ფილოსოფოსის, კლიმენტი ალექსანდრიელის, წმიდათა ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, იოანე ოქროპირისა და სხვათა შრომები.

ჩვენმა ხალხმა შეითვისა და შეისისხლხორცა მთელი ეს სულიერი ნექტარი; ეს სხივები გარდატყდა ჩვენი ცნობიერების პრიზმაში და ჩვენმა ხალხმა სრულიად ახალი შედევრები შექმნა სულიერი საგანძურისა. რა იქნებოდა საქართველო წმიდა ნინოს, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველის, დავითისა და კონსტანტინეს, კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის, ეფრემ ფილოსოფოსის, პეტრე იბერის, იოანე პეტრიწისა და მრავალთა სხვათა ღვაწლის გარეშე? ვის ეცოდინებოდა დღეს საქართველოს შესახებ, რომ არ გვყოლოდა ბექა ოპიზარი, ბერი დამიანე? წარმოუდგენელია საქართველო მსოფლიოში ცნობილი ტიხრულ-მინანქრული ხატების, სვეტიცხოვლის, ჯვარის, ბოლნისის სიონის გარეშე. ასეთი მაგალითების მოყვანა ათასობით შეიძლება. მთელი ეს საუნჯე ჩვენმა

ხალხმა ქრისტიანობისა და საქართველოს ეკლესიის მაცხოვნებელ სხივთა გავლენით შექმნა.

დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საუკუნეში, ეკლესია ასრულებს უდიდეს მისიას, აღსავსეა ღვთაებრივი ენერგიით და, აქედან გამომდინარე – მადლმოსილი ნიჭით, აქტიურად მონაწილეობს ერის ცხოვრებაში, იღვწის მშვიდობის დაცვის დიადი საქმისათვის, ურთიერთგაგებისა და სამართლიანობის დამყარებისათვის.

ეკლესიის ვალია ერის გაერთიანება.

საქართველოს ეკლესიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ჩვენი ერის სულიერი კეთილდღეობისათვის.

ჩვენ დიდად გვახარებს ის პოზიტიური ძვრები, რომლებიც მიმდინარეობს უკანასკნელ წლებში საქართველოს რესპუბლიკაში. ეს წინსვლა ყველაფერში ჩანს: მართლწესრიგში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ქალაქსა თუ სოფელში. ჩვენ გვაღელვებს არა მარტო შინაგანი პრობლემები, არამედ ყველას, ვინც არ არის გულგრილი თავისი სამშობლოსადმი, აფიქრებს იმ თანამემამულეთა – ძმათა და დათა ბედი, ქრისტიანია ის თუ მუსულმანი, რომელნიც აღმოჩნდნენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ.

განსაკუთრებული სიყვარულითა და მხურვალე გრძნობით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძმებო, მცხოვრებნო სამშობლოს საზღვრებს გარეთ, მოგმართავთ თქვენ, მუსულმანებო და ქრისტიანებო, ჩვენ სისხლით და ხორცით ერთნი ვართ, მიუხედავად განსხვავებული რელიგიური შეხედულებებისა. გახსოვდეთ, რომ თქვენი წინაპრები განისვენებენ საქართველოს წმიდა მიწაში, ნუ დაივიწყებთ ვინ ხართ, სადაურნი ხართ, გახსოვდეთ ღვთისაგან დალოცვილი ქართული ენა და საუკუნეთა მანძილზე ნაკურთხი ქართული ტრადიციები; გახსოვდეთ, სიძულვილისა და სულიერი გაყოფის დაძლევა შეიძლება

მხოლოდ სიყვარულით, რომლითაც ასე უხვად დაგვაჯილდოვა უზენაესმა. ჩვენ მარად გვახსოვხართ და დღემუდამ ვლოცულობთ თქვენთვის, ჩვენი ერის შეერთებისათვის.

ამ დიდებულსა და ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელ დღეს ქრისტეს აღდგომისა, ჩვენ უნდა შევხვდეთ განწმენდილნი, განვაახლოთ ჩვენი სულიერნი სწრაფვანი და ქრისტიანული შემეცნების სიღრმეში მივეახლოთ ჭეშმრიტებისა და ცხოვრების გზას - უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს. ამასთან ერთად, საჭიროა გავიაზროთ მოყვასის გასაჭირი და შემწეობა აღმოვუჩინოთ მას.

ჩვენ ღრმა აღშფოთებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ თანდათან მატულობს მასობრივად მომსპობი იარაღის რაოდენობა და მასთან ერთად მისი გამანადგურებელი ძალა. ჩვენი ეკლესია დარწმუნებულია, რომ ყველა რელიგიის წარმომადგენელთა მსოფლიო კონფერენცია, რომელიც ა.წ. 10-14 მაისს მოსკოვში შედგება, იქნება მეტად დროული და ამავე დროს აქტუალური. ჩვენი ეკლესია მიიღებს აქტიურ მონაწილეობას ამ საერთაშორისო ფორუმში.

დღეს ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა და მათთვის, ვინც იღვწის მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ვინც შრომობს პროგრესისა და სამართლიანობისათვის.

ქრისტეს აღდგომის ცხოველმყოფელი სხივი აღწევს ადამიანთა გულებში და ავსებს ქვეყანას სიყვარულითა და სიხარულით. აღსავსე ამ გამოუთქმელი სიყვარულით, გულითადად ვულოცავ მთელ ღვთივკურთხეულსა და ღვთივდაცულ ჩვენს სამწყსოს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას. დაე, აღდგომილმა მაცხოვარმა ღირს გვყოს შესვლად აღდგომის სიხარულსა და მიღებად გულთა შინა ჩვენთა მცნებათა სახარებისათა. უფალი მოვალს შენდა, ნუ იქმნები ყრუ და მუნჯ, განუხვენ მას კარნი გულისა შენისანი და შემოვალს იგი და დაადგრება შენ თანა.

აღვავლენ ლოცვებს, რომ ყოველი ჩვენგანი გახდეს ღირსი ღმერთთან ამ საიდუმლო შეხვედრისა. ვუსურვებ ყველას საუკუნო სიხარულს, ღმერთმა აკურთხოს მთელი ქვეყანა და მოანიჭოს კაცობრიობას კეთილდღეობითი და მშვიდობითი ცხოვრება.

აღსრულდა! ბრძანებს უფალი: „ვიქმენ მე ანი და Ѳ, დასაბამი და დასასრული. მე წყურიელსა მივსცე წყაროჲსა მისგან წყლისა ცხოველისა უსასყიდლოდ. რომელმან სძლოს, მივსცე მას ესე ყოველი და ვიყო მისა ღმერთ, და იგი იყოს ჩემდა ძე“ (გამოცხ. 21, 6-7).

ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1982 წ.

საშობაო ეპისტოლე

1983 წ.

ყოვლადსამღვდელო მიტროპოლიტებს, მთავარეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთივკურთხეულ სულიერ შვილებს, მცხოვრებთ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ!

„აჰა სამკვდრებელი ღმრთისაჲ კაცთა თანა, და დაიმკვდროს მათ თანა, და იგინი იყვნენ ერ მისა, და იგი ღმერთი თავადი მკვდრ იყოს მათ შორის“ (გამოცხ. 21, 3).

ყოვლადსამღვდელო მწყემსმთავარნო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სათნო სულიერნო შვილნო, მკვიდრნო საქართველოჲსა და მცხოვრებნო მის საზღვრებს გარეთ!

ღვთის დიდი სიყვარულის წყალობით კვლავაც მშვიდობითა

და კეთილდღეობით ვხვდებით უდიდესსა და ღვთივშემოსილ დღესასწაულს – ქრისტეს შობას, ზეიმს, რომელიც მთლიანად მოიცავს ყოველი თაობის ადამიანის გულსა და ცნობიერებას, ზატიკს, რომელიც მეფობს საუკუნეებზე. ეს ის სასიხარულო და ნათელმოსილი დღეა, როდესაც ჩვენ ბეთლემელ მწყემსებსა და აღმოსავლელ მოგვებთან ერთად გონებით მივემგზავრებით იმ გამოქვაბულისაკენ, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება, წიაღსა შინა თვისსა მიეღო ახალშობილი ყრმა, მაცხოვარი ქვეყნისა.

ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე წარმართული სამყაროს საუკეთესო წარმომადგენელნი ცხოვრობდნენ იმედით, რომ ღვთის გზის მაძიებელი ხალხის გულში ჭეშმარიტი სარწმუნოება აღმოცენდებოდა და ხსნას ყოვლისმიმტევებელი ღმერთის სიყვარულის წყალობით მოიპოვებდა. I საუკუნის რომაელი ისტორიკოსების, ტაციტუსისა და სვეტონიუსის მოწმობით, აღმოსავლეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა შორის გავრცელებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ მათ მოევლინებოდა მეფე, რომელიც დაამყარებდა მშვიდობასა და წესრიგს ხალხთა შორის. რომაელი პოეტი ვერგილიუსი ადიდებდა იმ ჩვილს, რომელიც გარდამოხდებოდა ზეცით, მომადლებდა ქვეყანას მშვიდობას და დაუბრუნებდა დედამიწას „ოქროს ხანას“. კაცობრიობა თრთოლვით მოელოდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების აღსრულებას – მოვლინებას ქვეყნის მხსნელისა და ღმრთისა ჩუენისა, იესო ქრისტესი... და ბოლოს, ღმერთი უფალი გამოგვიჩნდა ჩვენ.

ქრისტეს შობის ღამეს ბეთლემის ზეცას მოეფინა ანგელოზთა სადღესასწაულო გალობა: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“ (ლუკ. 2, 14). დღეს ეს დიადი ქებათა ქება კვლავაც ისმის სამყაროში და ქრისტიანთა გულებს ავსებს უსაზღვრო სიხარულით, რომლის არსიც წმიდა მოციქულმა იოანე ღვთისმეტყველმა ასე გამოხატა: „და სიტყუაჲ იგი

ჴორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის... სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“ (იოან. 1, 14).

კავშირი უფალთან და ზიარება ღვთიურ მადლსა და ჭეშმარიტებასთან – აი, ის სიხარული, რასაც ემყარება ჩვენი ბედნიერება და კეთილდღეობა. ღმერთთან მიახლოებით ადამიანში ახლდება ყოველივე ის, რაც ცოდვის გამო მოისპო მასში. ქვეყნად მაცხოვრის მოვლინებით სათავე დაედო კაცობრიობის დაბრუნებას ნათლისა და ჭეშმარიტებისაკენ. „ამისთჳს შობილ ვარ და ამისთჳს მოვივლინე სოფლად, რაჲთა ვწამო ჭეშმარიტი“ (იოან. 18, 37) – ბრძანებს უფალი. აი, ეს მარადიული და მხსნელი ჭეშმარიტება გვიზიდავს ჩვენ.

მაგრამ როგორ მივაღწიოთ ღმერთთან შინაგან, სულიერ ერთიანობას? თითოეული ჩვენგანი გრძნობს ამის საჭიროებას, რადგანაც ადამიანს უკვე აღარ ძალუძს გაუმკლავდეს იმ ტანჯვასა და წინააღმდეგობებს, რომლებიც გამუდმებით წარმოიშობა მის გარშემო. აუცილებელია შემწეობა ყოვლისშემძლე ძალისა, ზეცით გარდამოვლენილისა ჩვენთვის.

ადამიანსა და ღმერთს შორის კავშირისათვის აუცილებელი პირობაა ურყევი რწმენა და თავდადებული სიყვარული. ეს ის მყარი საფუძველია, რომელზეც უნდა ავაშენოთ ჩვენი სულიერი შენობა. წმიდა წინასწარმეტყველმა იოანე ნათლისმცემელმა თავისი ქადაგება შემდეგი სიტყვებით დაიწყო: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ“ (მათ. 3, 2). სინანულისა და შინაგანი სრულყოფის გარეშე შეუძლებელია ღმერთთან მიახლება. ქრისტესთან რომ ვიყოთ და მისი ყოვლისშემძლე შემწეობა ვიგრძნოთ, პირველ რიგში, უნდა განვიწმიდოთ ყოველგვარი სულიერი და ხორციელი ბიწისაგან, ე. ი. უნდა განვთავისუფლდეთ ცოდვებისაგან.

ძალიან ხშირად ჩვენი თავი მიგვაჩნია მართალ, წმინდა ადამიანად, და ამავე დროს არად ვაგდებთ ყოველდღიურ ცოდვებს,

რომლებიც სატანჯველისკენ გვიბიძგებენ. ასე ვფიქრობთ: მე არავინ მომიკლავს, ხოლო პატარ-პატარა ცოდვები კი ყველას აქვსო. საშიშია ამგვარი მსჯელობა. მთა ხომ შედგება როგორც დიდი ქვებისაგან, ისე კენჭებისგანაც. ღვთის წინაშე უმნიშვნელო ცოდვა არ არსებობს, ყოველგვარი გარდახდომა უფლის მცნებისაგან შეურაცხყოფს მის სიდიადეს და გვაშორებს მას. მეფე და წინასწარმეტყველი დავითი, როდესაც ფსალმუნს წერდა, ძრწოლვით უხმობდა უფალს: „უფალო, ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე... არა არს მშვდობაჲ ძუალთა ჩემთა პირისაგან ცოდვათა ჩემთაჲსა; რამეთუ უშჯულოებანი ჩემნი აღმემატნეს თავსა ჩემსა და, ვითარცა ტვრთი მძიმე, დამიმძიმდეს ჩემ ზედა“ (ფსალმ. 37, 2,4,5).

პავლე მოციქული, ეკლესიის ბურჯი, სახარების ქადაგებისათვის ყველაზე მეტად დამაშვრალი, წუხდა, რომ უფლის წინაშე მხოლოდ ცოდვებითა და უძლურებით წარდგებოდა.

სიტყვა „სინანული“ არა მარტო საკუთარი ცოდვების შეგნებას ნიშნავს, არამედ თვითშეგნების გარდაქმნასაც, როდესაც პიროვნება ღმრთისადმი, მოყვასისადმი, თვით თავისი თავისა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ახლებურად გააზრებას იწყებს. ასეთი ადამიანი გრძნობს თავის სისუსტეს და, ამასთან ერთად, ეძებს გზას ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ღირსი მამა ისააკ ასური ამბობს: „ნეტარ არს კაცი, რომელი შეიცნობს უძლურებასა თვისსა, რამეთუ ცოდნა ესე ხდება მისთვის საფუძველი და საწყისი ყოველივე კეთილწარმატებისა“ (ისააკ ასური, 61-ე სიტყვა).

როდესაც სინანულის გზას შეუდგები, ნუ იქნები უგრძნობელი და გულქვა, არამედ სცან დაცემა შენი და იგლოვდე ცოდვათათვის შენთა. წმიდა იოანე ოქროპირი წერს: „სტიროდე არა უბრალოდ, არამედ მწარედ, ვითარცა პეტრე; სულისა შენისა სიღრმეთაგან გადმოღვარე ნაკადულნი ცრემლთანი, რათა უფალმან მოწყალებით

შეგინდოს შეცოდებანი. კაცთმოყვარე ღმერთი შენგან შრომას ითხოვს მცირედს და თვით მოგაგებს დიდებულს, შენგან ელის მიზეზს, რათა დაგაჯილდოვოს ცხონებით. შესწირე მას ცრემლნი შენნი და მან მოგანიჭოს შენდობა“ (თხზ. ტ. II, გვ. 322-323).

ჩვენ ვლაპარაკობთ სინანულზე, აღსარებაზე, მაშინ როცა ადამიანმა ხშირად არც კი იცის, რა უნდა მოინანიოს, რა ითვლება ცოდვად. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ცოდვა ჩვენი თვისებაა. თითქოს იგი ჩვენი ბუნების ნაწილია. ცნობილია, რომ ადამიანი ღვთის მსგავსად არის შექმნილი. ის, რაც არ შეესატყვისება შემოქმედის სახეს, არ არის ჩვენი ბუნებისეული. მაშ, რას წარმოადგენს ცოდვა ღვთისმეტყველთა გაგებით? ცოდვა ბოროტებაა, რომელიც პიროვნებაში მისი ნებით შედის. ბოროტება ანუ ცოდვა ადამიანის ბუნება კი არ არის, მისი მდგომარეობაა. პროკლე დიადოხოსის თქმით: „ბოროტისადმი ჩვენს მიდრეკილებას სძლევს ბუნება სიკეთისა, რადგანაც სიკეთე არსებობს, ბოროტება კი არ არსებობს, უფრო სწორად, ბოროტება არსებობს მაშინ, როდესაც მას გამოავლენენ“ (საღვთისმეტყველო შრომები, 1972 წ., გვ. 69). ცოდვა შედეგია ნების სისუსტისა ან სნეულებისა. იგი ამბოხია ღვთის წინააღმდეგ, რადგანაც ცოდვით ვარღვევთ მის მცნებებს. ამასთან, ის ერთგვარი სენია, რომელიც ცდილობს დამკვიდრდეს ადამიანში და დააავადოს იგი. პიროვნება თავისი სურვილით უთმობს ადგილს ბოროტებას და შეჰყავს ცოდვა თავის სამყაროში, თანხმდება იყოს მისი მორჩილი.

ასე რომ, ცოდვა უცხო, არაბუნებრივი მდგომარეობაა ადამიანისა და მისგან კაცი მხოლოდ სინანულითა და აღსარებით თავისუფლდება. ცოდვა მრავალგვარი არსებობს. ამ ეპისტოლეში მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით, ისეთზე, ხშირად რომ გვხვდება და გვაშორებს ღმერთს.

პირველი და ძნელად გამოსასწორებელი ცოდვა ამპარტავნე-

ბაა. ეს ის პირველი ცოდვაა, ანგელოზი ეშმაკად რომ აქცია. ბიბლიაში ბევრგანაა თქმული ამპარტავნების შესახებ. ბრძენი სოლომონი ამბობს: „მოდის მედიდურობა და მოჰყვება დამცირება“ (იგავ. 11, 2); „დამხობას წინ უძღვის ამპარტავნება, დაცემას – ქედმაღლობა“ (იგავ. 16, 18). იაკობ მოციქულთან ვკითხულობთ: „ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“ (იაკ. 4, 6).

რა არის ამპარტავნება? მას ძალიან სხარტად და ლაკონიურად განმარტავს ღირსი მამა იოანე კიბისაღმწერელი: ამპარტავნება უკიდურესი სიღატაკეა სულისა. ფილოსოფია და მსოფლიო ლიტერატურა მდიდარია მრავალგვარი განსაზღვრებითა და მაგალითით ამ ნაკლისა, მაგრამ დასკვნა საერთოა: ქედმაღლობა მანკიერი გრძნობაა, საძრახისი და ყოვლად დამამცირებელი. იგი გვიჩვენებს, რომ პიროვნება არ იცნობს თავის თავს. ამპარტავანს სხვისი უპირატესობა აღიზიანებს. წმიდა ეფრემ ასურის თქმით, ამპარტავანი ვერ იტანს მასზე უკეთესს, ასეთისა ან შურს, ან ეჯიბრება მას. იგი ვინმეს შექებას საკუთარ დამცირებად და შეურაცხყოფად იღებს.

მეორე ცოდვა, რომელიც ხშირად გვხვდება და რომელიც დაკავშირებულია ქედმაღლობასთან, არის მრისხანება. ეკლესიასტეს წიგნში ვკითხულობთ: „ნუ მოსწრაფე ხარ სულსა შინა თჳსითა გულისწყრომად, რამეთუ გულისწყრომა წიაღთა შინა უგუნურთასა განისუენებს“ (ეკლ. 7, 10). წმიდა პავლე მოციქული გვაფრთხილებს: „ყოველი სიმწარე და რისხვაჲ და გულის წყრომაჲ და ღაღადებაჲ და გმობაჲ მოისპენ თქუენ შორის ყოვლითურთ უკეთურებით“ (ეფეს. 4, 31). უკეთური, მრისხანე ადამიანი პირველ რიგში საკუთარ თავს ვნებს, შემდეგ კი – სხვებს. რისხვა უარყოფითად მოქმედებს გონებაზე, გულზე, ნერვულ სისტემასა და, საერთოდ, მთელ ორგანიზმზე. ღირსი მამა იოანე კასიანე მრისხანებას სასიკვდილო შხამს უწოდებს. მძვინვარე კაცი ვეღარ საზღვრავს; მან შეიძლება შეურაცხყოს სუსტი,

დაამციროს, გაანაწყენოს უძლური, შეიძლება ისეთი საქციელი ჩაიდინოს, სულს მოუშუშებელ ჭრილობად რომ დარჩება სიცოცხლის ბოლომდე. გულისწყრომისა და გულფიცხელობისაგან მორჩილება, სიმშვიდე, სიმდაბლე გვკურნავს. უფალი გვასწავლის: „აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ“ (მათ. 11, 29). გულფიცხელნი და მრისხანენი საბრალონი არიან; განერიდეთ ამ ცოდვას.

მძიმე ცოდვა, ტვირთად რომ გვაწევს ჩვენ, არის შური. იაკობ მოციქული წერს: „სადა არს შური და ჴდომაჲ, მუნ შფოთი და ყოველი ბოროტისა საქმჱ“ (იაკ. 3, 16). ბრძენი სოლომონი ამბობს: „ნუ ისერებ კაცისა თანა მოშურნისა“ (იგავ. 23, 6).

შური სხვა ადამიანის კეთილდღეობით, უპირატესობით ანდა სხვა რაიმე წარმატებით გამოწვეული წყენა და გაღიზიანებაა. იგი ყველას მიერ დაგმობილი, მაგრამ მაინც მრავალთათვის დამახასიათებელი ნაკლია, რომლის დამალვასაც საგულდაგულოდ ცდილობენ. შურმა შეიძლება კაცი ბოროტმოქმედად აქციოს. საოცარია, ეს ცოდვა მატერიალურ სამყაროში უფრო მეტად ვლინდება; იშვიათად თუ ვინმეს შეშურდება ადამიანის სულიერი მიღწევებისა. არ შურთ იმისი, ვისაც უფრო დიდი სარწმუნოება და სიყვარული აქვს, ვინც მეტის მომთმენია, ვინც კეთილთა ნიჭთა მოპოვებას ესწრაფვის. იაკობ მოციქულის ეპისტოლეში ვკითხუ-ლობთ: „ხოლო უკუეთუ შური მწარე გაქუნდეს და ჴდომაჲ გულთა შინა თქუენთა, ნუ იქადით და სტყუით ჭეშმარიტებასა ზედა“ (იაკ. 3, 14). ე. ი. ნუ მოიწონებთ თავს ქრისტიანის სახელით და ნუ იცრუებთ, თითქოს შური იმდენად უბრალო რამ იყოს, რომ იგი ჭეშმარიტებას ზიარებული კაცისთვის დასაშვებად მიიჩნიოთ. მოციქული პავლე კორინთელთა ეკლესიას აფრთხილებდა: „რამეთუ სადაღა თქუენ შორის შური და ჴდომაჲ და განწვალებანი, არა

ჭორციელვეღა ხართა და კაცობრივ იქცევით“ (1 კორ. 3, 3); შურით ანთებული ადამიანი კილავს და აძაგებს ყველას, ვისაც ეჯიბრება: მტერსა თუ მოყვარეს. ხშირად უნიჭოებს დიდი პრეტენზიები აქვთ, საქმით კი არაფერს აკეთებენ და ამ სამწუხარო გრძნობის მორჩილნი პატიოსან და უდანაშაულო ადამიანებს განიკითხავენ.

არ შეიძლება ერთდროულად იყო ქრისტიანი და ამავე დროს შურით შეპყრობილი. სიყვარული და შური ისევე შეუთავსებელია, როგორც ნათელი და ბნელი.

ძმანო და დანო ჩემნო! განარიდეთ გულნი თქვენნი შურსა, ხედვიდეთ რა წარმატებას მოყვასისა თქვენისა, იხარებდეთ მის თანა. დაეხმარეთ ნიჭმიმადლებულს, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი. გახსოვდეთ, ღმერთი თქვენს გულს ხედავს და მოგაგებთ სიმდიდრისაებრ გულისა თქვენისა.

აღნიშნულის გარდა არსებობს სხვა ცოდვებიც: პატივმოყვარეობა, სიზარმაცე, სასოწარკვეთილება, მრუშობა, სიძუნწე, სიძულვილი, ღვარძლი, განკითხვა... ისინი გვაშორებენ ღმერთს და შინაგან ჰარმონიას ურღვევენ ჩვენს სულს. ადვილი არ არის ცოდვებისაგან გათავისუფლება. ეს მით უფრო ძნელია, თუ ისინი უკვე ჩვეულებად ქცეულან. მთავარია, ადამიანს შინაგანად სძულდეს ცოდვა და მის მოკვეთას ცდილობდეს. თუ გაქვს სურვილი გამოსწორებისა, უკვე სწორ გზაზე დგახარ; ამ დროს უნდა იჩქარო ტაძრისაკენ. მიდი მღვდელთან, როგორც სულის მკურნალთან, და გაუმხილე შენი ნაკლოვანებანი. მისი ლოცვითა და კურთხევით თვით ღვთისაგან მიიღებ შენდობას.

მღვდლის წინაშე თქმული აღსარება აუცილებელი პირობაა სინანულისა, რადგანაც მოძღვარს ღვთისაგან აქვს მინიჭებული უფლება ცოდვათა მიტევებისა. ზოგჯერ ამბობენ: რა საჭიროა ეკლესიაში მღვდელთან მისვლა? განა არ შეიძლება თვით უფალს უთხრა შენი ცოდვები და მოინანიო მის წინაშე? ასეთ ადამიანებს არ ესმით

აღსარების საიდუმლო და მღვდლის შენდობის ძალა. აღსარება განწმენდაა, მეორე ნათლობაა, როგორც მას წმიდა მამები უწოდებენ; იგი შერიგებაა ღმერთთან, შინაგანი სიმშვიდეა, დაწყნარებაა.

როდესაც ჩვენი სულიერი ჭურჭელი განსპეტაკდება, თავმდაბლად და კრძალვით უნდა მივიღოთ წმიდა ზიარება.

რა არის ზიარება და რატომაა იგი აუცილებელი? წმიდა ზიარება თვით უფალმა იესო ქრისტემ დაადგინა საიდუმლო სერობისას. წმიდა მოციქულის, ლუკას, სახარებაში ვკითხულობთ: იესო ქრისტემ „მოიღო პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მათ და თქუა: ესე არს ჴორცი ჩემი, თქუენთჳს მიცემული; ამას ჰყოფდით მოსაჴსენებელად ჩემდა. ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობისა და თქუა: ესე სასუმელი – ახალი შჯული სისხლისა ჩემისაჲ თქუენთჳს დათხეული“ (ლუკ. 22, 19-20).

ღვთის ხორცად და სისხლად გარდაქმნილი პურითა და ღვინით პირველად მოციქულნი ეზიარნენ. უფლის ხორცისა და სისხლის მიღებისას მაცხოვარი მიუთითებს, რომ ადამიანისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ხორციელ პურზე ზრუნვა, მისთვის აუცილებელია სულიერი საზრდელი, რომელიც მას შემოქმედთან დააკავშირებს, ხელს შეუწყობს მისი სულის ზეაღსვლას მიწიდან ზეციურ ეკლესიასთან შეერთებისათვის.

მაზიარებელნი, უერთდებიან რა მაცხოვარს, მისი საშუალებით უკავშირდებიან ერთმანეთს მტკიცე ორგანული კავშირით და ქმნიან ქრისტეს ერთიან მისტიკურ და ამავე დროს რეალურ სხეულს – ეკლესიას. ყოველი ქრისტიანი თვეში ერთხელ მაინც უნდა ეზიაროს, რომ სულიერად განმტკიცდეს. ეს საიდუმლო ეხმარება ადამიანს ნაკლოვანებათა, ვნებათა დაძლევაში, ხილულ და უხილავ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მარხვის დღეებში, ვინც მარხვას ინახავს, შეუძლია, ყოველ კვირას ეზიაროს. ასე რომ, ზიარება უდიდესი საი-

დუმლოა; ზიარებისას ჩვენში ვიღებთ მეუფესა ზეცათასა და ქვეყანისასა, რომლის ძალა და ძლიერებაც საზღვარდაუდებელია; ამით კი გვენიჭება მადლი სიკეთის ქმნისა.

სიკეთის ქმნა ადამიანის ისეთივე ბუნებრივი თვისება უნდა იყოს, როგორც კეთილი ხისათვის კეთილი ნაყოფის გამოღება, ხოლო ბოროტება ისევე შეუძლებელი – როგორც „ვერ ჴელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად“ (მათ. 7, 17-18).

„ჴეშმარიტი სიბრძნისმოყვარენი და ძმათმოყვარენი, – ამბობს წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, – ესწრაფვიან ქმნას სიკეთისას თავად სიკეთისათვის და არა პატივისათვის ცათა შინა“ (წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი, თხზ. მ. 1889 წ. გვ. 97).

თითოეული ჩვენგანი ღვთივქმნილი მშვენიერი ჭურჭელია, რომელიც უფლის მადლით უნდა იყოს სავსე და წარმოადგენდეს ტაძარს სულისა წმიდისა.

სულიერი განწმენდის, აღსარებისა და ზიარების შემდეგ ადამიანი გარდამავალი ფერებით მბრწყინავი ანდამატივით ნათობს: მისი სული ხდება სავანე სიყვარულისა, თავმდაბლობისა, სიმშვიდისა, მოთმინებისა, სიწმინდისა, ლოცვისა, მარხვისა და სხვა იმ მაღალ ღირსებათა, რომლებიც პიროვნებას ღვთით ენიჭება.

ძმანო და დანო, მოგმართავთ რა საშობაო ეპისტოლეთი, მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო იმ პრობლემაზე, რომელიც დღეს მთელ კაცობრიობას აწუხებს. ეს არის ბირთვული განადგურებისაგან ქვეყნის დაცვის საკითხი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იყო და კვლავაც დარჩება თავისი საუკუნოვანი ტრადიციების ერთგული. იგი წმიდად იცავს და მსოფლიოში ქადაგებს ხალხთა შორის ურთიერთგაგებასა და თანხმობას და ამით ხელს უწყობს დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას. ჩვენი მისწრაფება მშვიდობისაკენ – ეს ქრისტიანული რელიგიის არსებითი მხარეა. ყველა

ადამიანი და ყველა ხალხი თანასწორუფლებიანია. მიგვაჩნია, რომ თითოეული ადამიანისა, და განსაკუთრებით კი, მორწმუნე ქრისტიანის ვალია, ყოველგვარი საშუალებით წინ აღუდგეს ომის გაჩაღების საფრთხეს. ომისა და მშვიდობის პრობლემა საერთო პრობლემაა. იგი მოიცავს და აღელვებს ყველას, განურჩევლად მისი რელიგიური, კულტურული თუ პოლიტიკური შეხედულებებისა, რადგანაც ყველა გრძნობს ბირთვული კატასტროფის საფრთხეს. ეს საერთო დაინტერესება განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა მოსკოვში, 1982 წლის 10-14 მაისს ჩატარებულ მსოფლიო კონფერენციაზე – „რელიგიური მოღვაწენი ბირთვული კატასტროფისაგან სიცოცხლის ღვთაებრივი მადლის გადასარჩენად“, სადაც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო. მოსკოვის კონფერენციის შემდეგ მსოფლიო მოწმე გახდა ჩვენი სახელმწიფოს მიერ აღებული მეტად მნიშვნელოვანი ახალი სამშვიდობო ინიციატივისა, რომ იგი პირველი არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს. ეს ცალმხრივი ვალდებულება დიდი აღფრთოვანებით მიიღო მსოფლიომ. თუ სხვა ქვეყნების მეთაურნიც იკისრებენ ამგვარ ვალდებულებას, შესაძლებელი იქნება მსოფლიოს ხსნა ბირთვული ნგრევისაგან.

ყველას გვესმის, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში მიღწეულით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ. აუცილებელია გავაერთიანოთ და გავამრავლოთ მშვიდობის მომხრეთა ძალები. ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში, ხალხთა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობისა და სამართლიანობის განმტკიცებისათვის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მოციქულთა სიტყვები: „მოიძიენ მშჳდობაჲ და მისდევდინ მას“ (1 პეტრ. 3, 11). გახსოვდეს, რომ „მშჳდობასა გჳწოდნა ჩუენ ღმერთმან“ (1 კორ. 7, 15). „სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ (იოან. 8, 32).

ჭეშმარიტების ძიებაში საუკუნეთა მანძილზე კაცობრიობამ

მრავალი გზა და ბილიკი განვლო, თავის თავზე გამოსცადა და გადაიტანა ყოველივე, რასაც მოიცავს ადამიანის სული: მიწიერების უარმყოფელი უკიდურესი მისტიციზმიდან უკიდურეს ღვთის უარყოფამდე. და მხოლოდ მაშინ, როცა ეს გზები გავლილი იყო და ძალები ამოწურული, დადგა ჟამი, ოდეს სიტყვა ხორციელ იქმნა, მოგვევლინა იესო ქრისტე – ტარიგი ღვთისა, რომელმან აღიღო ცოდვანი სოფლისანი.

მხოლოდ ქრისტიანობაში პოვა შინაგანი სრულყოფა მთელი კაცობრიობის რელიგიური ძიების ხანგრძლივმა და მძიმე მსოფლიო-ისტორიულმა პროცესმა.

საშობაო ეპისტოლე წმიდა ეფრემ ასურის სიტყვებით მსურს დავამთავრო: „დღეჲ ესე არს დღეჲ ცხონებისა, ღამეჲ ესე მშჳდობასა და მყუდროებას მიანიჭებს მსოფლიოს. აწინდელი ღამე ეკუთვნის მშვიდს (იესო ქრისტეს). ამისთვის განაგდოს ყოველმან რისხუაჲ და სიფიცხლეჲ, დააყუდოს ამპარტავნებაჲ და ზვაობაჲ თჳსი. აწ აღმობრწყინდა დღეჲ იგი წყალობისა და ნუ ეუფლება ვისმეს გრძნობაჲ შურისგებისა წყენისათჳს მისისა; ნუ იქნება ვინმე მიზეზი სხვისი ჭირისა და მწუხარებისა. ეს დღე უღრუბლო და ნათელია. დაე, მოიდრიკოს მის წინაშე რისხვამ, შემმუსრველმა მშვიდობისა და მყუდროებისა“ (ეფრემ ასური, 1904, გვ. 138).

მადლი უფლისა, სიყვარული, მშვიდობა და სიხარული თქვენ ყოველთა თანა!

კიდევ ერთხელ გილოცავთ დიად დღესასწაულს – ქრისტეს შობას!

გისურვებთ მარადიულ სიხარულს, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

ქრისტეს შობა
თბილისი, 1983 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1983 წ.

წმიდა სინოდის წევრებს – ყოვლადსამღვდელო მიტროპოლიტებს, მთავარეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთივკურთხეულ სულიერ შვილებს, მკვიდრთა საქართველოჲსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებთ:

„საიდუმლოჲ ესე დიდ არს; ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესთჳს და ეკლესიისა“ (ეფეს. 5, 32).

სადღესასწაულოდ გუგუნებენ სააღდგომო ზარები... მსოფლიოს ამცნობენ დიად გამარჯვებას – ძლევას სიცოცხლისა სიკვდილზე, ახარებენ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.

ამ სიხარულს გაუწყებთ დღეს მეც, ღვთივგანბრძნობილო მწყემსმთავარნო და მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, მონ-

აზონნო და ყოველნო სულიერნო შვილნო ჩვენი წმიდა ეკლესიისა.

ქრისტე აღდგა!

ეს ის სიტყვებია, რომელთაც აზრობრივად გადავყავართ იმ დროში, როცა ღრმა მწუხარებას მოეცვა მაცხოვრის მოწაფენი და მენელსაცხებლენი დედანი. ზოგიერთის გულში ეჭვსაც დაესადგურა: იყო კი იესო ის მესია, საუკუნეთა მანძილზე რომ ელოდა ტანჯული კაცობრიობა; და თუ ჭეშმარიტად ქრისტე იყო, როგორღა შეძლეს ჯვარს ეცვათ იგი?

განვლო შაბათმა... იწურება მესამე დღე მაცხოვრის გარდაცვალებიდან. ღრმა ძილით სძინავს ყველას; მარტო მოციქულები და მენელსაცხებლენი დედანი ფხიზლობენ, გლოვობენ მოძღვარს. ინათა თუ არა, მენელსაცხებლეთ საფლავს მიაშურეს; სიჩუმეს მხოლოდ მცველების ფეხის ხმა არღვევს. მოულოდნელად ყველამ იგრძნო ძლიერი მიწისძვრა, გამოეცხადათ ანგელოზი, სახე რომლისა იყო, „ვითარცა ელვაჲ, და სამოსელი მისი – სპეტაკ, ვითარცა თოვლი. ნუ გეშინინ თქუენ! – თქვა მან, – ვიცი, რამეთუ იესუს ნაზარეველსა ჯუარცუმულსა ეძიებთ. არა არს აქა, რამეთუ აღდგა“ (მათ 28, 3, 5-6).

გოლგოთა და აღდგომა...

ეს საშინელი განსაცდელი საჭირო იყო გადაეტანათ წმიდა მოციქულებსა და მენელსაცხებლე დედათ და მათ გამოცდას გაუძლეს.

გამოცდა...

თითოეული ჩვენგანის ცხოვრება, ისევე როგორც წარსული ჩვენი ერისა, განსაცდელითაა სავსე. უფალი ადამიანს უგზავნის სხვადასხვა გასაჭირს, მწუხარებასა და უბედურებას, ათასგვარ სიძნელესა

და დამცირებას, რათა მან ბოლოს და ბოლოს შეიცნოს თავი თვისი. განგიცდია შენ ეს ყოველი? – ეს სისასტიკეა, – შეიძლება თქვა ან გაიფიქრო; მაგრამ სხვა გზა არ არსებობს. როდესაც განცხრომით ცხოვრობ, გავიწყდება ყველაფერი: ღმერთიც, შენი უკვდავი სულიც, გავიწყდება, რომ მდგმური ხარ წუთისოფლისა და ზესთასოფელს დაემკვიდრები. როდესაც არ იცი, რა არის გაჭირვება, ფიქრობ, რომ ბედნიერი ცხოვრება შენით მოიპოვე და ეს მუდამ ასე იქნება; ამ დროს მოდის შენთან უფალი და ცდილობს, გაგაღვიძოს, გაგათავისუფლოს ბურანისაგან. საწოლ ოთახში განგაცალკევებს, ავადმყოფობის სარეცელს დაგიგებს... თუ იცი რატომ? შენთან საუბარი სურს, სურს უწამლოს იმ სენს, შენს სატკივარზე უფრო საშიში რომაა, სურს მიეახლოს შენს სულს, რათა განკურნოს იგი. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდები, რომ მთელი გავლილი ცხოვრება შეცდომებითაა სავსე; და თუ, ღვთის მადლით, ამას შეიგნებ, უკვე სწორ გზაზე დგახარ.

ხშირად ვეკითხებით ერთმანეთს: რამდენი წლისა ხარ? ეს ულმობელი კითხვა თითოეული ჩვენგანის წინაშე დგას. სულ ცოტა ხნის წინ ბავშვი იყავი და თანატოლებთან თამაშობდი, ახლა კი ოცი წლისას ცხოვრების გზა გაქვს ასარჩევი. ყრმობის ასაკმა ადრეული გაზაფხულივით სწრაფად გაიფრინა. თუ უკვე ორმოცისა ხარ, მაშ შენი მზე დასავლეთისკენ მიდრეკილა; ამის დამადასტურებელია ჭაღარა, თოვლივით ნელ-ნელა რომ ფარავს შენს თავს; რამდენი წლისა ხარ? თუ სამოცს გადასცდი და მალე სამოცდაათისაც გახდები, გახსოვდეს, მარადიულობის კარიბჭესთან დგახარ. „დღენი წელიწადთა ჩუენთანი მათ თანა სამეოცდაათ წელ, ხოლო უკუეთუ ძლიერებასა შინა, ოთხმეოც წელ“ (ფსალმ. 89, 10), – ამბობს დავით წინასწარმეტყველი.

გზა შენი მომქანცველი, ურვითა და ჭმუნვით სავსე იყო. ამქვეყნიური ქოხი გენგრევა და იცი, ვერაფრით უშველი. დათვლილია შენი წლები, იქნებ თვეებიც... ამ დროს მაინც უნდა ჰკითხო საკუთარ

თავს: ვარ კი მზად, წარვდგე წინაშე უფლისა, აღვასრულე მე ჩემი ვალი?

ცხოვრება მგზავრობაა, მიახლოებაა მარადიულობასთან. ჩვენ კი ძალიან ცოტას ვფიქრობთ ამაზე.

როგორია ღვთის კანონი, როგორ მიჰყავს შემოქმედს ადამიანი თავისკენ? თავდაპირველად ქვევით, შემდეგ კი ზევით, ჯვარცმიდან აღდგომისა და ამაღლებისაკენ, ბნელიდან ნათლისაკენ. ხშირად ვერ ვხსნით, რატომაა აუცილებელი ჩვენთვის მძიმე განსაცდელი. ხშირად ვერ ვიგებთ, არ გვესმის უფლისა; მხოლოდ მაშინ, როდესაც მიზანს მივაღწევთ, მივხვდებით, რომ განვლილი სიმწარე და შეჭირვება საჭირო და აუცილებელი იყო სულის წრთობისათვის.

როგორც მთელი კაცობრიობის, ისე საქართველოს ისტორიაში წარმართობა ხანგრძლივი და მძიმე პერიოდია, ქრისტიანული დილის წინარე ბნელი ღამეა.

„ტკბილ არს ნათელი, – ამბობს ეკლესიასტე, – კეთილ თუალთა ხედვად მზისა“ (ეკლ. 11, 7).

ადამიანი ესწრაფოდა სინათლეს, ეძიებდა ნათელს, ელტვოდა სიმართლეს, ჭეშმარიტს, სიკეთეს, მაგრამ ვერ ხვდებოდა, საით გაეგნო გზა.

გზა ჭეშმარიტი, გზა ცხოველი თავად მოაბიჯებდა კაცობრიობისაკენ. და დადგა ჟამი აღმოსავლისა მზისა ქრისტიანეთასა.

ქრისტეს ნათელმა განაბრწყინა მსოფლიო; იგი გვაცისკროვნებს ჩვენ, თუმცა გამოცდა კვლავაც გრძელდება.

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“ (პირველშეწირულის ლიტურღია).

ეს სიტყვები მრავალ კითხვას აღგვიძრავს: რას წარმოადგენს ქრისტეს ნათელი და სად ვეძიოთ იგი? თუ თავადი იგი განანათლებს ყოველთა, მაშინ რატომღა არიან წარწყმედულნი, მავალნი გზასა ფართოსა?

„მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ“ (იოან. 8, 12), – ბრძანებს მაცხოვარი.

საოცარი სიტყვებია. ისინი მიუთითებენ იესო ქრისტეს მხოლოობასა და განუმეორებლობაზე, მის ძალაუფლებაზე ქვეყანასა ზედა. ამგვარად თქმა არ შეეძლო და არც შეუძლია წინასწარმეტყველს, მოციქულს, ფილოსოფოსს, მეცნიერს, არც სხვა ვინმეს კაცთაგანს, ასე მხოლოდ ღმერთკაცი ზრახავს. „ქრისტე, ნათელო ჭეშმარიტო, რომელი განანათლებ ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად“. იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „ღმერთი ნათელ არს“ (1 იოან. 1, 5).

იესო ქრისტე არა მსგავს არს ნათლისა, რომელი ჟამად არს და ჟამად განქარდების; იგი ნათელია დაუსრულებელი, ყოვლისმპრყობელი, ყოვლისმძლეველი, ნათელი რომელი „ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოან. 1, 5).

ეკლესიის გარეშე მდგომთ, მათ, ვისაც ქრისტიანობა მხოლოდ თეორიულად ესმით, მაცხოვარი ზოგჯერ მორალისტად მიაჩნიათ, ადარებენ მას დიად ადამიანებს: ბუდას, მუჰამედს, ფილოსოფოსებს და ა.შ. ნაწილი კი საერთოდ უარყოფს იესოს მოძღვრებას და იმის დამტკიცებასაც ცდილობს, ქრისტე, როგორც პიროვნება, არ არსებობდაო.

იესო ქრისტე და მისი მოძღვრება არ საჭიროებს ვინმეს დაცვას; მსოფლიოს თითქმის 1000 ენასა და დიალექტზე თარგმნილი სახარება თვითაა საუკეთესო მოწმობა და ღაღადება ნათლის შესახებ, მსხვერპლის გოლგოთისა – იესო ქრისტეს, თავისი ნებით სოფლის ცოდვათა მტვირთველის შესახებ.

კრავი უფლისა ჯვარს აცვეს, ის კი მაინც ცოცხალია. მას უარყოფენ, იგი კი კვლავაც ჩვენთანაა, ჭიშკარს უკეტავენ, ის დგას და რეკავს კარზე შენი გულისა, იცდის, როდის შეუშვებ; ერთნი მაცხო-

ვრის მოწოდებისთანავე აღებენ კარებს, მეორენი – მხოლოდ მას შემდეგ, როცა მიწიერი ფუფუნება აზრს დაკარგავს მათთვის, როცა ბრძენთაბრძენი სოლომონივით დარწმუნდებიან, რომ ყოველივე ამსოფლიური „ამაოა და სულსა შეაჭირვებს“. სხვანი – ოდენ სასიკვდილო სარეცელზე, მარადიულობის კარიბჭესთან მდგარნი, უხსნიან გულს უფალს, მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე ელოდებოდა მაცხოვარი. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც არასოდეს აღებენ კარებს, კაკუნის გაგონებაზე კიდევ უფრო იკეტებიან და ცდილობენ დაირწმუნონ თავი, რომ მათ არ უხმობენ. ისინი ისე განლევენ საწუთროს, მარადიულ ნათელს ვერც დაინახავენ, ვერ განიცდიან სიხარულს ჭეშმარიტს; მიემგზავრებიან „საუფლოსა ბნელეთისასა... სადა არა არს ნათელი, არცა ხედვად ცხოვრებისა კაცთასა“ (იობ. 10, 22).

ვის მიმართავს უფალი? ყოველდღიური საქმიანობით დაღლილ, დღევანდელი დღის საზრუნავით მცხოვრებ ჩვეულებრივ ადამიანებს: გლეხებსა და მუშებს, მწერლებსა და მეცნიერებს, ფილოსოფოსებს, სახელმწიფო მოღვაწეთ, ბავშვებსა და დიდებს... პირადი, საოჯახო ან საზოგადოებრივი ინტერესებით შეპყრობილ ადამიანებს; უზრუნველთა და დამწუხრებულთ, უნუგეშოთა და შეჭირვებულთ, მდიდართა და ღატაკთ, – ჩვენ, ჩვენი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით. ნათელი ქრისტესი სულიერი ძალაა, საფუძველია ქვეყნიერებისა. თუ მზის სინათლის გარეშე სიცოცხლე შეწყვეტდა არსებობას, თვინიერ ღვთაებრივი ენერგიისა სიცოცხლე საერთოდ არ წარმოიშობოდა. სიცოცხლე, მიზიდულობისა თუ სხვა კანონები, რომლებიც სამყაროში მოქმედებენ, გამომსახველნია უმაღლესი ჰარმონიისა, შედეგია ღვთაებრივი გონებისა და ძალისა.

ნათელი ესე ბრწყინავდა და იბრწყინებს ნიადაგ, განურჩევლად ჩვენი დამოკიდებულებისა მისადმი. საკითხავი ისაა, გავხდებით ჩვენ

თანაზიარნი ამ ნათლისა, შევიცნობთ კი მას? შევძლებთ გავიგოთ, რომ „ძჱ ღმრთისაჲ მოვიდა და მომცა ჩუენ გონებაჲ, რაჲთა ვიცოდით ჩუენ ჭეშმარიტი ღმერთი და ვართ ჩუენ ჭეშმარიტისა თანა ძისა მისისა იესუ ქრისტესა. ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი, ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (1 იოან. 5, 20). მხოლოდ ქრისტეს ნათელს ძალუძს ფერისცვალება სამყაროსი და ჩვენი. გიხაროდეთ ყოველთა, რომელთა მოგიპოვებიეს მცირედი ნაწილიც კი ზეციური ნათლისა, რომელნიც შემოსილნი ხართ მისი შარავანდედით: „თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი... ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მათ. 5, 14,16). გარნა სად ვეძიოთ ნათელი ესე, რათა განვიბანოთ მისი სხივებით? ცოდნაში, მეცნიერებაში, სიმდიდრესა თუ განცხრომაში? მაგრამ ყოველივე ეს ხომ არამტკიცე, წარმავალი და არასაიმედოა. პასუხი ერთადერთია: ქრისტეს ნათელი თვით მის სხეულშია, ღვთაებრივი ლოგოსის სხეულში – ეკლესიაში. ეს ის ეკლესიაა, რომელიც კლდესა ზედა არს დაშენებული და რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ სძლევენ.

მაცხოვარმა ეკლესიას მიმადლა ძალა სულისა წმიდისა. ყოველგვარი არსებობა განსაზღვრულ ფორმას მოითხოვს. ფორმა საჭიროა ქრისტიანის რელიგიური ცხოვრებისთვისაც და იგი პოვებს კიდეც მას ეკლესიაში მრავალგვარი სახით გამოვლენილს. ჩვენს ტაძრებში აღესრულება საიდუმლოებანი: ნათლობის, მირონცხების, აღსარების, ზიარების, ქორწინების, ავადმყოფზე სრულდება საიდუმლო ზეთის კურთხევისა, საიდუმლოა ასევე მღვდლობა, ანუ ხელდასხმა სამღვდელო ხარისხში. ამ შვიდი საიდუმლოს გარდა, ტაძარში სრულდება სხვადასხვა ლოცვა: პარაკლისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, პანაშვიდი და წესის აგება განსვენებულთათვის, წყლის, მარილის კურთხევა და სხვა; ყოველივე ეს იმიტომ

შეგახსენეთ, რომ ქრისტიანმა გაიგოს, არ არის საკმარისი იყო მორწმუნე, აუცილებელია ეკლესიურობა, რომ ეკლესია საიმედო გემია აბობოქრებულ ზღვაში.

აი, უკვე თითქმის 2000 წელია საქართველოს ეკლესია თავის ისტორიულ მისიას ასრულებს.

ყველა ჩვენი სახელოვანი წინაპარი იყო და კვლავაც დარჩება წევრად ჩვენი ეკლესიისა; ეკლესია მარტო ჩვენ, მიწაზე მცხოვრებნი კი არა ვართ, ეკლესიაა, უპირველეს ყოვლისა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი, საქართველოს დედა და დიასახლისი, მოციქულები, წინასწარმეტყველები, ჩვენი მეფეები და პატრიარქები, ყველა ადამიანი, ვინც კი რწმენითა და სიყვარულით წავიდა ამ ქვეყნიდან; ეკლესიაა ათასობით მოწამე და წმინდანი, დიდი მოღვაწენი. ესენი ყველანი ჩვენთან ერთად ქმნიან ერთიან ეკლესიას, რომლის თავიც ბრძანდება მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე. ამ ეკლესიის დიადი მისიაა თითოეული პიროვნების განახლება, სულიერი ფერისცვალება და ამაღლება.

ტაძარი ადგილია ადამიანის ეკლესიური კურთხევისა, კარიბჭეა მარადიულობისა, სავანეა ღვთისა. აქაური მადლმოსილი გარემო აღაზევებს, აკეთილშობილებს სულს, განწმედს და განათავისუფლებს ცოდვებისგან.

გავიხსენოთ თუნდაც ისტორიული ფაქტი: მძიმე განსაცდელის დროს, მტერთა შემოსევების ჟამს, წმიდა თამარ მეფეს ბრძოლის წინ ლაშქარი ტაძარში მიჰყავდა; აქ მეომრები მეფესთან ერთად ლოცულობდნენ, ამბობდნენ აღსარებას, ეზიარებოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ეკვეთებოდნენ მომხდურს. ბრძოლის დამთავრების მერე ჯარი კვლავ ეკლესიაში ბრუნდებოდა და უფლის სამადლობელ ლოცვებს აღავლენდა.

ტაძარი ოაზისია, სადაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალით, ღელვითა და ამაოებით დაღლილი სული შინაგან

მშვიდობასა და სიწყნარეს პოვებს. იმათაც კი, ვინც აქ 10-15 წუთით შემთხვევით შემოდის, რომელთაც არაფერი იციან ღვთის, მარადიული ცხოვრებისა და უკვდავი სულის შესახებ, იზიდავს უჩვეულო გარემო, ღვთისმსახურების მშვენიერება, საეკლესიო გალობა. ხოლო ის, ვინც დიდი რწმენითა და ღვთაებრივი სიყვარულითაა გამთბარი, შეიგრძნობს გაცილებით სიღრმისეულსა და არსებითს, ვიდრე უბრალო ესთეტიკური სიამოვნებაა. ამ სიღრმისეულსა და არსებითს განსაკუთრებით დღეს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულზე ვეზიარებით.

ჩვენი მრწამსი, ჩვენი სარწმუნოების ყველა საყრდენი ქრისტეს აღდგომის, სიცოცხლის მიერ სიკვდილის ძლევის ფაქტზეა დაფუძნებული. და „უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამაო არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი“ (1 კორ. 15, 17), – წერს მოციქული პავლე. მაცხოვრის მაცხოვნებელი ტანჯვისა და სიკვდილის აზრი აღდგომამ საცნაურ-ყო. მხოლოდ აღდგომის შემდეგ დაიწყო კაცობრიობამ ქრისტეს სხეულში – ეკლესიაში გაერთიანება. ეს მძიმე და ხანგრძლივი პროცესია და იგი დღესაც გრძელდება. ო, როგორ ნელა აღწევს ადამიანებში მთელი სამყაროსა და ცხოვრების განახლების მომწოდებელი სული სიყვარულისა და ურთიერთნდობისა.

„მშვიდობა თქვენდა!“ – ეს იყო აღდგომილი მაცხოვრის პირველი სიტყვები; რომ შეიცნო არსი და სიღრმე ქრისტეს აღდგომისა და შენც გახდე თანამოზიარე ამ დიადი ზეიმისა, ყოვლისმომცველი მშვიდობაა საჭირო. მშვიდობა ღმერთთან, მოყვასთან, თვით შენს თავთან. უფლის მიერ ბოძებული მშვიდობა კი არ უნდა განვაგდოთ, უნდა მივიღოთ და გავხდეთ მონაწილე ამ ღვთაებრივი ნიჭის ჩვენში განხორციელებისა. რა გასაკვირია, რომ თაობათა მანძილზე მოწინავე ადამიანები უსაზღვრო ენერგიას ხარჯავდნენ, რათა მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეში ჩაერთოთ ზნეობრივი ძალა მთელი კაცობრიობისა. მშვიდობა ყველასათვის უძვირფასესი განძია, მაგრამ

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს ბოროტი ნებაც. როდესაც იგი ზეიმობს, ხალხს თავს ომის საშინელება ატყდება და ადამიანები სისხლისა და ცრემლის მორევში ინთქმებიან. ასე იყო ყოველთვის, მაგრამ მომავალში ასე აღარ იქნება. თანამედროვე იარაღის პირობებში გაცილებით უფრო საშინელი და გამოუსწორებელი მდგომარეობა შეიქმნება. ამიტომაც თითოეულმა ადამიანმა უნდა შეიგნოს, რომ უკვე განვლილია ის პერიოდი, როცა ესა თუ ის საკითხი ძალის პოზიციიდან წყდებოდა, რომ დღეს კაცობრიობა დიდი განსაცდელის წინაშე დგას, ტყვეა ატომური ენერგიისა, რისგანაც აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს; და გვწამს, უფალი დაგვეხმარება.

აღდგომილი ქრისტე გვაძლევს ყოველივეს, რაც ცხოვრებისა და ბედნიერებისთვისაა აუცილებელი. უპირველესად იგი გვანიჭებს სულსა და ნიჭს სიყვარულისას, რათა შევუმსუბუქოთ ტვირთმძიმე და მაშვრალ კაცობრიობას გზა მიმავალი „ახალთა ცათა და ახალსა ქუეყანასა... რომელსა შინა სიმართლე დამკვდრებულ არს“ (2 პეტრ. 3, 13).

საყვარელნო სულიერნო შვილნო ჩემნო!

გულითადად გილოცავთ ქრისტეს აღდგომას, გისურვებთ, რომ პასექის ბრწყინვალე სხივებმა შემოანათონ თითოეული თქვენგანის ბინაში, გაათბონ თქვენი სული, დაივანონ გულში და აღავსონ იგი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. სადაც ბრძანდება უფალი, მუნ სიხარული და ნათელი ჰგიეს; სადა არს სიყვარული – მუნ ერთობა და მიტევება.

ყველას მარადიულ სიხარულს გისურვებთ.

ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

ქრისტეს აღდგომა
თბილისი, 1983 წ.

საშობაო ეპისტოლე

1984 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთივკურთხეულ სულიერ შვილებს, ღვთისმშობლის წილხვდომილ საქართველოს მკვიდრთ და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთ

„ნუ ჰკურნებ ბოროტსა ბოროტითა“
(წმიდა ბასილი დიდი).

საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის საყვარელნო შვილნო, ივერნო, „მადლი თქუენ თანა და მშჳდობაჲ განმრავლდინ!“ (1 პეტრ. 1, 2). ღვთის წყალობით კვლავ ვეგებებით სასიხარულო და საზეიმო დღეს – ქრისტეს შობის დღესასწაულს.

ბეთლემი... რა საოცრად ახლობელი და ძვირფასია ეს სიტყვა ყოველი ქრისტიანისთვის. იდუმალი ღამის სიჩუმეში სწორედ აქედან

მოეფინა მსოფლიოს ანგელოზთა გალობა: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“ (ლუკ. 2, 14).

მთელი სამყარო, კაცობრიობა მოუთმენლად ელოდა მაცხოვრის მოვლინებას დედამიწაზე; ბოლოს აღსრულდა იმედი ხალხთა და ყოველთა მოიღეს შვილებაჲ „ზეციური მამისაგან“ (გალ. 4, 5) – იშვა ქრისტე, განახლდა იმედი, აღორძინდა სიყვარული. უფლის განხორციელებით აღდგა არა მარტო პირვანდელი კავშირი ღმერთსა და ადამიანს შორის, არამედ უმაღლესი ერთობა შემოქმედსა და ყოველივე ქმნულს შორის.

სული ქრისტიანისა, ანუ სული ყოველი ადამიანისა, რომელმაც ირწმუნა ქრისტეს შობა და მიიღო საიდუმლო ნათლისღებისა, სავანეა მამა ღმერთისა, ძისა და სულისა წმიდისა. თვით მაცხოვარი ბრძანებს: „უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ“ (იოან. 14, 23).

უფლის განკაცების წყალობით გარდაიქმნა პიროვნება, შეიცვალა მისი ზნე-ჩვეულებები. იესოს მადლით გამოხსნილმა ადამიანმა სულ სხვანაირად დაიწყო სამყაროს აღქმა. თუ ძველი აღთქმით დაშვებული იყო „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“ (გამ. 21, 24), ქრისტიანული სამყაროს საფუძვლად იქცა სიყვარული, ძმობა და ხალხთა შორის მეგობრობა განურჩეველად ეროვნებისა, ენისა, რასისა. თვით უფალი ასე განმარტავს ქვეყნად თავისი მოვლინების მიზანს: „ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდშობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (იოან. 3, 16). გონებისათვის მიუწვდომელი ამ მსხვერპლის წყალობით განქარდა ზღუდე ღმერთსა და კაცს შორის,

ადამიანს კვლავ განეღო სამოთხის კარი, გამოჩნდა გზა მარადიული ცხოვრებისაკენ.

სახარებიდან ვიცით, აღმოსავლელმა მოგვებმა ბეთლემში შობილ მაცხოვარს თაყვანისცემის ნიშნად მიართვეს ოქრო, გუნდრუკი და მური. ჩვენ რაღას შევთავაზებთ ახლად შობილ ქრისტეს? ერთ საშობაო ლოცვაში წერია: მიუძღვენით მას რწმენა ნაცვლად ოქროისა, სიყვარული კეთილსურნელოვანი ნელსაცხებლის მაგიერ და საქმენი კეთილნი საკმევლისა წილ, ანუ მიართვით მას ცხოვრება თქვენი.

ქრისტიანული ცხოვრება გულისხმობს ყოფნას ღმერთში, ზრუნვას მოყვასისათვის; ესაა გზა ჯვარისმტვირთველისა, განსაცდელით სავსე ცხოვრების ზღვაში ცურვაა იგი. წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი გვასწავლის: „უკეთუ ნავი შენი ჯერეთ არა დაბმულ იყოს ნაპირსა ზღვისასა, ნუ მოიწონებ თავსა მგზავრობისა კეთილად დამთავრებითა; რამეთუ არიან მრავალნი, რომელნი დაინთქნეს წინაშე ნავსაყუდელსა“ (გრ. ღვთისმეტყვ. შრომები, ტ. II, გვ. 228).

ცხოვრება უნდა აღვიქვათ ისე, როგორიც ის სინამდვილეშია, უნდა დავინახოთ და გავარჩიოთ, რა არის კეთილი, რა – ბოროტი და ამის მიხედვით ავირჩიოთ ჩვენი გზა. ცხადია, თუ ერთ გზაზე დავდგებით, მეორეს უარვყოფთ და „...ვაი მათდა, რომელნი იტყვან ბოროტსა კეთილად“ (ეს. 5, 20).

ბოროტისადმი წინააღდგომა ჭეშმარიტ ქრისტიანს ავალდებულებს უყვარდეს ქვეყანა, უყვარდეს ადამიანი, ბუნება... მისი მოქმედება უნდა ეფუძნებოდეს თითოეული პიროვნების პატივისცემისა და მისთვის გულშემატკივრობის განცდას, შინაგან მოთხოვნილებას, მხარში ამოუდგეს გაჭირვებულს. განა არის რაიმე იმაზე სასიამოვნო, შეძლო, რითიმე დაეხმარო განსაცდელში მყოფს?!

სიყვარული ნეტარებაა, სიძულვილი – ტანჯვა. სიყვარულს

ადამიანისა ღმერთთან მივყავართ. „მოყვასი არს მიზეზი ვითარცა ცხოვნებისა, ეგრეთცა წარწყმედისა სულისა ჩუენისა. უკეთუ შეიძინო ძმაი, ჰპოვებ უფალსა, და შეიყუარე იგი ესრეთ: ვითარმედ არა განურისხდე და ავსა მისსა ნუ მოიხსენებ, იყავ მშვიდობის მყოფელ, დაუთმე, უკეთუ ესე შესაძლებელ იყოს, განერიდე სიტყვის მიგებასა და დავასა“, – წერს ღირსი მამა ანტონ დიდი (შრ. 5. გვ. 88); ხოლო ბრძენი სოლომონი გვასწავლის: „რომელმან ყოს კეთილისათვის ბოროტი, არა მოაკლდეს სახლსა მისსა ძვრი“ (იგავ. 17, 13).

ერთ-ერთი დიდი მადლი, რომელიც აუცილებელია თითოეული ჩვენგანისათვის, არის მშვიდობა, ამ სიტყვის ფართო გაგებით: მშვიდობა ღმერთთან, მშვიდობა მოყვასთან, მშვიდობა ბუნებასთან, მშვიდობა საკუთარ თავთან – აი, ის პირობები, რომლებიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის. როგორც გაზაფხულის მზის მაცოცხლებელი სხივები აღვიძებს მიძინებულ ბუნებას, ასევე მშვიდობაც ხელს უწყობს გამოვლინდეს ღვთის მიერ ადამიანისათვის მინიჭებული შემოქმედებითი ენერგია.

პირველმამის, ადამის სახით კაცმა დაკარგა მშვიდობა ღმერთთან. მშვიდობა მოყვასთან დაარღვია ადამის ძე კაენმა, თანამედროვე ადამიანი კი მოსწყდა ბუნებას; ყოველივე ამის შედეგად დავკარგეთ შინაგანი მშვიდობა; ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი ამბობს: „სადა არა არს ამბოხებაჲ, ბრძოლა და ტაცებაჲ, მუნ არს მშვიდობაჲ“.

მშვიდობისადმი მოწოდება განსაკუთრებული ძალით გაისმა ქრისტიანობაში. ანგელოსთა გალობა – „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“ – მაცხოვრის შობისას რომ მოეფინა ქვეყანას, ღვთის მცნებად იქცა ყოველი ქრისტიანისთვის.

„რაჲ უმჯობეს არს სულთა ჩვენთათვის, ანუ უმეტეს კეთილ

ამა ჟამად? ესე იგი არს, რომელი მეტობს ყოველთა სწავლათა და რომლისგანცა მომდინარეობს სარგებელი უფროჲსი ყოვლისა, – მშვიდობისათჳს ვიტყჳ. ხოლო უფროჲსი ყოველთა სამწუხარო და შემაჭირვებელ არს განწვალებაჲ ანუ მტერობაჲ“, – წერს წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი (შრ. 3, 1844, გვ. 135). „რომელნი ეძიებენ საწუთროსა შინა სიტკბოებასა, მშვიდობიანი ყოფის უკეთესს ვერარას პოვებენ. ყოველი, რაიცა სახელიდების სიკეთედ და მშვენიერად, ჭეშმარიტად კეთილ არს, უკეთუ თანაზიარ არს იგი მშვიდობასა“, – ვკითხულობთ წმიდა გრიგოლ ნოსელთან.

ბიბლიაში თითქმის ორასჯერ მეორდება მოწოდება ღვთისა იმის თაობაზე, რომ ვესწრაფოდეთ ხალხთა შორის მშვიდობიან ურთიერთობას, გვიყვარდეს მშვიდობა, ველტვოდეთ მას. „მშჳდობამან ღმრთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, შეზღუდენინ გულნი თქუენნი და გონებანი თქუენნი ქრისტე იესუჲს მიერ... ძმანო, რაოდენი არს ჭეშმარიტ, რაოდენი პატიოსან, რაოდენი მართალ, რაოდენი წმიდა, რაოდენი საყუარელ, რაოდენი საქებელ, რაოდენი სათნო და რაოდენი ქებულ, მას ზრახევდით“, – გვასწავლის პავლე მოციქული (ფილიპ. 4, 7-8). ასე ცხოვრობენ ნამდვილი ქრისტიანები და, როგორც კეთილ საქმეთა ჯილდოს, უფლისაგან სულიწმიდის დიდ მადლს იღებენ. „ხოლო ნაყოფი სულისაჲ არს: სიყუარული, სიხარული, მშჳდობაჲ, სულგრძელებაჲ, სიტკბოებაჲ, სახიერებაჲ, სარწმუნოებაჲ, მყუდროებაჲ, მარხვაჲ, მოთმინებაჲ“ (გალ. 5, 22-23). წმიდა ბასილი დიდი წერს: „რომელი ეძიებს მშვიდობასა, იგი ეძიებს ქრისტესა, რამეთუ თავადი იგი არს მშვიდობაი ჩუენი“.

ქადაგება მშვიდობისა, მსახურება მშვიდობისათვის ქრისტიანული ეკლესიის უმთავრესი ამოცანაა. განსაკუთრებით ეს ითქმის დღევანდელ დღეზე, როდესაც ასე სწრაფი ცვლილებები ხდება ჩვენს პლანეტაზე, გამძაფრებულია საერთაშორისო მდგომარეობა, გვე-

მუქრება თერმობირთვული ომის საშიშროება.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ბირთვული კატასტროფა და, აქედან გამომდინარე, დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობის საფრთხე შედეგია მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარებისა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა. ეს მცდარი განსჯაა. სინამდვილეში მეცნიერებამ და ტექნიკამ ახალი გზები და საშუალებები გამოავლინა ადამიანის განვითარებისათვის. მთელი უბედურება ისაა, რომ ამ მეცნიერულ მიღწევებს კაცობრიობა სულიერად და მორალურად მოუმზადებელი შეხვდა და სიკეთის ნაცვლად იგი ზოგიერთმა ბოროტების სათავედ აქცია.

დღეს ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ შევინარჩუნოთ ადამიანთა, ხალხებსა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობა და გავუფრთხილდეთ მას, როგორც ღვთისგან ბოძებულ უდიდეს მადლს, როგორც ჩვენი ყოფის ყველაზე აუცილებელ პირობას.

ჩვენი ქვეყნის რელიგიურ გაერთიანებათა და ეკლესიათა მეთაურების 1983 წლის 27 ნოემბრის განცხადებაში ნათქვამია:

„ბირთვული ომი მიგვაჩნია უმძიმეს დანაშაულად უმაღლესი ძალის, შემოქმედისა და თვით კაცობრიობის წინაშე.

პიროვნება უფლისაგან მოწოდებულია იცხოვროს მთელი სისავსით, განამრავლოს სულიერი ღირებულებანი, სრულყოს თავისი ყოფის მატერიალური მხარე, დაამყაროს კეთილი ურთიერთობა სხვა ადამიანებთან და ხალხებთან სამართლიანობის, ჭეშმარიტებისა და სიყვარულის საფუძველზე“.

ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა; აი, რას ამბობენ წმიდა მამები: „ყოველი, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ არს“ (1 იოან. 4, 7); „სიყუარული ნიშნავს ყოფნას ერთ სულად, ხოლო სიყუარული უფლისა, ამასთან ერთად გზაი არს განღმრთობისა“ (წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, ტ. II. გვ. 312).

ჭეშმარიტად სიყვარულია ერთადერთი გზა, რომელსაც ღმ-

ერთთან მივყავართ: მოვიყვან მაგალითს IV ს-ის კაპადოკიელი წმიდა მამის – ბასილი დიდის ცხოვრებიდან, როგორც ნიმუშს ქრისტიანული სიყვარულისა და მოყვასისათვის ზრუნვისა.

კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსმა ბასილი დიდმა ერთ დღეს გადაწყვიტა, სტუმრებოდა თავისი ეპარქიის მღვდელს. დიდი სიხარულით შეხვდნენ მეუფეს მღვდელი ანასტასი და მისი მეუღლე თეოგნია. როგორ ცხოვრობო? – ჰკითხა ბასილი დიდმა. – ცოდვილი ვარო, – მიუგო მღვდელმა, – ორი უღელი ხარი მყავს. ერთ უღელს მე ვამუშავებ, მეორეს დაქირავებული კაცი. შემოსავლის ნაწილს ღარიბ-ღატაკთ და მწირებს ვურიგებ, ნაწილით კი გადასახადს ვისტუმრებ. ჩემი მეუღლეც მეხმარება, გვემსახურება მე და გლახაკთ.

– მითხარ, რა სიკეთე გიქმნია?

– არაფერი, – იყო პასუხი.

მაშინ წმიდა ბასილი ერთ-ერთი ოთახის დაკეტილ კართან გაჩერდა და მისი გაღება მოითხოვა. მღვდელი შეეცადა, გადა-ეფიქრებინა მეუფისათვის იქ შესვლა, არწმუნებდა, მანდ სამეურნეო ნივთების გარდა არაფერიაო. – მე სწორედ ამ ნივთების სანახავად მოვედი, – თქვა წმინდანმა.

გახსნეს კარი. მათ თვალწინ მძიმე სურათი გადაიშალა: სარ-ეცელზე იწვა კეთროვანი, რომელსაც ნაფლეთებად ეკიდა ხორცი. იგი სადღაც ქუჩაში ეპოვათ ანასტასისა და თეოგნიას, სახლში წამოე-ყვანათ და უვლიდნენ (საერთოდ ჩვევად ჰქონდათ, სხვათათვის და-ფარულად ეპატრონათ მძიმე ავადმყოფებისათვის).

რად მიმალავდი ამ საუნჯესო, – ჰკითხა მთავარეპისკოპოსმა.

– ეს კაცი ნერვიულია, – უპასუხა მღვდელმა, – არ მინდოდა მეჩვენებინა, ვშიშობდი, დაუფიქრებელი სიტყვით არ შეურაცხეყო თქვენი სიწმიდე.

მღვდელმთავარმა სთხოვა ანასტასის, ნება დაერთო, ერთ ღამეს მაინც მომსახურებოდა კეთროვანს, რათა მასაც ჰქონოდა წი-

ლი იმ დიდ ჯილდოში, რასაც მღვდელი და მისი ოჯახი უფლისაგან მიიღებდნენ. და დარჩა იმ ღამეს ბასილი დიდი, ლოცვაში დაათენდა, დილით კი უკვე განკურნებულ ავადმყოფთან ერთად გამოვიდა ოთახიდან.

აი, როგორ უნდა გვწამდეს, როგორ უნდა ვემსახუროთ მოყვასს. „სრულყოფილი სიყვარული ერთნაირად ჰყვარობს ყოველთა: კეთილთ – ვითარცა მეგობართა, უკეთურთ – ვითარცა მტერთა, რომელთაც სწყალობს, მომთმინე და მშვიდია შეურაცხყოფასა მათსა ზედა და ბოროტითა არა მიაგებს. ხოლო განიცდის და იტანჯება მათთვის და თუ მიზეზი რაიმე მიეცეს, ჰყოფს მათ მახლობლად თუისა“ (მაქსიმე აღმსარებელი).

ერთხელ იოანე კიბისაღმწერელთან მივიდნენ გლეხები და დაიწყეს ჩივილი, ძნელიაო სულის ცხონება, ოჯახური და ყოფითი საზრუნავი ბევრი გვაქვსო – იმართლებდნენ თავს. წმიდა მოღვაწემ მიუგო: „რაოდენცა შესძლებთ კეთილ საქმეთა ქმნას, ქმენით, ნუ იტყვით ძვირსა ძმისასა, ნუ იპარავთ, ნუ ცრუობთ, ნუ განდიდდებით, ნუ გძულთ ვინმე, საეკლესიო ღვთისმსახურებას ნუ მოსწყდებით, განიკითხეთ გლახაკი, ნუ ვის აცდუნებთ, დაიცევით სიწმიდე ოჯახისა... და თუ ყოველსა ამას ესევითარ ჰყოფთ, არა შორსა ხართ სასუფეველსა ცათასა“ (იოანე კიბისაღმწერელი, კიბე, 1851, გვ. 11).

ქრისტეს შობით თვით ღვთაებრივი სიყვარული გარდამოხდა ზეცით და აღიღო ცოდვანი სოფლისანი, რათა შეემსუბუქებინა ჩვენთვის ტვირთი იმ გზაზე, რომელსაც ღმერთთან და ადამიანთან მივყავართ. ბეთლემში იმ საკვირველ ღამეს აღსრულდა ღვთის სიტყვები: „მე ვარ რომელი ვიქმ მშვდობასა“ (ეს. 45, 7).

ჰყოფდით ურთიერთას მშვიდობასა! – მოწაფეებისადმი მიმართული ამ სიტყვებით მაცხოვარმა ადამიანურ ურთიერთობათა დაურღვეველი კანონი დაგვიწესა. ამისკენვე მოგვიწოდებს პავლე მოციქული: „მშვდობაჲ იგი ღმრთისაჲ განმტკიცენინ გულთა შინა

თქუენთა, რომლისა მიმართცა – იგი ჩინებულ ხართ“ (კოლ. 3, 15).

განწმენდილ გულზე დაფუძნებული მშვიდობა დაუშრეტელი წყარო და ძალაა ადამიანის მიახლოებისათვის ღმერთთან და მოყვასთან, რის შედეგადაც თითოეული ჩვენგანის შინაგანი მშვიდობა საკაცობრიო მშვიდობად იქცევა. წმიდა ესაიამ ხალხთა შორის ყოვლისმომცველი მშვიდობისა და ერთობის შესახებ იწინასწარმეტყველა, რომ დადგება ის ღვთივკურთხეული დრო, როცა ადამიანები „დასჭრიან მახვილებსა მათსა სახნისად, და ლახვრებსა მათსა ნამგლად; და არა აღიღოს ნათესავმან ნათესავსა ზედა მახვილი, და არღა ისწავებდნენ მერმედ ბრძოლასა“ (ეს. 2, 4).

შეკავშირებისა და ურთიერთგაგებისაკენ მოგვიწოდებს უფალი და მწამს, ასეთი დღე დადგება, რამეთუ თვით თავადი იგი ბრძანებს: „ჴმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (იოან. 10, 16).

საყვარელნო შვილნო ჩემნო! გილოცავთ ქრისტეშობის დიად დღესასწაულს. დაე, ბეთლემში შობილმა მაცხოვარმა მოგვმადლოს ნანატრი მშვიდობა და თავისი ღვთაებრივი სიყვარულით გაგვითბოს გაციებული გულები. დაე, იყოს ეს ახალი წელი მშვიდობიანი და ღვთივკურთხეული თითოეული ჩვენგანისათვის, ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოსათვის!

„ესევდ უფალსა და ყავ სიტკბოებაჲ, დაემკჳდრე ქუეყანასა და დაემწყსო სიმდიდრესა ზედა მისსა. იშუებდ უფლისა მიმართ და მან მოგცეს შენ თხოვაჲ გულისა შენისაჲ“ (ფსალმ. 36, 3-4). და „იყავნ თქუენ თანა მადლი, წყალობაჲ და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა მიერ იესუ ქრისტესა ძისა მისისა ჭეშმარიტებით და სიყუარულით“ (2 იოან. 1, 3), ამინ!

ქრისტეს შობა
თბილისი, 1984 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1984 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ღვთივკურთხეულ სულიერ შვილებს:

„ბნელი წარვალს და ნათელი იგი ჭეშმარიტი
აწვე ჩანს“ (1 იოან. 2, 8).

ქრისტეს მიერ საყვარელნო ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, პატიოსანნო მოძღვარნო და დიაკონნო, ღირსნო ბერ-მონაზონნო, საქართველოს ეკლესიის ღვთის სათნო შვილნო, მკვიდრნო ღვთისმშობლის წილხვედრილი კურთხეული საქართველოჲსა და უცხოეთში მცხოვრებნო თანამემამულენო, მშვიდობა, სიხარული და სიყვარული თანამავალ გეყავნ თქვენ აწ და მარადის!

ტაძრების ზარების გუგუნი მსოფლიოს აუწყებს ყველაზე დიად დღესასწაულს – ქრისტეს აღდგომას. დღეს ზეიმობს ეკლესია, სიხარულს დაუსადგურებია ყოველი ქრისტიანის გულში ამ ზემიწიერი სიხარულით აღვსილი სიყვარულით გილოცავთ:

ქრისტე აღდგა!

სიხარულს ხშირად წინ უსწრებს დიდი მწუხარება. ასე იყო მოციქულების დროსაც. მომხდარმა ისინი სულით ხორცამდე შეძრა. სულ სხვას ელოდნენ, მოვლენები კი სხვაგვარად წარიმართა. მათი იმედი და ნუგეში შეურაცხყვეს და ჯვარს აცვეს. ადამიანური ზიზღისა და სიძულვილის ქარიშხალმა გადაუარა იერუსალიმს; შემდეგ კი იქ, სადაც გააფთრებული ბრბო ბობოქრობდა, შემზარავი სიჩუმე ჩამოვარდა; დაცარიელდა თხემის ადგილი, მხოლოდ იესოს მახლობელნიღა ტრიალებდნენ ჯვრის შორიახლოს. დაიკარგა რწმენა, განქარდა იმედი, დარჩა ტანჯვა-წვალება და სევდა; და კიდევ სიყვარული, ჯერეთ დაუშრეტელი. შიშსა და სასოწარკვეთას მოუცავს მოციქულნი. უნუგეშოდ დარჩენილნი არ აპირებენ მაცხოვრის ბრძანებისამებრ გალილეაში გამგზავრებას, რადგანაც არ მოელიან შეხვედრას იქ მასთან, ვინც მათ თვალწინ ჯვარს ეცვა, ივნო და დაეფლა.

ო, რა სუსტი და მცირედ მორწმუნეა ადამიანი!

მოწაფეებმა მსწრაფლ დაივიწყეს თავიანთი მოძღვრის დარიგებანი, დაივიწყეს ის სასწაულნი, რომელთა მომსწრენიც თავად იყვნენ. მწუხარება და გულგატეხილობა დაეუფლა მათ... „და აჰა ძრვაჲ იყო დიდი“ და გარდამოხდა ზეცით სხივმოსილი ანგელოზი უფლისა, „ხოლო იყო ხილვაჲ მისი, ვითარცა ელვაჲ, და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი“ (მათ. 28, 2-3). და იქმნეს იგინი მოწმენი სახილველისა განსაკრთომელისა:

ქრისტე აღდგა!

აღორძინდა რწმენა მოციქულთა, განახლდა იმედი.

რა საოცარი და უჩვეულო ძალისაა ეს სიტყვები, ასე ხშირად რომ წარმოვთქვამთ ამ დღეებში:

ქრისტე აღდგა!

ქრისტეს აღდგომის მნიშვნელობა ამ მოვლენის სიდიადესა და განსაკუთრებულობაშია. იგია სასწაული სასწაულთა შორის, რომელიც კი ოდესმე უხილავს ან სმენია კაცობრიობას; იგია ქვაკუთხედი ქრისტიანობისა, რამეთუ „უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამაო არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი“ (1 კორ. 15, 17).

„დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!“

ზატიკის ამ ბრწყინვალე დღეებში ჩვენ წინაშე კვლავ მთელი სიმძაფრით დგება რთული, ზოგიერთისთვის გადაუჭრელი კითხვები, დასაბამიდან რომ აღელვებდა ადამის ძეს: ვინ ვართ, საიდან მოვედით, რისთვის ვართ მოწოდებულნი და საით მივემართებით.

„რაჲ არს კაცი, რამეთუ მოიჯსენე მისი, ანუ ძე კაცისაჲ, რამეთუ მოხედავ მას?“ – მიმართავს დავით წინასწარმეტყველი შემოქმედს (ფსალმ. 8, 5).

ეგებ ჩვენ ბუნების მხოლოდ შემთხვევითი გამოვლინებანი ვართ, ანდა ევოლუციის გარკვეული ეტაპის შედეგი და სხვა არაფერი?

ადამიანი ჯერ კიდევ უძველეს დროს მიხვდა, რომ მისთვის მთავარი იყო საკუთარი თავის შეცნობა. ამ გზით მავალმა თავის სულში აღმოაჩინა გაორება, ურთიერთდაპირისპირება: იხილა ხატი ღვთისა და ზნე ცხოველისა, იხილა სიდიადე და სიმდაბლე თვისი,

სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და სიძულვილი, იგრძნო მსხვერ-პლის გაღების დიდი უნარი და მის გვერდით ულმობლობა და უსაზ-ღვრო ეგოიზმი... იქნებ ამიტომაც იყო, რომ ძველმა ეგვიპტელებმა სფინქსი კაცის თავითა და ცხოველის ტანით გამოსახეს.

ადამიანი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საოცრებაა. საოცარია იგი არა მარტო როგორც სოციალური არსება, არა რო-გორც ნაწილი ბუნებისა, არამედ – როგორც პიროვნება, სულიერი პიროვნება. პიროვნება არ ნიშნავს ბუნებას ანდა მის ნაწილს; ადამი-ანი პიროვნებაა არა ბუნებით, არამედ – სულით. გარემოს გრძნობადი აღქმა მისი არსის, მისი ყოფის ერთი მხარეა. ამიტომაც არ არის სწორი ადამიანის შესწავლის მცდელობა მხოლოდ სომატური ან-თროპოლოგიის, ბიოლოგიის ანდა საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების მიხედვით. კაცი, უპირველეს ყოვლისა, ხატია ღვთისა.

აი, როგორ განიხილავს წმიდა გრიგოლ ნოსელი სამპირო-ვანი ღმერთის ბუნების ადამიანში განხორციელებულ საიდუმლოს: „ადამი, ქმნილება პირველი და არა შობილი, არს სახე დაუსაბამოისა მამა ღმერთისა, ყოვლისა მპყრობელისა და ყოვლისა მიზეზისა; ძე ადამისა შობილი – მსგავსი არს ძისა და ღვთისა სიტყვისა შობილისა, და ევა, გამოსული ადამისაგან (გარნა არაშობილი მისგან), არს სახე სულისა წმიდისა“ (არქიმანდრიტი კიპრიანე, წმიდა გრიგოლ პალამას ანთროპოლოგია, გვ. 157).

„ჩაუღრმავდი თავსა, შთაიხედე სულსა შენსა, ვითა სარკესა შინა; და ოდეს კეთილად განარჩევ იქ ყოველსა, შეიცნობ, რომ ხატი და მსგავსი ხარ ღვთისა. და ვითარცა ვერ იხილავ და ვერ უპოვი სახელსა უკვდავსა არსსა შენისა სულისასა, ეგრეთ მიუწვდომელ, შეუცნობელ და უკვდავ არს ღმერთი შენი“, – ვკითხულობთ იქვე (გვ. 159).

სხვა ადგილას წმიდა გრიგოლ ნოსელი წერს: ადამიანმა დაიკავა საშუალო ადგილი ღმერთსა და მის მდაბალ ქმნილებათა შორის, ამიტომაცაა იგი გაორებული: ნათელი გონებით ღვთაებრივ მშვენიერებას გვაგონებს, მგზნებარე ვნებებით კი – ცხოველს; ამით აიხსნება ის შინაგანი კონფლიქტი და დაპირისპირება, რისკენაც საერთოდ მიდრეკილია იგი.

ასე რომ, ხატება ღვთისა თითოეულ პიროვნებაშია, როგორც ჩამოყალიბებულ კანონთა წესი. იგი წარმოადგენს მისი ყოფის აუცილებელ პირობას, რომლის საშუალებითაც უნდა განხორციელდეს მსგავსება უფლისა. სწორედ ეს არის ადამიანის ცხოვრების მიზანი.

ხშირად სვამენ კითხვას: რატომ შექმნაო გამჩენმა კაცი მხოლოდ ხატად თვისა? უკეთუ იგი იქნებოდა სრულყოფილი არსება, უკეთუ მსგავსება მისი შეესატყვისებოდა ხატებას მისას, იგი იქნებოდა ღმერთი. ეს გზა კი ადამიანს გასავლელი აქვს. მისი თვითსრულყოფისა და ღვთისმიმსგავსების პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც ღვთაებრივმა, ისე კაცობრივმა საწყისმა, რასაც ჩვენ ორი საწყისის სინერგიას ვუწოდებთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვლინდება ჩვენში თავისუფალი ნება.

„რა გსურს, სულო ჩემო? – ეკითხება თავის თავს წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, – რა არის მოკვდავთა მიერ დაფასებული სიკეთეთაგან შენთვის მეტ-ნაკლებად ღირებული? ითხოვე რაიმე დიდებული და მიიღებ მას... გნებავს თუნდაც ქვანი პატიოსანნი, ველნი მშუენიერნი და კეთილნი, სიმრავლე ფარათა, ხართა და აქლემთა?.. იქნებ ტახტსა და მბრძანებლობას მიელტვი ან ხანმოკლე დიდებას, რადგანაც ხვალვე დაგამდაბლებენ, გყოფენ მორჩილად მაშინ, როდესაც განდიდების გზას შეუდგება ვინმე სხვა კაცი, თუნდაც შენი ყმა, ცოტა ხნის წინათ უბადრუკი მსახური შენი... ეგებ გსურს,

სულო, ჭეშმარიტების სახელით კანონებით ვაჭრობა (ანუ მათი უსამართლო განმარტება)?.. ნუთუ გონიერისა კაცისათვის აქვს მნიშვნელობა და ფასი მას, რომელი ჟამად არს და ჟამად განქარდების, მას, რაც მსახურებს ბოროტთაცა, და ვერას არგებს მიმავალსა იმა სოფლად“ (წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, 1, გვ. 223-224). აი, შედეგიც მიწიერი ბედნიერებისა:

„– სად-რა ვეძიო დიდებული სიტყვები ჩემი? – განიბნია ჰაერსა შინა.

– ხოლო იერი და ფერი ჩემი სიჭაბუკისა? – უკვალოდ გაქრა.

– გარნა დიდება? – იქმნა არარა.

– სიმტკიცე ჩემის სხეულისა სად დაიკარგა? – შემუსრა ჭირმა.

– ადგილ-მამული და სიმდიდრე ვის ხელში არის? – რომელნიმე მიითვალა უფალმან, სხვანი ბოროტ კაცთა დაისაკუთრეს“ (წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, 1, გვ. 79).

ცხოვრება ქრისტიანისა ჯვარისმტვირთველობაა. იგი ყოფნაა თვით ქრისტეში, სიყვარულია მოყვასის ბედნიერებისათვის მსხვერპლად გაღებული, გაცხადებაა სულისა და ძალისა, – როგორც ბრძანებს მოციქული პავლე (1 კორ. 2, 4). მთავარია, ადამიანი არ შეეჯიდოს იმ სიმძიმეს, მისთვის რომ არ არის განკუთვნილი; მთავარია, მან მიაგნოს თავის ჯვარს, რათა აკურთხოს იგი უფალმან და იყოს უღელი მისი ტკბილ და ტვირთი მისი სუბუქ.

რომ ვიყოთ ჭეშმარიტი მსახურნი ქრისტესი, უნდა გვესმოდეს ჯვრის ღრმა აზრი და დიდი ძალა. ჟამნში ვკითხულობთ:

„უძლეველო, ახოვანო, საღმრთო ძლიერებაო პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისაო, გარეშემიცევ და დამიფარე ცოდვილი ესე“.

თუ შენ შეძლებ ამ სიტყვების გულით მიღებასა და მათი დიდი

მნიშვნელობის შეცნობას, ვერავინ და ვერაფერი ვერ დაგამარცხებს, და სიცოცხლის ბოლოს შენც შეგეძლება თქვა: „ქრისტეს თანა ჯუარ-ცუმულ ვარ. ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე“ (გალ. 2, 19-20).

ჯვარი ჩვენი ძალაა განწმედის გზაზე. იგია უღონოთა ღონე, სუსტთა სიმტკიცე და ძლიერება, უძლურთა და სნეულთა მკურნალი, ცხოველმყოფელი, დაუშრეტელი წყარო, ფარი და მახვილი ხილული და უხილავი ბოროტი ძალის წინააღმდეგ.

თუ ვერ შევძლებთ ჩვენი ჯვრის ტარებას, თუ ვერ აღვუდგებით წინ ჩვენს ცოდვებს, ვერ დავძლევთ პატივმოყვარეობას, საკუთარი თავის სიყვარულს... და ტვირთით დამძიმებულნი დავეცემით, სულისა განსამტკიცებლად უნდა მივაპყროთ მზერა პატიოსანსა ჯვარსა მისსა, რომელიც ჩვენისა ცხოვნებისათვის გარდამოხდა ზეცით, ეწამა ჩვენთ-ვის... და აუცილებლად ვიგრძნობთ მის დახმარებას.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი, ვინც ქრისტეს მოძღვრე-ბას მიიღებენ, მოვალენი არიან იცხოვრონ ისე, რომ გააგრძელონ საქმენი კაცობრიობისათვის შეწირული უფლისა; უკეთუ გსურთ იყოთ ჭეშმარიტი მორწმუნენი, ღრმად დაუკვირდით ამ სიტყვებს: „რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსლვაჲ, უვარ-ყავნ თავი თჳსი, და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე“ (მარკ. 8, 34).

თავის უარყოფა ნიშნავს გათავისუფლებას მიწიერი მის-წრაფებებისაგან, ვიწრო ეგოიზმისა და ამპარტავნებისაგან (როცა პიროვნება ქედმაღლურად უყურებს და მხოლოდ იმის მიხედვით აფასებს ადამიანებს, თუ ვის რა სიკეთის მოტანა შეუძლია მისთვის), თავის უარყოფა ნიშნავს მსახურებას მოყვასისათვის.

მაგალითისათვის დავასახელებდი ღვაწლსა და შრომას ქა-რთველთა მეფის თამარისა, რომლის გამეფების 800 წლისთავს წელს ზეიმით აღნიშნავს ჩვენი ეკლესია და ხალხი. იგია სახე ჩვენი

ერისადმი შეწირული მოღვაწისა და დიდი ჯვარისმტვირთველისა.

სულთანმა რუქნადინმა გადაწყვიტა დაერბია გაძლიერებული საქართველო და აღეგავა იგი პირისაგან მიწისა. მან მეფე თამარს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

„...აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი, რათა აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგა ქვეყნისა, და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინა მომეგებოს, თაყუანისცეს ჩართსა ჩემსა; სასოება იგი თქუენი ჯუარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მოჰამედი აღიაროს“ (ლეონტი მროველი, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 93, თბ., 1959).

ხოლო დედოფალმან ასეთი პასუხი შეუთვალა:

„ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მოსავმან და პატიოსანისა ჯუარისა მვედრებელმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, რუქნადინო, და ვცან სიცრუვენი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს! შენ ოქროსა მევირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი წინამოგებებად შენდა. იყავნ ნება ღვთისა, ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი!“ (იქვე, გვ. 93-94).

სიმდაბლისა და მორჩილების ნიშნად წმიდა თამარი ფეხშიშველი წარუძღვა ლაშქარს ვარძიიდან ბასიანისკენ. ბრძოლის წინ აკუთრხა იგი პატიოსანი ჯვრით, დალოცა და თვით ოძრხეს შემოიქცა, სადაც დღე და ღამეს განუწყვეტელ ლოცვასა და გალობაში ატარებდა; მასთან ერთად ლიტანიობდა მთელი საქართველო.

და შეისმინა უფალმა ვედრება მხევლისა თვისისა. მუსულმანთა 400 000 მეომარი სამარცხვინოდ იძლია ქართველთა 100

000-იანი ქრისტესმოყვარე მხედრობისაგან, განიბნია და შეიმუსრა სიმრავლე აგარიანთა. გამარჯვებულმა ლაშქარმა მეფე თამართან ერთად ვარძიაში მადლობა შესწირა უფალს ხსნისათვის.

მემატიანე მრავალგზის მიუთითებს დედოფლის წმიდა ცხოვრებაზე, რომ იგი ვერ აცდუნა სიამემან ამა სოფლისამან, ვერცა სამეფო გვირგვინმან და სკიპტრამან, არცა ქვათა პატიოსანთა უხვად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან და ძლიერებამ... ვერ მიდრიკა სიმდიდრემან... რომ მან გამოიჩინა სიბრძნე სოლომონისებრი და ყოვლითა გულითა და გონებითა შეიყვარა და შეიტკბო უფალი; კაცს განაცვიფრებდა ღამეყოველ მღვიძარება მისი, ლოცვა, მუხლთდრეკა და ცრემლით ვედრება ღვთისა. ხშირად თამარი თავისი ხელით მოქსოვილს ან მოქარგულს ყიდდა და მის საფასურს გლახაკთ ურიგებდა – ღარიბებს თავისი შრომით ეხმარებოდა და არა მხოლოდ სამეფო შემოსავლიდან (იქვე, გვ. 79-81).

ისტორიკოსი ასევე გვაუწყებს, რომ თამარის დროს წირვა-ლოცვა შეუმოკლებლად აღესრულებოდა პალესტინის მონასტერთა ტიპიკონის მიხედვით, რომ სამეფო კარზე მყოფთაგან ლიტურღიას, მწუხრს, ცისკარსა და ჟამნს ვერავინ დააკლდებოდა.

წმიდა თამარ იქმნა ის ბრწყინვალე, დაუვალი ვარსკვლავი, რომელიც მარად უნათებს საქართველოს და ათბობს ყოველი ქართველის გულს.

ხშირად კითხულობენ: პიროვნებაში ბოროტების გაძლიერებით თუ იშრიტება ღვთის სიყვარული მისადმი? პასუხი ერთია: ღვთაებრივი სიყვარული ისეთი უსაზღვრო და უნაპიროა, იმდენად დიდი და ამაღლებულია, რომ ვერავითარი სხვა ძალა ვერ შეძლებს ამ სიყვარულსა და ადამიანს შორის ჩადგომას. მაინც როგორია ბოროტების არსი და რა დამოკიდებულება აქვს მას ადამიანთან?

საეკლესიო მწერალთა და ღვთისმეტყველთა აზრით, ბორო-

ტება არ არის საწყისი, თანაარსი სიკეთისა, იგი არარსია, უარყოფა ან ნაკლოვანება სიკეთისა, რამეთუ თავად ყოვლის მიზეზი, შემოქმედი, არის სრული სიკეთე, მშვენიერება და სიყვარული.

„ბოროტება არასოდეს ყოფილა და ვერც იქნება თავისი ბუნებით დამოუკიდებელი არსი, რადგანაც არა აქვს მას რაობა, ბუნება და თვითმყოფადი სახე, ძალა, სათვალავი და თვისება. იგი ბუნებრივი ძალების დაშრეტის შედეგია. ამ ძალების არასწორი, გაუაზრებელი მოქმედებაა“, – წერს ღირსი მამა მაქსიმე აღმსარებელი (მაქსიმე აღმსარებელი, კითხვა-მიგება თალასისა, საღვთისმეტყველო უწყებანი, 1916; გვ. 31-32).

გაუაზრებელი, უგონო ქცევის მსხვერპლის, დაცემული ადამის ძის, აღსადგენად თვით ღვთაებრივი სიყვარული განხორციელდა იესო ქრისტეს სახით, რათა ემცნო ხალხისათვის ღვთის ნება, და იმავ ხალხის ხსნისათვის გოლგოთაზე ასულიყო. ბოროტი ფიქრობდა, სიკვდილი დათრგუნავდა მას. მაგრამ მოხდა საპირისპირო რამ – ჯვარცმას მოჰყვა აღდგომა და ამაღლება და წინაშე ყოველთა ხილულთა და უხილავთა არსთა განბრწყინდა ყოვლისმძლეველი ძალა ღვთაებრივი სიყვარულისა.

ამ სიყვარულის ღირსი რომ გახდეს ადამიანი, აუცილებელია, მან სული განიწმიდოს ცოდვებისაგან. ჩვენდა საუბედუროდ, ხშირად ვადანაშაულებთ სხვებს, განვიკითხავთ მტრებს... ჩვენი მწუხარებისა და ტანჯვის მიზეზი კი ჩვენშივეა; უნდა გვახსოვდეს: როდესაც შინაგან სიმშვიდეს ვკარგავთ, ვკარგავთ სიმშვიდეს ჩვენ გარშემოც. ხსნის გზა ერთადერთია: სინანულის საშუალებით უნდა აღვიდგინოთ ჩვენს სულში დარღვეული ჰარმონია, წმიდა ზიარებით უნდა მივეახლოთ უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს, უნდა ვეცადოთ, დავიბრუნოთ ჩვენთა დიდთა წინაპართა რწმენა, სიყვარული, სასოება, თავმდაბლობა და, როგორც შედეგი ყოველივე ამისა, – სიწმიდეც. ჩვენმა სულმა

მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ყველა საფეხური უნდა გაიაროს, თვით ჯვარცმაც, რომ შემდეგ აღდგომილი და ამაღლებული იქცეს ღვთაებრივი სიყვარულის ტაძრად, სულიწმიდის სავანედ.

ჭეშმარიტი ღვთისმსახურება განუყოფელია სამშვიდობო მოღვაწეობისაგან. დღეს კაცობრიობა დიდი განსაცდელის წინაშეა. არ შეიძლება გულგრილად ვუყუროთ ხალხთა ტანჯვას, იმას, თუ როგორ იღვრება უდანაშაულო ადამიანების სისხლი, რა განლაღებულია ბოროტება; არ შეიძლება გავჩუმდეთ მაშინ, როდესაც მსოფლიოს ემუქრება ბირთვული ომის საფრთხე. მშვიდობაზე მხოლოდ ლაპარაკით ვერაფერს მივაღწევთ, საჭიროა გააზრებული აქტიური მოქმედება, რომ ავიცილოთ ომის საშიშროება.

ის მისია, რაც ეკლესიას აკისრია, არ აძლევს მას დამშვიდებისა და თვითკმაყოფილების უფლებას. ზოგიერთის აზრით, ეკლესია თავს არიდებს თანამედროვე მოთხოვნებს. აუცილებელი კია ვიცოდეთ მისი როლი დღევანდელ პირობებში, ვიცოდეთ, თუ სად არის ჩვენი, მორწმუნეების, ადგილი ამ მშფოთვარე მსოფლიოში; უეჭველია, იქ, სადაც ყველაზე მეტად უჭირთ, სადაც ყველაზე დიდი მწუხარება და ცრემლია, იქ, სადაც იბრძვიან მშვიდობის, თავისუფლების, ხალხთა და სახელმწიფოთა შორის სამართლიანი ურთიერთობისათვის.

განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანების მშვიდობისაკენ სწრაფვა მათ შორის პრაქტიკული თანამშრომლობის მრავალ მხარეს ავლენს. ამ მიზნის მთელი სიდიადე დამაჯერებლობით ცხადყოფს, რომ ასეთი ურთიერთობა არათუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიცაა.

საქართველოს ეკლესია აქტიურად უჭერს მხარს ქვეყნის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას.

„ყოველი რომელი გინდეს თქუენ, რაჲთა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ჰყვით მათა მიმართ“ (მათ. 7, 12); „ამით ცნან ყოველთა,

ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარობდეთ ურთიერთას“, – ბრძანებს უფალი (იოან. 13, 35). სიყვარული ღვთისა და მოყვასისა ყველა მცნებაზე მაღალი და ყოვლისმომცველია; ამიტომაც იგი უნდა იქცეს ჩვენი ცხოვრების საფუძვლად. როგორც შედეგი სიყვარულისა, ყველას მომადლებული გვაქვს სიხარულის განცდის უნარი და სხვებისთვის მისი გაზიარების სურვილი. სხვადასხვაგვარია სიხარული, განსხვავებულად გრძნობენ მას ადამიანები. ყოველი მნიშვნელოვანი საეკლესიო დღე სულიერი სიხარულის მომტანია, მაგრამ აღდგომის დღესასწაული მაინც სულ სხვაა; იგი ზეიმია ცისა და მიწისა, რადგანაც სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას ვგრძნობთ და განვიცდით.

თუ გვექნება რწმენა და სიყვარული, ღვთის მოწყალებით, ღირსნი გავხდებით იმ სიხარულისა, რომელსაც არა აქვს დასასრული. მთავარია, არ შევცდეთ, არ გადავუხვიოთ გადამრჩენელი გზიდან.

ღმერთო ძლიერო, შენ ხარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება; მუხლმოდრეკილნი გევედრებით, წარგვიძეღ გზითა შენითა მით იწროითა; მოწყალეო, მოგვმადლე სიბრძნე გულისა, რათა ვცნათ, რაი არს ჭეშმარიტი და ვემსახუროთ მას... უწყით, უფალო, სიცოცხლე ჩვენი წამისყოფაა, სიცოცხლე ჩვენი განსაცდელია ოდენ. უსასოთა სასოო, გეაჯებით, მოგვეახლენ, რათა არ დავინთქათ ზღვასა ცხოვრებისასა; ხელი შენი აღმადგინებელ გვეყავნ ჩვენ დაცემულთა; დავრდომილნი შეგივრდებით და ნუ განგუაგდებ, რამეთუ შენი ვართ, უფალო... და ღირს გვყვენ ჩუენ მარადიული ნეტარებისა, ვინაითგან ნიჭი და წყალობა უზენაესი ფრთეთა ქვეშე შენსა ყოფნაა, შენს მტილოვანში დამკვიდრებაა.

ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო! კიდევ ერთხელ გილოცავთ ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს; იხარეთ და გაახარეთ სხვანიც, ამაშია ადამიანის ნამდვილი ბედნიერება, „რამეთუ...

სასუფეველი ღმრთისაჲ... არს, სიმართლე და მშჳდობა და სიხარულ სულითა წმიდითა“ (რომ. 14, 17), ამინ!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1984 წ.

საშობაო ეპისტოლე

1985 წ.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სულიერ შვილებს:

„ყოვლითა დაცვითა დაიცევ გული შენი, რამეთუ ამისგან
გამოვლენ წყარონი ცხოვრებისანი“ (იგავ. 4, 23)

ყოვლადსამღვდელონო მიტროპოლიტნო, მთავარეპისკოპოსნო და ეპისკოპოსნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერნო და მონაზონნო, ღვთივკურთხეულნო სულიერნო შვილნო ჩვენი წმიდა ეკლესიისა, მკვიდრნო საქართველოჲსა და მცხოვრებნო მის ფარგლებს გარეთ! „მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, და სიყუარული ღმრთისა და მამისაჲ, და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ თქუენ ყოველთა თანა. ამინ“ (2 კორ. 13, 13).

აღსრულდა ძველი წინასწარმეტყველება წმიდა ესაიასი მაცხ-

ოვრის ამ სოფლად მოვლინებასთან დაკავშირებით: „აჰა ქალწულმან მუცლად იღოს და შვეს ძე, და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“ (ეს. 7, 14).

ახლად შობილი ყრმის, იესო ქრისტეს სახით ღვთაებრივი სიყვარული გადმოვიდა ქვეყნად, რათა ადამიანი საუფლო დიდების თანაზიარი გამხდარიყო. ღვთის განკაცების დიად საიდუმლოს ბოლომდე ვერასდროს შეიცნობს ჩვენი გონება. უფალმა განხორციელებით ცხადყო თვისი უნაპირო სიყვარული კაცთა მოდგმისადმი, სიყვარული, რომელი არს აღმადგინებელი, მკურნალი, შემაკავშირებელი, გადამრჩენელი. ბეთლემის გამოქვაბულის ბაგაში მწოლი ჩვილი მაცხოვარი მარადიული მაგალითია თავმდაბლობისა, მასწავლებელი თანადგომის, ძმობის, თანასწორობის, თანხმობისა და სიყვარულისა.

ამ სათნოებებით რომ შევიმოსოთ, ჯერ საკუთარ სულში ჩახედვა უნდა შევძლოთ, უნდა შევიცნოთ თავი თვისი; Nosce te ipsum, – როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ; ერთი შეხედვით, ეს იოლი საქმეა, მაგრამ სინამდვილეში მრავალთათვის ქცეულა იგი ლოდად შებრკოლებისა. ბრძენთ უთქვამთ: ადამიანში სამი პიროვნებაა: პირველი – როგორ წარმოიდგენენ მას სხვანი, მეორე – როგორი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე და მესამე – რასაც სინამდვილეში წარმოადგენს.

როდესაც მთელი სიმართლით დაინახავ საკუთარ შინაგან სახეს, უკვე იოლად გადაჭრი მრავალ საკითხს, ადვილად იპოვი შენს ადგილს ცხოვრებაში. საკუთარი თავის ძიების პროცესში აუცილებლად წამოიჭრება მარადიული კითხვები: ვინ ვარ, რატომ ვარ დედამიწაზე, რა არის ჩემი მოწოდება? ღვთისმეტყველთა განმარტებითა და ქრისტიანთა შეხედულებით, ადამიანი ღვთის იდეა და ქმნილებაა ამქვეყნად, ყველაზე სრულყოფილი, მაგრამ მაინც გან-

ვითარებადი. სრულქმნის პროცესი პიროვნების თავისუფალი ნებით იწყება დედამიწაზე და შემდეგ მარადიულ სამყოფელში გრძელდება. კაცს აქვს თავისი დანიშნულება საწუთროში და ღვთის ნების განსახორციელებლად გააჩნია კიდეც შესაბამისი სასიცოცხლო სწრაფვა და მოთხოვნილება, ოღონდ ამისთვის საჭიროა მთელი ჩვენი შესაძლებლობების გამოყენება, ნიჭისა და მადლის გამომზეურება.

„უფლის წყალობით, ყოველივე ისეა მოწყობილი, რომ თითოეული ადამიანი მონაწილეობს სულიერ წინსვლაში თავისი არჩევანის თანახმად. მარადიულ ცხოვრებას ვეზიარებით ღვთის კურთხევით, ოღონდ დამსახურებისამებრ. წინსვლა ხორციელდება არა მარტო შემოქმედის ნებითა და წყალობით, არამედ ადამიანის თანაქმედებითა (სინერგია) და ძალითაც. მსგავსად ამისა, ღვთის ნების სრულ განხორციელებას, თავისუფლებასა და განწმენდის მთელ სისავსეს მოვიპოვებთ არა მარტო ჩვენი შესაძლებლობებით, ძალითა და სიმტკიცით, არამედ სულიწმიდის შემწეობითა და მეოხებით“, – ვკითხულობთ ღირსი მამა მაკარი დიდის შრომებში (ვრცელი ეპისტოლე, გვ. 238).

მიზანს რომ მივაღწიოთ, ყოველი წუთი გონივრულად უნდა მოვიხმაროთ. დრო სწრაფწარმავალია; „აწმყო იმდენად ხანმოკლეა, რომ გვეჩვენება, საერთოდაც არ არსებობს იგი. თითქოს დაბადებამდევე დაასრულაო სიცოცხლე“, – წერდა სენეკა. ჩვენ კი არ ვაფასებთ დღევანდელ დღეს, ყველაფერს მერმისისთვის გადავდებთ ხოლმე; ბრძენი სოლომონი გვასწავლის: „ნუ იქადი ხუალისა დღისათჳს, რამეთუ არა უწყი, რასა შობს შემომსულელი დღე“ (იგავ. 27, 1).

ხშირად ისეც ხდება, რომ პიროვნება თავის უნარს ფუჭად ახმარს რაღაც წვრილმანებს, საკუთარი ნებით ეჯაჭვება მატერიალურ სამყაროს, წვალობს, იტანჯება. ტანჯვის მიზეზი კი ის არის, რომ დაკარგული აქვს სულიერობა, კავშირი მასთან, ვინც არის სიცოცხლისა

და სიხარულის მომნიჭებელი; თუ არ აღვზრდით ჩვენში სულიერ ფასეულობებს: ღვთის რწმენასა და მისგან გამომავალ სიკეთეს, არ ექნება აზრი და მიზანი ჩვენს ფიზიკურ ძალას, ჯანმრთელობას, გონებრივ განვითარებასა და თვით სიყვარულის უნარსაც კი. აუცილებელია პიროვნების სულიერი და ფიზიკური მონაცემების ჰარმონიული განვითარება და არა მისი ცალკეული შესაძლებლობების წინ წამოწევა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებთ ვიყოთ ღირსეული მემკვიდრენი ჩვენი დიდებული წინაპრებისა, რომელთა ღვაწლნი და საქმენი საამაყოდ გვაქვს მიჩნეული.

ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ ვიყოთ სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა არა მარტო მომხმარებელნი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, შემქმნელნი. ამ პრინციპით უნდა აღვზარდოთ ჩვენი შვილებიც.

მამათა და შვილთა დამოკიდებულების საკითხი რთულია. ზოგიერთი ფილოსოფოსი გამოთქვამს მცდარ აზრს, თითქოს, ახალი თაობა ძველის მიმართ ყოველთვის ქვეცნობიერი სიძულვილითაა განმსჭვალული. ეს ასე არ არის. ახალგაზრდის ფსიქოლოგია მყიფეა, სინდისი – თავანკარა წყაროსავით სუფთა; უყვარს სიმართლე, ეძიებს ჭეშმარიტებას, ესწრაფვის იდეალს, აღვსილია ენერგიით და მზადაა ბოროტებასთან საბრძოლველად; მაგრამ, როცა მშობლებში, პედაგოგებში და საერთოდ მათში, ვინც წვრთნიდა და არიგებდა, იდეალს ვერ იპოვის, ღიზიანდება, დრტვინავს და სიმკაცრეს იჩენს. იგი მოუმზადებელია ცხოვრებისათვის, ვერ ითვალისწინებს იმ დაბრკოლებებს, რაც ჩვეულებრივია მიწიერი ყოფისა და ადამიანთა ურთიერთობისათვის. ყოველივე ეს იწვევს უიმედობას, გულგატეხილობას... და ჩნდება ნაპრალი თაობათა შორის.

ყოველ ახალ თაობას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი აზრები, ინტერესები, რომელთაც ხშირად ვერ იზიარებენ უფროსები, მაგრამ

თუ მამებსა და შვილებს აკავშირებთ ერთი სარწმუნოება, ერთი მსოფლმხედველობითი პოზიციები, იდეალი და მიზანი, თუ უფროსები სამაგალითონი არიან, ცალკეულ შეხედულებათა სხვაობის მიუხედავად, შვილები მამათა საქმის ერთგული გამგრძელებელნი ხდებიან.

შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების სიჯანსაღის საზომი ახალგაზრდობაა. იგი ყოველთვის იყო და არის ყოფის უშუალო მონაწილე, დიად საქმეთა თანაზიარი. მისი ცხოვრების ჭეშმარიტების გზით წარმართვა აუცილებელია, რადგანაც ახალგაზრდები ერის სასიცოცხლო ძალას წარმოადგენენ.

ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები დაინტერესებულნი არიან სულიერი საკითხებით, ეძიებენ შინაგანი ფერისცვალების გზებს, მაგრამ გამოუცდელობით ზოგჯერ შეცდომა მოსდით. ამის გამოვლინებაა თუნდაც ის, რომ ამ ბოლო დროს ახალგაზრდობის ნაწილი გაიტაცა აღმოსავლურმა რელიგიებმა და მათგან გამომდინარე ისეთმა მიმდინარეობებმა, როგორიცაა ინდუიზმი, ბუდიზმი, იოგა, თეოსოფია, ანთროპოსოფია და სხვა.

ინდუიზმი მრავალღმერთიანობას აღიარებს, კაცს ღვთის ნაწილად სახავს, ხოლო მის აზროვნებას მხოლოდ ერთიანი მთელისგან მომდინარედ მიიჩნევს. ამ სწავლების მიხედვით, გაუგებარია, რატომღა არსებობს ცოდვა, რომლის გამოც ასე ხშირად ეწინააღმდეგება ადამიანი შემოქმედს, რა აზრი აქვს სულთა გადასახლებას, რაც მათი რწმენის შემადგენელი ნაწილია და სხვა.

ბუდიზმი უფრო მწყობრი მოძღვრებაა. თავის დროზე მან დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთის ქვეყნების სულიერ განვითარებაში, ჩაუნერგა რა ჩინეთის, ინდონეზიის, ტიბეტის, იაპონიის ბუნებით მებრძოლ ხალხებს აზრი მშვიდობის, მორჩილების, გულმოწყალების, სახიერების, ჭირში ურთიერთთანადგომის შესახებ. ბუდიზმი ადამიანს თუმც მოუწოდებს თავგანწირვისაკენ, სიყვარულისა და სიკეთისაკან,

მაგრამ ფაქტიურად უარყოფს ღვთის არსებობას, უარყოფს ადამიანის უკვდავი პიროვნული სულის იმქვეყნიურ ცხოვრებას.

თეოსოფიისა და ანთროპოსოფიის წარმომადგენლები ეყრდნობოდნენ აღმოსავლურ რელიგიებს და ცდილობდნენ მათთან შეეთანხმებინათ ქრისტიანობა. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. დღეს დასავლეთში ამ სახის ლიტერატურით ცოტა ვინმეღაა დაინტერესებული.

აღნიშნულ მიმდინარეობებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია, მაგრამ მათ ერთი რამ აკავშირებთ და აერთიანებთ. ესაა მეტად საშიში და არარეალური განდიდება პიროვნებისა, მასში ჩანერგვა აზრისა თავისი უნაპირო შესაძლებლობების შესახებ, რაც სინამდვილეში ადამიანთა სისუსტეზე თამაშია. მაგალითად, იოგას ერთგული მიმდევრისათვის უცილობელი ზეადამიანური შესაძლებლობების მიღწევა და მადლმოსილობის გამოვლინებაა, ის კი ავიწყდება, რომ სასწაული შეიძლება მოხდეს არა მარტო ღვთის შეწევნით, არამედ ბოროტი ძალითაც. გავიხსენოთ თუნდაც წმიდა მოსესა და მისი მოწინააღმდეგე ეგვიპტელ გრძნეულთა საოცრებანი და მოვიგონოთ მაცხოვრის სიტყვები: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს“ (მათ. 12, 39).

ქრისტიანული სწავლებით, წმინდანობა არ ნიშნავს სნეულთა განკურნვის, წინასწარმეტყველებისა და სხვა სასწაულთა მოხდენის აუცილებელ უნარს. წმიდა მამები ყოველთვის ერიდებოდნენ ამის მისაღწევად ზრუნვას, ანდა ამგვარი შესაძლებლობების ჩვენებას. მათთვის მთავარი სულიერი სრულყოფა – მოყვასისადმი თავგანწირული სიყვარულისა და ღმერთთან შესაძლებელი სიახლოვის მოპოვება იყო.

სასწაულმოქმედების ბოროტ ძალას იყენებს მაგია და ოკულტიზმიც, რათა თავის უძირო ჭაობში მიიზიდოს შეცდომილნი. „...ვაი

მათდა, რომელნი იტყჳან ბოროტსა კეთილად, და კეთილსა ბოროტად, რომელნი დასდებენ ბნელსა ნათლად, და ნათელსა ბნელად, და რომელნი დასდებენ მწარესა ტკბილად, და ტკბილსა მწარედ“, – წერს წმიდა ესაია წინასწარმეტყველი (ეს. 5, 20).

აღმოსავლურ რელიგიებში ადამიანის ღმერთამდე ამაღლებისა და თვით მასზე უფრო მეტად საკუთარი თავის განდიდებისაკენ სწრაფვა ეყრდნობა ჰიპნოთერაპიისა და ფსიქიკის უკიდურესად აღგზნების მეთოდს. იგივე საფუძველი უდევს ალკოჰოლით, მორფითა და სხვა გამაბრუებელი ნივთიერებებით ამ ცხოვრებისაგან განდგომის იდეას. განსხვავება ის არის, რომ აქ შედარებით გამარტივებული გზაა მოძებნილი, ყველასთვის ადვილად ხელმისაწვდომი საშუალებებია გამოყენებული, ოღონდ ამ მოჩვენებითი ნეტარებისთვის მსხვერპლად შენი და შენი შვილების ჯანმრთელობა უნდა გაიღო, სული უნდა გასწირო. ამ საწამლავით დაავადებულნი სჩადიან დანაშაულს, რომელიც თვითმკვლელობის ტოლფარდია და სულიწმიდის გმობას ნიშნავს. „ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა“ (მათ. 12, 31), – ბრძანებს მაცხოვარი.

ლოთები, ნარკომანები საკუთარი ხელით შეგნებულად ისპობენ უფლისგან მომადლებულ უნარსა და შესაძლებლობებს, რომელთა გონივრული გამოყენებითა და ყოველდღიური სულიერი შრომის წყალობით უნდა განეხორციელებინათ დიადი მიზანი – მოემზადებინათ სული მარადიული ნეტარებისთვის.

სამწუხაროდ, ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი ამ უმძიმესი ცოდვის მსხვერპლია, დღეს ისე, როგორც არასდროს, ადამიანები ეძიებენ იოლ გზებს მატერიალურ სიკეთეთა შეძენის მიზნით, იოლადვე უნდათ მიაღწიონ წინსვლას სულიერ ცხოვრებაშიც, მაგრამ სწორედ აქ ცდებიან; დაბნეულნი და შეცდომილნი სინათლის ნაცვლად ბნელის გავლენის ქვეშ ექცევიან და ეჩვენებათ უკუნი ნათლად.

„მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს... რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხჳთ კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი“ (იოან. 10, 9,1), – გვასწავლის ჩვენთვის ვნებული, დაფლული და მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი და გვეუბნება: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ“ (იოან. 8, 12). ამ გზით, ქრისტეს ერთადერთი გადამრჩენელი გზით, ვიდოდნენ ჩვენი წინაპარნი. მას უნდა შევუდგეთ ჩვენც და აღვასრულოთ მცნებანი მისნი. ამიტომაც აუცილებელია, ვიცნობდეთ წმიდა წერილს – ბიბლიას, რომლის მეოხებითაც უფალმა მოგვაწოდა ცოდნა ჩვენი მიწიერი ყოფის იმგვარად წარმართვისათვის, რომ ღირს ვიქმნეთ იმ ქვეყნად სასუფევლის დამკვიდრებისა.

ბიბლია არის როგორც ადამიანური, ისე ღვთაებრივი წიგნი, დაწერილი ღვთივგანბრძნობილ წმიდა კაცთაგან, რომელთა ბაგეებით თვით სულიწმიდა მეტყველებდა. მკითხველი ყოველი ავტორის ხასიათს, ცხოვრებისეული დაკვირვების სიღრმეს, მხატვრული აზროვნების უნარს, ეპოქას... ადვილად იგრძნობს. და მაინც ეს წიგნი, უპირველეს ყოვლისა, ღვთის ქმნილებაა, საუნჯეა ჭეშმარიტი ფასეულობებისა.

საღვთისმეტყველო განათლებისა და სულიერი წინსვლის მისაღწევად ასევე დიდმნიშვნელოვანია წმიდა მამათა: იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის, ეფრემ ასურის, იოანე დამასკელის, გრიგოლ პალამას, ანტონ დიდის, წმიდა თეოდორიტეს, წმიდა თეოფანეს, გიორგი მცირის, იოვანე ზედაზნელის, გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელთა, გრიგოლ ხანძთელის... და ყოველთა სხვათა დიდთა მოძღვართა ცხოვრებისა და შრომების გაცნობა. ისინი იყვნენ ბიბლიის არა მარტო შესანიშნავი მცოდნენი და შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებულნი, არამედ,

უპირველეს ყოვლისა, დიდი სულიერობით გამორჩეულნი, რადგანაც ათობით წელი ჰქონდათ გატარებული განმარტოებით ლოცვასა, მკაცრ მარხვასა და განდეგილობაში. შემდეგ კი მათ თავიანთი გამოცდილება გადასცეს მოწაფეებს და შრომებისა და წერილების სახით გაგვიზიარეს ჩვენ, ქრისტიანებს.

წმიდა მამათა სწავლანი მიზნად ისახავს ადამიანის ღმერთთან დაახლოებას, ნეტარებასა და წარუვალ სიხარულს. „გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ, კუალად გეტყვ: გიხაროდენ“ (ფილიპ. 4, 4), – გვარიგებს პავლე მოციქული.

განა შეიძლება ჩვენი სიხარული იყოს მუდმივი, როცა გარშემო ამდენი მწუხარება, გაჭირვება, ავადმყოფობა, გაღიზიანება და შფოთია, როცა სულ ახლოს ჩაივლის ხოლმე სიკვდილი და გრძნობ, მალე შენც შეგეხება? მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის იმ ადამიანს, ვინც მრავალჯირნახული ცხოვრება განვლო და მოწამებრივად აღესრულა. სწორედ იგი, ქრისტიანობის ქადაგებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამაშვრალთაგანი, დაჟინებით და თანაც არაერთხელ მოგვიწოდებს მარადიული სიხარულისკენ, იმ სიხარულისკენ, რომელსაც ვერავითარი მიწიერი განცდა ვერ განაქარვებს, იგი იესოს შობით მოენიჭა კაცთა მოდგმას.

„გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა, რამეთუ იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა“ (ლუკ. 2, 10-11). – ამ სიტყვებით მიმართა ანგელოზმა შობის ღამეს ბეთლემელ უბრალო მწყემსებს. თითქმის ოცი საუკუნეა, რაც კაცობრიობა ისმენს ზეციურ უსხეულო ძალთა საგალობელს, პირველად იმ იდუმალ ღამეს რომ მოეფინა დედამიწას: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“ (ლუკ. 2, 14). ამ ხნის მანძილზე დიდი ძვრები მოხდა ადამიანთა სამყაროში, შეიცვალა პიროვნება, მისი

შეხედულებანი სულიერ და მატერიალურ ფასეულობებზე, მაგრამ უცვლელი და ჩვენთვის ახლა უფრო აუცილებელი გახდა ანგელოზთა ამ სადიდებლის მოწოდება მშვიდობისა და ურთიერთსიყვარული-საკენ, რადგანაც დღეს მსოფლიო თავისი არსებობის მეტად საშიშ პერიოდში შევიდა. მეცნიერება და ტექნიკა დიდი ტემპით მიიწევს წინ; თუ არ მოხდა პიროვნების გონიერი და სულიერი საწყისის შე-საბამისი სისწრაფით განვითარება, სიცოცხლე ქვეყნად ბირთვული კატასტროფის საბედისწერო საფრთხის წინაშე დადგება.

გვწამს, უფალი და ხალხის კეთილი ნება არ დაუშვებს, რომ ჩვენი აყვავებული დედამიწა ნაცარტუტად იქცეს.

ქრისტესმიერნო დანო და ძმანო!

სულიერი სიხარულით აღვსილი, გულითადად მოგესალმებით და მოგილოცავთ ქრისტეს შობის დიად დღესასწაულს. დაე, ყოვლის-შემძლე ღმერთმა არ მოგიშალოთ მშვიდობა, ჭეშმარიტი სიყვარული და სიხარული მარადიული.

„მოწყალებანი და სარწმუნოებანი ნუ მოგაკლდებიან შენ; შეიბნ იგინი ყელსა შენსა და დაწერენ იგინი ფიცართა გულისა შენისათა და ჰპოო მადლი წინასწარგანზრახვად კეთილისა წინაშე ღმრთისა და კაცისა“ (იგავ. 3, 3-4).

გწამდეთ, არა ხართ მარტო; გიხაროდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

ქრისტეს შობა
თბილისი, 1985 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1985 წ.

ღვთივკურთხეულნო და ღვთისსაყვარელნო ივერნო, ძენო
და ასულნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა:

„მცირედითა ჟამითა დაგიტევე შენ, მაგრამ დიდითა
წყალობითა შეგიწყნარებ შენ“ (ეს. 54, 7).

ღეს მსოფლიო სიხარულის დღეა, დღესასწაულობს სიცოცხლე, სიკვდილისა დამთრგუნველი, და ამიტომაც უფრო მეტად გულში ჩამწვდომი და საზეიმოა წინასწარმეტყველი ოსიას სიტყვები: „სადა არს ძლევაჲ შენი, სიკუდილო? სადა არს საწერტელი შენი, ჯოჯოხეთო?“ (ოს. 13, 14).

სიკვდილი დაემხო: ჯოჯოხეთი შეიმუსრა;

ქრისტე აღდგა!

აღდგომილი უფალი დღეს შედის ყოველ სახლში და რეკავს კარზე ჩვენი გულისა, რათა მოგვმადლოს მშვიდობა და სიხარული, რაც ასე მტკივნეულად გვაკლია და რასაც ვესწრაფვით.

ყური მიუპყარ, შვილო ჩემო, ამ მშვიდ ხმას, განმარტოვდი მასთან და გულისხმაყავ ყოველი. იგი მოვიდა შენთან. ის შენ გვერდითაა; გაუღე გული, რათა დაივანოს იქ და გაგათბოს თვისითა ღვთაებრივითა სიყვარულითა.

უფალს მყუდროება უყვარს, შინაგანი სიმშვიდე და წმიდა გული. „მშვიდობა თქვენდა“, – ასე მიმართავს იგი თითოეულ ჩვენგანს. მიიღე, შვილო, ეს წყალობა, ქრისტეს ეს ნათელი და გიხაროდენ, რადგან ხანგრძლივი განშორების შემდეგ კვლავ ინება მან შენთან შეხვედრა და საუბარი. ისმინე და დაიმახსოვრე მისი სიტყვები: „აჰა ესერა მე გამცნებ შენ, განძლიერდი და მჴნე იყავ, ნუ შეძრწუნდები, ნუცა გეშინინ, რამეთუ მე შენთანა ვარ უფალი ღმერთი შენი ყოველსა ადგილსა ვიდრეცა ხჳდოდი“ (იესო. 1, 9).

აღდგომილი მაცხოვრის მიერ მოფენილი მშვიდობა მომცველია ყოვლისა სიკეთისა: კურთხევისა, ღვთის მოწყალებისა, ცოდვათა მიტევებისა, განმართლებისა, სიმშვიდისა, სიხარულისა, მარადიული ცხოვრებისა... მოციქული პავლე ამის შესახებ ბრძანებს: „აწ უკუე განმართლებულ ვართ სარწმუნოებითა და მშჳდობაჲ გუაქუს ღმრთისა მიმართ უფლისა ჩუენისა მიერ იესუ ქრისტესა“ (რომ. 5, 1).

მშვიდობა ღმერთთან ნიშნავს მშვიდობას საკუთარ თავთან და მოყვასთან.

ბრძენთ უთქვამთ: ბუნებით კაცნი ახლობელნი არიან ერთურთისა, თუმცა თვისებანი განაშორებენ მათ. დიად სახეს ფორმა არა აქვს.

ალბათ ამიტომაა ძნელი ადამიანის შეცნობა, იგი ხომ ღვთის ხატადაა შექმნილი. ალბათ ამიტომ მიაჩნდათ ფილოსოფოსებს უდიდეს სიბრძნედ საკუთარი შინაგანი მრავალფეროვანი სამყაროს შესწავლა, რადგანაც სხვა რომ შეიცნო, პირველ რიგში შენს თავს უნდა იცნობდე კარგად.

სული და სხეული – აი, ჩვენთვის ცნობილი ადამიანის შემადგენელი ნაწილნი. სულ ეს არის, თუ კიდევ სხვაც რაიმეა ჯერაც მიუკვლეველი ჩვენთვის? როგორ ავხსნათ, მაგალითად, აზროვნების უნარი, რა არის სიცოცხლე, რას წარმოადგენს გონება, გული?

ასე წერდა გულის შესახებ ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნეში ჩინელი მოაზროვნე სიუნ-ძი: „გული მპყრობელია სხეულისა, განმგებელია სიბრძნისა. იგი მბრძანებლობს, თვით კი არავის ემორჩილება; ის კრძალავს ან აიძულებს რაიმეს იმოძრაოს, აღძრავს სურვილს მითვისებისას, აღებისას, მოქმედების ან გაჩერებისას. ამიტომაც შეგვიძლია, ჩვენი ნებით დავიდუმოთ ენა ან ვილაპარაკოთ, სხეული მოვხაროთ ან გავშალოთ. გულს ვერ დააშინებ, ვერ შეაცვლევინებ გადაწყვეტილებას. იგი იღებს მხოლოდ მას, რაც მართებულად მიაჩნია და განაგდებს, რაც მისთვის შეუწყნარებელია“ (ძვ. ჩინური ფილოსოფია, ტ. II, მ. 1973, გვ. 186).

ასე რომ, ადამიანი სამყაროს განსაკუთრებული მოვლენაა, დაჯილდოებული აზროვნებითა და სხვა ღვთივმიმადლებული უნარით. მისი მიზანი და დანიშნულება ღმერთში ცხოვრება და ნეტარი მარადიულობის მოპოვებაა.

კაცი შემოქმედის განსაკუთრებული ქმნილებაა, უკვდავებას ზიარებული. უკვდავება მისი სულის თვისება არ არის მხოლოდ, არამედ სხეულისაც, რომელიც მაცხოვრის მეორედ მოსვლის ჟამს უნდა აღდგეს.

წმიდა მღვდელმოწამე მეთოდე ამბობს: სწორი არაა სულის

განდიდებისათვის ხორცის დამცირება. სამოთხეშიც სხეული ჰქონდა ადამიანს; თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მომაკვდინებელი ვნებანი სწორედ ხორცში ისადგურებენ.

ამგვარად, როცა ხორცს ვთრგუნავთ, ამით სხეულს კი არ ვგვემთ, არამედ ვებრძვით მასში ცოდვის გამო დაბუდებულ ბოროტ ვნებებს. თავისთავად კი განწმენდილი და განსპეტაკებული სხეული იმდენად მშვენიერი და სათნოა, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტეს განხორციელების შემდეგ იგი წმიდა სამების სიდიადეში დაემკვიდრა.

ადამიანი უმშვენიერესი წმიდა სახეა შემოქმედისა, ხატებაა ღვთისა. ამიტომაა იგი გონიერი და უკვდავი. მსგავსება კი თვითონ უნდა მოიპოვოს თავისუფალი ნების წყალობით, რაც, წმიდა მამათა სწავლებით, ცოდვებისაგან თავის შეკავებას გულისხმობს. ყველას გვმართებს დაუღალავი ზრუნვა ჩვენში ღვთის ხატების შენარჩუნებისა და მასთან მსგავსების მიღწევისათვის.

კაცთა მოდგმის ცოდვით დაცემის შემდგომი მთელი ცხოვრება დაპირისპირებაა ბოროტსა და კეთილს შორის. რაკი ბოროტი ძალა ღვთის წინაშე უძლურია, იგი ებრძვის ადამიანს, როგორც შემოქმედის უძვირფასეს ქმნილებას. ამიტომაც იქცა კაცი ცოდვის სუბიექტად და ობიექტად. სამწუხაროდ, ჩვენი ბუნებითი კანონი სიკეთისა, ჩვენი ნების სისუსტის გამო ხშირად ვერ სძლევს ხოლმე მაცდურის ზრახვებს. უკეთურებისაგან თავის დაღწევისათვის ერთადერთი ნუგეში და იმედი მაცხოვარია, ჩვენი ხსნისათვის ამქვეყნად მოვლენილი, „რამეთუ შჯულმან სულისა ცხორებისამან ქრისტე იესუ‌ს მიერ განმათავისუფლა მე შჯულისა მისგან ცოდვისა და სიკუდილისა“ (რომ. 8, 2).

სად და როგორ ხდება ეს გათავისუფლება?

ქრისტეს საქმეს, სულის ხსნისა და გადარჩენის საქმეს ემსახურება ქრისტეს ეკლესია, რომელიც მუდამ იყო, არის და იქნება

ჩვენი განმანათლებელი და განმაბრწყინებელი უძლეველი ძალა. ლოცვითა და ადამიანის ცოდვილი ბუნების საიდუმლო განახლებით იგი ასრულებს თავის დიად მოვალეობას. ეკლესიის გარეშე სულის გადარჩენის მოიმედენი მწარედ ცდებიან.

მაინც რა არის სიკეთე ან ბოროტება, ასე გამუდმებით რომ ებრძვიან ერთმანეთს და რა მონაწილეობას იღებს ადამიანი მათ დაპირისპირებაში?

ბიბლიაში შესაქმის დამთავრების შემდეგ ვკითხულობთ: „და იხილა ღმერთმან ყოველნი, რაოდენნი ქმნა, და აჰა კეთილ ფრიად“ (დაბ. 1, 31).

სიკეთის ერთადერთი წყარო და სათავე ღვთაებრივი სიყვარულია. იგი „სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა შურნ, სიყუარულნი არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხვნელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა; ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყუარული არასადა დავარდების“ (1 კორ. 13, 4-8).

წმიდა ისააკ ასური კი წერს: „ღვთაებრივი სიყუარული ესე არს სამოთხე ზეციური, ხე ცხოვრებისა, სუფევა უფლისა, ღვინო, რომელი „ახარებს გულსა კაცისასა“ (ფსალმ. 103, 15); შესვეს იგი განლაღებულთა – და შეიმოსეს კდემა, იგემეს ცოდვილთა – და განუდგნენ გზასა ბოროტისასა, იხილეს გემოჲ მისი უჯეროდ ღვინის მსმელთა – და მმარხველ იქმნენ, მიიღეს მდიდართა – და შეიყვარეს სიგლახაკე, შესვეს უბადრუკთა – და აღივსნენ იმედითა, დალიეს უძლურთა და განძლიერდნენ, იგემეს უმეცართა – და შეიძინეს სიბრძნე“ (ისააკ ასური, სიტყვა 83).

„სიყვარული არის საძირკველი, წყარო და დედა ყოველთა კეთილთა“, – ბრძანებს იოანე ოქროპირი.

მაშ, საიდან მოვიდა ამ ფრიად „კეთილად“ ქმნილ, ღვთის სიყვარულით სავსე სამყაროში ბოროტება? როდის ან როგორ დაიძლევა იგი?

წმიდა მამების განმარტებით, ბოროტება არარსია, არ წარმოადგენს სუბსტანციას. ადამიანმა ბოროტად გამოიყენა მინიჭებული თავისუფლება და ღვთის მცნების საპირისპირო გზას დაადგა. თავისთავად ბოროტებას არა აქვს თვითმყოფადი სახე. იგი არ არის სულდგმულთა და საგანთა ბუნება, რადგანაც ყოველივე ღვთისგან შექმნილი თავისთავად კეთილია.

ესა თუ ის არსება ან საგანი ბოროტად იქცევა მისი არასწორი გამოყენების გამო. ამდენად, ყოველი ბოროტება ბოროტმოქმედებისაგან მომდინარეობს. ბოროტება ცოდვაა, სიკეთის ნაკლებობაა.

წმიდა დიონისე წერს: „ბოროტსა არარაისა ძალუძს ქმნა, მხოლოდ ნგრევა და რღვევა არსებულისა“. ამიტომაც დიდი შეცდომაა მასში რაიმე მნიშვნელოვანის ანდა შემოქმედებითი საწყისის დანახვა. ბოროტება არაფერს არ ქმნის, იგი არღვევს მხოლოდ.

– რატომ არის ცოდვა ასე მიმზიდველი? – ჰკითხეს ერთხელ ბასილი დიდს.

– ცდებით, მეგობარნო, – უპასუხა წმიდა მამამ, – მომხიბლავი მისი სამოსელია, თვით იგი კი არასოდეს ყოფილა მიმზიდველი.

ცოდვა არის საფუძველი პირველი და მეორე სიკვდილისა; ანუ საბაბი როგორც ფიზიკური სიკვდილისა, რომელიც ყოველი კაცის ხვედრია, ისე მიზეზი სულიერი სიკვდილისა, როცა სული მარადიულ ნეტარებას კარგავს და ჯოჯოხეთში მკვიდრდება. ამავე დროს, ცოდვა არის ადამიანსა და ღმერთს შორის და კაცთა შორის უთანხმოებისა და შუღლის მიზეზი.

„ერთისა მის კაცისათჳს ცოდვაჲ სოფლად შემოჴდა და ცო-

დვისა ძლით – სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს“ (რომ. 5, 12), – წერს პავლე მოციქული. ყოველივე დამოკიდებულია ამქვეყნად ადამიანის თავისუფალ ნებაზე; რომელ გზას აირჩევს იგი: კეთილ საწყისს, თუ ბოროტების მოჩვენებითი მომხიბვლელობა ჩაითრევს თავის მორევში.

ნეტარი ავგუსტინე პირველი ადამიანის ზნეობაში ორ მდგომარეობას გამოყოფდა: „უცოდველობის შესაძლებლობას“ და „ცოდვის შეუძლებლობას“. მისი განმარტებით, სამოთხის მკვიდრთა „უცოდველობის შესაძლებლობის“ მდგომარეობა გამუდმებული სიკეთის ქმნადობით უნდა გადაზრდილიყო „ცოდვის შეუძლებლობაში“, მაგრამ ყოველივე ეს მოისპო ადამ და ევას მიერ ღვთის მცნების დარღვევის გამო.

თუ პირველ ადამიანს შეეძლო „უცოდველობის შესაძლებლობიდან“ „ცოდვის შეუძლებლობამდე“ ამაღლება, ჩვენ იესო ქრისტეს მეოხებით მოგვენიჭა ცოდვილი მდგომარეობიდან სულიერი განწმედით „უცოდველობის შესაძლებლობამდე“, ანუ სამოთხის ადამამდე ამაღლების საშუალება.

სამწუხაროდ, დღევანდელი ადამიანი ხშირად ვერ აფასებს ცოდვის სიმძიმეს და ანგარიშს არ უწევს მის შედეგებს. ზოგჯერ ისეც კი ფიქრობენ, თითქოს ცოდვა საერთოდ არ არსებობს, რომ ამ სახელს ვუწოდებთ ადამიანის ბუნებრივ თვისებებს. ამგვარად მოაზროვნენი ჭეშმარიტებისაგან შორს დგანან და თავს მეორე სიკვდილისათვის ამზადებენ. ბოროტება სიკეთის ნაკლებობა კი არ არის მხოლოდ, არამედ მისადმი სრული დაპირისპირება, არა ნაწილობრივი დარღვევა კანონისა, არამედ მთლიანად უარყოფა მისი. „ცოდვაჲ იგი არს უშჯულოებაჲ“ (1 იოან. 3, 4), – ბრძანებს იოანე ღვთისმეტყველი.

თავისი ცხოვრების მანძილზე ადამიანი ჩვენთვის ხშირად აუხსნელ ციკლს გადის, რაც გულისხმობს დაცემასა და ამაღლებას,

დამარცხებასა და გამარჯვებას, იმედის გაცრუებასა და სასოებას, ამ რთული პროცესის მიზანი სულის ხსნა და მეორე ცხოვრების მოპოვებაა.

ყოველი განვლილი დღე მარადიულობის კარიბჭესთან, სიკვდილის იდუმალებასთან გვაახლოებს. სხვადასხვანაირად ხვდებიან ადამიანები ამ უმნიშვნელოვანეს მომენტს. ნაწილს მიაჩნია, რომ სიკვდილთან ერთად არსებობაც მთავრდება და შემდეგში მიმდინარეობს მხოლოდ ქიმიურ ელემენტებად დაშლის პროცესი. ამიტომაც ესწრაფვიან ცხოვრებისაგან ყოველივეს მიღებას, თუმცა ბოლომდე ვერც ამას აღწევენ. სხვანი შეძლებისდაგვარად ემზადებიან სიკვდილისა და ახალი ცხოვრების დაწყებისათვის; რწმენითა და სიყვარულით აღვსებულთ მუდამ ახსოვთ მოციქულის სიტყვები: „ღმერთი სიყუარული არს და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა“ (1 იოან. 4, 16). ამიტომაც გულმოდგინედ ცდილობენ შეუდგნენ „სიმართლესა, ღმრთის მსახურებასა, სარწმუნოებასა, სიყუარულსა, მოთმინებასა, სიმშჳდესა“ (1 ტიმ. 6, 11), რათა აღასრულონ წმიდა პავლეს დარიგება: „მოიღუაწე ღუაწლი იგი კეთილი სარწმუნოებისაჲ“ (1 ტიმ. 6, 12).

როცა მეორე სიცოცხლეზე საუბრობს უფალი, ასე გვაფრთხილებს: „იწრო არს ბჭჱ და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხორებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოვებენ მას“ (მათ. 7, 14).

გადის თვეები, წლები... დიდთა და მცირეთ, ჩინებულთა და უჩინოთა, ბოროტთა და კეთილთ – ყველას დაუდგება მიწიერ ყოფასთან განშორების დღე. გარდაცვალება სინამდვილეში ხელახალი შობაა სხვა სამყაროში. ბედნიერი ხარ, თუ ეს სიტყვები შენც შეგეხება: „ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ დღეს, სულო, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მოგელის შენ“ (კურთხევანი).

მტკივნეულია ახლობელთან განშორება, მაგრამ ცრემლებისა

და მწუხარების მიღმა უნდა დავინახოთ ნათელი დაუღამებელი, რომ-ლითაც მოცულია განსვენებულის სული; უნდა დავინახოთ ქრისტეს მიერ სიკვდილის ძლევა.

გულდასმით უნდა ვიკითხოთ დიდებულთა და ღვთის სათნო ჩვენთა წინაპართა ისტორია, საფუძვლიანად უნდა გავეცნოთ წმი-დათა ცხოვრებებს, რათა ვისწავლოთ, როგორ განვლიოთ საწუთრო და როგორ შევხვდეთ აღსასრულს.

მორწმუნისათვის სიკვდილის საიდუმლო იმავე თავისუფლე-ბის, მარადიული სიყვარულის საიდუმლოა.

ახლა ბევრი მიიჩნევს თავს მორწმუნედ, აღიარებს სულის უკვდავებას, მაგრამ მაინც არ ძალუძს, გული მთლიანად მიუძღვნას უფალს.

გვხვდებიან ისეთნიც, მიწიერ განსაცდელს რომ ვერ უძლე-ბენ და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს. ამ საშინელი აქტით ისინი უარს აცხადებენ იმ მიზნის განხორციელებაზე, რისთვისაც ამქვეყნად მოივლინნენ, უარს ეუბნებიან უფალს თავიანთი ვალის აღსრულებაზე. თვითმკვ-ლელთათვის ლოცვაც არ შეიძლება, არც პანაშვიდის გადახდა და წესის აგება.

იცოდეთ, შემოქმედი იმაზე მძიმე ჯვარს არ გარგუნებთ, რისი ტარებაც თქვენ არ შეგიძლიათ. სიმშვიდითა და სიმდაბლით მიიღეთ ცხოვრების ტვირთი და მუდამ გახსოვდეთ: ყველაზე მეტად სულს სჭირდება გაფრთხილება; მასზე ძვირფასი არა არის რა კაცისათ-ვის. იგი განსაზღვრავს ჩვენი მარადიული სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, ამიტომაც ბრძანებს მარკოზ მახარებელი: „რაჲ სარგებელ არს კაცისა, უკუეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული თჳსი იზღვიოს“ (მარკ. 8, 36). ჭეშმარიტად, მთელი ქვეყნის სიმდიდრეც არ არის ერთი სულის ფასი.

ცხოვრებას სურს გაგთელოს; მისთვის სულერთია, დიდი ხარ თუ პატარა, მეცნიერი თუ უბრალო მუშა, მაგრამ გახსოვდეს, შენ გვერდით უხილავად მუდამ დგას უფალი, გამხნევებს და გეუბნება: „მე ვარ ღმერთი შენი, მპყრობელი მარჯუენისა შენისა, რომელმან გარქუ შენ: ნუ გეშინინ, რამეთუ შეგეწიო შენ“ (ეს. 41, 13).

მთავარია, ვიცოდეთ, ვართ თუ არა მზად ღმერთთან შესახვედრად, ღია არის თუ არა ჩვენი გული იესო ქრისტესათვის, შეგვიძლია თუ არა წარმოვთქვათ მეფე დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „უფალმან მმწყსოს მე და მე არაჲ მაკლდეს. ადგილსა მწუანვილსა მუნ დამამკვდრა მე; წყალთა ზედა განსასუენებელთასა გამომზარდა მე. მოაქცია სული ჩემი და მიძღოდა მე გზათა სიმართლისათა სახელისა მისისათჳს. ვიდოდი ღათუ შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა ხარ; კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან – ამათ ნუგეშინის-მცეს მე. განჰმზადე წინაშე ჩემსა ტაბლაჲ წინაშე მაჭირვებელთა ჩემთა; განაპოხე ზეთითა თავი ჩემი და სასუმელმან შენმან დამათრო მე ვითარცა ურწყულმან“ (ფსალმ. 22, 1-5).

ძალიან ხშირად მწუხარების გზით მივდივართ უფალთან. ამიტომაც ამბობს ანტონი დიდი: შეიყვარე განსაცდელი, რათა შეიძინო ღმერთი. ქრისტესთან ყოფნა, ცხოვრება მასში, სიცოცხლის აზრის მიგნებას ნიშნავს. სიცოცხლის აზრი – თავგანწირული სიყვარულია.

ხშირად გვიჭირს, ვიტანჯებით უსამართლობით, ძალადობით, გაუტანლობით; განა ცოტაა შემთხვევა, როცა ჩვენც ვცრუობთ, თვალებში ვუყურებთ მოსაუბრეს და მაინც ვატყუებთ; ვატყუებთ მიუხედავად იმისა, რომ ვგრძნობთ, მსმენელს არა სჯერა ჩვენი... ცუდი ზნე დაგვჩემდა. ჩვენი მამა-პაპანი, ალბათ, არ იყვნენ ჩვენსავით განათლებულნი, მაგრამ მათ ჰქონდათ უბრალოება და სიწმინდე.

მათი სიმარტივე ანათებდა, იზიდავდა და ათბობდა სხვათაც; ერთმანეთსაც კარგად უგებდნენ და ყურის დაგდებაც შეეძლოთ, შეეძლოთ სმენა თვით სიჩუმისა.

მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, მაგრამ ისინი სერიოზულ საფრთხესაც ქმნიან დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობისათვის. გამალებული შეიარაღება შთანთქავს აურაცხელ თანხებს, რისი გამოყენებაც ცხოვრების ნორმალური პირობების შენარჩუნებისათვის გაცილებით საჭირო და აუცილებელი იქნებოდა.

ძალები სიკვდილისა ძლიერია, ხოლო სიცოცხლისა და სიყვარულისა – უძლიერესი. ბოროტების სიმტკიცე მოჩვენებითია, უძლურია სიკეთის წინაშე.

წელს ჩვენი ხალხი ზეიმით აღნიშნავს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავს. რამდენი სიცოცხლე შეიწირა ამ ომმა, რამდენი მწუხარება, ცრემლი და გაჭირვება დაატეხა თავს ყოველ ოჯახს. ამიტომაც კარგად გვესმის მშვიდობის ფასი. ჩვენი ხალხი და მათ შორის საქართველოს ეკლესია ყველაფერს გააკეთებს მის შესანარჩუნებლად. „უნდა ვიბრძოლოთ ომის წინააღმდეგ, ვიდრე იგი არ დაწყებულა. ისტორიის ეს გაკვეთილი, როგორც არასდროს, აქტუალურია დღეს, ბირთვული იარაღის საუკუნეში“ (მსოფლიო მშვიდობის საბჭოს პრეზიდიუმის დეკლარაცია, მოსკოვი, მარტი, 1985 წ.).

ეკლესიაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. იგი ხომ სულიერ ღირებულებათა მცველია და მოწოდებულია ადამიანის უფალთან შეხვედრის მომზადებისთვის; „მშვდობასა შეუდეგით ყოველთა თანა და სიწმიდესა, რომლისა თჳნიერ ვერვინ იხილოს უფალი“ (ებრ. 12, 14), – გვარიგებს პავლე მოციქული.

ძმანო და დანო ჩემნო, ზემიწიერი სიხარულით აღვსილი,

ერთხელ კიდევ გულითადად მოგილოცავთ ქრისტეს აღდგომის დიად დღესასწაულს.

დაე, ღვთაებრივი სიყვარულის უშრეტი წყაროდან გარდამოიღვაროს ჩვენს გაციებულ გულებში რწმენა, სიყვარული, იმედი და, აქედან გამომდინარე, – სიხარული და მშვიდობა. უფალი გვაფრთხილებს: „უსამართლოჲ იგი უსამართლოებდინ ჯერეთ, და შეგინებული შეიგინებოდენ ჯერეთ, და მართალი სიმართლესა იქმოდენ ჯერეთ, და წმიდაჲ იგი წმიდა-იქმნებოდენ ჯერეთ. და, აჰა ესერა, მოვალ ადრე, და სასყიდელი ჩემი ჩემ თანა მიგებად თითოეულსა, ვითარცა საქმე მისი იყოს (გამოცხ. 22, 11-12). „იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკუდილადმდე, და მოგცე შენ გჳრგჳნი იგი ცხორებისაჲ. რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ... რომელმან სძლოს, არაჲ ევნოს მას სიკუდილისა მისგან მეორისა“ (გამოცხ. 2, 10-11).

ღმერთმა დაგლოცოთ და დაგიფაროთ მეორე სიკვდილისაგან.

ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1985 წ.

საშობაო ეპისტოლე

1986 წ.

საქართველოს წმიდა ეკლესიის ღვთივკურთხეულ სამწყსოს

„გზათა სიმართლისათა და წყალობისათა
პოონ ცხორებაჲ, შეწყალებაჲ და დიდებაჲ“
(იგავ. 21, 21).

ენო და ასულნო ღმრთისანო!

უფალი იესო ქრისტე კვლავ რეკავს კარზე ჩვენი გულისა. შვილო ჩემო, სიხარულით მიეგებე მას, რადგანაც მშვიდობა და სიყვარული მოგიტანა. იგი სანაცვლოდ არაფერს გთხოვს; არ უნდა შენი სიმდიდრე, სახელი და დიდება, მისთვის მხოლოდ შენი გულია ძვირფასი, მორწმუნე და სათნო გული, რომლის „სიყუარული სულგრძელ

არს და ტკბილ, რომლის სიყუარულსა არ შურს, არ განდიდდების, არ ამპარტავნებს, არ უხამსობს, არ ეძიებს თავისას, არ განრისხდების, არ განიზრახავს ბოროტსა, არა უხარის სიცრუე, არამედ უხარის ჭეშმარიტება, ყოველსა მიუტევებს, ყოველი სწამს, ყოველსა ესავს, ყოველსა მოითმენს“ (1 კორ. 13, 4-7).

უფალი ბრძანებს: „აჰა ესერა ვდგა კარსა ზედა და ვჰრეკ. უკუეთუ ვინ ისმინოს ჴმისა ჩემისაჲ და განაღოს კარი, და შევიდე მის თანა და ვჭამო მის თანა სერი, და მან – ჩემ თანა“ (გამოცხ. 3, 20).

ღვთის წყალობით, მშვიდობით ვხვდებით მსოფლიო დიდ დღესასწაულს – ქრისტეს შობას. აღსრულდა ძველი წინასწარმეტყველება, ლოდინით დაქანცულმა კაცობრიობამ იხილა მეუფე და მხსნელი თვისი. „ქალწული დღეს პირველ საუკუნეთა სიტყვისა შობად მოვალს ქუაბსა შინა, გამოუთქმელად განეწყვე სოფელო, რომელსა გესმის, ადიდე ანგელოზთა თანა და მწყემსთა, რომელმან ინება გამოჩინება ყრმამან ახალმან“ (სადღესასწაულო კონდაკი).

„გიხაროდენ სოფელო, აჰა ქრისტე მოგეახლა, ბეთლემს შობილი“, რომელმან მიწა ცად სცვალა, „ცად გამოსჩნდა დღეს ქუეყანაჲ, რამეთუ მას შინა იშვა შემოქმედი, და ბაგასა მიიწვინების ბეთლემს იუდასსა“.

მაცხოვრის შობა ღვთის განკაცების უდიდესი საიდუმლოა. ქრისტეს სახეში განცხადებული ეს საიდუმლო, – წერს ცნობილი ფილოსოფოსი ვლადიმერ სოლოვიოვი, – მხოლოდ საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ჭეშმარიტება როდია, იგი მთავარი ღერძია მსოფლიო ისტორიისა.

ძე ღვთისა იქმნა ძედ კაცისა და „ჩუენ ვცანთ და გურწმენა სიყუარული, რომელი აქუს ღმერთსა ჩუენდა მომართ“ (1 იოან. 4, 16). ეს სიყვარული გონებით მიუწვდომელი თავმდაბლობით გამოიხატება; ამით ამცნო უფალმან ყველას, რომ მეუფება მისი არაამსოფლიურია

და რომ იგი ადამიანთა გულის იდუმალ სამყაროში განისვენებს.

იესო ქრისტემ თვისი განხორციელებით მოგვიწოდა შინაგანი ფერისცვალებისა და განახლებისკენ. მოვიდა ჩვენთან, რათა ღვთის მეგობარნი და მახლობელნი გავმხდარიყავით, ვზიარებოდით ჭეშმარიტებას და აღგვედგინა დაკარგული კავშირი შემოქმედთან, ნამდვილი სიხარულისა და თავისუფლების მომნიჭებელთან.

ამისთვის კი აუცილებელია, თითოეულ ჩვენგანს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს სამ საკითხზე; ესაა: შემეცნება ღვთისა და მის მიმართ ჩვენი დამოკიდებულების გარკვევა; შეხედულება ადამიანსა და ადამიანთა ურთიერთობაზე; შეცნობა საკუთარი თავისა.

ხშირად ღმერთში ადამიანები ხედავენ არა მარტო შემოქმედსა და სამყაროს განმგებელს, არამედ მრისხანე შურისმგებელსა და მკაცრ მსაჯულს; სწორედ ისეთს, როგორადაც აღიქვამდნენ მას ძველი აღთქმისდროინდელი ადამიანები: ულმობელსა და ქვეყნის მკვიდრთაგან შორს მყოფს.

ქრისტიანობამ სულ სხვა სახით დაგვანახვა ღვთის არსი: „ღმერთი სიყუარული არს“ (1 იოან. 4, 16), – ვკითხულობთ წმიდა წერილში. ესაა ყველაზე საუკეთესო განსაზღვრა ღვთის ბუნებისა და ჩვენდამი მისი დამოკიდებულებისა. ამიტომაც ნამდვილი ქრისტიანის მთელი მოღვაწეობა განსახიერებაა ჭეშმარიტი სიყვარულისა და სათნოებისა, რადგანაც იგი გრძნობს, რომ უფალი უსაზღვროდ მოსიყვარულე, მოწყალე და ცოდვათა მიმტევებელია. სწორედ ამგვარი რწმენა აძლევს პიროვნებას ძალას, თვითონაც აპატიოს და დაფაროს მოყვასის შეცოდებანი და განწმედის კიბეზე ამაღლებულმა თქვას: „მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა“.

„უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი და ძმაჲ თჳსი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არა უყუარდეს ძმაჲ

თვსი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შეყუარებად?“ (1 იოან. 4, 20), – გვასწავლის იოანე ღვთისმეტყველი. მოყვასში ანუ საერთოდ ადამიანში, უპირველეს ყოვლისა, ღვთის ხატება უნდა დავინახოთ, როგორც წარუხოცელი ბეჭედი ღვთის ძეობისა, უნდა დავინახოთ უნარი ღვთის მიმსგავსებისა.

ღვთის მსგავსების მიღწევა თავისუფალი ნებით ხდება. ჩვენთვის მომადლებული თავისუფალი ნება ფართო შესაძლებლობებს იძლევა არჩევანისთვის. ზოგიერთს მცდარად მიაჩნია, თითქოს ადამიანის ცხოვრების წარმმართველი ბედისწერაა, მაგრამ ეს ასე არ არის. პიროვნების მომავალი თვით მასზეა დამოკიდებული. იგი თვით ირჩევს ღვთის საუფლოსკენ ან დაღუპვისკენ მიმავალ გზას. ადამიანური ყოფის საიდუმლოებით მოცულ პროცესში, რომლის დროსაც ერთი იქცევა კაენად, მეორე – აბელად, ერთის გული ივსება ღვარძლითა და სიკეთის სიძულვილით, მეორისა კი – სათნოებითა და დაუშრეტელი სიყვარულით, რა თქმა უნდა, თავისუფალი ნება გადამწყვეტ როლს ასრულებს. თუკი ვაღიარებთ ჩვენგან დამოუკიდებელ ბედისწერას, მაშინ ყველა ადამიანური ღირსება: სიყვარული, თავგანწირვა, თავმდაბლობა, სიმშვიდე, მოწყალება... აზრს დაკარგავს.

პირადი ღირსების, პირადი პასუხისმგებლობისა და სრულყოფის იდეა რელიგიური წესრიგის იდეაა. „...აჰა, ეგერა, სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქუენსა არს“ (ლუკ. 17, 21), – ბრძანებს ლუკა მახარებელი. აქ პირდაპირაა გაცხადებული პიროვნებისგან სულიერი სიწმინდის მოთხოვნის აუცილებლობა. ხშირად კი, ადამიანის დადებით და უარყოფით თვისებებს მისი ეპოქის საზოგადოებრივი ყოფით ხსნიან და ივიწყებენ ინდივიდუალურ თავისებურებებსა და წინაპართაგან მიღებულ გენეტიკურ მემკვიდრეობას. თუ კაცი ცუდია, ბრალს სდებენ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობას და არა თვით მას. საზოგადოების დაშლითა და გარდაქმნით ადამიანი არ შეიცვლება, მგლები კრავებად არ იქცევიან.

ეჭვგარეშეა, გარემოს გავლენა დიდია, მაგრამ მთავარი მაინც პიროვნებაა, მისი სურვილი და შესაძლებლობანი.

თუკი არსებობს სულიერი ფასეულობანი: რწმენა, იმედი, სიყვარული, ჭეშმარიტება, სიკეთე, მშვენიერება... მაშინ კაცობრიობის ისტორია ამ ღირებულებათა ცხოვრებაში თანდათანობით განხორციელებას უნდა გვიჩვენებდეს, სინათლისა და სიკეთის მიერ ბოროტისა და ბნელის დაძლევას ადასტურებდეს. ამ მეტად რთულ პროცესში უნდა მონაწილეობდეს ღვთაებრივი და ადამიანური ძალა, ანუ ამ ორი ძალის სინერგია.

უფალი მარად სამყაროშია და წარმართავს მის ბედს. იესო ქრისტე კაცობრიობის ქვაკუთხედია, ამიტომაც მისი ხელყოფა მსოფლიო ზნეობრივი საფუძვლის შერყევას ნიშნავს.

ქრისტიანობამ უდიდესი გავლენა იქონია ცივილიზებულ სამყაროზე. ისეთი მეცნიერებიც კი, რომელნიც უარყოფენ ქრისტიანობის ღვთაებრივ წარმოშობას და მიაჩნიათ იგი უბრალოდ ისტორიულ მოვლენად, აღიარებენ მის უსაზღვრო ზემოქმედებას როგორც საზოგადოებაზე საერთოდ, ისე პიროვნების ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

ქრისტიანობა არ არის შემთხვევითი მოვლენა. მესიას დიდი ხნის მანძილზე ელოდებოდნენ, როგორც „აღსრულებას ჟამისას“. ბიბლიაში არაერთგზის ვხვდებით წინასწარმეტყველებას კაცთა მოდგმის მომავალ მხსნელზე. ეს მოლოდინი იყო არსი ძველი აღთქმის რელიგიისა. ამგვარი გრძნობა ჰქონდათ წარმართებსაც. ისინი მსოფლიო ისტორიას რამდენიმე ნაწილად ყოფდნენ და მიაჩნდათ, რომ ქრისტეს შობის წინა პერიოდში დამთავრდა განსაზღვრული ციკლი და რომ შემდეგ სულ სხვა ეპოქა დაიწყო.

ძველ ისტორიკოსთა: იოსებ ფლავიუსის, ტაციტუსის, სვეტონიუსისა და სხვათა მოწმობით, სამყარო საოცარი გარდაქმნის წინაშე იდგა, ფერისცვალების ცენტრად პალესტინა ითვლებოდა.

და იგი მოვიდა, მოვიდა სულ სხვა. ბაგასა შინა იშვა ძე მაღ-

ლისა, მეზვერეთა და ცოდვილთა თანა იქცეოდა უფალი ჩვენი, გლახაკთ და ტვირთმძიმეთ შეეწეოდა, თვით კი თავის მისადრეკი ადგილიც არ ჰქონდა ქვეყნად. სოფელმან ვერა სცნა იგი, მაგრამ მის მიერ ნაქადაგებმა ჭეშმარიტებამ, მიუხედავად ყოველგვარი ადამიანური ძალის გამოყენებისა, რომის იმპერიის სიძლიერისა, და წარმართული რელიგიისა და ფილოსოფიის გავლენისა, ერთიანად დაარღვია მანამდე არსებული მსოფლმხედველობა. მან ძველი ცივილიზაციის თვით ყველაზე ცნობილ კულტურულ ცენტრებშიც ძირფესვიანად აღმოფხვრა კერპთაყვანისმცემლობა და წარმართული კულტი, განდევნა იგი იმპერატორის საუცხოო სასახლიდან და ღატაკი მოქალაქის უბრალო ქოხიდან.

რაშია ქრისტიანობის ძალა? – მის ღვთაებრიობსა და ზნეობრივი პრინციპების სიმაღლეში. იესო ქრისტე არა გენიალური ადამიანია, როგორც ზოგიერთს მიაჩნია, არამედ იგი არის ღმერთკაცი, მეორე ჰიპოსტასი წმიდა სამებისა, სიტყვა, შობილი მამისაგან უწინარეს საუკუნეთა, ღვთის კრავი, ამღებელი ცოდვათა სოფლისათა, ადამიანის მიერ დაკარგული საუფლო დიდების აღსადგენად შეწირული გაუგონარი მსხვერპლი, ქვეყნად გარდამოსული ღვთაებრივი სიყვარული.

„რაჲ არს კაცი, რამეთუ მოიჴსენე მისი...?“ (ფსალმ. 8, 5), – თქვა გაოცებულმა დავით მეფემ.

„რაჲ არს კაცი...?” (იობ. 7, 17), – კითხულობს სულშეძრული მართალი იობი.

ადამიანი მეფეცაა და მონაც, ცოდვის სამბრძანებლო და ტაძარი სულისა წმიდისა. „ეს რა საოცარი არსებაა, – წერს ცნობილი მეცნიერი პასკალი, – დაპირისპირებულთა რა ერთიანობაა, რა სასწაულია? იგია ყოველთა საგანთა მსაჯული და, ამავე დროს, უბადრუკი ჭია მიწისა, სიმართლის დამცველი და ამასთანავე, ნარევი მერყეობისა და შეცოდებათა... დიდება ქვეყნისა“.

„უფალო, მამა ჩუენი ხარ შენ, ხოლო ჩუენ თიხა საქმე ხელთა შენთა ყოველნი“ (ეს. 64,7), – იტყვის ესაია წინასწარმეტყველი.

ადამიანი გვირგვინია ქმნილებისა. ცოდვით დაცემის მიუხედავად, ღმერთს მაინც უყვარს იგი. იესო ქრისტეს განკაცება ამისი ნათელი დადასტურებაა, „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდშობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (იოან. 3, 16).

კაცთა ხსნის მსურველი უფალი მოციქული პეტრეს მსგავსად მიმართავს თითოეულ ჩვენგანს: „შენ მე შემომიდეგ“ (იოან. 21, 22). მაგრამ საკითხავია, ვინ შეძლებს მისდიოს მას ან სად მიგვიყვანს იგი?

ვიდრე მაცხოვარს გავყვებოდეთ, ჯერ უნდა ვირწმუნოთ ქრისტესი, შევიყვაროთ იგი და შემდეგ აღვასრულოთ სიტყვანი მისი: „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე“ (მათ. 16, 24). უფალი კი არ გვიბრძანებს ამას, არამედ გვთავაზობს, საშუალებას გვაძლევს თავისუფალი არჩევანისა. მან იცის, რომ ყველა არ მოუსმენს და ამიტომაც ამბობს: „რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (მათ. 10, 38).

შენი ჯვარი რომ იტვირთო, შინაგანი თავისუფლება უნდა მოიპოვო. ჩვენ კი ხშირად ეგოისტური მოთხოვნილებების, შურის, სიცრუის, ამპარტავნებისა და სხვა ცოდვათა მონები ვართ. მათ დასაძლევად საკმაოდ მძაფრი, ხანგრძლივი სულიერი ბრძოლაა საჭირო, რასაც ხშირად თავს ვარიდებთ. მოციქული პავლე სინანულით შენიშნავს: „ყოველნი თავთა თჳსთასა ეძიებენ და არა ქრისტე იესუჲსსა“ (ფილიპ. 2, 21).

„აღიღე ჯვარი შენი“, – რა ძნელია ზოგჯერ მიხვდე, რომელია შენი ჯვარი და რომელი – სხვისა.

„აღიღე ჯვარი შენი“... ეს ნიშნავს – არ შეუშინდე, არ გაექცე შენი წილი ცხოვრების ტვირთს, რომლის სიმძიმეს განსაკუთრებით იგრძნობ ახლობლებისა და მეგობრების დაკარგვით, სიცრუისა და სიყალბის მოძალებით, იმედთა გაცრუებით და მრავალტანჯული იობივით იტყვი: „დღენი ჩემნი წარხდეს სრბითა, ხოლო დაიპნეს სახსარნი გულისა ჩემისანი“ (იობ. 17, 11). მოისურვებ ჯვრის დატოვებას, განდგომასა და გათავისუფლებას მისგან... მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. შენი ჯვარი შენთან უნდა იყოს. ნუ შეშინდები, ნუ დაგაბრკოლებს განსაცდელი. მთელი სასოებით მიენდე უფალს, რომელიც ყოველთვის განგამტკიცებს. ესეც გახსოვდეს: უჯვრო გზა იოლი ანუ ფართო გზაა, რომლითაც ცოდვილნი ვლიან და რომელიც მხოლოდ მარადიულ სატანჯველს განუმზადებს კაცს. თუმცა მარტო ცხოვრების სიმძიმის დათმენაც არ არის საკმარისი, აუცილებელია, ჩვენი სიცოცხლე იყოს „დაფარულ... ქრისტეთურთ ღმრთისა თანა“ (კოლ. 3, 3).

ისევე, როგორც ყველა მცენარეს აქვს მიწის ზედა და მიწაში დაფარული ცხოვრება, ადამიანთა ყოფასაც გააჩნია გარეგნული და შინაგანი მხარე. გარეგნულად ქრისტეს მიმდევრობა ეკლიანი გზით სიარულს ნიშნავს, რომლის ბოლო გოლგოთით მთავრდება. სინამდვილეში კი ქრისტიანობა ქრისტესმიერი სულიერი სიხარულია, ნაკადულია ცხოველმყოფელი წყლისა, მოპოვებაა ღვთის მადლისა, რომელიც უძლურთა კურნავს და ნაკლულევანთა აღავსებს. ესაა ცხოვრება სხვისთვის, ანუ აღდგომა და ამაღლება სულისა.

გულდასმით მოუსმინე მაცხოვარს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ, რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტჳრთი ჩემი სუბუქ არს“ (მათ. 11,

28-30). ამ გზით მავალი კაცი სულ უფრო უახლოვდება ქრისტეს და შინაგანად გარდაისახება, სანამ მის სულში ქრისტე არ აღიბეჭდება. მოციქულმა პავლემ, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს პროცესი, ამგვარად გამოხატა თავისი განცდა: „რაჲ-იგი არს ქრისტეს მიერ ახალი დაბადებული; პირველი იგი წარჴდა, აჰა ესერა იქმნა ყოველივე ახალ“ (2 კორ. 5, 17).

წმიდა პავლე აღნიშნავს, რომ მის ხელახალ შობას ქრისტიანად ხელს უწყობდა სხვადასხვა გარემოება, ანუ ყოფის გარეგნული მხარე: დათმენა „ტანჯუათა, პყრობილებათა და შფოთებათა“, მუშაკობა „შრომითა, მღვიძარებითა და მარხვითა“; სწორედ მათი წყალობით მოიპოვა მან ცხოვრება „სიწმიდითა, მეცნიერებითა და სულგრძელებითა, სიტკბოებითა და სულითა წმიდითა, სიყუარულითა შეუორგულებელითა, სიტყჳთა ჭეშმარიტებისაჲთა, ძალითა ღმრთისაჲთა, საჭურველითა მით სიმართლისაჲთა მარჯუენისაჲთა და მარცხენისაჲთა“ (2 კორ. 6, 5-7).

ზოგჯერ ფიქრობენ, რომ ქრისტიანული ცხოვრება ზნეობრივი გამოსწორების პროცესია; სინამდვილეში კი გაქრისტიანება ხელახალი დაბადებაა, ხელახალი ცხოვრებაა, ახალი ქმნილებაა, ცხოვრება არა თავისთვის, არამედ – სხვისთვის. წმიდა იოანე ოქროპირი წერს: „ნებისმიერი მოღვაწეობა უმნიშვნელო იქნება, თუ იგი სარგებლობას არ მოუტანს სხვას. ამას ცხადყოფს მაგალითი იმისი, ვინც ბოძებული ტალანტი უკან დააბრუნა და დაისაჯა, რადგანაც არ განამრავლა იგი. ასევე შენც ძმაო, ღატაკიც რომ იყო, და გამუდმებით მწუხარე ვიდოდე, სხვას თუ არ ეხმარები, იცოდე, ღირებულსაც არას აკეთებ; ძველი დროის ცნობილი შესანიშნავი პირნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ამას. გამოწვლილვით შეისწავლე ცხოვრება მათი და ნათლად დაინახავ, რომ თითოეული მათგანის მიზანი იყო სიკეთის მოტანა სხვისთვის და არა საკუთარი თავისთვის. ამით განიდიდ-

ნენ ისინი სწორედ“ (წმიდა იოანე ოქროპირი. „სიყუარულისათვის მოყუასისა“).

გარემომცველ სამყაროში ჩვენ ვხედავთ სიკეთისადმი დაპირისპირებული ბოროტების საშინელ ძალას, რომლის გავლენას საკუთარ თავზეც მძაფრად განვიცდით: გვტანჯავს შინაგანი გაორება, სიკეთისა და ბოროტების შინაგანი ბრძოლა, წინააღმდეგობა სულსა და ხორცს შორის. ამიტომაც მახლობელია ჩვენთვის ეს სიტყვები: „რომელსა-იგი ვიქმ, არა ვიცი; რამეთუ არა რომელი-იგი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი-იგი მძულს, მას ვჰყოფ“ (რომ. 7, 15).

ერთიანობის, მთლიანობის დარღვევა არის მთავარი მიზეზი ჩვენი ბუნების დამახინჯებისა. სად გავექცეთ, როგორ დავძლიოთ შინაგანი გაორება?

ეს საკითხი ყოველთვის აინტერესებდათ ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსებს. მის შესასწავლად დიდი შრომა გასწია ნეტარმა ავგუსტინემაც და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იქ, სადაც უფალია, ჭეშმარიტებაცაა, და სადაც ჭეშმარიტებაა, იქ უფალია, და რომ მხოლოდ ღმერთია ის საწყისი, რომელშიც თანხმდება მიწიერი სინამდვილის ყველა კონფლიქტი, ქრება ჩვენი ნატურის დაპირისპირებული ხასიათი.

ბოროტებას არა აქვს ცოცხალი საწყისი, – განმარტავს იგი, – არსი ანუ სუბსტანცია, რადგანაც სუბსტანციის მქონე ბოროტება სიკეთე იქნებოდა. ბოროტება სიკეთის უარყოფაა მხოლოდ (ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“).

ჩვენს ეპოქაში უკეთურებამ ისე ღრმად მოიკიდა ფეხი, რომ დაღუპვით ემუქრება როგორც ცალკეულ პიროვნებას, ისე მთელ კაცობრიობას.

მოსე წინასწარმეტყველმა ერთ დროს თავის ხალხს არჩევანი შესთავაზა: „აჰა ესერა მომიცემიეს თქუენ წინაშე დღეს დღე, ცხ-

ოვრება და სიკუდილი, კეთილი და ბოროტი... მოწამე ვყოფ დღეს, თქუენდა ცასა და ქუეყანასა, ცხოვრებასა და სიკუდილსა, კურთხევასა და წყევასა დავსდებ თქუენ წინაშე; გამოირჩიე შენ ცხოვრებაჲ იგი“ (რჯლ. 30, 15,19).

თანამედროვე მსოფლიოც ალტერნატივის წინაშე დგას: ან ბირთვული კატასტროფა, ანდა სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა.

ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ დაარღვია სიმშვიდე და საერთაშორისო ცხოვრების რიტმი გამალებულმა შეიარაღებამ. ცხადია, მომავალში შექმნილი ყოველი ახალი სისტემის იარაღი კიდევ უფრო გაამწვავებს მდგომარეობას და ბირთვული ომის საფრთხეს მოაახლოებს.

ამიტომაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ისევე როგორც მშვიდობისმოყვარე მოწინავე კაცობრიობა, სიხარულითა და იმედით შეხვდა ცნობას ჟენევაში ორი დიდი სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურთა მოლაპარაკების შესახებ. ვფიქრობ, დადგა დრო ასეთი შეხვედრების აუცილებლობისა, რადგანაც მათი დადებითი შედეგი გავლენას იქონიებს არა მარტო მოლაპარაკების მონაწილე მხარეებზე, არამედ მთელ სამყაროზე.

აღვავლენთ ლოცვას მსოფლიო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის, მათთვის, ვინც იღვწის ამ დიადი მიზნის მისაღწევად.

დღეს განსაკუთრებული სიცხადით აღვიქვამთ ანგელოზთა საგალობელს, ქრისტეს შობის ღამეს რომ მოეფინა კაცობრიობას: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“. მასში გამოვლენილია კავშირი სამ ურთიერთდამოკიდებულ მოვლენას შორის: აუცილებელია თაყვანისცემა და დიდება შევწიროთ უფალს, შემოქმედსა და გამგებელს ჩვენსას,

რათა სუფევდეს მშვიდობა სოფლად და ხალხთა შორის სათნოება. მშვიდობა ამ ლოცვაში გულისხმობს მშვიდობას ადამიანებს შორის, მშვიდობას ღმერთთან, საკუთარ თავთან და სინდისთან. თუ ასეთი მშვიდობითა ხარ სავსე, მაშინ შეძლებ, ჩაწვდე ღვთის ქვეყნად მოვლენის უდიდეს საიდუმლოს, შეძლებ, ღირსეულად მიეგებო ბრწყინვალე შობას მისას.

ჩვენ კი როგორ ვხვდებით ახლად შობილ ყრმას, უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს?

სადღესასწაულო საგალობელში წერია: „რაი გიძღვნათ შენ ქრისტე, რომელი ცით გარდამოხედ ჩვენ ცოდვილთათვის. სამადლობელსა შეგწირვენ შენ ქმნულნი ღმრთისანი: ანგელოზნი – გალობასა, ცანი – ვარსკვლავსა, მოგვნი – ძღვენსა, მწყემსნი – სასწაულსა, მიწა – ქუაბსა, უდაბნო – ბაგასა, ხოლო ჩვენ ქალწულსა დედასა“. დიახ, ქალწული დედა მოგიძღვენით ჩვენ, მაცხოვარო, უპატიოსნესი ქერუბიმთა და აღმატებული სერაბიმთა ზედა; უსპეტაკესი და უწმიდესი ადამის მოდგმათა შორის, მფარველი და მეოხი კაცთა, განსაკუთრებული შემწე მისი წილხვედრი ივერიისა... და კიდევ, ძღვნად მოგვაქვს შენთან, უფალო, ჩვენი გულები. გევედრები, აღავსე იგინი რწმენითა, გაათბე ღვთაებრივი სიყვარულითა, განწმიდე და ჰყავ ტაძრად შენდა.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო და ყოველნო შვილნო უფლისანო, მკვიდრნო საქართველოჲსა და მცხოვრებნო სამშობლოს გარეთ! გულითადად გილოცავთ ქრისტეს შობის დღესასწაულსა და ბედნიერ ახალ წელს; გისურვებთ სარწმუნოებრივ სიმტკიცეს, ულევ სიყვარულსა და სიხარულს, სიმშვიდეს სულში, შინ და გარეთ. დაე, შრომა თქვენი იყოს სადიდებელი უფლისა – შედეგი თქვენი სულიერი სრულყოფისა, მოყვასსა და სამშობლოს

კეთილდღეობაზე ზრუნვისა. მარადჟამს იღვწოდეთ, რათა მოიპოვოთ სასუფეველი დიდებისა და სახელნი თქვენნი ჩაიწეროს წიგნსა მას ცხოვრებისასა.

თვით უფალი ბრძანებს: „რომელმან სძლოს, მივსცე მას... ყოველი და ვიყო მისა ღმერთ, და იგი იყოს ჩემდა ძე“ (გამოცხ. 21, 7).

გიხაროდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი, ამინ!

ქრისტეს შობა
თბილისი, 1986 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1986 წ.

ყოვლადსამღვდელონო მიტროპოლიტნო, მთვარეპისკოპოსნო
და ეპისკოპოსნო, პატიოსანნო მოძღვარნო და დიაკონნო,
ღვთისსაყვარელნო ბერ-მონაზონნო, მართლმადიდებელნო
ქრისტიანენო, სულიერნო შვილნო საქართველოს წმიდა
ეკლესიისა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი,
ღვთივდაცული ივერიის მკვიდრნო და სამშობლოს ფარგლებს
გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

„მოვედით ყოველნო მორწმუნენო, თაყვანისვსცეთ
ქრისტეს ღმრთისა ჩვენისა აღდგომასა“ (ზატიკი).

ვიახლოვდება სიხარულითა და იდუმალებით სავსე ღამე, როდესაც ჩვენ ყველანი ერთითა ბაგითა და ერთითა გულითა ვიზეიმებთ სიცოცხლის მიერ სიკვდილის ძლევას – ქრისტეს დიდებულ აღდგომას.

პასექის სიხარულით აღვსილი, უფლისა და თქვენი სიყვარულით გამთბარი, ჩვენი ღვითსმოსავი წინაპრების მიერ თითქმის 2000 წლის მანძილზე რწმენითა და სასოებით წარმოთქმული სიტყვებით გულითადად გილოცავთ:

ქრისტე აღდგა!

სიკვდილის დათრგუნვით ჩვენთვის ჯვარცმულმა იესო ქრისტემ სძლია თვით „მთავარი იგი ამის სოფლისაჲ“ (იოან. 12, 31), ანუ ეშმაკი, რომელსაც ხელმწიფება ჰქონდა სიკვდილზე და ჩვენც ამ დიადი გამარჯვების თანაზიარნი გვყო. თავისი ვნებითა და აღდგომით მაცხოვარმა გვიხსნა როგორც ხორციელი, ისე, უპირველეს ყოვლისა, სულიერი სიკვდილისაგან – ღვთის მადლისა და მასთან ერთად სულიერი ნათლის, სიხარულისა და ნეტარების დაკარგვისაგან.

„თუმც ადამიანის სულს, – წერს ნეტარი ავგუსტინე, – სამართლიანად უწოდებენ უკვდავს, მაგრამ იგი თავისებურად მაინც კვდება. სიკვდილი მოდის მაშინ, როცა ღმერთი ტოვებს სულს. ამ სიკვდილს კიდევ სხვა სიკვდილი მოსდევს, რომელსაც წმიდა წერილი მეორე სიკვდილს უწოდებს... ეს სიკვდილი ყველა უბედურებაზე უფრო მძიმე და საზარელია, რადგანაც იგი სულისა და ხორცის გაყრას კი არ ნიშნავს, არამედ მათ შეერთებას საუკუნო სატანჯველისთვის“ (წმიდა მამათა შრომების დამატება, ნაწილი XV, გვ. 625, მ. 1856).

იესო ქრისტეს აღდგომის რწმენა ჩვენი მრწამსის ქვაკუთხედია. უფალი რომ არ აღმდგარიყო, ქრისტიანული რწმენის ყველა ჭეშმარიტება ძალასა და აზრს დაკარგავდა. მოციქული პავლე, რომელიც ადრე დაუზოგავად დევნიდა იესოს მიმდევართ, შემდეგ კი წმიდა სახარების ერთ-ერთი უპირველესი მქადაგებელი გახდა, ასე სწერს კორინთელ ქრისტიანებს: „უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს,

ცუდად სამე არს ქადაგებაჲ ესე ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი“ (1 კორ. 15, 14). „ქრისტე ღმრთისა ძალ არს და ღმრთისა სიბრძნე“ (1 კორ. 1, 24).

იმდენად დიდი და მხურვალე იყო მისი რწმენა, რომ აღდგომილი მაცხოვრისათვის მან თავისი ნებით მიიღო სასჯელი და მოწამებრივი სიკვდილით დაასრულა სიცოცხლე რომში; იგი მოციქულ პეტრეს მსგავსად ჯვარზე არ უცვიათ. მას, როგორც რომის მოქალაქეს, მახვილით მოჰკვეთეს თავი. საკვირველია წმიდა პავლეს უსაზღვრო სიყვარული ღვთისა და ხალხისადმი. ამიტომაც ბრძანებს ასე: „ვიცი, რომელი-იგი მრწმენა“ (2 ტიმ. 1, 12); ამ სიტყვების გამეორება შეუძლია ყველას, ვინც კი ღრმად ჩასწვდა წმიდა წერილის აზრს, ვისი ცხოვრებაცა და საქმიანობაც შეესატყვისება ღვთის მცნებებს; რადგან ამ შემთხვევაში იქნება რწმენა მისი ურყევი და წყარო სიყვარულისა – დაუშრეტელი. ასეთი პიროვნება თვითონ იქცევა იმ დიდებულ ტაძრად, რომელშიც ივანებს უფალი და ჩვენ ხომ სწორედ ამისთვის ვართ მოწოდებულნი; მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „სიკეთის ქმნა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც თავისი სურვილით მიდის სიკეთესთან და გონებით იღებს მას“ (ვ. ს. სოლოვიოვი, რჩეული თხზულებანი, ტ. 7, გვ. 147).

ჩვენ წინაშე მეტად მნიშვნელოვანი კითხვა დგას: სად არის დღევანდელ მსოფლიოში ადამიანის ადგილი?

კაცობრიობის მთელ ისტორიაში ადამიანის პრობლემა ყოველთვის ერთ-ერთი უმთავრესი იყო. ჩვენს დროში კი იგი იმდენად აქტუალური და ძნელად გადასაწყვეტი გახდა, რომ ზოგჯერ გვეჩვენება, – ამ სამყაროში აღარ დარჩა ადგილი ადამიანისთვის.

მეცნიერებამ და ტექნიკამ გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ, რასაც მოჰყვა საზოგადოებრივი ცხოვრების სულ უფრო გართულება. შეძლებს კი ადამიანი ალღო აუღოს, შეისწავლოს და გამოიყენოს

ეს ყველაფერი; შეძლებს, გაუმკლავდეს მის წინააღმდეგ დაძრული რობოტების მრავალმილიონიან ჯარს, თუ ამ უსულო მანქანების მონად იქცევა? შეეფარდება მეცნიერულ პროგრესს პიროვნების შესაძლებლობათა განვითარება მაშინ, როდესაც ტექნიკური წინსვლა მომავალში გაცილებით სწრაფი იქნება?

აუცილებელია ცოდნა იმისა, თუ ადამიანი შინაგანი განვითარების რა პოტენციალს ფლობს და როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს პოტენციალი ისე, რომ არ შევზღუდოთ ღვთის მიერ კაცისთვის მონიჭებული თავისუფალი ნება, რომლის გარეშე როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ისე სულიერი წინსვლა ვერ განხორციელდება.

მაგრამ როგორ მოვიპოვოთ თავისუფლება?

„და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ... უკუეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ“ (იოან. 8, 32,36), – ბრძანებს უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

„უფალი სულ არს; ხოლო სადა სული უფლისაჲ, მუნ აზნაურებაჲ (ე.ი. თავისუფლება) არს“ (2 კორ. 3, 17), – გვასწავლის პავლე მოციქული.

მიწიერსა და ყოველდღიურზე ზრუნვამ არ უნდა დაგვავიწყოს სული და სულიერი კულტურა, რადგან უსულოდ ნებისმიერმა მიღწევამ შეიძლება დაკარგოს ფასი და თვით ადამიანის საწინააღმდეგოდ მიიმართოს.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი გაუძლებს მატერიალურ-ტექნიკურ შემოტევას, თუ იგი რწმენას, სიყვარულს, ადამიანებთან კეთილ დამოკიდებულებას, მაღალ ინტელექტსა და კულტურას შეინარჩუნებს. სამწუხაროდ, ადამიანი ზოგჯერ კვლავ ძველი კატეგორიებით მსჯელობს, აუცილებელი კია მოვლენების თანამედროვე აღქმა და ყოველივე სიახლისადმი დიდი პასუხისმგებლობით მოკიდება. ამაზე ფიქრობენ დღეს ღვთისმეტყველნი და

ფილოსოფოსნი, სოციოლოგები და ანთროპოლოგები, დღეს ეს საკითხი აღელვებს ყველას.

სწორედ ამიტომ უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა არსებითი ცვლილებები ადამიანის პრობლემისადმი დამოკიდებულების საკითხში. ახლა უკვე ყველა აღიარებს, რომ ამქვეყნად ადამიანზე ძვირფასი არაფერია, რომ იგია საზომი საზოგადოებრივი და ყოველგვარი მატერიალური სიმდიდრისა. თვით ისტორიაც სულ უფრო ხშირად განიხილება არა როგორც საზოგადოების ისტორია, არამედ როგორც ადამიანის განვითარებისა და სულიერი სრულყოფის ისტორია.

მაინც რა დადებითი და უარყოფითი ცვლილებები მოხდა ანდა მიმდინარეობს პიროვნებაში, რა ახარებს და აღიზიანებს მას, რა მიმართულებით ვითარდება იგი, როგორ მოქმედებს მასზე განსხვავებული პირობები?

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ დღეს ქვეყნად ჰუმანიზმი აღარ არსებობს, რომ იგი მოკვდა, ამოწურა თავისი შესაძლებლობები და იქცა ცარიელ, ფარისევლურ ფრაზად. ამ თვალსაზრისს არ შეიძლება დავეთანხმოთ, რადგანაც ჰუმანიზმი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, იქნება მანამ, ვიდრე ადამიანში იარსებებს ღვთის ხატება. ბეჭედი კი ღვთის ხატებისა არ ქრება; იგი შეიძლება ცოდვების გამო დაიჩრდილოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის წაშლას. ჰუმანიზმის სიკვდილი კაცობრიობის სიკვდილია.

საზოგადოების ნაწილი დიდ იმედს ამყარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე და მიაჩნია, რომ სწორედ იგი მოუტანს კაცს ბედნიერებას. მეცნიერებასა და ტექნიკას შეუძლია გარკვეულწილად შეცვალოს ფიზიკური სამყარო, შეცვალოს ჩვენი პლანეტის გარეგნული სახე, მისი ფლორა და ფაუნა, გეოგრაფიული ზედაპირი... მაგრამ ადამიანის გარდაქმნა, მისი გაკეთილშობილება და სულიერი ამაღლება ისევ და ისევ ადამიანის ხელთაა.

ჩვენს მეტად რთულ და დაძაბულ დროში ბევრი რამ არის დამოკიდებული საზოგადოების, მთელი სახელმწიფოსა და ცალკეული პიროვნების კულტურაზე. „სიტყვა კულტურა საზოგადოებრივ მეცნიერებებსა, და განსაკუთრებით ისტორიაში, ორი აზრით იხმარება. პირველის მიხედვით კულტურაში უმთავრესად იგულისხმება განათლება, როდესაც, მაგალითად, ლაპარაკობენ კულტურულ ერებზე ან საზოგადოების ფენებზე და უპირისპირებენ მათ უკულტურო ერებსა და კლასებს. იმავე გაგებით იხმარება გამოთქმა, ვთქვათ, კულტურული ადამიანი, კულტურული მანერები და ა.შ. კულტურას მეორე, გაცილებით ფართო გაგებას სძენს ყოფის მნიშვნელობა საერთოდ ანუ შინაგანი მდგომარეობა“ (ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედია, ტ. 33). კულტურას ასე განყოფენ: მატერიალური (აქ იგულისხმება ცხოვრების პირობები, ჩაცმულობა, იარაღი, შეიარაღება, ძვირფასეულობა და ა.შ.) და სულიერი; მასში შედის: რელიგია, ენა, ჩვეულებანი, ზნეობა, ცოდნა, ლიტერატურა, ხელოვნება... და საზოგადოებრივი კულტურა, ანუ სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, საზოგადოებრივი ფორმები და კანონები...

საზოგადოებრივი ყოფის დღევანდელი ფორმა თავისთავად ითხოვს ადამიანისაგან მრავალ სიახლეს: ახლებურად აზროვნებას, ღირებულებათა და წარმოდგენათა გადაფასებას, მაღალ სულიერ კულტურას.

ჩვენს საუკუნეში, როდესაც ძალიან ბევრია უმაღლესდამთავრებული, ხოლო დანარჩენნი საშუალო განათლებით არიან, ვრწმუნდებით, რომ მხოლოდ განათლება კულტურას არ ნიშნავს.

განა კულტურული შეიძლება ეწოდოს პიროვნებას, რომელსაც შეუძლია სხვას ზიანი მოუტანოს? რომელმაც ცოდნა იმისთვის შეიძინა, რომ უფრო კარგად დაწეროს ცილისმწამებლური, ანონიმური წერილები, რომ უფრო მოხერხებულად დაუგოს მახე მოყვასს, დასცინოს

და შეურაცხყოს იგი? ასეთი კაცი თავის ვიწრო ეგოიზმშია ჩაკეტილი, უსაზღვროა სიმდიდრისადმი მისი ლტოლვა და ყოველდღიური ზრუნვა მიწიერ სიკეთეთა მოსაპოვებლად; რა შეიძლება ითქვას ისეთ კაცზე, რომელმაც არასწორი გზით მოიპოვა მაღალი სამსახურებრივი მდგომარეობა, რომელიც ცდილობს, დაამციროს, შეურაცხყოს მისადმი დაქვემდებარებულნი, ატყუებს ხალხს და ცხოვრობს პრინციპით: „მე ვარ ხელმძღვანელი, შენ ხარ სულელი; შენ ხარ ხელმძღვანელი, მე ვარ სულელი“. ასეთი ადამიანი შორსაა არა მარტო ღვთისა და რწმენისაგან, არამედ ყოველგვარი კულტურისაგან.

ცუდად აღზრდილთათვის განათლება იგივეა, რაც მახვილი უგუნურთა ხელში, – წერს ერთი ღვთისმეტყველი. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ რწმენის, სიყვარულის, თავმდაბლობის, თავშეკავებულობის, კეთილმოსურნეობის, თავაზიანობის, სხვისთვის ჭირში თანადგომის უნარის აღზრდის გარეშე პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი ხარვეზი იქნება დაშვებული. ნუ დავივიწყებთ, რომ თუნდაც ერთი მოზარდის ნაკლოვანებები განსაზღვრულ პირობებში შეიძლება ხასიათის საშიშ თვისებებად იქცეს და გამოუსწორებელი ზიანი მოუტანოს საზოგადოებას.

ადამიანის შინაგანი კულტურა აუცილებლად გამოვლინდება გარეგნულ ქცევაში. თუმცა არცთუ იშვიათად დახვეწილ ქცევას, განათლებას, ეტიკეტის ცოდნას, გარეგნულ ბრწყინვალებასა და მოჩვენებით გულითადობას იყენებენ შინაგანი სიცარიელის, შურის, ზიზღისა და ცინიზმის დასაფარავად; მაგრამ „არა არს დაფარული, ...რომელი არა გამოცხადნეს“ (მათ. 10, 26).

რთულია პიროვნების სულიერი სამყარო. მასში ორი ძალა მოქმედებს: სიკეთისა და ბოროტებისკენ მიმართული. მოციქული პავლე გრძნობდა რა შინაგან გაორებას, რომაელთა მიმართ ეპისტოლეში წერდა: „რომელსა-იგი ვიქმ, არა ვიცი; რამეთუ არა რომელი-იგი მე

მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი-იგი მძულს, მას ვჰყოფ“ (რომ. 7, 15). მშვენივრად თქვა ჰაინრიხ ჰაინემ: „მსოფლიო ორად გაიყო და ბზარმა ჩემს გულზე გაიარა“.

„მე ვარ უფალი – მკურნალი შენი“ (გამ. 15, 26), – ბრძანებს შემოქმედი და წინასწარმეტყველი იერემიას მეშვეობით გვამცნობს: „აჰა, მე მოვაწიო მათ ზედა შებრძვლვა და კურნება და განვკურნნე იგინი, და ვყო მათთჳს მშჳდობა და სარწმუნოება“.

მხოლოდ ღმერთია მსოფლიოსა და კაცთა მკურნალი და მხსნელი. მხოლოდ მისი შეწევნით შეიძლება შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევა, მშვიდობის დამყარება საკუთარ თავთან, მოყვასთან და ხალხთან ურთიერთობის მაღალი კულტურის მიღწევა, რაც აზრთა შემთხვევითი სხვადასხვაობისაგან თავის არიდებასა და მის სანაცვლოდ ოპტიმალური და შეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღებას გულისხმობს.

კულტურა არ უნდა იყოს ჩაკეტილი მხოლოდ მუზეუმებსა და თეატრებში; იგი უნდა იგრძნობოდეს ყველგან: ქუჩაში, ბაღებსა და სკვერებში; რესტორნებსა და კაფეებში, ყოველ ოჯახში. კულტურა არ არის მარტო სპორტსა და საზეიმო შეხვედრებში მონაწილეობა, არც მედლებისა და ჯილდოების დამსახურება, გამოფენების დათვალიერება, ბიბლიოთეკებსა და კაფეებში სიარული... კულტურა არის მუდმივი მზადყოფნა სხვისთვის სიხარულის მისანიჭებლად, ზრუნვა მომავლისათვის, ახალგაზრდებისა და საერთოდ ადამიანისათვის ღვთივმინიჭებული უნარისა და შესაძლებლობების გამოვლინებისათვის, მოყვასსა და საკუთარ თავში შემოქმედებითი ძალისა და მრავალმხრივი ტალანტის აღმოჩენისა და გამომზეურებისთვის.

დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს ლიტერატურას, თეატრსა და კინოს, საერთოდ, ხელოვნებას. ტალანტითა და ნიჭით დაჯილდოებულ მწერალსა და რეჟისორს,

რომელიც თვითონაც ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და ხედავს კაცთა გულის იდუმალ ზრახვებს, კეთილი მწყემსის მსგავსად ძალუძს, დაგვეხმაროს როგორც სინამდვილის შეცნობაში, ისე ჩვენთვის სავალი გზების მიგნებაში; ოღონდ ისე, რომ ჭრილობა მხოლოდ კი არ გააშიშვლოს, არამედ უმკურნალოს მას, ანდა გვასწავლოს მაინც, როგორ მოვიშუშოთ იგი.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ სათქმელი რა ფორმით მივა მსმენელამდე.

ბერტოლტ ბრეხტი „მკითხველთან ჭკვიანური საუბრის ხელოვნებას“ განასხვავებდა „რიტორიკული დიდაქტიკისაგან“. „ჭკვიანური საუბრის ხელოვნება“ მკითხველს აძლევს თავისუფლებას, ავტორთან ერთად იმსჯელოს, მრავალ საკითხში არც დაეთანხმოს მას; აღძრავს მოქმედების სურვილს. „რიტორიკული დიდაქტიზმი“ კი მკითხველს ავტორის მონად აქცევს და აიძულებს, მუდამ ეთანხმებოდეს მის აზრს. „ჩემს თეატრში, – წერს ბრეხტი, – მაყურებელს მონარქად ვაქცევ, მაგრამ მოჩვენებითად კი არა, არამედ ნამდვილ საზოგადოებრივ მოღვაწედ და მოაზროვნედ. ჩემი თეატრი მშრომელი ხალხისთვის იქცევა ლაბორატორიად... და მე ვიმოქმედებ კლასიკოსთა მოწოდებისამებრ: „გარდაქმენი სამყარო, სამყარო ამას მოითხოვს“ (ფილოსოფიის საკითხები, N12, გვ. 5, მ. 1984).

კაცობრიობის კულტურის ისტორია გრძელი ჯაჭვის სახით წარმოგვიდგება, რომლის ყოველი ნაწილი მჭიდროდ უკავშირდება წინა და მომდევნო რგოლებს. მემკვიდრეობა და ურთიერთგავლენა არის მთავარი ბიძგის მიმცემი კულტურის განვითარებისათვის.

ქართულმა ნაციონალურმა გენიამ, ეროვნულთან ერთად, შეითვისა რა ცხოველმყოფელი წყარო რომაული, ბერძნული და აღმოსავლური ცივილიზაციებისა, შექმნა უდიდესი ტაძარი სულიერი შენობისა, რომლის მთავარი ხუროთმოძღვარი იყო ქრისტიანი ქართ-

ველი კაცი. საერთოდ ქრისტიანმა ადამიანმა მადლიერი რწმენითა და ცოდნით ამოკვეთა ზნეობრივი ცხოვრების ისეთი ბრწყინვალე კანონები და ნიმუშები, რომელთა მსგავსს არ იცნობდა ქრისტიანობის წინარე მსოფლიო.

ასე რომ, კულტურა მხოლოდ ცალკეული ადამიანის პირადი საქმე როდია, იგი მთელი ხალხის სიმდიდრეა.

ჩვენი მიზანი არ არის კულტურის კანონებზე წერა, უბრალოდ გვსურს მეტი სერიოზულობით დავუფიქრდეთ ამ პრობლემას და მისადმი ჩვენს დამოკიდებულებას.

კულტურის საკითხთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ დროის პრობლემასაც. დროს ჩვენ ხშირად არ ვუფრთხილდებით, ანდა ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ. სად არის საზღვარი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის? ფსიქოლოგებმა იციან, რომ აწმყო დრო შეიძლება გასცილდეს დღის, თვისა და თვით ათეული წლების ფარგლებს.

მწერალს ან რომელიმე საზოგადო მოღვაწეს თუ ვკითხავთ, ახლა რაზე ფიქრობთო? იგი არ გიპასუხებთ: ახლა ვცდილობ, პასუხი გავცე თქვენს შეკითხვასო; რადგან ის, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი, აზროვნებს არა წამებითა და წუთებით, არამედ დროის გაცილებით დიდი მონაკვეთებით.

„ჩვენი მხოლოდ აწმყოა“, – ასეთი პრინციპი წამოაყენა სოკრატეს ერთ-ერთმა მოწაფემ, არისტიპემ.

დიახ, აწმყო უნდა დავაფასოთ და როგორც ფუტკარმა – თაფლი, ჩვენც ქველის საქმენი უნდა შევკრიბოთ. უნდა ვიჩქაროთ, რადგან არ ვიცით, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. მუდამ უნდა გვახსოვდეს სოლომონ მეფის სიტყვები: „უარს ნუ ეტყვი გაჭირვებულს დახმარებაზე, ოდეს ხელს შენსას ძალუძს შეწევნა“ (იგავ. 3, 27). შეეწიე მოყვასს და საკუთარ თავს და შენ იქნები ბედნიერი. სიხარული

დაგეუფლება, როცა სიკვდილისაგან იხსნი ადამიანს, დაეხმარები გაჭირვებულს, სულიერი მღელვარების ჟამს მხარში ამოუდგები მას, მხურვალედ ილოცებ, აღსარების საიდუმლოს საშუალებით გათავისუფლდები ცოდვებისაგან, წმიდა ზიარების წყალობით განიცდი უფალს შენში, აპატიებ შემცოდეთ, შეარიგებ დამდურებულთ, ჭეშმარიტების გზაზე დააყენებ შეცდომილთ – ყველა ასეთი წუთი ბედნიერების მომტანია და დიდი ხნის მანძილზე ასაზრდოებს სულს.

დროის ფაქტორი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ვფიქრობთ სამყაროს ბედზე, ხალხთა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაზე.

„დასავლეთი არის დასავლეთი, აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი და ადგილიდან მათ ვერ დაძრავ“, – წერდა XIX საუკუნეში ცნობილი მწერალი კიპლინგი. მას აღმოსავლეთი და დასავლეთი მიაჩნდა განსაკუთრებულ, დროითა და სივრცით დაყოფილ ცივილიზაციებად, რომლებიც ვითარდებიან არა მარტო დამოუკიდებლად, არამედ განსხვავებული კანონებითაც.

თანამედროვე ყოფამ მეტად დააახლოვა მიწიერი ყველა ცივილიზაცია, მაგრამ სხვაობა აზროვნებასა და შეხედულებებში კვლავ დარჩა. განსხვავებულია ადამიანთა ქცევა სხვადასხვა სიტუაციაში: ზოგი გარკვეულ წინააღმდეგობებთან შეჯახების შემდეგ იკრებს ძალას და ცდილობს, გამოასწოროს მისთვის არახელსაყრელი მდგომარეობა. სხვა კი შედარებით იოლად ეგუება მას, სამაგიეროდ თვითონ იცვლის ქცევასა და მიზანს. მესამე არჩევს, განერიდოს არასასურველ ვითარებას.

ეკლესიის მთავარი მოვალეობა და დანიშნულებაა ხალხისა და ქვეყნისთვის მსხვერპლად შეწირული სამსახური, მსახურება აღმოსავლეთისთვისაც და დასავლეთისთვისაც, საერთოდ, ყველასთვის, მსახურება მშვიდობისა და სიყვარულისთვის. წმიდა იოანე

ოქროპირი წერს: „მშვიდობა თუ არის, იქნება სიყვარულიც და, პირიქით, სადაც სიყვარულია, იქ მშვიდობა ისადგურებს“ (იოანე ოქროპირი, ტ. II, გვ. 216).

ჩვენი დროისთვის დამახასიათებელია როგორც ომის საშიშროება, ისე ომის საწინააღმდეგო ერთობლივი მოქმედება, რომელშიც რელიგიური წრეებიც აქტიურად მონაწილეობენ. და ეს გასაგებია, რადგან მშვიდობისაკენ სწრაფვა და მისთვის ბრძოლა ყოველი ქრისტიანის წმინდა მოვალეობაა.

აღვავლენთ ლოცვებს მათთვის, ვინც იღვწის ქვეყნად ღვთივკურთხეული მშვიდობის შენარჩუნებისათვის, სახელმწიფოთა და ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

აღდგომილმა მაცხოვარმა დღეს თითოეულ ჩვენგანს გამოუთქმელი და აუხსნელი სიხარული და იმედი მიანიჭა, რომელსაც მთელი წლის მანძილზე უნდა გავუფრთხილდეთ. რა არის ეს? იგი შინაგანი სიმშვიდეა, ყოველი კეთილი ზრახვისა და მისწრაფების დაკმაყოფილებაა, მშვიდობაა უფალთან, მოყვასთან და საკუთარ სინდისთან; იგი შეგრძნებაა სიხარულისა, სიცოცხლის სისავსისა და სურვილი უმწიკვლო, წმინდა ცხოვრებისა. ამგვარი სიხარული რჩეულთა ხვედრია. იმათი კუთვნილებაა, ვინც აღიარებს იესო ქრისტეს და მის გზას მიჰყვება, ვისაც ყოველთვის ესმის ხმა ღვთისა, ესმის და გრძნობს ხალხის მწუხარებას.

სიხარული მოგვეახლა, მორწმუნენო, ღვთაებრივი მადლის სიუხვისა, „რამეთუ (ღმერთმა!) კეთილსა კაცსა წინაშე პირსა მისსა მისცე სიბრძნე, და მეცნიერება, და სიხარული“ (ეკლ. 2, 26), – გვასწავლის ბრძენი ეკლესიასტე.

სიხარული, სიყვარული და ღვთის დიდება არ მოგკლებოდეთ აწ და მარადის.

ყოველ თქვენგანს კიდევ ერთხელ ვულოცავ ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს – სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას. „სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი?“ (1 კორ. 15, 55).

გიხაროდეთ ორსავე სოფელსა შინა.

ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

ქრისტესმიერი სიყვარულით.

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1986 წ.

საშობაო ეპისტოლე

1987 წ.

საქართველოს ეკლესიის ღვთივკურთხეულ შვილებს:

„ვისაც სურს, იხილოს ღვთაებრივი და მშვენიერი,
ჯერ თვითონ უნდა გახდეს ღვთაებრივი და
მშვენიერი“ (პლოტინი).

„ღ ასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ“, განაბრწყინა იგინი ნათლითა, შეამკო, აღავსო და განასრულა ყოვლითა სიკეთითა. მთელი ხილული სამყაროს წარმოშობას ღვთის სიტყვა ედო საფუძვლად, მხოლოდ ადამიანი შეიქმნა ყოვლადწმიდა სამების წინასწარი ბჭობით: „და თქუა ღმერთმან: „ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ“ (დაბ. 1, 26).

მხოლოდ ადამიანს მიანიჭა არსთა განმრიგემ ხატება თვისი:

„და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თჳსა და ხატად ღმრთისა“ (დაბ. 1, 27).

თანდათანობით შეიქმნა იგი, სხვა ქმნილებანი კი – წამისყოფით; მხოლოდ მას შთაბერა უზენაესმა თავისი უკვდავი სული: „და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მომღებელმა ქუეყანისაგან (ადამი წითელ მიწას – თიხას ნიშნავს) და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად“ (დაბ. 2, 7).

ამიტომაცაა იგი გვირგვინი ქმნილებისა, ხოლო დანიშნულება მისი – ყველაზე მაღალი და დიადი; ამიტომაცაა ის განღმრთობის ღირსი.

მაგრამ ადამიანმა ბოროტად გამოიყენა თავისუფალი ნება, გაჩენის დღიდან რომ მოემადლა მას. მან უარყო ღვთის მცნება და, იგემა რა ნაყოფი ხისაგან შემეცნებისა კეთილისა და ბოროტისა, დაკარგა ერთობა ღმერთთან; რის გამოც დაკარგა შინაგანი მთლიანობა და სულის მშვიდობა.

პირველქმნილმა ცოდვამ დაარღვია არა მარტო ადამიანის სულიერი წონასწორობა, არამედ სამყაროში არსებული წესრიგი: „ცოდვა შემოხდა სოფლად და მასთან ერთად სიკუდილი“.

ცოდვა ფითრივით მოედო ადამიანის სულს, მისი თანდაყოლილი სიკეთის ხარჯზე დაიწყო არსებობა. გაჩნდა შუღლი, მტრობა, სიძულვილი, ძმის მკვლელობა... ბოროტმა ძალამ მდაბალ ვნებათა მსახურად აქცია კაცი.

„ის, რასაც ბოროტება ჰქვია, სხვა არა არის რა, თუ არა ნაკლოვანება სიკეთისა, – წერს ნეტარი ავგუსტინე. – ის, რასაც ბოროტება ჰქვია, არის არასრული სიკეთე. ცოცხალ არსებას რაიმე სენი რომ შეეყაროს ან იარა გაუჩნდეს, ეს იარა, ეს სენი ხომ ჯანმრთელობის ნაკლი ანუ არასრული სიჯანსაღე იქნება. ასევე სულიერი ნაკლიც

ბუნებრივი სიკეთის დამახინჯებას ნიშნავს. ყოველგვარი ბუნება კეთილია. ეს სიკეთე დიდია, თუ ხრწნილებას არ ექვემდებარება და მცირდება, თუ ნაკლი ან დაზიანება აქვს.

უმეცრისა და გამოუცდელის გარდა სიკეთეს ვერავინ უარყოფს. თუ ბოროტება შთანთქავს სიკეთეს, მაშინ თვითონ ბოროტებაც მოისპობა, რადგანაც მას დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია. ყოველგვარი ბოროტებისაგან თავისუფალი სიკეთე კი არის სწორედ ნამდვილი, წმინდა სიკეთე“ (ნეტარი ავგუსტინე. არასუბსტანციურობა ბოროტებისა).

ცოდვა შეიჭრა ჩვენს არსებაში; იქ გაიდგა ფესვი და დამკვიდრდა. პიროვნებაში ერთმანეთს შეეჯახა სიკეთე და ბოროტება და გული მისი კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლის ასპარეზად იქცა. ეს ბრძოლა სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება.

მშვენივრად წერს წმიდა პავლე: „არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ“ (რომ. 7, 19).

შინაგანმა გაორებამ ბუნებრივად წარმოშვა ადამიანის ცხოვრების ორი გზა. პირველი ჭეშმარიტებისაკენ მიდის, მეორე – შეუცნობელი არყოფნისაკენ.

ჭეშმარიტება ყოფიერების სათავეა, ცხოვრების წყაროა, ქმნადობის მიზეზია. ნათელია იგი დაუღამებელი, სიყვარული დაულევნელი; მას ღმერთს ვუწოდებთ.

ცოდვის, სულიერი სიკვდილის გზას კი შეუცნობელი არყოფნისაკენ მივყავართ. ცოდვა და მისი შედეგი – სიკვდილი ბოროტებაა და, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ სიცოცხლის, სიკეთის ხარჯზე არსებობს. ანგრევს რა სიცოცხლეს, თვითონაც განქარდება, „დაინთქმება ძლევითა“ (ესაია).

პიროვნებამ თვითონ უნდა გააკეთოს არჩევანი მათ შორის.

ძველი რომაელები ამბობდნენ: Similis simili gaudet – მსგავსი მსგავსს შეჰხარის. ჭეშმარიტად, იდუმალი ძაფები აკავშირებთ მონათესავე სულთ. ისინი გრძნობენ მსგავსებას ურთიერთშორის და მიილტვიან ერთმანეთისაკენ, რათა თავიანთი მისწრაფების შესაბამისი ნაყოფი გამოიღონ.

სახარებაში ვკითხულობთ: „...ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღის, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღის. ვერ ჴელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად და არცა ხესა ხენეშსა – ნაყოფი კეთილი ყოფად“ (მათ. 7, 17-18)

„ჩუენ ვცანთ და გურწმენა სიყუარული, რომელი აქუს ღმერთსა ჩუენდა მომართ“ (1 იოან. 4, 16), რადგან თვით ძე თვისი საყვარელი გასწირა შემოქმედმან, რათა ვნებებითა და ცოდვებით დამდაბლებული კაცობრიობა ხენეშ ხედ არ ქცეულიყო, რათა აღმდგარიყო დარღვეული კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის, განახლებულიყო ჩვენი ბუნება და მას უზენაესთან ყოფნის შესაძლებლობა დაბრუნებოდა.

„ამისთჳს გამოცხადნა ძე ღმრთისაჲ, რაჲთა დაარღჳნეს საქმენი ეშმაკისანი“ (1 იოან. 3, 8) და ადამიანს დააძლევინოს ცოდვა. იგი ზეციდან მიწამდე დამდაბლდა, რომ კაცი მიწიდან ზეცად აღემაღლებინა. ქრისტე „განკაცდა, რათა ჩვენ განვღმრთდეთ“ (ათანასე დიდი).

ბეთლემის მღვიმეში გამობრწყინდა პირველად „ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ (იოან. I, 9). არა სამეფო დარბაზებსა და მეცნიერების წიაღში, არამედ მივარდნილ გამოქვაბულში დაედო სათავე ქვეყნის ახალ ცხოვრებას.

როგორ მწვერვალსაც არ უნდა მიაღწიოს ჩვენმა ცივილიზა-

ციამ, როგორადაც არ უნდა განვითარდეს კაცობრიობა, იგი მაინც ყოველთვის ეახლება და თაყვანს სცემს ამ მღვიმეს, რადგან აქ დაირწა აკვანი მისი, რომელ არს „გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება“ (იოან. 14, 6).

ღვთის განკაცების არსი – ადამიანის ღმერთთან შეერთება – ქრისტიანული რწმენის გარეშე ვერ განხორციელდება. რწმენა ანიჭებს ჩვენს ყოფას ღვთიურ აზრს. ოღონდ რწმენა არა ცივი და მკვდარი, არამედ ცოცხალი და მოქმედი, რომელიც ქველი საქმით იცნობა.

სადაც არ არის კეთილი ქრისტიანული საქმე, იქ რწმენასაც ამაოდ დავუწყებთ ძებნას, რადგან „ყოველი, რომელი არა სარწმუნოებით არს, იგი ცოდვა არს“ (რომ. 14, 23) და, პირიქით, სადაც სიკეთის ქმნა ცხოვრების წესია, იქ უთუოდ ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებაა.

„მორწმუნე ის კი არ არის, – გვასწავლის წმიდა იოანე ოქროპირი, – ვისაც ყოველი სჯერა, არამედ ის, ვისაც სწამს ღმერთი... რწმენა განანათლებს, რწმენა აკურთხებს, რწმენა სულიწმიდის ღირსად ხდის ადამიანს... სადაც რწმენაა, იქაა ძალი, სადაც ურწმუნოებაა, იქ – უძლურებაა. რწმენა სიკეთის სათავეა, რწმენა სიკეთის წყაროა, აღიჭურვე საჭურველითა მხსნელითა“.

რწმენა ზეგარდმო ნიჭია, რომელსაც გავყავართ ყოფიერების მიღმა, ტრანსცენდენტურ განზომილებაში, სადაც ღვთისმიერ მხსნელ სიყვარულს ვეზიარებით; მაგრამ ამ სიმაღლეს ვერ მივაღწევთ, თუ ჯერ საკუთარი თავი არ შევისწავლეთ.

თვითშემეცნება გულისხმობს ჩვენი შინაგანი ცხოვრების, ქცევისა და მოქმედების დაკვირვებულ განსჯას და მის შეჯერებას ღვთის მცნებებთან, იდეალური ქრისტიანის განზოგადებულ სახესთან. ცხადად უნდა ვიგრძნოთ, რისი ძალა შეგვწევს ან ჩვენს შესაძლე-

ბლობებს რა აღემატება; რას ვუმალავთ სხვებს, რას ვუმალავთ საკუთარ თავს...

ქრისტიანული რწმენა გვასწავლის სიკეთის გარჩევას ბოროტებისაგან, გვეხმარება ჩავწვდეთ ჩვენი სულის სიღრმეს და ვიგრძნოთ მასში ორი დაპირისპირებული ძალის არსებობა, მათი ბრძოლა; გვეხმარება, რათა დავძლიოთ შინაგანი გაორება და განწმედის საშუალებით – მონანიების, ლოცვის, მარხვის, აღსარების, წმიდა ზიარების გზით ვპოვოთ განკურნება სულთა ჩვენთა; აღვადგინოთ კავშირი ღმერთთან და შევიმოსოთ მისი ძალით და მადლით.

საიდან დავიწყო გლოვა? – კითხულობს ცოდვათა სიმრავლით სულშეძრული წმიდა ანდრია კრიტელი.

რით დავიწყო გლოვა? რით დავიწყო სულიერი განახლება? – ეს კითხვები დგას თითოეული ჩვენგანის წინაშე.

შეგახსენებთ, ზოგიერთ მომაკვდინებელ ცოდვას, ალბათ, ყველაზე გავრცელებულს და მათზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

უპირველესი და უმძიმესი ცოდვა არის ურწმუნოება, „რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხონდეს; და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს“ (მარკ. 16, 16), – ბრძანებს მაცხოვარი.

რწმენის ნიჭი ყოველ ადამიანს აქვს მომადლებული, ოღონდ მრავალი ცხოვრებისეული და ფსიქოლოგიური ფაქტორის გამო ზოგი აღიარებს მას და ზოგი – არა. ღვთის უარყოფა დამღუპველი, მომაკვდინებელი სენია, რადგან იგი ხურავს გულს და არ უშვებს შიგ მას, ვინც მოვიდა შენთან, „მოვიდა და გახარა მშჳდობაჲ თქუენ, შორიელთა და მახლობელთა“ (ეფეს. 2, 17); გონებას ბინდით ბურავს, რათა ბნელში ამყოფოს სული შენი, წაგართვას მადლი და ნიჭი ღვთით მომადლებული, „რამეთუ მადლითა ხართ გამოჴსნილ სარწმუნოებისა მიერ, და ესე არა თქუენგან, არამედ ღმრთისა ნიჭი არს“ (ეფეს. 2, 8).

ურწმუნოება, ღვთის უარყოფა, იგივე ღვთის გმობაა. ეს არის სიყვარულის წყაროს დაშრეტა, ადამიანის უკიდურესი დაცემა, მისი დაღუპვა, „სიკუდილი იგი მეორე“.

მეორე მძიმე ცოდვა, რომელმაც კაცობრიობა მოიცვა, არის ამპარტავნება. ეს ის ცოდვაა, ანგელოზები რომ დაღუპა და ბოროტ სულებად აქცია. ამ ცოდვამ განაძევა ადამი და ევა სამოთხიდან. იგი საძირკვლამდე ანგრევს კაცის გულს.

ამპარტავნების სათავეა პატივმოყვარეობაში, ეგოიზმში, საკუთარი უპირატესობის დამკვიდრებაში. ამპარტავნებით შეპყრობილი ადამიანი მთელ ქვეყანას თავისი სურვილების დაკმაყოფილების ასპარეზად თვლის, ბუნების ძალნი, მის სამსახურში მყოფად წარმოუდგენია. ასეთი ადამიანისათვის სხვა პიროვნებას არავითარი ღირებულება არა აქვს, მოყვასი და მახლობელი მისთვის იმდენად არსებობს, რამდენადაც მას სჭირდება.

წმიდა მამები ამბობენ, რომ როგორც წყალი ვერ გაჩერდება შემაღლებულზე, ისე ღვთის მადლი ვერ დამკვიდრდება ამპარტავნის სულში. „თუ გაქვს სიმდიდრე უთვალავი, – გვაფრთხილებს წმიდა ბასილი დიდი, – მიეკუთვნები მძლავრი სახელმწიფოს მოქალაქეთა რიცხვს, თუ დაჯილდოებული ხარ ჯანმრთელობით და სილამაზით, – მუდამ გახსოვდეს, მიწა ხარ და მიწად მიიქცევი. ყვავილისა და ბალახისებრ დაჭკნება ყოველი, რაიც ხელთ გიპყრია“.

ამპარტავნება საძაგელი, დამამცირებელი, დამამდაბლებელია კაცისა, რადგან იგი დაპირისპირებაა მთელ ქვეყანასთან, გამიჯვნაა ადამიანებისაგან, თვით ღვთისაგან. მისგან გათავისუფლება მხოლოდ სიმდაბლით შეიძლება. წმიდა მამები ამბობენ: თუ თავს ჯოჯოხეთის სიღრმემდე დაიმდაბლებ, ზეცამდე ამაღლდები. თუ ამპარტავნება შენი ცამდე ამაღლდა, ჯოჯოხეთამდე დაგცემს.

სიმდაბლე საკუთარი თავის შეცნობით მოიპოვება, სიყრმიდან

ჩადენილი ცოდვების მხილებითა და აღიარებით. ღირსი ისიხი წერს: „სამსონზე ძლიერნი არა ვართ, არც სოლომონზე უფრო ბრძენნი, არც ნეტარ დავითზე გონიერნი, პეტრეზე მეტად ღვთისმოყვარენი. ნუ მივენდობით საკუთარ თავს, რამეთუ საღვთო წერილი გვაუწყებს – თუ მხოლოდ საკუთარ თავს მიენდობი, დაეცემი საშინელი დაცემით“, რადგან „ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“ (იაკ. 4, 6).

მესამე ცოდვა ვერცხლისმოყვარეობაა. „ვერცხლის მოყუარეობა თაყუანისცემა არს კერპთა, და ასული არს ურწმუნოებისა, წინასწარმეტყველ არს უძლურებისა, ცრუ მოშიში არს სიბერისაგან, მაუწყებელ არს სიყმილისა... დედა არს ყოველთა ბოროტთა... გარნა რომელმან მოიგო სიყუარული, მან განაბნინა საფასენი“ (იოანე კიბისაღმწერელი).

ადამიანმა ღმერთი დაკარგა და სიმდიდრე გააღმერთა. ვერცხლისმოყვარეს არაფერი ჰყოფნის; ყველაფერი ეცოტავება. მისთვის ყველაფერი იყიდება: სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი, სახელი და ღირსება, სინდისი და პატიოსნება. იგი არ ფიქრობს, რომ მთელი სიმდიდრე, ოქრო და ვერცხლი აქ დარჩება, მიჯნის აქეთ; რომ მარტო თავის საქმეებს წაიღებს თან, რომელთაც მოჰკითხავენ, განსჯიან და კუთვნილს მიუზღავენ. ეს უბრალო ჭეშმარიტება თითქოს ყველამ იცის, მაგრამ ცოტა ვინმეღა თუ მისდევს მას. ადამიანმა თავი დაიბორკა მდაბალი ვნებებით, წვრილმანებით; ხელ-ფეხი შეიკრა, დაემონა ნივთებს, განუდგა მარადიულ იდეალებს, ღვთაებრივს, სულიერს, მშვენიერს, გადააფასა ფასეულობანი, მაგრამ არა თავის სასარგებლოდ. სიმდიდრისკენ სწრაფვამ იგი გააღატაკა.

ვერცხლისმოყვარეობიდან უშუალოდ წარმოიშვა მეოთხე ცოდვა – შური.

ყოველი შრომა და ყოველი წარმატება წარმოშობს ადამიანთა

შორის შურს და იგია ამაოება ამაოებათა. შური ქვენა გრძნობაა, ის შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას. მოშურნეს ყველაფერი შურს: მოყვასის სიმდიდრე, მისი მდგომარეობა, თანამდებობა, წარმატება. შური აღავსებს მას სიძულვილით, ნგრევის ჟინით, ის მზად არის გაანადგუროს სხვისი კეთილდღეობა. „ხოლო უკუეთუ შური მწარე გაქუნდეს და ჴდომაჲ გულთა შინა თქუენთა, ნუ იქადით და სტყუით ჭეშმარიტებასა ზედა. არა არს ესე სიბრძნე ზეგარდამოსრული, არამედ ქუეყანისაჲ, მშჳნვიერი და საეშმაკოჲ“ (იაკ. 3, 14-15).

„შური სხვათათვის არ წარმოადგენს საფრთხეს, იგი, უპირველეს ყოვლისა, ვნებს თვით მოშურნეს და, როგორც რკინას ჟანგი, ხრავს ადამიანის სულს“ (ბასილი დიდი). „შენ მტერი ხარ არა სხვისი, – ამბობს წმიდა კვიპრიანე, – არამედ შენი სულის ხსნისა. ყველას, ვისი შურიც შენ თან გდევს, შეუძლია გაგექცეს, ხელიდან გაგისხლტეს, მაგრამ საკუთარ თავს ვერსად გაექცევი, სადაც არ უნდა იყო, მტერს ვერ დაემალები, მან შენს გულში დაიბუდა და შენში მყოფი სენი არ მოგასვენებს“ (წმიდა კვიპრიანე. „საკვირაო საკითხავი“).

ღმერთმა შეიწყალოს და განათავისუფლოს ყოველი ადამიანი ამ ბოროტებისაგან.

ზოგი ფიქრობს, რომ ყოველგვარი ურთიერთობა მამაკაცსა და ქალს შორის ცოდვაა. ეს ასე არ არის. ქორწინება ღვთისაგან კურთხეული საიდუმლოა, მაგრამ სიძვა ერთ-ერთი უმძიმესია სხვა მომაკვდინებელ ცოდვათა შორის. მისგან გამომდინარეობს ყოველი სხვა არაბუნებრივი კავშირი. იგია სიბილწე არა მარტო ხორციელი, არამედ – სულიერი. ის ამახინჯებს ადამიანის სულსა და გონებას, მის ფსიქიკას, უკარგავს ჭეშმარიტების აღქმის უნარს, მრუდე გზით წარმართავს ცხოვრებას. ფართოდ გავრცელებული თეორიები მორალური და სექსუალური თავისუფლების შესახებ ხელყოფაა ბუნებისა, დამღუპველია ადამიანისა.

ქორწინება, ოჯახი, შვილები, ერის კეთილდღეობაზე ზრუნვა, – ყოველი ზნესრული ადამიანის ცხოვრების წესია. იგი გულისხმობს მამაკაცსა და ქალს შორის უმწიკვლო ურთიერთობას, ურთიერთნდობას, ურთიერთთავგანწირვას, ურთიერთმსხვერპლგაღებას.

„სიწმიდეში დავანებულია ნათელი და სიხარული და მშვიდობა და მოთმინება; სიძვაში კი მწუხარება, ვაება, უძღები ძილი და წყვდიადი“ (ეფრემ ასური). მეძავთა და მემრუშეთა „სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ“ (1 კორ. 6, 10), რადგან ხორცი ჩვენი სიძვას კი არა, უფალს ეკუთვნის; „არა უწყითა, რამეთუ ჴორცნი ეგე თქუენნი ასონი ქრისტესნი არიან?.. არა უწყითა, რამეთუ ჴორცნი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან... ადიდეთ უკუე ღმერთი ჴორცითა მაგით თქუენითა, ...რომელი-იგი არს ღმრთისაჲ“ (1 კორ. 6, 15,19-20), – გვასწავლის პავლე მოციქული.

როდესაც იესო ქრისტეს მიუყვანეს მემრუშე დედაკაცი, რათა იგი ქვებით ჩაექოლათ, იესო „თითითა ქუეყანასა წერდა და არარას ეტყოდა“. შემდეგ მოუწოდა პირველ უცოდველს, დაეკრა ქვა ცოდვილისათვის „და კუალად ქუე დადრკა და წერდა ქუეყანასა“ და ოდეს მხილებულნი თითო-თითოდ გაიკრიფნენ, მან კვლავ განაგრძო თითით ხაზვა და დუმილი. „და დედაკაცი იგი დგა შორის“.

ქვედადრეკილი მაცხოვარი თითით ხაზავს მიწაზე ჩვენთვის შეუცნობელს და ფიქრობს ჩვენთა ცოდვათა გამო. შემდეგ ეუბნება განზე მდგომ ქალს, შეძრულს უფლის წყალობითა და საკუთარი სიცოცხლის გადარჩენით, „არცა მე განგიკითხავ შენ. წარვედ და ამიერითგან ნუღარა სცოდავ“ (იოან. 8, 11).

ამიერიდან ნუღა სცოდავო, – გვითხრა უფალმა, – და მე არ განგიკითხავო. მაგრამ ადამიანს აქვს უცნაური თვისება, დაიხშოს ყურნი სმენად, გამუდმებით სცოდოს თვითონ, სხვანი კი განიკითხოს.

„განკითხვა მიტაცება არს მხოლოდშობილისა პატივისა და დამაქცეველი სულისა“ (იოანე კიბისაღმწერელი). ამ ცოდვით ყვე-

ლაზე მეტად ისინი არიან დამძიმებულნი, საკუთარ თავს კარგად რომ არ იცნობენ, არ იციან, რა არის ჭეშმარიტი სინანული და, ბოლოს, არ იციან, საქმენი ეშმაკისანი, რომელიც ყოვლის ღონით ცდილობს ჩვენი სულის დაღუპვას.

ხშირად კაცი ცხადად დიდ ბოროტ საქმეთ იქმს, მაგრამ უფრო მეტ კეთილს – ფარულად; ჩვენ კი მას მხოლოდ განვიკითხავთ. განმკითხველი აუცილებლად ჩავარდება იმ ცოდვაში, სხვას რომ უძრახა და სასჯელსაც მკაცრს მიიღებს. „რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, – გვაფრთხილებს მაცხოვარი, – განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ“ (მათ. 7, 2).

თუ ადამიანში არ არის სიძულვილი და ბოროტება, იგი ლოცვით შეეწევა დაცემულს.

მაშ, მოვიზღუდოთ თავი, რადგან „ვითარცა ამპარტავნება თავით თვისით თვინიერ სხვისა ვნებისა შემძლებელ არს წარწყმედად ჩვენდა, ეგრეთვე განკითხვა მოყვასისა მარტოდ შემძლებელ არს სრულიად წარწყმედად ჩუენდა“ (იოანე კიბისაღმწერელი).

ჩავიხედოთ ჩვენს სულში და მთელი გულით შევთხოვოთ უფალს: „მომანიჭე მე განცდაჲ თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე, ამინ“ (ეფრემ ასური).

სხვა კიდევ ბევრი ცოდვა გვაწევს მხრებზე. მათზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება და უნდა ვილაპარაკოთ კიდეც, რადგან „ცხად არიან საქმენი ჴორცთანი, რომელ არიან: ...არა-წმიდებანი, ბილწებანი, კერპთ-მსახურებანი, მწამლველობანი, მტერობანი, ჴდომანი, შურობანი, გულის წყრომანი, წვალებანი, შფოთებანი... კაცის -კვლანი, ლირწებანი, მთვრალობანი, სიღოდანი და მსგავსნი ამათნი. რომელსა წინაჲსწარ გეტყჳ თქუენ, ვითარცა პირველ გარქუ, ვითარმედ ესევითარისა მოქმედთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ“ (გალ. 5, 19-21).

ალბათ ბევრი თქვენგანი იკითხავს: განა შესაძლებელია უცოდველი ცხოვრება?

მართალია, უცოდველი მხოლოდ უფალია, ადამიანი კი მიდრეკილია ცოდვისაკენ, მაგრამ არ არსებობს ცოდვა, ღვთის სიყვარულს რომ აღემატებოდეს და ჭეშმარიტი სინანულით, აღსარებითა და ზიარებით მისი შენდობა არ შეიძლებოდეს.

ჩვენი სული პირვანდელ სახეს დაიბრუნებს და მშვენიერ ბაღს დაემსგავსება, თუ განუწყვეტლივ მოვუვლით, მოვაშორებთ ეკალ-ბარდსა და სარეველას, გავწმენდთ ჭუჭყისაგან, თუ მოვიმკით ნაყოფს სულისა.

„ხოლო ნაყოფი სულისაჲ არს: სიყუარული, სიხარული, მშჳდობაჲ, სულგრძელებაჲ, სიტკბოებაჲ, სახიერებაჲ, სარწმუნოებაჲ, მყუდროებაჲ, მარხვაჲ, მოთმინებაჲ“ (გალ. 5, 22-23).

ბედნიერია, ვინც თავისი ცხოვრების გზად „გზა ჭეშმარიტი“ აირჩია, ვინც არა მარტო ხორცისთვის ზრუნავს, თუ რა ჭამოს, რა სვას და რა შეიმოსოს, არამედ ემზადება საუკუნო ცხოვრებისათვის.

ღმერთმა გაგვიხსნა სრულყოფის კარი და თუ მისი ნათლით გაბრწყინებულნი, რწმენითა და სიყვარულით აღვსილნი წარვმართავთ კაცობრიობის პროგრესს, ჩვენს მომავალს საფრთხე არ დაემუქრება.

დღეს, როგორც არასდროს, მთელი კაცობრიობა ესწრაფვის მშვიდობას, მშვიდობას ბირთვული იარაღის გარეშე. სიკვდილის იარაღი ადამიანმა დააგროვა ისეთი რაოდენობით, რომ ძალის პოლიტიკით საუბარი უკვე შეუძლებელია. აუცილებელია ახალი პოლიტიკური აზროვნება; მორატორიუმი, რომელიც ბირთვულ აფეთქებებზე ცალმხრივად ხორციელდება ჩვენი ქვეყნის მიერ, სწორედ ამ ახალი აზროვნებით იყო ნაკარნახევი.

გულისტკივილით შეხვდა მსოფლიო საზოგადოება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ამ დიდმნიშვნელოვანი წინადადების უგ-

ულებელყოფას. ყველამ უნდა გაიგოს, რომ მორატორიუმის უარყოფა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების უარყოფაა.

გვწამს, დედამიწაზე ადრე თუ გვიან აიკრძალება ბირთვული გამოცდები, რადგანაც უარი ამ ნაბიჯის გადადგმაზე თვითმკვლელობას ნიშნავს.

ყოვლადსამღვდელონო მწყემსმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ძმანო და დანო ჩემნო, მოგვეახლა ბრწყინვალე დღესასწაული – დღე ღვთის უნაპირო სიყვარულის გამჟღავნებისა, დღე კაცობრიობის უშრეტი სიხარულისა; ბეთლემში იშვა უფალი, მაგრამ დღეს იგი იბადება ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანის გულში. მოვემზადოთ, რათა მივიღოთ იგი ჩვენი არსების განწმედილ ტაძარში და ეგოს იქ უკუნისამდე.

„ამისთვის შობილ ვარ და ამისთვის მოვივლინე სოფლად, რაჲთა ვწამო ჭეშმარიტი. ყოველი, რომელი ჭეშმარიტებისაგან იყოს, ისმინოს ხმისა ჩემისა“, – ბრძანებს იესო ქრისტე. დიდ არს ჭეშმარიტება ესე. იგია ჭეშმარიტება მარადიული სიყვარულისა; იგია ჭეშმარიტება ღვთისა და ადამიანის შესახებ, რომელიც გვიჩვენებს გზას საუკუნო ნეტარებისას და გვყოფს ჩვენ უფლად თავისა ჩვენისა. „სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ (იოან. 8, 32), – ვკითხულობთ საღმრთო წერილში.

ყველას გილოცავთ მაცხოვრის შობის დღესასწაულს.

დაე, მშვიდობამ და სიყვარულმა დაივანოს თქვენს გულებში, თქვენს ოჯახებსა და მთელ მსოფლიოში.

ღმერთი მშვიდობისაჲ და სიყვარულისაჲ და ჭეშმარიტებისაჲ იყავნ თქუენ თანა მარადის.

ქრისტეს შობა
თბილისი, 1987 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1987 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის

ღვთივკურთხეულ შვილებს, რომელთაც უხარის აღდგომა ქრისტესი

„მოვიდა ქორწილი კრავისაჲ“ (გამოცხ. 19, 7).

ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული კვლავ უჩვეულო სიხარულით ავსებს ჩვენს გულებს. მისი სახით თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე მოდის ჩვენთან და ღვთაებრივი მადლით იმდენად აღავსებს ჩვენს შინაგან სამყაროს, რომ ეს მადლი, გულში დაუტევნელი, უხვად იღვრება და უნაწილდება ყველა გარშემო მყოფს.

თავისი სიძლიერით ამ გრძნობას ვერ შეედრება მიწიერი კეთილდღეობით გამოწვეული ვერც ერთი განცდა. ამ იდუმალ ღამეს,

როგორც არასდროს, ჩვენი სული თბება რწმენით, სასოებითა და სიყვარულით; უფალი მოდის თითოეულ ჩვენგანთან და გვეუბნება: „ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ“ (ლუკ. 8, 50).

რით შეგვიძლია ვუპასუხოთ ამ დიდ სიყვარულს?

მოწიწებით უნდა მივიღოთ იგი, გულის სიღრმეში უნდა მივუჩინოთ სამყოფელი და გარშევარტყათ მთრთოლვარე სიყვარული. გვყოფს ტაძრად სულიწმიდისა და შევიმოსებით მისი დიდებით. „ხოლო ნაყოფი სულისაჲ არს: სიყუარული, სიხარული, მშჳდობაჲ, სულგრძელებაჲ, სიტკბოებაჲ, სახიერებაჲ, სარწმუნოებაჲ, მყუდროებაჲ, მარხვაჲ, მოთმინებაჲ“ (გალ. 5, 22).

სულიწმიდის მადლით აღვსებას გისურვებთ, ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, ღირსნო ბერ-მონაზონნო, უცხოეთში მცხოვრებნო თანამემამულენო და ყოველნო, სულიერნო შვილნო საქართველოს წმიდა ეკლესიისა; სიყვარულით მოგესალმებით და გულით მოგილოცავთ წმიდა პასექის დიად დღესასწაულს.

ქრისტე აღდგა!

„აღდგა იგი ღმერთი, რომელმანც გვიანდერძა ჩვენ ურთიერთის სიყვარული და გვითხრა: „ესე არს მცნება ჩემი, რათა იყვარებოდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყვარეთ თქვენ“.

აღდგა იგი მეუფეთა მეუფე, რომელმანც აღადგინა ღირსება ადამიანისა და ჰრქვა მონებით შეგინებულს ქვეყნიერებას: „არღა გეტყვით თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იცის, რასა იქმს უფალი მისი; ხოლო თქვენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამის ჩემისაგან, გაუწყეთ თქვენ“, – წერს სააღდგომო მიმართვაში ჩვენი ერისა და ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხილი დიდი ილია ჭავჭავაძე.

აღდგომა ქრისტესი სიცოცხლის გამარჯვებაა სიკვდილზე.

აღდგომა ქრისტესი სიკეთის გამარჯვებაა ბოროტებაზე.

„სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი?“ (1 კორ. 15, 55).

ადამიანი, როგორც ნაწილი ქრისტეს ბუნებისა, უშუალო მონაწილეა ამ ძლევისა. გამარჯვება მოპოვებულია, მაგრამ მას გაფრთხილება და შენარჩუნება უნდა.

სად პოვოს კაცმა ძალა მის დასაცავად?

პასუხი ერთია: ეკლესიაში, რომელი არს სხეული ქრისტესი.

ჩვენთვის განხორციელებული, ჯვარცმული და აღდგომილი ქრისტე განუყოფელია ეკლესიისგან ისევე, როგორც ეკლესია წარმოუდგენელია ქრისტეს გარეშე. ეკლესიის საიდუმლოთა მეოხებით ნათლად შევიგრძნობთ, რომ ქრისტეში და ქრისტეთი დაიწყო მსოფლიო პასექი, დაიწყო ქორწილი კრავისაჲ, დაიწყო ჩვენი სვლა სასუფევლისკენ.

ჩვენ სულიერად ვნათლდებით ეკლესიის სიწმიდით, მაგრამ ეკლესია არ შეილახება ჩვენი ცოდვებით, რადგან მისი სიწმიდე ჩვენმიერი კი არა, მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტესეულია.

ეკლესია შედგება ჩვენგან, მაგრამ არსი მისი და ცხოველმყოფელი ძალა მისი ჩვენში არ არის. ადამიანის ხორციელი ბუნებაც ხომ შეიცავს ქსოვილს, სისხლს, ლიმფას... მაგრამ ჩვენი რაობა მათში კი არა, იმ მაცოცხლებელ ძალაშია, რომელიც ორგანული შერწყმით ქმნის ერთიან მთელ სხეულს; მსგავსად ამისა, ეკლესიაც არის არა მხოლოდ ადამიანთა კრებული, არამედ, უპირველეს ყოვლისა, – ის ძალა, ხალხს რომ აერთიანებს და ამ ერთობით მას ღვთის ნაწილად ხდის.

ღმერთკაცის – იესო ქრისტეს მიერ დაარსებული ეკლესია მასავით ორბუნებოვანია – ღვთაებრივ-ადამიანურია. ოღონდ გან-

სხვავება ის არის, რომ იესო ქრისტე სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცია, ეკლესიამ კი ჯერ ვერ მიაღწია სრულყოფილ ღვთაებრივ-ადამიანურ საფეხურს. მისი ადამიანური არსი გამუდმებით უნდა მიისწრაფოდეს სრულქმნისაკენ, რათა შეეფარდოს თავისსავე სულიერ-ღვთაებრივ საწყისს. მიუხედავად ეკლესიის ადამიანური ბუნების ნაკლოვანებისა, ნიკეა-კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებაზე დადგენილ მრწამსში ვამბობთ: „მრწამს ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. ეკლესია განწმედილია თავისი ღვთაებრივი დამაარსებლის სისხლითა და სულიწმიდის მადლით, რომელიც წმიდა საიდუმლოთა შესრულებისას მოეფინება მლოცველთ.

მაინც რა არის ეკლესია, რა ძალაა მასში? რატომ არ არის საკმარისი ვიყოთ მხოლოდ მორწმუნე?

ქრისტიანული ცხოვრება ეკლესიაში ავლენს თავის ფორმას, ამიტომაც უწოდებს მას წმიდა პავლე მოციქული „სახლს ღმრთისას“ (1 ტიმ. 3, 15), „ქალაქსა ღმრთისა ცხოველისასა“ (ებრ. 12, 22), „დედას მორწმუნეთა“ და უფალ იესო ქრისტეს სხეულს, თავი რომლისაც თავად იგია (რომ. 12, 5; 1 კორ. 6, 15; 12, 12-28).

წმიდა მამები სახარებაში ფქვილისა და საფუარის შესახებ იგავს რომ განმარტავენ, ამტკიცებენ, რომ სწორედ ეკლესიაა ამ ქვეყნისათვის მოვლენილი ახალი ცხოვრების საფუარი. „რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათ. 18, 20). – ბრძანებს უფალი.

წმიდა მღვდელმოწამე კვიპრიანე პირდაპირ ამბობს: „ვისაც კავშირი და გულწრფელი ურთიერთობა არა აქვს ეკლესიასთან, ქრისტეს სახელისათვის მან თავიც რომ გასწიროს, ცოდვას სისხლითაც ვერ განიბანს; წარუხოცელ და მძიმე ბრალს განყოფისას ტანჯვითაც კი ვერ განიწმენდს; არაეკლესიური არ შეიძლება იყოს

მოწამე, ვერ ეღირსება იგი მეფობას“ (ქრისტიანული სწავლება, ნაწ. I, ქრისტიანული ეკლესიის ერთობის შესახებ, 1837 წ.).

ღირსი მამა ეფრემ ასური კი ასე წერს: „ნეტარ ხარ შენ, ეკლესიავ მართლმორწმუნეთა, რამეთუ თვით მეფემ მეფეთა დაიდგინა შენში სავანე. მტკიცეა შენი საძირკველი, რადგან უფალი გიცავს შენ. ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ გძლევენ და მტაცებელნი მგელნი ვერ შეგმუსრავენ, ვერ შეარყევენ სიმაგრეს შენსას.

ო, რა დიდი და ბრწყინვალე ხარ შენ, სახლო ღვთისა“ (შრომები, მ. 1858, გვ. 28).

„მეზღვაურთათვის, – გვასწავლის წმიდა თეოფილე ანტიოქიელი, – ღმერთმა თავშესაფრად კუნძულნი განაწესა; ცოდვით დაცემულ მსოფლიოს კი მიმადლა წმიდა ეკლესიები, რომელნიც ინახავენ სწავლებას ჭეშმარიტის შესახებ“.

„ეკლესია ბურჯი და სიმტკიცეა ჭეშმარიტებისა“, – ნეტარი ავგუსტინე.

„ეკლესია ერთადერთი სამეფოა ქვეყანაზედ უზენაესის კანონებით არსებული... ეკლესია უჭეშმარიტესი დამტკიცებაა მომავალი უკვდავებისა და უგანათლებულესი სიბრძნეა ზეგარდმო მონიჭებული“, – ბერი ალექსი შუშანია.

ამგვარი გამონათქვამები სხვაც ბევრი შეიძლება მოვიტანოთ, რადგან წმიდა მამები თავიანთი დიდი სულიერი გამოცდილებით, მთელი არსებით გრძნობდნენ ეკლესიის მაცოცხლებელ ძალას, იმას, რომ მხოლოდ ეკლესიის წიაღში ხდება ადამიანის ფერისცვალება, რომ მხოლოდ ეკლესიას შეუძლია მისცეს მას ის უმთავრესი, რაც კაცმა დაკარგა და რასაც ის შეუცნობლად ასე ეძებს და ესწრაფვის.

ეკლესია ის ერთადერთი ადგილია, რომელიც გვიხსნის სულიერი სრულყოფის გზას, ის ოაზისია, სადაც ქრისტესთან ერთობა მიიღწევა და მარადიული ნეტარება მოიპოვება. „მე ვარ გზაჲ და მე

ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ. არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“ (იოან. 14, 6) – გვაფრთხილებს უფალი.

ეკლესიის არსს მხოლოდ ის მიხვდება და იგრძნობს, ვინც ეკლესიურად ცხოვრობს. გარეშე მაყურებელი კი მხოლოდ მის ზედაპირულ მხარეს ხედავს; სული, ძალა და დიდება ეკლესიისა მისთვის უხილავი და შეუცნობელი რჩება, რადგან თვითონაც უსულოდ ცხოვრობს.

მშვენივრად წერს ნეტარი ავგუსტინე: „სულიწმიდის მადლით დაჯილდოებული პიროვნება ეკლესიურია... ეკლესიის გარეშე მყოფნი მოკლებულნი არიან სულიწმიდას. თუ სხეულს რომელიმე ნაწილს მოვკვეთთ, იგი შეინარჩუნებს ფორმას, ვთქვათ, თითის, ხელის ან ყურისას, მაგრამ მასში არ იქნება სიცოცხლე; ასეთია მდგომარეობაც არაეკლესიურთა“ (ქადაგება 268, 2).

იესო ქრისტეს ძალდატანებით არავინ მოჰყავს ეკლესიაში, არამედ – მხოლოდ ისინი, რომელთაც სურთ, მისდიონ მას და იყვნენ მონაწილე მისი არამიწიერი, ღვთაებრივი სიყვარულისა. „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, – ბრძანებს იგი, – უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე“ (მათ. 16, 24).

ძნელია განდგომა საკუთარი თავისგან; ძნელია უარყოფა ვიწრო ეგოიზმისა, არაწმიდა აზრებისა და გრძნობებისა. ზოგჯერ გვგონია, ვერ შევძლებთ, წინ აღვუდგეთ მიწიერ სურვილთ და ბოროტებას. როგორ დავძლიოთ იგი, როგორ განვიძარცვოთ ტანსაცმელი ძველი კაცისა და შევიმოსოთ სამოსელი სიმართლისა, სიყვარულისა, სამოსელი თანაგრძნობისა, მორჩილებისა, სიწმიდისა?

ჩვენი სულიერი ფერისცვალება მხოლოდ ეკლესიას შეუძლია.

ნუ შიშობ, იტვირთო ჯვარი, უფლის მიერ შენთვის განკუთვნილი. მაცხოვარი მოგვევლინა არა დასასჯელად და წარსაწყმედად, არამედ ხსნისათვის თაყვანისმცემელთა მისთა. იგი ყოველ ჩვენგანს

განუმზადებს ისეთ ჯვარს, რომლის ტვირთვაც ძალგვიძს, ოღონდ უნდა მივენდოთ, ვუსმინოთ და მივსდიოთ მას. მორწმუნედ გახდომა არ არის საკმარისი, რომ ქრისტიანი გვერქვას, რომ ეკლესიის ნაწილი ვიყოთ. აუცილებელია ხელახლა შობა, ახალ ადამიანად ქცევა, აუცილებელია ეკლესიური ცხოვრება.

ეკლესიაში აღესრულება საიდუმლოებები: ნათლობის, მირონცხების, აღსარების, ზიარების, მღვდლობის, ქორწინების, ზეთისცხებისა და სხვა მღვდელმოქმედებანი, რომელთა მიღება აუცილებელია ქრისტიანისთვის.

მონათვლით ადამიანი ეკლესიაში შედის, ქრისტეს ნაწილი ხდება, ხელახლა იბადება; თავისუფლდება როგორც ადამისმიერი პირველქმნილი შეცოდებისგან, ისე ყველა სხვა ცოდვისაგან; აღდგება მასში ხატება ღვთისა, მიენიჭება სულიწმიდის მადლი და ყველა სიკეთე მისი.

„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი, – მიმართავს იესო ქრისტე საქადაგებლად მიმავალ თავის მოწაფეებს, – და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ“ (მათ. 28, 19-20). ხოლო სხვა ადგილას ბრძანებს: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელ-ეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოან. 3, 5).

წმიდა ნათლობის ძალით სულიერი დაბადება ნიშნავს ახალი ცხოვრების დაწყებას, საკუთარი თავის დავიწყებასა და მსახურებას ქრისტესა და მოყვასისათვის. ამაში პოვებს ნამდვილი მორწმუნე სიხარულსა და ბედნიერებას, თავისი არსებობის აზრსა და მიზანს.

ნათლობისას პიროვნებას ღმერთი მოუვლენს მფარველ ანგელოზს, რომელსაც ევალება მისი დაცვა და სულიერ სრულყოფაში შემწეობა.

ინათლებიან როგორც სრულასაკოვანნი, ისე მცირეწლოვანნი.

ეკლესიაში ბავშვების ნათლობა უძველესი ხნიდან დაწესდა. ბავშვს მღვდელი ნათლავს მშობლებისა და ნათლიების რწმენის ძალით, რომელთა წმიდა მოვალეობაა, ასწავლონ ყრმას სარწმუნოების კანონები და ღვთისსათნო ქრისტიანული ცხოვრება.

ნათლობისას სრულდება ასევე მეორე დიდი საიდუმლო – მირონცხება. როცა მღვდელი მოსანათლს ჯვრის სახით მირონს სცხებს, ამბობს: „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ“.

იღებენ რა ამ ორ უდიდეს საიდუმლოს, ზოგიერთნი, სამწუხაროდ, ამით ამთავრებენ ეკლესიაში ცხოვრებას. თუ ახალშობილს საზრდოს დროზე არ მივაწვდით, მოკვდება; ასეა სულიერ ცხოვრებაშიც.

ისინი, რომელნიც არ აღავლენენ ლოცვებს, არ მარხულობენ და ქრისტიანულად არ ცხოვრობენ, სულიერად კვდებიან კიდეც; მოეკვეთებიან ხეს ცხოვრებისას – ეკლესიას, რომლისგანაც გამუდმებით უნდა მიეღოთ სულიერი საზრდო. ჭეშმარიტნი ქრისტიანენი კი ნათლობისა და მირონცხების შემდეგაც უხვად იღებენ სულიერ საკვებსა და მადლს.

ნათლობით თუმცა განვეშორეთ სატანას და ყოველთა საქმეთა მისთა, მაგრამ თვითონ იგი არ გვტოვებს; მუდამ ცდილობს, კვლავ დაგვიპყროს, კვლავ მოგვიპოვოს. ამიტომაც ჩვენი გული კეთილსა და ბოროტს შორის მუდმივი ბრძოლის ასპარეზია.

სახარებაში ვკითხულობთ, რომ ადამიანისაგან განდევნილი არაწმიდა სული ურწყულ ადგილებს მიაშურებს და რაკი იქ განსასვენებელს ვერ პოვებს, ცდილობს, ძველ სამყოფელს დაუბრუნდეს. თუ კაცი განლაღებული დახვდა, სხვა უბოროტესს ეშმაკთაც მოიყვანს და მათთან ერთად დაემკვიდრება მასში. და კაცი იგი შეიქმნება უფრო ცოდვილი, ვიდრე ადრე იყო (მათ. 12, 43-45). ამიტომ საჭიროა ცოდვისგან მუდმივი განწმენდა, მისგან გათავისუფლება.

ჩვენ მიერ ჩადენილი ყოველი ბოროტება ცოდვაა. იგი ღვთისა

და თვით ჩვენი თავის საწინააღმდეგო მოქმედებაა, ყოფის არყოფნად გარდაქმნაა, ჩვენი ბუნების დამახინჯებაა, ჩვენი დამაქცეველი ძალაა; ესაა მსვლელობა დამღუპველი მიზნისაკენ.

ბოროტებას შესაბამისი ბოროტი შედეგი მოჰყვება. ცოდვის შედეგია ღვთისგან განდგომა, სიყვარულის, მშვიდობისა და ბედნიერების დაკარგვა, სულიერი სიღატაკე, სიკვდილი... „ცოდვაᲘ სოფლად შემოჴდა და ცოდვისა ძლით – სიკუდილი“ (რომ. 5, 12).

დარღვეული შინაგანი მთლიანობა რომ აღდგეს, ადამიანმა აღსარება უნდა თქვას და ღვთის წინაშე მოინანიოს ცოდვები. ასეთ შემთხვევაში მისი დახმარება მხოლოდ მოძღვარს შეუძლია, რადგანაც შენდობის უფლება ღვთისგან მასა აქვს მინიჭებული.

მაცხოვარმა მოციქულებს მისცა განსაკუთრებული ძალა ცოდვილთა მიმართ: „ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჰჳსნათ ქუეყანასა ზედა, ჳსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათ. 18, 18). ეს მადლი მოციქულებიდან მათი საქმის გამგრძელებლებს – ეპისკოპოსებსა და სამღვდელოებას გადაეცა და დღემდე მოდის.

აღსარებისთვის მომზადებულნი უნდა მივიდეთ. ეს საიდუმლო უნდა აღვასრულოთ ისე, თითქოს იგი იყოს ჩვენი უკანასკნელი, სიკვდილის წინა აღსარება. მამები აღსარებას მეორე ნათლობას უწოდებენ, რადგანაც ამ დროს, ისევე როგორც ნათლობისას, პიროვნებას მიეტევება ცოდვები, ოღონდ მხოლოდ ის ცოდვები, რომელთა შენდობასაც მოძღვრისგან მიიღებს.

აღსარებას თვით უფალი იესო ქრისტე იღებს. იგი უხილავად ესწრება ამ საიდუმლოს, მღვდელი კი არის მოწმე და ადამიანის მიმართ ღვთის დიდი წყალობის საიდუმლო აღმსრულებელი.

აღსარებით განწმენდილი ადამიანი მზად არის მიიღოს მეორე უდიდესი საიდუმლო – ზიარება.

განა შეიძლება ქრისტიანი გვერქვას და არ ვიყოთ მონაწილე

წმიდა ევქარისტიისა – ზიარებისა?! იგი არა მხოლოდ საიდუმლო სერობის გახსენებაა, არამედ ჩვენი ერთობა მაცხოვართან, ჩვენზე გარდამომავალი უდიდესი საიდუმლო ძალა, ჩვენი განღმრთობა.

წმიდა ზიარების მიღების აუცილებლობაზე მიუთითებს მაცხოვრის ეს სიტყვები: „უკუეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა“ (იოან. 6, 53).

ეკლესიის ისტორიის დასაწყისიდანვე წესად იყო მიღებული ხშირი ზიარება. მეორე საუკუნის ცნობილი მამა ეგნატე ღმერთშემოსილი წერს: „ეცადეთ, ხშირად შეიკრიბოთ ზიარებისთვის და ღვთის სადიდებლად“ (XIII ეპისტოლე ეფესელთა მიმართ).

წმიდა იოანე დამასკელი კი ამბობს: სულისა და ხორცისგან შედგენილ ადამიანს სჭირდება როგორც სულიერი, ისე ხორციელი საკვები. სულიერ საზრდოდ იესო ქრისტემ მოგვცა თვით თავისი ხორცი და სისხლი, რომელსაც წმიდა ევქარისტიაში ღვინისა და პურის სახე აქვს.

რატომ მისცა უფალმა მოციქულებს საჭმელად თავისი სისხლი და ხორცი ღვინისა და პურის სახით? – კითხულობენ ზოგნი.

პური სიმბოლოა ღვთის ძალისა, სიმბოლო კაცთა ერთობისა.

თორმეტი მოციქულის სწავლანში – „დიდაქეში“ ვკითხულობთ: „როგორც ეს პური (ხორბლის სახით) იყო განბნეული სხვადასხვა ბორცვზე და შემდეგ შეკრებილი გახდა მთლიანი, დე, ასე შეერთდეს შენს საუფლოში ქვეყნის ყველა კიდიდან ეკლესია შენი (უფალო)“ (დიდაქე 9).

ყურძენშიც ღვთის იდუმალი ძალაა დაფარული. წმიდა ესაიას წიგნში წერია: „როცა ყურძნის მტევანში წვენი ჩადგება, მაშინ ამბობენ, ნუ შელახავ მას, რამეთუ მასშია კურთხევა“ (ეს. 65, 8).

ხშირად ზიარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთნი, მიაჩნიათ რა თავი უღირსად, წელიწადში ერთხელ ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ ეზიარებიან. ეს მიუტევებელი შეცდომა და ბოროტებაა საკუთარი თავის მიმართ.

როგორადაც არ უნდა მოვემზადოთ, განა ოდესმე ვიქნებით ღირსი, მივიღოთ ხორცი და სისხლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი? ჩვენი ცოდვების სიმძიმის შეგნებითა და უფლის მოწყალების იმედით უნდა მივეახლოთ ამ უდიდეს საიდუმლოს.

პირველ საუკუნეებში ქრისტიანები ყოველ წირვაზე იღებდნენ ზიარებას. ეს იყო ხალხი, სულით ძლიერი, ყოველ წუთს მზად რომ იყო, თავი გაეწირა ქრისტესთვის. მაგალითად, წმიდა ბასილი დიდი კვირაში ოთხჯერ ეზიარებოდა: კვირას, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს და, აგრეთვე, ყოველ დღესასწაულზე.

ძმანო და დანო ჩემნო, ნურც თქვენ მოიკლებთ ამ დიდ, გადამრჩენელ საიდუმლოს. მარხვის დროს გეძლევათ ლოცვა-კურთხევა ეზიაროთ ყოველ კვირას და, ასევე, ყოველ დიდ დღესასწაულზე. ეს მოგცემთ სულიერ ძალას როგორც ხილულ, ისე უხილავ მტერთან საბრძოლველად და გაქცევთ იმ სულიერ ტაძრად, რომელსაც უფალი არასდროს დატოვებს; მოგეცემათ მშვიდობა და სიხარული.

ზიარებით, ისევე როგორც აღსარებით, მივეახლებით ცოდვასა და სიკვდილზე უძლიერეს მარადიულ და ყოვლისმომცველ სიყვარულს ღვთისას.

სიყვარულმა გაითვალისწინა ყველაფერი, რაც კაცს სჭირდება. თავის მოწაფეებს, ქადაგებისთვის რომ გზავნიდა, სნეულთა განკურნების ძალაც მისცა უფალმა (მათ. 10, 1). ჭეშმარიტ მორწმუნეებს ისინი ზეთს სცხებდნენ და ავადმყოფნიც სნეულებისგან თავისუფლდებოდნენ (მარკ. 6, 13). იაკობ მოციქული ეპისტოლეში წერს: „უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა

ეკლესიისათა და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისაჲთა. და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან. დაღაცათუ ცოდვაჲ რაჲმე ექმნეს, მოვე-ეტეოს მას“ (იაკ. 5, 14-15).

ასე დაწესდა საიდუმლო ზეთისცხებისა. ეკლესიის ზოგიერთი წმიდა მამა ამბობს, რომ ზეთისცხებისას უფალი შეუნდობს ავადმყოფს დავიწყებულ ცოდვებს. ამ საიდუმლოს მადლით მრავალნი განკურნებულან.

ზეთი ყველამ უნდა ვიცხოთ, რადგან ყველას გვაქვს დავიწყებული ცოდვები და მოკლებულნი ვართ როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ სიმართლეს.

ეკლესია ის სულიერი კანაა გალილეისა, სადაც უფალმა დალოცა ქორწილი.

ქორწინება ქალსა და კაცს შორის სიყვარულით განმტკიცებული კავშირია; ეს ურთიერთობა მათი თავისუფალი ნებით ხორციელდება, ერთმანეთისადმი ერთგულების პირობას გულისხმობს და ეკლესიისა და ქრისტეს ერთობის სახით იკურთხება. „რომელნი – იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს“ (მათ. 19, 6), – ბრძანებს წმიდა წერილი.

ამ საიდუმლოთი ღმერთი აკურთხებს ოჯახურ ცხოვრებას, ბავშვების ყოლასა და მათ აღზრდას. ბავშვი ეგოიზმის დაძლევაში ეხმარება მშობლებს; ისინი, ორნი, ეწირებიან მესამეს და ამით დიდ ბედნიერებას იღებენ.

როცა ეკლესიასა და იქ აღსრულებულ ადამიანის ღრმა და იდუმალ ფერისცვალებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით მაინც არ შევეხოთ თვით მოძღვარს, რომელიც ამ საიდუმლოთა მთავარი მონაწილეა.

სასულიერო ხარისხში კურთხევა შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-

ერთია. ეპისკოპოსები, მღვდელნი და დიაკონნი ქმნიან საეკლესიო იერარქიას. მათი ვალია სახარების ქადაგება, საიდუმლოთა აღსრულება და საეკლესიო საქმეთა წარმართვა.

წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი წერს, რომ ეპისკოპოსი ეკლესიაში განასახიერებს უფალ იესო ქრისტეს, ხოლო მღვდელი სახეა მოციქულისა, ჯვარცმული პიროვნებისა.

ეპისკოპოსის ხელდასხმითა და წარმოთქმული ლოცვით რჩეულ კეთილმორწმუნე ქრისტიანზე სამღვდელო ხარისხში კურთხევისას გადადის განსაკუთრებული მადლი სულიწმიდისა.

მოძღვარი თავშეკავებული პიროვნება უნდა იყოს. წმიდა პავლე თავის მოწაფეს, მოციქულ ტიმოთეს, ასე არიგებს: „ხოლო სიჭაბუკისა მათ გულის თქუმათა ევლტოდე და შეუდეგ სიმართლესა, სარწმუნოებასა, სიყუარულსა, მშვდობასა მათ თანა, რომელნი ხადიან უფალსა გულითა წმიდითა“ (2 ტიმ. 2, 22).

ნამდვილი სასულიერო პირი თავისი თავით კმაყოფილი არასდროს არის; მუდამ ებრძვის ცოდვას, რომ უკეთესი გახდეს და იქცეს მაგალითად სამწყსოსათვის.

მას განსხვავებული კულტურის მქონე საზოგადოებაში უხდება მსახურება. ამიტომაც იგი უნდა იყოს არა მარტო კარგი ღვთისმეტყველი, არამედ სულიერი, განათლებული, კულტურული პიროვნება, მშვიდობისმყოფელი, მოსიყვარულე, მოწყალე მამა.

ხალხი სამღვდელოებას გამადიდებელი შუშით უყურებს და მას მცირე შეცდომასაც არ აპატიებს. მოძღვრის შეუფერებელი საქციელი ან სიტყვა-პასუხი მაშინვე განკითხვის საგნად იქცევა როგორც მორწმუნეთათვის, ისე, მით უმეტეს, ურწმუნოთათვის.

უნდა გვახსოვდეს, რომ მღვდელიც ადამიანია თავისი ადამიანური სისუსტეებითა და უძლურებით. უნდა გვახსოვდეს, რომ მას ბოროტი ძალა უფრო ძლიერ ებრძვის, რათა დაამციროს,

დაამდაბლოს იგი და ამით მრევლის რწმენა შეარყიოს. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ზოგიერთის მიზეზით სხვებს შეურაცხყოფა არ უნდა მივაყენოთ. განა იუდა ისკარიოტელის გამო შეიძლება უგულებელვყოთ ღვაწლი და შრომა სხვა მოციქულებისა, რომელთაც თავიანთი წმიდა ცხოვრებითა და მოწამებრივი აღსასრულით დიდების გვირგვინი მოიპოვეს?

ასე რომ, ეკლესია ერთადერთი სულიერი სავანეა, რომელში ყოფნაც აუცილებელია ქრისტიანისთვის, ყველასთვის, ვისაც სულის ხსნა სურს.

ეკლესიაში ყველაფერი მნიშვნელოვანია და ემსახურება იმ მიზანს, რომ ჩვენში ქრისტე აღიბეჭდოს, რომ ჩვენ ღმერთშემოსილნი გავხდეთ. და რაოდენ საწყალობელია მდგომარეობა მათი, ვინც ამ მადლს მოკლებულია.

ერთადერთი გზა ღმერთთან სიახლოვეშია.

ეშმაკი ეპატრონება იმათ, რომელნიც არ ლოცულობენ და არ მარხულობენ. სახარებაში პირდაპირ წერია: „ხოლო ესე ნათესავი არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (მათ. 17, 21).

ძალიან დიდი ძალა აქვს ფსალმუნის კითხვას. ყველა მორწმუნემ ზეპირად უნდა იცოდეს 50-ე ფსალმუნი. ამ ლოცვით ცოდვებისაგან იწმინდება კაცი, რადგანაც ეს სინანულის საგალობელია.

ბოროტ ძალებთან საბრძოლველად ღვთისაგან დიდ შემწეობას იღებს ის, ვინც რწმენითა და სასოებით წარმოთქვამს 90-ე ფსალმუნს.

ნუ გამოტოვებთ დილისა და საღამოს ლოცვებს, ზიარების წინა და შემდეგ ლოცვებს, ჭამის წინ და ჭამის შემდეგ, საქმის დაწყების წინ და დამთავრების შემდეგ ლოცვებს. შეძლებისდაგვარად იკითხეთ ფსალმუნი.

ყოველი შაბათი მიცვალებულთა დღეა. ნუ დაივიწყებთ გარ-

დაცვლილ მშობლებს, წინაპრებსა და ახლობლებს. ამ დღეს გაკეთებული საკურთხი ეკლესიაში წაიღეთ და პანაშვიდზე მოძღვარს მოახსენებინეთ მათი სულები.

გახსოვდეთ, ადამიანი კი არ კვდება, გარდაიცვლება მხოლოდ. მისი სული უკვდავია. იგი ითხოვს ჩვენგან დახმარებას. ამავე დროს, ისიც შეგვეწევა ღვთის წინაშე თავისი ლოცვით.

თუ ყოველივე ამას გააკეთებთ, ღვთის კურთხევა არ მოგაკლდებათ.

როცა ეკლესიასა და კაცობრიობისათვის ეკლესიის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მისი სამშვიდობო მოღვაწეობა.

ყველას კარგად გვესმის, რომ ჩვენთვის აუცილებელია როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მშვიდობა. ამის გარეშე შეუძლებელია არა თუ სულიერობა, არამედ საერთოდ არსებობა.

ჩვენ მეტად საპასუხისმგებლო დროს ვცხოვრობთ, საშინელი განსაცდელის წინაშეა თითოეული სახელმწიფო, მთელი მსოფლიო. თუ მოვლენები კვლავ ასე განვითარდა, ექნება კი საერთოდ აზრი რაიმეს ან მომავალი?

გულგატეხილობამ და ურწმუნოებამ მოიცვა ჩვენი გული, თუმცა მათ ბოლომდე მაინც ვერ დაგვიმორჩილეს, რადგან ყოველ ჩვენგანში წარუხოცელი ბეჭედია ღვთის მსგავსებისა, რადგან, ტერტულიანეს თქმისა არ იყოს, სული ყოველი კაცისა ბუნებით ქრისტიანია. ოღონდ საჭიროა უფრო ღრმა აზროვნება, ახლებურად აღქმა და გააზრება ყოველივე იმისა, რაც ხდება. სახელმწიფოთა შორის კულტურულმა, პოლიტიკურმა თუ სოციალურმა სხვაობამ ხელი არ უნდა შეუშალოს იმის შეგნებას, რომ ჩვენ ყველა ვცხოვრობთ ერთ სახლში, რომლის სახელიც დედამიწაა და მთავარი საუნჯე ამ დედამიწაზე ადამიანია.

დღეს, როცა კაცობრიობა იტანჯება შიმშილის, სიღარიბის,

ავადმყოფობისა და სოციალური უსამართლობისაგან, სულ უფრო მეტი იხარჯება შეიარაღებაზე. მდგომარეობა რომ გამოსწორდეს, აუცილებელია თანამედროვე ადამიანის ზნეობრივ-მორალური ცხოვრების დონის შეცვლა უფრო მაღალი კრიტერიუმებით, ხოლო ხალხთა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ახალი ფორმების გამოძებნა.

ამ საკითხების გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკლესიას, მის ლოცვას და იმ საქმიანობას, რასაც იგი სამშვიდობო მიზნით ახორციელებს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მორწმუნენი, მთელ ხალხთან ერთად მოწონებით შეხვდნენ ჩვენს ქვეყანაში სულიერი და მატერიალური განახლების პროცესის დაწყებას.

სულიერი და მატერიალური პრობლემები ჩვენი მუდმივი თანამდევია. ისინი განუყრელნი არიან, როგორც სახარებისეული დები მართა და მარიამი. მაგრამ ცხოვრების ორომტრიალში ჩაფლულთ კრავის სიტყვები არ უნდა დაგვავიწყდეს: „აჰა ესერა, მოვალ ადრე, და სასყიდელი ჩემი ჩემ თანა მიგებად თითოეულსა, ვითარცა საქმე მისი იყოს“ (გამოცხ. 22, 12); არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოახლოებულია ქორწილი კრავისა, რის შესახებაც უფალი სხვადასხვა საშუალებით გვაფრთხილებს.

მძიმე განსაცდელით დაიწყო ჩვენთვის ეს წელიწადი. დასავლეთ საქართველოში, სვანეთსა და სხვა მთიან რაიონებში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ დიდი მწუხარება და ცრემლი მოგვიტანა. ფეხზე დადგა მთლად საქართველო... გაჭირვებამ ყველა გაგვაერთიანა.

„მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის“, – წარმოთქვა წმიდა იოანე ოქროპირმა. ჩვენ, მის მსგავსად, მადლიერნი ვართ უფლისა ყოველივესთვის: ჩვენი ჯვრისათვის, განსაცდელისა და მწუ-

ხარებისთვის, ღვთის ჩვენდამი უნაპირო სიყვარულისა და ჩვენთვის თავგანწირვისთვის. გული უნდა გავუხსნათ ამ უსაზღვრო სიყვარულს, ღრმად დავიმარხოთ და არასოდეს განვშორდეთ. მაშინ ჩვენი ცხოვრების გზა იქნება ერთადერთი და გადამრჩენელი, მაშინ სულში მუდამ პასექის ზეიმი იქნება.

„იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკუდილადმდე, და მოგცე შენ გჳრგჳნი იგი ცხორებისაჲ“ (გამოცხ. 2, 10), – გვმოძღვრავს უფალი.

კურთხეული ივერიის ღვთის სათნო შვილნო! ღვთაებრივი სიყვარულით გამთბარი ერთხელ კიდევ გულითადად მოგილოცავთ ქრისტეს აღდგომის უბრწყინვალეს დღესასწაულს. „მოვედით, და ვიდოდით ნათელსა უფლისასა“ (ეს. 2, 5), ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა.

მხოლოდ მისი მადლით მოსილნი მოვიპოვებთ ჭეშმარიტ ბედნიერებას, მხოლოდ მასშია ნამდვილი სიყვარული და სიხარული.

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

პასექი ქრისტესი
თბილისი, 1987 წ.

საშობაო ეპისტოლე

1988 წ.

„რომელმან სძლოს, ვყო იგი სუეტად ტაძარსა
შინა ღმრთისა ჩემისასა“ (გამოცხ. 3, 12).

მშვენიერი, გასაოცარი და უსასრულოა სამყარო; მშვენიერია ადამიანი – ხატი ღვთისა და გვირგვინი ქმნილებისა. დიდია უფალი, მიუწვდომელია ძალა და სიბრძნე მისი. უსაზღვრო და განმაცვიფრებელია მოთმინება მისი და უნაპირო სიყვარული ცოდვილთადმი.

რით დავიმსახურეთ, ღმერთო, ესოდენი მოწყალება?

ჩვენ განგიდექით, ურჩ გექმენით და შენ მაინც არ განგვშორდი; მცნება მოგვეცი, რომ გზა გაგვეგნო, მაგრამ სიჯიუტე ჩვენი ვერ მივატოვეთ; საუკუნეთა მანძილზე გტანჯეთ, გაწვალეთ და გაიძულეთ, ძე შენი საყვარელი გაგეწირა ჩვენთვის, რომ გულდაბრმავებული

თვალებით მაინც დაგვენახა გვემა და წამება მისი და მაშინ მაინც მიმხვდარიყავით, როგორ დავეცით.

ეს იყო ხსნის ერთადერთი გზა და შენ იგი არ დაიშურე ჩვენთვის.

ზოგჯერ კითხულობენ: აუცილებელი კი იყო ღვთის განხორციელება, განა მონანიება საკმარისი არ იქნებოდა კაცობრიობისათვისო?

რომ ყოფილიყო მხოლოდ ცოდვები, – განმარტავს წმიდა ათანასე დიდი, – საკმარისი იქნებოდა სინანულით განწმენდა, მაგრამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ჩვენი სხეული დაექვემდებარა ბუნებრივ ხრწნას და დაკარგა მადლი ღვთის ხატებისა. იმიტომაც უნდა განხორციელებულიყო ძე ღვთისა, რომ აღედგინა ადამიანის დაცემული ბუნება.

„და მოვიდა ძე კაცისაჲ მოძიებად და ცხორებად წარწყმედულისა“ (ლუკ. 19, 10).

„მოვიდა... მსახურებად და მიცემად სული თჳსი საჴსრად მრავალთათჳს“ (მათ. 20, 28).

მრავალთათვისო, ბრძანებს მახარებელი და არა ყველასთვის, რადგან ყველა არ არის მზად, მიიღოს ღვთის სიკეთე. მაინც ვინ არიან იგი მრავალნი? ისინი, რომელთა ცხოვრებაც მსახურებაა ღვთისა და მოყვასისათვის; ისინი, რომელთა ამქვეყნიური ყოფაც განცხადებაა ანგელოზთა საგალობლისა, შობის ღამეს რომ მოეფინა ქვეყნიერებას: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“.

დიდება რომ შევწიროთ უფალს, არ არის საკმარისი მარტო რწმენა; ღმერთი უნდა ვადიდოთ სიტყვით და საქმით უშიშრად; ყველას წინაშე; ხოლო „რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, – გვაფრთხილებს მაცხოვარი, – უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა

ზეცათაჲსა“ (მათ. 10, 33). საქმით ღვთის დიდება მცნების დაცვასა და მის აღსრულებას ნიშნავს. „უკუეთუ გიყუარ მე, – ბრძანებს უფალი, – მცნებანი ჩემნი დაიმარხენით“ (იოან. 14, 15) „რამეთუ ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარობდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ. უფროჲსი ამისსა სიყუარული არავის აქუს, რაჲთა სული თჳსი დადვას მეგობართა თჳსთათჳს“ (იოან. 15, 12-13).

ვინ არის მეგობარი ჩვენი?

ჭეშმარიტი მეგობარი იგია, რომელიც უდრტვინველად იტანს თავს დამტყდარ უბედურებას და განიცდის მოყვასის გასაჭირს, როგორც საკუთარს. მეგობარი იგია, ვინც სიყვარულით მიგვითითებს შეცდომებზე და გვიჩვენებს სწორ გზას, ვინც ჩვენთანაა როგორც სიკეთისა და მხიარულების დროს, ისე უკიდურესი გაჭირვების ჟამს, მაშინაც კი, როცა ახლო ნათესავები დაგვტოვებენ.

ერთგული მეგობარი მტკიცე ზღუდეა; რომელმან შეიძინა იგი, ჰპოვა საგანძური. ერთგული მეგობარი ფასდაუდებელი საუნჯეა და არა აქვს საზღვარი მის სიკეთეს. ერთგული მეგობარი სალბუნია ცხოვრებისა და მოშიშნი უფლისანი ჰპოვებენ მას, – ვკითხულობთ ისო ზირაქის წიგნში (ზირ. 6, 14-16).

ბიბლიაში მეგობრობის მრავალი მაგალითია. გავიხსენოთ თუნდაც იონათანისა და დავითის ამბავი.

იონათანი იყო შვილი მეფე საულისა, ხოლო დავითი – უბრალო გლეხისა, რომელსაც იესე ერქვა და ბეთლემში ცხოვრობდა. დავითის მიერ ფილისტიმელთა გოლიათის დამარცხების შემდეგ ახალგაზრდები დამეგობრდნენ და განუყრელი მეგობრები გახდნენ. მეგობრობის სიწრფელე იონათანმა დაამტკიცა იმით, რომ არაერთხელ გადაარჩინა დავითი შურსა და რისხვას საულისას, რომელიც დავითში ტახტის მოცილეს ხედავდა. როცა იონათანი იგებდა, რომ მის მეგობარს საფრთხე ემუქრებოდა, მაშინვე აფრთხილებდა და

იხსნიდა მას განსაცდელისაგან. ამის გამო მეფე საული იმდენად განრისხდა, რომ ერთხელ შვილს შუბი ესროლა.

რამდენადაც უფრო ძლიერდებოდა საულის დავითისადმი სიძულვილი, იმდენად უფრო მტკიცე ხდებოდა მისადმი იონათანის მეგობრობა. უდაბნოში ერთ-ერთი შეხვედრისას იონათანი ეუბნება დავითს: „ნუ გეშინინ: რამეთუ ვერ გპოვოს ხელმან მამისა ჩემისა საულისამან შენ და შენ იქმნე მეფე ისრაელისა, და მე ვიყო შენდა მეგობარ და საულცა მამამან ჩემმან უწყის ესრეთ“ (1 მეფ. 23, 18).

იონათანის წინასწარმეტყველება ნაწილობრივ აღსრულდა: დავითი ავიდა სამეფო ტახტზე, მაგრამ იონათანი დაიღუპა. იგი განგმირეს ომის დროს, როცა მამასთან ერთად იბრძოდა მტრების წინააღმდეგ.

დავითი დიდხანს გლოვობდა მეგობარს, რომლის ერთგულება ვერ გაახუნა ვერც მამის რისხვამ, ვერც სამეფო გვირგვინის დაკარგვის ფიქრმა.

ქალთა თავდადების ასევე მშვენიერი მაგალითებია ბიბლიაში. რამდენი შემთხვევა ყოფილა, რომ მათ საკუთარი სიცოცხლეც არ დაუშურებიათ მეგობრისათვის. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი მეგობრობა არ არის ხანგრძლივი, რომ ქვეყნად ბოროტება მეფობს და მისი მთესველი ეშმაკია; ხოლო იგი არ მოგვასვენებს, ვიდრე ამ სოფლადა ვართ. ბოროტება, უპირველეს ყოვლისა, ჩვენშია, ჩვენს გულშია ფითრივით ფესვგადგმული და თუ დროზე არ მოვიკვეთთ, ცოდვის მსხვერპლნი და მსახურნი შევიქმნებით, რადგან იგი არ მოგვცემს საშუალებას, დავინახოთ სხვისი ტკივილი, სხვისი მწუხარება, დავინახოთ საკუთარი სისუსტენი.

განა იშვიათად ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა ქალ-ვაჟი სიყვარულით ქორწინდება. მერე კი, როცა ცხოვრებაში სიძნელენი ხვდებათ, როცა რაღაც მოუშუშებელი ტკივილის გამო კაცი იწყებს

სმას, კარგავს ჯანმრთელობას... სითბოსა და სიყვარულის, თანაგრძნობის ნაცვლად მეუღლისაგან მხოლოდ განკითხვასა და შეურაცხყოფას ისმენს და ბოლო არა აქვს უსიამოვნებას ოჯახში.

ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა კაცი ეჩვევა უზრუნველ ყოფას; მთელ საქმეს ქალის იმედზე ტოვებს, თვითონ კი იმაზე ფიქრობს, დრო როგორ გაატაროს, როგორ გაერთოს მაშინ, როცა მის ცოლშვილს უჭირს, უჭირს ეკონომიურად, ფიზიკურად თუ სულიერად.

ასეთი ოჯახები ხშირად ირღვევა. მეუღლენი ერთგულებას რომ უმტკიცებდნენ ერთმანეთს, შორდებიან. ღვთის ანაბარა რჩება ერთდროს საყვარელი, ახლა კი ავადმყოფი ცხოვრების მეგობარი; და იღუპება იგი თავისი უბედურებით, მარტოობითა და შეურაცხყოფით.

თუ ჭეშმარიტი ქრისტიანი ხარ, არა გაქვს უფლება, მიატოვო გაჭირვებაში მყოფი არა თუ ახლობელი, არამედ ნებისმიერი ადამიანი; ყოველი მათგანი ხომ ხატებაა ღვთისა.

მოვიდა შენთან გლახაკი და ხელს გიწვდის სათხოვნელად – ეს ქრისტეა; სარეცელზე წევს ავადმყოფი, ნუგეშინიეც – ეს უფალია. ეძებეთ იგი მორჩილთა, დამდაბლებულთა, შეურაცხყოფილთა და დამცირებულთა, მშიერ-მწყურვალთა შორის და „ყოველი რომელი გინდეს თქუენ, რაჲთა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ჰყვით მათა მიმართ“ (მათ. 7, 12).

მაშინ გეტყვით უფალი: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი...“ რადგან „მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილეს ვიყავ, და მოხუედით ჩემდა“... რადგან „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მათ. 25, 34-36, 40).

ძნელია ვისწავლოთ ადამიანებისადმი თანაგრძნობა, თუ ღვთაებრივი სიყვარულით არ ვართ გამთბარნი. ეს კი გულისხმობს თანადგომას არა მარტო განსაცდელში მყოფთა მიმართ, არამედ შეურაცხმყოფელთა მიმართაც; ეს გულისხმობს ეგოიზმის უარყოფას, უშურველობას, მორჩილებას, გულისხმობს სიმშვიდეს, თავგანწირვას, შენდობის უნარს... ჩვენ კი განკითხვის ცოდვიდან ვერ ვთავისუფლდებით და ამიტომაც არა ვართ მოწყალენი.

„რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ“ (მათ. 7, 2), – გვაფრთხილებს იესო ქრისტე. ასე რომ, ის, ვინც განიკითხავს, განიკითხვას არა მოყვასს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, – საკუთარ თავს და მიეცემა სასჯელსა და წამებას. ხოლო ვინც აპატიებს მოყვასს, ათავისუფლებს ბრალისაგან არა იმდენად მას, რამდენადაც საკუთარ თავს, რადგან სხვისი დანაშაულის მოწყალედ და ლმობიერად განსჯით იგი საკუთარი ცოდვების შენდობას მიიღებს.

თუ შენ მკაცრი ხარ სხვების მიმართ, – წერს წმიდა იოანე ოქროპირი, – და ხედავ მათ მცირე შეცდომებსაც კი, რატომ არ ამჩნევ საკუთარ დიდ ცოდვებს? ყოველი ადამიანი ხომ თავის თავს უკეთ იცნობს, ვიდრე სხვას; საკუთარი თავი მეტად უყვარს, ვიდრე სხვა. და თუ განიკითხავ მოყვასს, გსურს რა მისთვის სიკეთე, რატომ არ უსურვებ ამ სიკეთეს პირველ რიგში შენს თავს – უფრო ცხად და უფრო დიდ ცოდვილს? ხოლო თუ შენ დაუდევარი ხარ საკუთარი თავის მიმართ და ვერ ხედავ მათ, ნათელია, რომ ძმას განიკითხავ არა კეთილმოსურნეობით, არამედ სიძულვილისა და მისი დამცირების სურვილით. მოყვასი განიკითხოს მან, ვინც უცოდველია (იოანე ოქროპირი).

მინდა გავიხსენო მაგალითი ეგვიპტის პატრიარქის ალექსანდრეს ცხოვრებიდან. მას ჰყავდა მდივანი, რომელმაც ოქრო მოჰპარა და რომელიც შემდეგ ავაზაკებმა შეიპყრეს. პატრიარქმა ეს რომ შეიტყო, გამოისყიდა იგი და უკან დააბრუნა. როცა ქურდი მდივანი

პატრიარქთან მივიდა, მან იგი ისეთი სიყვარულითა და კეთილგანწყობით მიიღო, რომ ერთ-ერთმა მოქალაქემ ხუმრობით თქვა: თუ გინდა სარგებელი ნახო, პატრიარქ ალექსანდრეს უნდა აწყენინოო. სინამდვილეში პატრიარქი მოიქცა ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანი, რომელიც წმიდა ისიდორე პელუსიელის თქმისა არ იყოს, წყენას წყალზე წერს, მადლს კი – სპილენძზე.

მაშ, „რამდენ გზის შემცოდოს ძმამან ჩემმან და მიუტევო მას?“, – ვიკითხავთ ჩვენც პეტრე მოციქულის მსგავსად.

„ვიდრე სამეოცდაათ შვიდგზის“, – გვპასუხობს მაცხოვარი, რადგან მოყვასი არ უნდა მოვიძულოთ. ხოლო „რომელსა სძულდეს ძმაჲ თჳსი, იგი... ბნელსა შინა ვალს და არა იცის, ვიდრე ვალს, რამეთუ ბნელმან დაუბრმნა თუალნი მისნი“ (I იოან. 2, 11).

ძალიან ხშირად კი ჩვენ საპირისპიროდ ვიქცევით. თუ ვინმე რამეს დაგვიშავებს, გულისტკენას აღარ ვივიწყებთ; წყენა წყენას ემატება, ჩნდება უფსკრული, ღვივდება მტრობა და სამაგიეროს მიზღვის სურვილი.

უფალი აქაც წამლად სიყვარულს გვთავაზობს: „გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ“ (მათ. 5, 44).

ძნელია ამის განხორციელება, მაგრამ ცხოვრების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ სიყვარულითა და მორჩილებით შეიძლება მტრის ძლევა. ბოროტებით ბოროტება ვერ გამოსწორდება. ეს სიბრძნე ჩვენს შვილებსაც უნდა ვასწავლოთ, რომ ისინი იყვნენ ბედნიერნი.

სრული და ყოვლის მიმტევებელი სიყვარული სიმდაბლით უნდა მოვიპოვოთ. სიმდაბლის სწორუპოვარი მაგალითი თვით მაცხოვარმა გვიჩვენა.

ქვაბსა ბეთლემისასა იშვა მხსნელი ქვეყნისა; ბაგასა შინა

მიაწვინეს, „რამეთუ არა იყო... ადგილ სავანესა მას“ (ლუკ. 2, 7). კაცობრიობა კი უფლის მოსვლას დიდებით ელოდა; მაგრამ სწორედ პატივისა და სახელის უარყოფაშია მისი ძალა, ძალა კაცთა ფერისცვალებისა და გადარჩენისა. შურისა და შიშის გამო მას სდევნიდნენ და იგი – ღმერთი განერიდებოდა ხოლმე მოძულეთ, უარყოფდნენ და არ განიკითხავდა, ღალატობდნენ და შეუნდობდა, გვემდნენ და უდრტვინველად იტანდა...

იესო ქრისტემ დაითმინა ეს ყოველივე, დაითმინა მან, რომელი არს ერთადერთი გამოუთქმელი, განუყოფელი მთლიანობა, „ანი და Ѳ, პირველი და უკუანაᲘსკნელი, დასაბამი და დასასრული“ (გამოცხ. 22, 13), რათა ჩვენთვის სრულყოფის მაგალითი მოეცა.

თუ შევძლებთ, ყველასთან უნდა ვიყოთ მშვიდობით. ამიტომ არა მარტო ჩვენ უნდა ვაპატიოთ და შევუნდოთ სხვას, არამედ შევძლოთ ისიც, რომ სხვები არ იყვნენ ჩვენდამი ცუდად განწყობილნი.

მაგრამ გვახსოვდეს ესეც: ბოროტება შეიძლება გამოვლინდეს კეთილი ადამიანის მიმართ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შურიანი კაცი ღიზიანდება, როცა ვერაფერს ხედავს სხვაში შეურაცხმყოფელს; ბოროტება შეიძლება აღდგეს სიმართლის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ არ უყვარს მართალნი; როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? არა მიაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ, – ბრძანებს საღმრთო წერილი, რადგან მშვიდობასა გვიწოდა უფალმა, რომელი თავად არს „შემოქმედი მშვიდობისა“ და მშვიდობიანი ჰარმონიის სათავეა როგორც ჩვენში, ისე გარემო სამყაროში.

სამწუხაროდ, დღეს დარღვეულია მშვიდობა ჩვენს სულში, დარღვეულია მშვიდობა ჩვენ გარშემო; ამის მიზეზი ცოდვაა და ღმერთთან კავშირის დაკარგვა.

როცა ასე უჭირს შინაგანად ადამიანს, ეკლესია განზე ვერ განდგება. ეკლესია უნდა მივიდეს მასთან და მისცეს ძალა პიროვნებას ღირსების განსამტკიცებლად, „რამეთუ იგი თავადი არს მშ-

ვდობაჲ ჩუენი, რომელმან შექმნა ორივე ერთად და შუა-კედელი ზღუდისაჲ მის დაჰჴსნა“ (ეფეს. 2, 14). ეკლესიამ უნდა მოსპოს ზნეობრივი დაპირისპირება ჩვენს სულში, როცა „ჴორცთა გული უთქუამს სულისათჳს და სულსა – ჴორცთათჳს; ...რაჲთა არა რაჲ-იგი გინდეს, და მას ჰყოფდეთ“ (გალ. 5, 17).

ღმერთმა მოგვცეს სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სარწმუნოება, მოთმინება, რომ უფალი ეგოს ჩვენ თანა და ჩვენ მის თანა, რომ მისი შეწევნით ვემსახუროთ ღმერთსა და მოყვასს, ვსძლოთ ბოლომდე და ვცხოვნდეთ.

ამქვეყნიური ჩვენი ცხოვრება ცურვას ჰგავს უკიდეგანო ზღვაში, რომელიც ხან წყნარდება, ხან კი მღელვარებს; ხან მშვიდია, ხან კი შიშის მომგვრელი. თუ გვსურს, ნაპირს მშვიდობით მივაღწიოთ, უნდა შევიმოსოთ რწმენით, სასოებით, სიყვარულით და ვიქნებით დაცულნი, რადგან მფარველად თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე გვეყოლება.

საყვარელნო სულიერნო შვილნო ჩემნო, ყველას და თითოეულს ცალ-ცალკე გულითადად გილოცავთ ქრისტეს შობის დიად დღესასწაულსა და ბედნიერ ახალ წელს. იმედი და სიხარული არ მოგშლოდეთ; იყავით მშვიდნი და მოწყალენი და მუდამ გახსოვდეთ მაცხოვრის სიტყვები: „უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან შეცოდებანი თქუენნი“ (მათ. 6, 14-15).

ღმერთმა დაგლოცოთ!
იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

ქრისტეს შობა
თბილისი, 1988 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1988 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი

ეკლესიის ღვთისმოყვარე და ღვთივკურთხეულ სამწყსოს

„მე ვარ აღდგომაჲ და ცხორებაჲ. რომელსა ჰრწმენეს
ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხონდესვე“ (იოან. 11, 25).

სიკვდილ-სიცოცხლის გამოუცნობი იდუმალება მუდამ თან გვდევს. ღმერთმა ინება და ღირს გვყო, რომ დღეს კვლავ გვეგრძნო ღვთაებრივი საიდუმლო სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებისა – ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისა.

მათე მოციქული გვამცნობს, თუ როგორ ახარა უფლის საფლავთან გათენებისას მისულ მენელსაცხებლე დედათ ღვთის ანგელოზმა: „ნუ გეშინინ თქუენ! ვიცი, რამეთუ იესუს ნაზარეველსა ჯუარ-

ცუმულსა ეძიებთ. არა არს აქა, რამეთუ აღდგა... და ადრე წარვედით და უთხართ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით“ (მათ. 28, 5-7).

მას შემდეგ აი უკვე ოცი საუკუნეა, რაც ქრისტეს აღდგომის სიხარული თაობიდან თაობას გადაეცემა. ამ არამიწიერი, ულევი სიხარულით აღვსილი მეც სიყვარულით მოგილოცავთ:

ქრისტე აღდგა!

აღდგა იგი ახლობელთა და შორეულთა, დიდთა და მცირეთა, ძლიერთა და უძლურთათვის, „რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (იოან. 3, 15).

ჩვენთვის, ადამიანებისათვის, ჩვენი ხსნისა და ცხოვრებისათვის აღესრულა ეს ყოველივე. ადამიანი ხომ ყველაზე ძვირფასია ქმნილებათა შორის. იგი არის დიადიც და ძალიან მცირეც. მასშია ზეცის სიმაღლე და სიმდაბლე ჯოჯოხეთისა. ცხოვრება განსაცდელია; მიზანი – განღმრთობა. ოღონდაც მარადიული ნეტარება ამქვეყნიური ყოფით, ღვთის მცნებისა და ნების აღსრულებით უნდა დავიმკვიდროთ, ჩვენი კუთვნილი ჯვრის უდრტვინველი ტარებით უნდა მოვიპოვოთ.

ცხოვრების გზაზე ჩვენ გვერდით მრავალი სხვაც მოაბიჯებს. ჩვენ ერთმანეთისაგან ჯვრის სიმძიმე განგვასხვავებს: ზოგის ჯვარი ძნელად სატარებელია, ზოგისა – მსუბუქი. „ურთიერთარს სიმძიმე იტჳრთეთ და ესრეთ აღასრულეთ შჯული იგი ქრისტესი“ (გალ. 6, 2), – გვარიგებს მოციქული პავლე.

ვაკეთებთ კი ამას? – სამწუხაროდ, ხშირად არა.

ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „განიშორეთ

თქუენგან პირველისა მისებრ სლვისა თქუენისა ძუელი იგი კაცი, განხრწნილი გულის თქუმისა მისებრ საცთურისა, და განახლდებოდეთ თქუენ სულითა მით გონებისა თქუენისაჲთა და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი, ღმრთისა მიერ დაბადებული, სიმართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისაჲთა. ამისთჳს განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცად-კაცადი მოყუსისა თჳსისა თანა, რამეთუ ვართ ურთიერთარს ასოებ“ (ეფეს. 4, 22-25).

ძველი კაცი კვლავ ჩვენშია, ჩვენ შორისაა.

ცოდვამ გაყო კაცთა მოდგმა. გაყო ამპარტავნებით, სიძულვილით, მრისხანებით, შურით, ცილისწამებით... ხშირად არ ძალგვიძს, დავძლიოთ ეს გამთიშველი ძალა, რომელიც ჩვენს ხედვას არასწორ მიმართულებას აძლევს და რომლის გამოც პიროვნების ცხოვრების ნამდვილ სახეს დამახინჯებულად აღვიქვამთ და მას მივიჩნევთ რეალურად.

სულიერი სრულყოფის კიბეზე ორ მადლს აჰყავს ადამიანი: უკვდავებასა და სიწმინდეს.

ორ ძალას ჩაჰყავს კაცი ჯოჯოხეთამდე: ცოდვასა და სიკვდილს.

სიკვდილი და უკვდავება! რა ხშირად არიან ისინი გვერდიგვერდ. ხშირია მათი თანაარსებობა ერთ ოთახშიც კი, მშობლებსა და შვილებს, დებსა და ძმებს შორის (ძნელია, მაგრამ მათ რომ ერთად ცხოვრება შეძლონ, ერთმანეთის სიმძიმე უნდა იტვირთონ, უნდა დაუთმონ ერთმანეთს).

ღმერთმა ადამიანს მიანიჭა უკვდავება და, ამავე დროს – თავისუფალი ნება. არჩევანი ჩვენზეა, რას მივყვებით: სიმართლის საქმეთ – სიწმიდეს, თუ ცოდვის გზას – სიკვდილს?

ცნობილ ფილოსოფოს ვლადიმერ სოლოვიოვის სტატიაში „ცხოვრების სულიერი საფუძვლები“ წერია: „ჩვენ ცოდვის სამ მთავარ

სახეს ვიცნობთ: მგრძნობელობითს – ხორციელ ცოდვას ანუ ავხორცობას, რომლის საწყისი ფორმა შობს ცოდვას, ხოლო ჩადენილი ცოდვა – სიკვდილს. შემდეგ მოდის ბუნებითი ცოდვა – თავდაჯერებულობა ანუ თვითგანდიდება. მას თან სდევს ცდომილება; შეცდომისას კი სიჯიუტე სათავეა ტყუილისა და სიცრუისა. და ბოლოს ჩვენი სულისმიერი ცოდვა – ძალაუფლების მოყვარეობა, რასაც ძალმომრეობამდე მივყავართ. ძალმომრეობა კი მთავრდება მკვლელობით. ასეთია გზა ცოდვისა“.

თუ მოვლენებსა და საკუთარ თავს მთელი სიღრმით დავუკვირდებით, შიში შეგვიპყრობს: იქნებ ცოდვამ ისე დაგვრია ხელი, რომ უკვე ვეღარ შევძლებთ გამოსწორებას და აღარ არის ხსნა ჩვენთვის?

გადარჩენა ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი და იგი უფალმა მოგვანიჭა. მისი მადლი რწმენით მიმღებელ დავრდომილთა აღმადგინებელია, ნაკლულევანთა აღმავსებელი; ესაა ჩვენი განმათბობელი ღვთაებრივი სიყვარული, რომელსაც არა აქვს საზღვარი; იგია წყალობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა მამისა და ზიარება სულისა წმიდისა.

სიყვარული მრავალგვარად განისაზღვრება. მის შესახებ მსჯელობენ ღვთისმეტყველნი, ფილოსოფოსნი, მწერლები, სოციოლოგები... ცნობილია, თუ როგორ ვლინდება იგი ჩვენში, გარემო სამყაროში, მაგრამ კითხვას: კონკრეტულად რა არის სიყვარული? – დღემდე ვერავინ გასცა პასუხი. ეს იმიტომ, რომ სიყვარული ღვთაებრივი წარმოშობისაა; იგიც ღმერთივით შეუცნობელი და გამოუთქმელია, ისეთივე დაუსაბამო და უსასრულოა, როგორც უფალი.

დიახ, სიყვარული მარადიულია, ოღონდ საუკუნეთა მანძილზე იგი განსხვავებული ძალით იჩენდა ხოლმე თავს.

მაცხოვრის ამქვეყნად მოსვლამდე სიყვარული იმდენად იყო

კაცთა შორის გამოვლენილი, რამდენადაც შეეძლოთ მათ ამის დატევა. უფალმა თავისი განხორციელებით, ცხოვრებით, ჯვარცმითა და აღდგომით ადამიანი სულიერი სრულყოფის ახალ საფეხურზე აიყვანა, ზეციური ნათლით განაბრწყინა, ღვთაებრივ სიყვარულს აზიარა.

მას რომ მივეახლოთ, სიტყვით და საქმით ქრისტიანულად უნდა ვიცხოვროთ, უნდა დავძლიოთ ვნებები და ცოდვისმიერი მისწრაფებები, მაშინ სული ჩვენი იქცევა სპეტაკ ტაძრად და უფალი ღირს გვყოფს, მასში დაივანოს.

ამ სულიერ ბრძოლაში გამარჯვება გმირობის ტოლფასია.

წმიდა მოციქული პავლე გვარიგებს: მთელი ქონება რომ გლახაკთა დაურიგო, ხორცი შენი რომ ცეცხლს მისცე გვემად, ადამიანთა და ანგელოზთა ყველა ენა რომ შეისწავლო, წინასწარმეტყველის ნიჭითაც რომ იყო დაჯილდოებული და ქვეყნის ყველა საიდუმლოს ფარდა ჰქონდეს შენთვის ახდილი, რომ გქონდეს ყოველგვარი ცოდნა და რწმენა, მთების გადაადგილებაც რომ შეგეძლოს და სიყვარული კი არ გქონდეს, მაინც უხმარი სპილენძი იქნები, არარაობა იქნები შენ (1 კორ. 13, 2-3), რადგან არ იქნება შენში მთავარი მხსნელი ძალა – სიყვარული, რომელიც არის მომცველი ყოველთა მცნებათა და აღსრულება მათი.

სიყვარული არ ეძიებს თავისას, რადგან თავისუფალია თავისმოყვარების ეგოისტური გრძნობისაგან. „სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა შურნ, სიყუარული არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხვნელ იქმნის... არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა; ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ“ (1 კორ. 13, 4-7).

ღმერთი, მოყვასი და მე – აი, ის ღვთაებრივი სამკუთხედი,

რომელიც სიყვარულით უნდა იყოს შეერთებული. თუ ამ სამთაგან თუნდაც ერთი რგოლი დაირღვა, დაირღვევა თვით სიყვარული; დამდაბლდება იგი, ავხორცობად გადაიქცევა და ბოლოს განქარდება კიდეც.

ის, ვისი ცხოვრებაც ღვთის რწმენასა და სიყვარულზეა დაფუძნებული, აუცილებლად იქნება ღვთის მოშიში, პატივს მიაგებს მშობლებს, შეიყვარებს მოყვასს, არ მოიპარავს, არ ხელყოფს სხვის სიცოცხლეს, არ დასწამებს ცილს ადამიანს, თავისუფალი იქნება შურისგან, იცხოვრებს ეკლესიურად და უსურვებს ყველას მას, რაც საკუთარი თავისთვის უნდა, რადგან ჭეშმარიტი სიყვარული მოიცავს ქრისტიანის ცხოვრების ყველა მხარეს, განსაზღვრავს და საფუძვლად ედება ურთიერთობას პიროვნებასა და შემოქმედს შორის, ადამიანთა შორის.

სიყვარული ღვთისა და კაცისა, სიყვარული ადამიანთა შორის გამოვლენილი – აი მთავარი თემა სახარებისა.

სიყვარულისა და მოწყალების შესანიშნავ მაგალითებს ვხვდებით წმიდა მამათა ცხოვრებაშიც. აი ერთი მათგანი:

იყო ვინმე სერაპიონი, წარმოშობით ეგვიპტელი. გამოირჩეოდა იგი ქვეყნიურ კეთილდღეობათა მიმართ გულგრილობით, ამიტომაც შეარქვეს მშვიდი, აუღელვებელი. წერა-კითხვა რომ ისწავლა, მთელი წმიდა წერილი დაიზეპირა და თავის მთავარ საქმედ სახარების ქადაგება აირჩია.

ერთ ქალაქში ოც მონეტად მონად დაუდგა წარმართ მსახიობებს. მათთან ერთად ცხოვრობდა, მათთვის შრომობდა და თან გამუდმებით უქადაგებდა ღვთის სიტყვას. ბოლოს მიაღწია იმას, რომ ყველანი გააქრისტიანა და დაარწმუნა, დაეტოვებინათ წარმართთა თეატრი.

როცა ისინი მოინათლნენ, გადაწყვიტეს, მონობიდან გაე-

თავისუფლებინათ სერაპიონი. მაშინ ღირსმა მამამ უთხრა, რომ იგი მონა არ ყოფილა და რომ ემსახურებოდა მხოლოდ მათი გადარჩენისა და ჭეშმარიტების გზაზე დაყენებისთვის. მსახიობებმა სთხოვეს სერაპიონს, რომ მათთან დარჩენილიყო და სულიერი მამობა გაეწია, მაგრამ უარი მიიღეს. წმიდა სერაპიონმა დაუბრუნა მათ ის ოცი მონეტა, თვითონ კი გაემგზავრა სხვა ქალაქებისა და სოფლებისაკენ სხვა გაჭირვებულთა დასახმარებლად.

ხშირად გაიგონებთ ნათქვამს: სიყვარული უნდა გვქონდეს, მაგრამ სამართლიანობაც აუცილებელიაო.

როცა სიყვარულზე, მშვიდობაზე, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებასა და მათ შორის კეთილგანწყობაზე ვსაუბრობთ, ვერ დავივიწყებთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა სამართლიანობა.

სამართლიანობა არ არის მხოლოდ იურიდიული ან განყენებული ფილოსოფიური აზროვნების გამოვლინება, არამედ ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული ზნეობრივი გრძნობაა.

და მაინც, რა არის სამართლიანობა?

ზოგიერთები სამართლიანად მიიჩნევენ მხოლოდ მას, რაც შეესატყვისება მათ აზროვნებასა და უფლებებს; ანუ სამართლიანია ის, რაც მათთვის ხელსაყრელი და სასარგებლოა.

სამართლიანობა იმ კაცისა, ვინც მხოლოდ თავის უფლებებს იცავს და არ აქცევს ყურადღებას სხვათა გაჭირვებას, სხვათა წუხილს, რა თქმა უნდა, ვიწრო ეგოიზმიდან მოდის.

ჭეშმარიტი სამართალი შეიძლება იყოს მხოლოდ იქ, სადაც წონასწორობაა ჩემსა და სხვას შორის; ვექცევი თუ არა სხვას ისე, როგორც საკუთარ თავს. ეს კი გამოცდილებით ვიცით, რასაც ნიშნავს: იმის მიუხედავად, კარგია ჩვენი საქციელი თუ ავი, თავი მაინც გვიყვარს და შეცდომებსაც ადვილად ვპატიობთ.

სამართლიანობა მოითხოვს, ასეთივე დამოკიდებულება გვქონდეს სხვათა მიმართ. ეს არის ადამიანთა ურთიერთობის გაცილებით მაღალი და სრულყოფილი საფეხური, დაფუძნებული სიყვარულსა და მოწყალებაზე. იგი აღემატება სამართლიანობის მდაბალ სახეს, რომლის ნიღაბს ხშირად ისინი იფარებენ, რომელთაც არა აქვთ თანაგრძნობა და სიყვარული მოყვასისა და განიკითხავენ მათ.

აი, რას ბრძანებს წმიდა თალასი:

„ვითარცა ჭაობსა შინა არა იპოვების ნელსაცხებელი, ეგრეთვე არცა სულსა შინა ძვირისმოჭსენისასა, სუნნელებაჲ სიყვარულისაჲ. სიკუდილი სულისაჲ არს სიძულვილი მოყვასისაჲ და ესე აქუს და ამას იქმს ძჳრისმეტყველისა სული“.

განმკითხველნი უფრო ხშირად ისინი არიან, რომელნიც შურის ტყვეობაში იმყოფებიან, ანდა საკუთარ თავს არ იცნობენ. თითოეული ჩვენგანი ხომ მონაა ცოდვისა. გაფაქიზებული მზერა ადვილად ამჩნევს საკუთარი შინაგანი სამყაროს ნაკლოვანებას და ეს ათავისუფლებს მას სხვათა განსჯისაგან.

უდიდესი მოღვაწე, გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს: „მე შენ მოგმართავ, სხეულო ჩემო, განუკურნელო, ფარისეველო, შენ მტერო ჩემო და მოძულეო. შენ ნადირი ხარ, ვერაგულად მომფერებელი, საკვირველი ცეცხლი განმყინველი; და იქნებოდა სასწაული უდიადესი, ოდესმე მაინც, თუნდაც რომ ბოლოს, კეთილგანწყობა შენი მეხილა.

შენც, სულო ჩემო, ვინ ხარ, სით მოხვალ? ვინ მოგცა ტვირთი ხორცის ზიდვისა, ვინ მიგაჯაჭვა ამ ცხოვრებას და გაიძულა, გამუდმებით ისწრაფოდე დედამიწისკენ?

და თუ შენ, სულო, დაატარებ შენში ზეციურს, რა იქნებოდა, გაგემხილა საწყისი შენი. თუ შენ სუნთქვა ხარ ღვთაებრივი და მისა

წილი, როგორც შენ ფიქრობ, მაშ, განუდექი სიცრუეს და გიწამებ მაშინ, როს მცირე ბიწიც შენს სიწმიდეს არ შეეხება“ (გრიგოლ ღვთისმეტყველი, მ., 1844, გვ. 260-261).

ჩვენ რაღა გვეთქმის?!

ამქვეყნად გამეფებული წესი ცხოვრებისა შეიძლება სამ საფეხურად წარმოვიდგინოთ.

პირველი საფეხური ძალისაა. იგი გულისხმობს სუსტთა და ძლიერთა შორის ბრძოლას არსებობისა და გადარჩენისთვის, როცა პირველნი მსხვერპლად ეწირებიან ძლიერთა ამა სოფლისათა, ეს უკანასკნელნი კი ამას ნორმალურ მდგომარეობად მიიჩნევენ.

მეორე საფეხური კანონის საფეხურია. იგი არ ცნობს განსხვავებას პიროვნებებს შორის და ამართლებს პრინციპს, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ ძველი რომაელები ამბობდნენ: Dura lex, sed lex – მკაცრია კანონი, მაგრამ კანონია. კანონი ყველას უყენებს გარკვეულ პირობებს და სჯის, ვინც არ ემორჩილება მის წესებს.

მესამე საფეხური არის სიყვარულისა და თანაგრძნობისა. იგია გზა ქრისტიანული მოწყალებისა, როცა ერთნი გასცემენ ღვთის სადიდებლად, სხვანი კი იღებენ ასევე ღვთის სადიდებლად, ისე რომ არ შელახონ ერთმანეთის ღირსება. აქ მეფობს სული ქრისტესმიერი ძმური ერთობისა, რომელმაც არ იცის კეთილ საქმეში უკან დახევა, რათა აღსრულდეს სიტყვები უფლისა: „რომელი გთხოვდეს შენ, მიეც; და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარემიიქცევი“ (მათ. 5, 42).

საქმეში გამოვლენილი ქრისტიანული სიყვარული შინაგანი სრულყოფით მოიპოვება, რომლის მისაღწევად წმიდა იოანე კიბის აღმწერელმა ოცდაათ სულიერ საფეხურზე ამაღლების აუცილელობა გვიჩვენა.

ქრისტიანული სიყვარული სათავეს იღებს იქ, სადაც მთავ-

რდება ეგოიზმი და იწყება თავდადებული მსახურება მოყვასისათვის; ოღონდ ისიც უნდა ვიცოდეთ, ვის როგორ დავეხმაროთ.

ხომ უაზრობაა, ფული მისცე მდიდარს, რომელსაც ესაჭიროება მორალური შეწევნა, უფრო დიდი შეცდომა კი ისაა, რომ ავადმყოფ, მშიერ და უსახლკარო კაცს მხოლოდ ზნეობრივი დახმარება შევთავაზოთ.

კარგად არც მაშინ ვიქცევით, როცა ვცდილობთ, სხვას იძულებით მოვახვიოთ ჩვენი აზრები, ჩვენი შეხედულებები, თუნდაც რომ სწორი იყოს ისინი.

მთავარია, ჩვენ შევქმნათ იმის პირობები, რომ პიროვნება თვითონ მივიდეს ჭეშმარიტებამდე, თვითონ იგრძნოს, თვითონ აღმოაჩინოს სინამდვილე.

მე მინდა შოტლანდიელი ფილოსოფოსის – ბიატის ცხოვრების ერთი ფურცელი შეგახსენოთ.

მას ჰყავდა ვაჟი, რომელიც ძალიან უყვარდა და სურდა, მისთვის სასულიერო განათლება მიეცა. ამიტომაც ცდილობდა, ღვთის სიყვარული თავიდანვე გაეღვივებინა მასში.

როდესაც ბავშვს 5-6 წელი შეუსრულდა და კითხვა ისწავლა, მამამ ასეთი გამოცდა ჩაუტარა: ბაღის ერთ კუთხეში, ხნულზე, ისე, რომ არავის დაენახა, შვილის სახელი დაწერა, კვლებში ყვავილების თესლი ჩაყარა, მერე მიწა მიაყარა და გაასწორა. რამდენიმე დღის შემდეგ ბიჭმა მამასთან მიირბინა და გახარებულმა უთხრა, რომ ბაღში თავისი სახელი ნახა ყვავილებით დაწერილი. მან გაიცინა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ბიჭი არ მოეშვა და აიძულა, წაჰყოლოდა იმ ადგილის სანახავად. როცა მივიდნენ, მამამ თავშეკავებით თქვა, რომ ამაში საკვირველი არაფერი იყო და იგი შემთხვევითობას მიაწერა. ბიჭი არ დაეთანხმა.

– მაშ, მიგაჩნია, რომ შენი სახელი თავისით არ დაწერილა აქ? – ჰკითხა მამამ.

დიახ, – მტკიცედ მიუგო პატარამ.

ბოლოს მამამ აღიარა, თუ როგორ დათესა კვლებში ყვავილების თესლი და დაუმატა, რომ მსგავსად ამისა, არც სამყარო და მასში დაცული გასაოცარი წესრიგია თავისით შექმნილი, რომ იგი გამოვლენაა ღვთაებრივი გონისა და სიყვარულისა, ქმნილება ღვთის ხელისა.

დიახ, ცა, მიწა, ზღვა... მთელი კოსმოსი დიდი და ბრწყინვალე წიგნია უფლისა, რომელშიც უსიტყვოდაა განცხადებული ღმერთი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამ წიგნის კითხვა, რომ სწორად ვიცხოვროთ. სწორად კი ვიცხოვრებთ მაშინ, თუ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონებს აღვასრულებთ.

სათნო ვეყოთ ღმერთს, – აი, ჩვენი ნეტარება.

ვიყოთ მუდამ მასთან, – აი, ჩვენი მოწოდება.

„უმეტეს ყოველთა შეიყვარეთ ღმერთი, – გვარიგებს ეფრემ ასური, – ვისაც წრფელი გულით უყვარს იგი, მისი გონება მუდამ ზეცისკენ ისწრაფვის, იქიდან იღებს ის სულიერ საზრდოს, იქიდან ნათლდება, იქიდან ივსება იგი ღვთაებრივი სიყვარულის სიტკბოებით“.

მწერლები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები დღეს აყენებენ კითხვას: აქვს კი მომავალი სიყვარულს? და თუ აქვს, როგორი იქნება იგი?

ჩვენ ვცხოვრობთ მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის საუკუნეში, მატერიალურ სიუხვეთა დაგროვების ხანაში, როცა ხშირად გვავიწყდება ჩვენი უკვდავი სული, გვავიწყდება სიყვარული, ზნეობრივი ღირებულებები.

ვერც ვგრძნობთ, რომ გვაკლია სულიერი საზრდელი, ნდობა და კეთილგანწყობა. ადამიანი გახდა როგორღაც გულქვა, დაუნდობელი, ჩაიკეტა თავის თავში.

ქრისტიანული ერის მეოცე ასწლეულმა ღრმა კვალი და-

ტოვა კაცობრიობის ისტორიაში. ეს არის ამაყი საუკუნე, საუკუნე ნგრევისა და შენებისა, საუკუნე სავსე ტკივილით, ტანჯვით, ღირებულებათა გადაფასებით; გამორჩეული დიდი მიღწევებით და, ამავე დროს, სულიერი სიღატაკით ნიშანდებული, საუკუნე ბრძოლისა და განყოფისა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ ვართ იმედით, რომ აზროვნების წინსვლასთან ერთად, ღვთის კურთხევით, სულიერადაც განვვითარდებით; ვპოვებთ ჩვენში ძალას, რომ განვთავისუფლდეთ მატერიის მონობისაგან, ტექნიკის შემოტევისაგან და ჩვენი გონების ამპარტავნობისაგან; გვწამს, რომ შევძლებთ ღვთის, საკუთარი თავისა და მოყვასის დანახვას.

დღეს ბევრს ვლაპარაკობთ გარდაქმნაზე. მადლობა ღმერთს, რომ ეს პროცესი დაიწყო. მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ გარდაქმნა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს სულსა და აზროვნებას უნდა შეეხოს და მერე უნდა გამოვლინდეს გარეგნულ ფორმებში.

თუ არ შეიცვლება ჩვენი შინაგანი სამყარო, ჩვენი ყველა მცდელობა ამაო იქნება. უნდა ვეცადოთ, აღვზარდოთ ადამიანი შემოქმედებითად, ისე, რომ იგი გრძნობდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, აღიქვამდეს ჩვენს სახლს, დედამიწას, როგორც ერთიანს, მთლიანს, რომლის ჭერქვეშ ყველამ მშვიდობიანად უნდა იცხოვროს.

მაგრამ არც მხოლოდ მშვიდობიანი ყოფა არის საკმარისი. აუცილებელია ცხოვრება რწმენით, იმედით, სიყვარულით, ანუ მაცხოვრის მცნებებით.

თუ ვერ განვეშორებით მტრობას, ვერაგობას, ბოროტებას, შურსა და რისხვას და ყოველ საქმეთ, – ღვთისა და ჩვენს შეურაცხმყოფელს, ვერც აღდგომის დღესასწაულის ძალას ვიგრძნობთ.

დღეს უფალი, მართალია, გვიხმობს სიხარულად, მაგრამ იგი,

უპირველეს ყოვლისა, მოგვიწოდებს სინანულისთვის, სიყვარულის, თანაგრძნობისა და მოწყალებისთვის, ლოცვის, მარხვისა და ცოდვათა შენდობისათვის. ამიტომაც წერს ძველ მოღვაწეთაგან ცნობილი აბბა ევაგრე, რომ უფლის პასექი ბოროტების სიკეთით შეცვლააო.

მეც გისურვებთ ამ ღვთის სათნო ფერისცვალებას, ძველი კაცის ძველი სამოსელის ქრისტეს სიყვარულის ახალი ბრწყინვალე სამოსით შეცვლას, რათა დაიმკვიდროთ სასუფეველი ღვთისა.

„აღდეგ რა ქრისტესთან ერთად, – ბრძანებს გრიგოლ ღვთისმეტყველი, – ახალ ქმნილებად იქმენ, რომელი განმზადებულ არს კეთილ საქმეთა აღსრულებად. დე, განახლდეს სრულად ცხოვრება შენი და გზა შენი მოღვაწებისა განახლდეს სრულად“.

სააღდგომო ეპისტოლე წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველისვე სიტყვებით მინდა დავამთავრო: „შეკრიბეთ საუნჯე დაუსრულებელთა საუკუნეთათვის... დროში აშენებულს დროვე დაარღვევს“.

ყოვლადუსამღვდელოესნო მიტროპოლიტნო, მთავარეპისკოპოსნო და ეპისკოპოსნო, ღირსნო წინამძღვარნო და დიაკონნო, ღვთის საყვარელნო ბერ-მონაზონნო, ღვთივკურთხეულნო ივერნო, საზღვარგარეთ მცხოვრებო თანამემამულენო, შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, გილოცავთ წმიდა პასექის დიად დღესასწაულს.

მოვედით და იხარებდით ტრაპეზსა ზედა ქრისტეს აღდგომისასა. „ვიყუარებოდეთ ურთიერთას, რათა ერთობით აღვიარებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“.

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1988 წ.

საშობაო ეპისტოლე

1989 წ.

ყოვლადუსამღვდელოეს მღვდელმთავრებს, პატიოსან მოძღვრებსა
და დიაკვნებს, სამონაზვნო დასს, საქართველოს მართლმადიდებელი
ეკლესიის ღვთისმოყვარე სულიერ შვილებს:

ღვთივკურთხეულნო შვილნო ივერიისა, გიხაროდეთ,
რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი.

ერ კიდევ უძველეს დროს წინასწარმეტყველი ესაიას პირით აი რას ბრძანებდა უფალი: „აჰა ესერა დავსდებ საფუძველთა სიონისათა ლოდსა ფრიად პატიოსანსა რჩეულსა თავსა კიდურსა პატიოსანსა, საფუძველთა მისთა, და რომელსა ჰრწმენეს იგი არასადა ჰრცხვენეს“ (ეს. 28, 16).

ეს იყო წინასწარმეტყველება იესო ქრისტეზე, რომელიც

არის ქვაკუთხედი ჩვენი არსობისა და ცხოვნებისა.

კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე ელოდა ღვთაებრივი ლოგოსის განხორციელებას. „და სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ შორის“ (იოან. 1, 14).

„შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა“, – როგორც ადრე, დღესაც ამ სიტყვებით ეგებება წმიდა ეკლესია კაცთათვის განხორციელებულ მზეს სიმართლისას, ნათელს ჭეშმარიტს, „რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ (იოან. 1, 9).

ქრისტეს შობა, ისევე როგორც წმიდა პასექი, ყველაზე სასიხარულო და დიდებული ზეიმია მორწმუნე ქრისტიანისთვის.

ქრისტეს შობა არის მშვიდობის ხარება და სიყვარულის დადასტურება კაცობრიობისათვის. ეს სიყვარული ეფინება ყველას, იმათაც კი, ვინც მას არ ცნობს, ანდა დაივიწყა იგი.

ძე ღვთისა იქმნა ძე კაცისა და დაემკვიდრა ჩვენ შორის, რათა თვისი მსხვერპლშეწირული სიყვარულითა და თავგანწირვით ცოდვისგან ეხსნა მსოფლიო, განეწმიდა და კვლავ ღვთის მადლით შეემოსა იგი.

შობა ქრისტესი არ არის მხოლოდ ისტორიული მოვლენა; დღესაც ღმერთი იგი უჟამო ჟამიერ იქმნება, უხორცო უფალი განხორციელდება. მაგრამ მთავარია, მაცხოვარი იშვას თითოეულ ჩვენგანში, რომ განგვაახლოს, აღგვადგინოს და აღარასოდეს განგვშორდეს.

ბეთლემს შობილი ყრმის თაყვანისსაცემად მოგვნი ძღვნით მოვიდნენ აღმოსავლეთიდან. ჩვენ კი რით შევხვდეთ ჩვენს მხსნელს, რა მივართვათ ძღვნად? რა გზას დავადგეთ?

მას არ სჭირდება მიწიერი სიმდიდრე, პატივი და მაღალი თანამდებობა; სურს მხოლოდ ჩვენი სუფთა, სათნო, მრავალნატანჯი და

მოწყალე გული; ესაა მისთვის ყველაზე ძვირფასი ძღვენი.

ნათქვამია, მსგავსი მსგავსს შეხარისო.

გსურს უფალთან შეხვედრა, მასთან ყოფნა? მაშ, შეიყვარე „ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა... და შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი“ (მათ. 22, 37-39), რადგანაც მხოლოდ ასეთ გულში დაივანებს უფალი, ოდენ აქ პოვებს იგი სულს, რომელიც მას სიყვარულით ენათესავება.

რა გზით ვიაროთ? – ეს არის სიკვდილ-სიცოცხლის მომცველი საკითხი.

უნდა ვიაროთ ბნელიდან ნათლისკენ, ცოდვიდან – სიწმინდისაკენ, განკითხვიდან – ყოვლის მიტევებისკენ, სიძულვილიდან – სიყვარულისკენ, მიწიდან – ზეცისკენ. ეს გზა ერთადერთია და გულისხმობს ჭეშმარიტ ქრისტიანულ ცხოვრებას, ანუ ეკლესიურობას, რადგანაც აქაა მხოლოდ შესაძლებელი სულიერი სრულყოფის კიბეზე ამაღლება.

სამწუხაროდ, დაბალი საღვთისმეტყველო განათლების გამო ჩვენს თანამედროვეთა შორის, თვით ინტელიგენციის დიდ ნაწილშიც კი რელიგიათა შორის განსხვავებას აზრი აქვს დაკარგული. მათთვის საკმარისია ღმერთის აღიარება, აღმსარებლობას კი მნიშვნელობას არ ანიჭებენ, რაც დიდი შეცდომაა.

მართალია, საზოგადოდ რელიგიურობა სიწმიდისადმი სწრაფვას გულისხმობს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. რელიგიის გაგება მეტად ფართოა და ზოგჯერ იგი ურთიერთდაპირისპირებულ მცნებებს მოიცავს.

სწორი გზით რომ ვიაროთ, ნამდვილ თავისუფლებას უნდა ვეზიაროთ. „სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ (იოან. 8, 32), – ბრძანებს მაცხოვარი.

აბსოლუტური ჭეშმარიტება არის ღმერთი. ე. ი. თავისუფლება მიიღწევა ჭეშმარიტების – ღვთის შეცნობით. ღვთის შეცნობა კი უნდა დავიწყოთ საკუთარი თავის შესწავლით, საკუთარი ნაკლის დანახვით და ყოველთა ცოდვათა დედის – ამპარტავნებისა და ეგოიზმის დაძლევით.

როცა დავთრგუნავთ ცოდვით დაცემის გამო ღვთისა და მოყვასის დაპირისპირების მანკიერ ჩვევას, ვიგრძნობთ, რომ „ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე“ (გალ. 2, 20) და მოვიპოვებთ ნამდვილ თავისუფლებას, რომელსაც ვერავინ წაგვართმევს.

ამ სულიერ ბრძოლაში მეტად დიდია შემწეობა ეკლესიისა, უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი მისი ღვთაებრივი მადლისა.

ძალიან ცდებიან, რომელნიც თავს მართლმადიდებლად მიიჩნევენ, ეკლესიას და მის კანონებს კი უარყოფენ. მათთვის გაუგებარია ეკლესიის სულიერი ცხოვრება, რადგანაც ვერ სწვდებიან მის სიღრმეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია კაცთაგან კი არ არის დადგენილი, არამედ ღვთის მიერაა დაწესებული. ესაა უფლისკენ მიმავალი გზა, ცხოვრება ღმერთში; ამავე დროს, იგია მისტიკური სხეული ქრისტესი, რომელიც მის ადამიანურ ბუნებასაც მოიცავს.

ღმერთი იმდენად მიუახლოვდა ადამიანს, რომ მასში შევიდა და კაცობრივი ხორცით შეიმოსა. ამიტომაცაა ქრისტეს სახელით შეერთებულ მორწმუნეთა კრებული – ეკლესია – სხეული ქრისტესი.

მაგრამ როცა ეკლესიაზე ვსაუბრობთ, უწინარეს ყოვლისა, ვგულისხმობთ მის სულიერ არსს და შემდეგ კი – ეკლესიისთვის დამახასიათებელ გარეგნულ ნიშნებს. ეს იმიტომ, რომ თავისი არსით ეკლესია

ქრისტეს მსგავსად ორბუნებოვანია. იგია ის ღვთაებრივ-ადამიანური ერთობა, რომელიც პირველ რიგში ენათესავება ღმერთს, შემდეგ კი ამქვეყნიურ ცხოვრებაში, დროულ ყოფაში ვლინდება.

ყოველივე ეს კარგად ჩანს კონსტანტინოპოლში 381 წელს შემდგარი მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დამტკიცებულ მრწამსში, სადაც ვკითხულობთ: „მწამს... ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“.

ეკლესია რომ მხოლოდ ის იყოს, რასაც ჩვენ ფიზიკური თვალით აღვიქვამთ, ანუ ტაძარი და ყოველივე ის, რაც შიგ ხილული სახით აღესრულება, მაშინ ზემოთქმულ სიტყვებს აზრი დაეკარგებოდა, რადგან მორწმუნეთ სწამთ ის, რასაც გრძნობენ და ვერ ხედავენ, და არა ის, რასაც უყურებენ.

წმიდა ეკლესია ერთიანი და განუყოფელია. იგია „ერთ ჴორც და ერთ სულ, ვითარცა-იგი იჩინენით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქუენისაჲთა; ერთ არს უფალ, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლისღება, ერთ არს ღმერთი და მამაჲ ყოველთაჲ, რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩუენ ყოველთა შორის“ (ეფეს. 4, 4-6).

როცა ჩვენ ეკლესიებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ადგილობრივ ეკლესიათა სიმრავლე ანდა არსებობა სამოციქულო ეკლესიიდან გამოყოფილ სხვადასხვა ქრისტიანულ მიმდინარეობათა, რომელნიც მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში არ შედიან.

დღეს მართლმადიდებელი ეკლესია კათოლიკური და პროტესტანტული სამყაროს ყურადღების ცენტრშია, რადგანაც მხოლოდ მან შეინარჩუნა უცვლელად და შეურყვნელად რწმენა და ტრადიცია ერთიანი, განუყოფელი ეკლესიისა.

წმიდა ეკლესიის მთლიანობა მის გარეგნულ და შინაგან ერ-

თობაზეა დამყარებული. შინაგანი ერთიანობა გულისხმობს ჩვენს ერთობას ქრისტესთან და ქრისტეს ერთობას თავის სხეულთან. ესაა ეკლესიურობა, ანუ ცხოვრება ქრისტეს მცნებათა დაცვით ქრისტეში და ქრისტესთან. ამ დროს მიიღწევა ერთობა როგორც ღმერთთან, ისე მის ქმნილებებთან: ადამიანებთან, ანგელოზებსა და წმიდანთა დასთან.

ყოველივე ეს გარეგნულ ფორმებშიც ვლინდება, ვლინდება ჩვეულებრივ მიწიერ ყოფაში, ადამიანურ ურთიერთობაში; იგი აყალიბებს ჩვენს პიროვნებას, ჩვენს ქრისტიანულ სახეს.

წმიდა მამები მიწიერ ეკლესიას ხშირად უწოდებენ მებრძოლ ეკლესიას, რომელიც ცოდვათა დაძლევით უნდა გახდეს გამარჯვებული და მოზეიმე. ასეთია ზეციური ეკლესია. იქ ზეიმობენ ჩვენი წმიდა მამები და წინაპრები, რომელთაც მრავალი განსაცდელისა და გაჭირვების გადალახვით, რწმენით, სიყვარულითა და სასოებით მოიპოვეს სასუფეველი ღვთისა.

ეკლესია წმიდაა, რადგანაც მაცხოვრის უცოდველობა განსაზღვრავს მის სიწმიდეს. იგი ხომ სხეულია ქრისტესი და განა შეიძლება, ქრისტეს სხეული არ იყოს წმიდა? „ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ და თავი თჳსი მისცა მისთჳს, რაჲთა იგი წმიდა-ყოს“ (ეფეს. 5, 25-26).

ეკლესიის განწმენდა ხდებოდა და ხდება იესო ქრისტეს მსხვერპლად გაღებული სისხლით, რომელიც კაცთა ხსნისათვის ჯვარზე დაიღვარა.

სიწმიდე არის მთავარი არსი ეკლესიისა. ეს არის ის, რისთვისაც მოწოდებულია თითოეული ჩვენგანი.

წმიდას ბერძნულად შეესატყვისება „აგიოს“, „იეროს“, ლათინურად – „სანკტუს“, ებრაულად – „კოდეშ“.

ცნობილი მწერალი, ბერი სულხან-საბა ორბელიანი „წმიდას“

ასე განმარტავს: „წმიდა მოასწავებს დიდებულ იყავ, ქებულ იყავ. წმიდა ითქმის მხოლოისა ღვთისა ზედა და რომელნი ღმერთმან წმიდა ყვნა მსახურნი და სათნომყოფელნი მისნი“ (სიტყვის კონა, გვ. 452).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ვკითხულობთ: „წმიდა – სუფთა, უბიწო, აუმღვრეველი... „ნაზიერი“, „ნაზორეველი“ (ნაზორეველი განცალკევებულს, ღვთისთვის შეწირულს ერქვა).

ძველ აღთქმაში გამოყენებული ებრაული სიტყვა „კოდეშ“ ნაწარმოებია იმ ძირისაგან, რომელიც ნიშნავს გამოყოფას, გამიჯვნას და შეიცავს კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლის იდეას, ცოდვისმიერი მიდრეკილებებისაგან, მიწიერი სურვილებისაგან განდგომის იდეას. ეკლესიის არსიც ისაა, რომ განაცალკევოს ადამიანი ბოროტისაგან, შეაგრძნობინოს მას საკუთარ თავში ხატება ღვთისა, რომელიც მოწოდებულია სულიწმიდის სავანედ, ღვთის ხატად ქმნისათვის.

„არა უწყითა, – ბრძანებს პავლე მოციქული, – რამეთუ ჴორცნი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან, რომელ-ეგე გაქუს ღმრთისაგან, და არა ხართ თჳსთა თავთანი?.. ადიდეთ უკუე ღმერთი ჴორცითა მაგით თქუენითა და სულითა მაგით თქუენითა, რომელი-იგი არს ღმრთისაჲ“ (1 კორ. 6, 19-20).

ურწმუნონი ანდა არაეკლესიურნი ხშირად გამოთქვამენ საყვედურს იმის გამო, რომ მორწმუნეთა და სასულიერო პირთა შორის არიან ცუდი წარსულის მქონე პირები. დიახ, ასეთები მართლაც არიან და ამან არ უნდა დაგვაბრკოლოს. ეკლესია ხომ სულის მკურნალია. იგია ის წმიდა სავანე, სადაც ხელს არ კრავენ გზასაცდენილთ. ეკლესიის ვალი და მიზანი სწორედ ისაა, რომ სულიერი დახმარება აღმოუჩინოს შეცდომილთ, შეიწყნაროს და სწორ გზაზე დააყენოს ისინი.

ღვთის წინაშე თუ რა დიდია მნიშვნელობა ცალკეული პი-

როვნებისა, ჩანს იესო ქრისტეს ამ სიტყვებიდან: „ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი. გეტყჳ თქუენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა. რამეთუ მოვიდა ძე კაცისაჲ ცხორებად წარწყმედულისა. ვითარ ჰგონებთ თქუენ: კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შესცთეს ერთი მათგანი, არამე დაუტევნესა ოთხმეოცდაათცხრამეტნი იგი მთათა ზედა და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი? და რაჟამს პოვოს იგი, – ამენ გეტყჳ თქუენ, – უფროჲს უხაროდის მის ზედა, ვიდრე ოთხმეოცდა ათცხრამეტთა მათ, რომელნი არა შეცთომილ იყვნეს. ესრეთ არა არს ნებაჲ მამისა თქუენისა ზეცათაჲსაჲ, რაჲთა წარწყმდეს ერთი მცირეთა ამათგანი“ (მათ. 18, 10-14).

ასე რომ, ეკლესიური ცხოვრება ესაა გამუდმებული ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, ესაა ბნელისგან ნათლის გამოყოფის და საბოლოოდ მისი გამარჯვების პროცესი, ესაა გზა გადარჩენისა.

შერყვნილი ნაწილებისგან, – წერს ფილოსოფოსი ვლადიმერ სოლოვიოვი, – შეუძლებელია წარმოიშვას წმიდა და უბიწო მთელი. ეკლესია რომ მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა კრებული იყოს, იგი არ იქნებოდა წმიდა, უბიწო, რადგანაც ამქვეყნად უცოდველი არავინაა. ხილული ეკლესია თავის სიცოცხლისუნარიანობას და ძალას იძენს, უპირველეს ყოვლისა, იესო ქრისტესგან, რომელშიც მთელი სისრულითაა ღმერთი განცხადებული, იძენს ყოვლადწმიდა უბიწო ქალწულისაგან და ასევე წმიდანთა უხილავი მთელი დასისგან. ამიტომაც ჩვენი ადამიანური არასრულყოფილება ვერ დაარღვევს ეკლესიის სიწმიდეს. ჩვენ განვიწმიდებით ეკლესიის სიწმიდით, მაგრამ ეკლესია არ შეიბილწება ჩვენი ცოდვებით, რადგანაც მისი სიწმიდე ჩვენგან კი არა, ღვთისგან – იესო ქრისტესგან მომდინარეობს („ცხოვრების სულიერი საფუძვლები“, 1882-1884 წწ.).

მრწამსში აღნიშნული მესამე თვისება ეკლესიისა არის მისი საყოველთაობა, მრავლის ერთიანობა; ამას ნიშნავს სწორედ სიტყვა „კათოლიკე“* და ეყრდნობა იგი იესო ქრისტეს, როგორც ლოგოსის შესახებ შემდეგ სწავლებას: „პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა. მის თანა ცხორებაჲ იყო და ცხორებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოან. 1, 1-5).

ასე რომ, კათოლიკე ეკლესია გულისხმობს მის ყოვლისმომცველობას; იმას, რომ იგი არის არა მარტო კაცობრიობის, არამედ გარემომცველი სამყაროს, ღვთის მთელი ქმნილების გამაერთიანებელი და გადამრჩენელი ძალა. ამიტომაც ამბობს ვლადიმერ სოლოვიოვი: ქრისტიანობაში სამყარო ხელახლა იბადება. ამიტომაც ბრძანებს წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი: „სადაც ქრისტეა, იქ კათოლიკე ეკლესიაა“.

ცალკეული ადგილობრივი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიები ქმნიან ერთიან კათოლიკე ეკლესიას, რომლის მიზანიცაა ყველას შეკრება და გაერთიანება, რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემსი – უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

სამოციქულო – აი მეოთხე თვისება ეკლესიისა. წმიდა მოციქულები გარდა იმისა, რომ ცხოვრობდნენ ქრისტეს დროს, იყვნენ კიდეც თანამოღვაწენი მისი მსახურებისა, მემკვიდრენი და მქადაგებელნი მაცხოვრის სიტყვისა.

უფალი ასე მიმართავს მათ: „სიტყუანი, რომელ გესმიან, არა ჩემნი არიან, არამედ მომავლინებელისა ჩემისა მამისანი“ (იოან. 14, 24), „ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ“

მოციქულთა მოღვაწეობა ვლინდებოდა ეკლესიის მთელი

* კათოლიკე არ ნიშნავს კათოლიკურ სარწმუნოებას. იგი ბერძნული სიტყვაა და გულისხმობს საერთოს, საყოველთაოს. კათოლიკურმა ეკლესიამ ეს სიტყვა თავისი მიზნით გამოიყენა და ამით გამოთქვა აზრი იმის შესახებ, თითქოს მხოლოდ რომის კათოლიკური ეკლესია არის საყოველთაო, საერთო.

ისტორიის მანძილზე. იგი დღესაც ნათლად ჩანს და მომავალშიც გაგრძელდება.

უკვე მოციქულთა დროს ეკლესიაში დადგინდა ეპისკოპოსის, მღვდლის, დიაკვნის იერარქიული წესი; დადგინდა ასევე ამა თუ იმ ხარისხში კურთხევის, ხელდასხმის კანონი. ეკლესია ყოველთვის ცდილობდა, არ დარღვეულიყო მემკვიდრეობა იერარქიული ხელდასხმისა, ამიტომაც თუ ჩვენ გამოვიკვლევთ, მაგალითად, საქართველოს ეკლესიის ნებისმიერი მღვდელმთავრის, მღვდლის ანდა დიაკვნის იერარქიულ წარმოშობას საუკუნეთა მანძილზე, აუცილებლად მივალთ ან წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულამდე, რომელმაც პირველ საუკუნეში იქადაგა საქართველოში და დააარსა აქ პირველი ეკლესია, ანდა წმიდა პეტრე მოციქულამდე, რომელმაც სათავე დაუდო ანტიოქიის ეკლესიას. საქართველოს ეკლესია კი, მოგეხსენებათ, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, ანუ V საუკუნემდე, ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა და ჩვენი სასულიერო პირებიც მათგან იღებდნენ ხელდასხმას.

მემკვიდრეობითობის ამ მადლს, რა თქმა უნდა, მოკლებულნი არიან პროტესტანტული მიმდინარეობანი, ბაპტისტები და სხვა დენომინაციები.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დიდად აფასებს თავის მოციქულებრივ წარმოშობას და მიაჩნია, რომ ჭეშმარიტი ეკლესია მხოლოდ ის არის, რომელმაც ურყევად დაიცვა წმიდა წერილი, ქრისტეს მოწაფეთა წმიდა სწავლება, წმიდა მამათა დადგენილებანი.

სამღვდელოების არსი მჭიდროდ არის დაკავშირებული შვიდ საიდუმლოსთან. საიდუმლოთა აღმსრულებელნი შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც მიიღეს კანონიერი კურთხევა. მხოლოდ მათ აქვთ უფლება, ჩაატარონ ლოცვა და სხვა მღვდელმოქმედება,

რათა დაეხმარონ ადამიანებს ცხოვრების სიმძიმის, განსაცდელისა და საცდურის დაძლევაში.

ეკლესიაში ლოცვას ღრმა სულიერი და სასწაულმოქმედი ძალა აქვს. ამიტომაც აგებდნენ ჩვენი წინაპრები ათასობით და ათიათასობით ტაძრებსა და მონასტრებს. ეს არ იყო მათი მძაფრი რელიგიური განცდის გამოვლინება, ეს იყო გრძნობა და აღქმა აქ მიღებული დიდი მადლისა. თითოეული მათგანის სიწმიდე და ღვთისმოსაობა იყო შედეგი არა მხოლოდ მათი მორწმუნეობისა, არამედ მათი ეკლესიურობისა. ისინი იყვნენ ნამდვილნი წევრნი ეკლესიისა – ქრისტეს სხეულისა. ამიტომაც არ იყვნენ ჩაკეტილნი ვიწრო ეგოისტურ ჩარჩოებში, არამედ ღვთისა და მოყვასის სიყვარულით სავსენი ცხოვრობდნენ მარტივად, სათნოდ და მშვიდად.

ეკლესიური ცხოვრება ქრისტიანისა არის მუდმივი განახლებისა და ფერისცვალების პროცესი. ესაა შემოქმედებითი ხედვა სამყაროსი და სულიერი მიახლოება სრულყოფილებასთან. ვისაც სურს ეკლესიისგან საზოგადოების მოწყვეტა, იგი ვერ ხედავს იმ დამღუპველ შედეგს, რაც ამას მოსდევს. რწმენის დაკარგვასთან ერთად იკარგება სიყვარული, თანაგრძნობა, სიმშვიდე, მორჩილება; თავს იჩენს უხეში ეგოიზმი, მომხმარებლის აზროვნება... ყველაზე მძიმე სურათი კი ოჯახში იქმნება. ჩვენ მოწმენი ვართ, თუ როგორ დაირღვა დღეს ოჯახის წონასწორობა და მყუდროება, ხშირია განქორწინება, განსაზღვრულია შობადობა. თუ ყველაფერი კვლავ ასე გაგრძელდა, კატასტროფულ მდგომარეობამდე მივალთ.

ეკლესია ყოველთვის იცავდა ოჯახის სიმტკიცესა და ხელშეუხებლობას. აბორტი და მუცლადღებული ჩვილის სიცოცხლის მოსპობის ყოველგვარი ცდა ეკლესიის მიერ მუდამ ითვლებოდა ნამდვილ მკვლელობად. წმიდა წერილზე დაყრდნობით ეკლესიამ საუკუნეების მანძილზე გამოიმუშავა ქრისტიანული ქორწინების, შვილიერების,

ოჯახური ცხოვრების მტკიცე კანონები, რომელთა დარღვევა არავის ეპატიება, რადგანაც ოჯახი სახლის ეკლესიაა (რომ. 16, 4) და მისი შერყვნა დაუშვებელია.

ჩვენ სწრაფად ცვალებად და ურთიერთდაპირისპირებულ დროში კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ ეკლესია არის ის ერთადერთი გადამრჩენელი ხომალდი, რომელსაც შესწევს ძალა გადალახოს ცხოვრების ზღვის აბობოქრებული ტალღები და ნაპირზე მშვიდობით მიგვიყვანოს.

თანამედროვე ადამიანი ნაწილია სეკულარული ეპოქისა, რომელმაც დაკარგა ღმერთი, დაკარგა სიყვარული და რწმენა კაცისა; პიროვნება დარჩა ჩაკეტილ მიწიერ წრეში, მატერიალურ ღირებულებათა სამყაროში. იგი დაბნეული უყურებს ეკლესიას. აქ ხედავს ის თავის უკანასკნელ იმედს და ნუგეშს. ამიტომაც ჩვენზე, ჩვენს მოძღვრებზე, ჩვენს მრევლზე დღეს უდიდესი პასუხისმგებლობაა დაკისრებული.

არის კი ჩვენში ქრისტიანული დიდი ჰუმანიზმი, შევძლებთ, გავცეთ პასუხი მათ საჭირბოროტო კითხვებს, შევძლებთ ვიყოთ მარილი მადლისაი და ჭეშმარიტი ნათელი მათთვის, ვიყოთ სიტყვით და საქმით მოწმენი და მქადაგებელნი ჭეშმარიტებისა?

ღვთის მოწყალებითა და კურთხევით უნდა შევძლოთ, რათა „წარუდგინოს თავადმან თავსა თჳსსა დიდებულად ეკლესიაჲ“ (ეფეს. 5, 27).

დღეს, როდესაც ვზეიმობთ ბეთლემის გამოქვაბულში აღსრულებულ მიუწვდომელ სასწაულს, როცა ანგელოზნი ახარებენ ქვეყანას მშვიდობასა და კაცთა შორის სათნოებას, უნდა გავხსნათ გულის კარი, რომ მივიღოთ ეს გამოუთქმელი წყალობა და გავხდეთ მატარებელი ღვთის იმ უნაპირო სიყვარულისა, რომელიც წმიდა პავლეს თქმით „...სულგრძელ არს და ტკბილ ...არა შურნ... არა მაღლოინ,

არა განლაღნის, არა სარცხვნელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის; არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა; ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ“ (1 კორ. 13, 4-7).

მაშ, „განიშორეთ... რისხუაჲ, გულის წყრომაჲ, უკეთურებაჲ, გმობაჲ“ (კოლ. 3, 8) და „იყვენით ურთიერთარს ტკბილ, მოწყალე, მიმმადლებელ თავთა თვსთა, ვითარცა-იგი ღმერთმან ქრისტეს მიერ მოგუმადლა ჩუენ“ (ეფეს. 4, 32).

ყველას გულითადად მოგესალმებით და მოგილოცავთ ქრისტეს შობის დღესასწაულს.

„იხარებდ, ესაია ყრმაჲ იშვა და ძედ მოგვეცა ჩუენ ევმანოელ, – ჩუენ თანა ღმერთი“ (სძლისპირნი, თბ., 1982, გვ. 519).

ღმერთი მშვიდობისა და სიყვარულისა მარად იყოს ჩვენ შორის და ჩვენში, ამინ!

ქრისტეს შობა
თბილისი, 1989 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1989 წ.

საქართველოს მართლმადიდებელი
ეკლესიის ღვთისმოყვარე, ღვთივდაცულ სამწყსოს:

„რამეთუ ყოველი რომელი შობილ იყოს ღმრთისაგან,
სძლევს სოფელსა და ესე არს ძლევაჲ, რომლითა
სძლევს სოფელსა სარწმუნოებაჲ ჩუენი“ (1 იოან. 5, 4).
„ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ“ (იოან. 20, 27).

ყოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ღვთივკურთხეულნო და ღვთისმოსავნო შვილნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის წმიდა მიწის მკვიდრნო და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო საყვარელნო ჩვენო თანამემამულენო, გიხაროდეთ,

ქრისტე აღდგა!

მასთან ერთად აღდგა ცოდვით დაცემული ადამიანი, – დანაშაული გამოისყიდა.

თუ რაოდენ დიდი და განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ქრისტეს აღდგომას ჩვენი ხსნისათვის, ჩანს მოციქული პავლეს ამ სიტყვებიდან: „უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს... ცუდად არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი“ (1 კორ. 15, 14).

ქრისტეს აღდგომა დადასტურებაა იმისა, რომ სიკეთე სძლევს ბოროტებას, რომ სიყვარული ამარცხებს სიძულვილს, სიცოცხლე თრგუნავს სიკვდილს.

ქრისტეს აღდგომა დადასტურებაა იმისა, რომ მსხვერპლი მიღებული და შეწირულია, რომ გამარჯვება სიკვდილზე მოპოვებულია და ღმერთსა და კაცს შორის ზღუდე შემუსრულია, – კავშირი აღმდგარია!

მაგრამ აუცილებელია, რომ აღდგომის ამ მადლს ეზიაროს ადამიანი. ჩვენი გადარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ ნებით მივიღებთ და მთელი არსებით შევითვისებთ მაცხოვრის მიერ ჩვენთვის ნაბოძებ სიკეთეს.

და მართლაც, ქრისტეს აღდგომა არ არის მხოლოდ აქტი გამარჯვებისა. იგი არის მოწოდება ყოველი ადამიანისადმი, რათა ისიც გახდეს მონაწილე ამ დიადი ზეიმისა.

კაცობრიობის ხსნის მთავარი მიზანი არის ადამიანის გადარჩენა. ადამიანისა და ქვეყნის ხსნა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული: თუ ადამიანი გადარჩება, მასთან ერთად გადარჩება მისი გარემომცველი სამყარო, ხოლო თუ იგი დაეცემა და სულიერად დაიღუპება, დაიღუპება ქვეყანაც.

რწმენა – აი, უპირველესი და აუცილებელი პირობა ჩვენი

გამართლებისა და ხსნისა, რამეთუ „თჳნიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნო-ყოფაჲ“ ღვთის წინაშე (ებრ. 11, 6).

ჩვენი რწმენა ჩვენს ქცევაში, აზროვნებასა და ადამიანებთან ურთიერთობაში ვლინდება. ჩვენი საქმენი სახეა ჩვენი სულისა; ვცხოვრობთ ისე, როგორც გვწამს.

„იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“ (მათ. 5, 48), – მოგვიწოდებს უფალი.

სრულყოფა ცოდვისაგან განდგომას ნიშნავს. ცოდვა, როგორც სამართლიანად შენიშნავს მღვდელი პავლე ფლორენსკი, არის სულის ქაოსური მდგომარეობის შედეგი. „ცოდვა არის სულიერი ცხოვრების მოშლა, დარღვევა და დაქცევა მისი. სული კარგავს სუბსტანციურ ერთობას, კარგავს თავისი შემოქმედებითი ბუნების აღქმის უნარს და ინთქმება ქაოსური მდგომარეობის გრიგალში, უარს ამბობს რა თავის სუბსტანციურობაზე“ (პავლე ფლორენსკი, „ლოგოსი ქაოსის წინააღმდეგ“).

საერთო, ზოგად მდგომარეობაზე დიდადაა დამოკიდებული ცალკეული ადამიანის სულიერი ცხოვრება.

ჩვენს საუკუნეს შეიძლება ვუწოდოთ დიად გარდაქმნათა ეპოქა, მაგრამ იგი, ამავე დროს, დიდი რღვევის ხანაცაა.

შეხედულებების, იდეოლოგიის, ღირებულებათა ცვალებადობა, ხალხთა დაყოფა და კვლავ გაერთიანება, მსოფლიო ომები, სისხლი, აქამდე არგაგონილი ავადმყოფობანი, ქვეყნის ერთ მხარეს უსაზღვრო ფუფუნება, მეორეში კი – შიმშილი და უკიდურესი სიღატაკე; მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და სულიერი დაცემა, ეკოლოგიური, დემოგრაფიული გადაუჭრელი საკითხები და სხვა პრობლემები, – აი დაახლოებითი სახე მეოცე საუკუნისა.

მეცნიერულ განვითარებას ვერავინ შეაჩერებს, – ასეთია ღვთის ნება. სამწუხაროა ის, რომ ტექნიკის მიღწევებს დიდად ჩამორჩა

ჩვენი სულიერი ზრდა. ამან კი შექმნა დიდი საფრთხე როგორც ცალკეული პიროვნებისთვის, ისე მსოფლიოსათვის.

თუ ჭეშმარიტად გვსურს წინსვლა, სულიერი ღირებულებანი უნდა მოვიპოვოთ. ყველა სხვა მცდელობა უკანსვლას ნიშნავს.

უნდა ვიყოთ გაბედულნი, მტკიცენი, გონიერნი და მიზანდასახულნი. გადაუჭრელ საკითხთა სიმრავლემ არ უნდა დაგვაბნიოს. სიბრძნე სწორედ იმაში უნდა გამოვავლინოთ, რომ გავარჩიოთ მთავარი მეორეხარისხოვანისაგან, მარადიული – მსწრაფლ წარმავალისგან.

მაცხოვარი გვიჩვენებს გადარჩენის ერთადერთ გზას: „მოვედით ჩემდა... და მე განგისუენო თქუენ... რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს“ (მათ. 11, 28; 12, 30).

ერთი ალპინისტის საფლავის ქვაზე ასეთი წარწერაა: იგი დაიღუპა მწვერვალზე ასვლისას. ბედნიერი და ნეტარია ის, ვინც სრულყოფის მწვერვალზე ასვლისას კვდება.

მაგრამ იქნებ ეს ყოველივე მოჩვენებითია და არ ღირს ამაღლებულზე ფიქრი. იქნებ სჯობს მიწიერი, მდაბალი კანონებით ცხოვრება, ცხოვრება იმ აზრით, რომ ყველაფერი დასაშვები და მისაღებია, რომ კარგი ყოფა კარგ სმა-ჭამას და გართობას ნიშნავს და ეს საკმარისია ადამიანისათვის.

სოფლის საცდური, – რა მრავალფეროვანი და საშიშია იგი!

„ვაჲ სოფლისა ამის საცთურთა მათგან, რამეთუ უნებლიადცა მომავალ არიან საცთურნი, ხოლო ვაჲ მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური“ (მათ. 18, 7) – ბრძანებს წმიდა წერილი.

ჩვენ უკვე ვიგემეთ ეს. მიწიერებით სავსე ცხოვრება დამახასიათებელი ნიშანი იყო XX საუკუნისა. თუ რა შედეგი მოგვიტანა ამან, დღეს ნათლად ვხედავთ. კიდევ ერთხელ გამართლდა ძველი სიბრძნე: თუ დათესავ სიყვარულს, მის წილ დიდ სიყვარულს მოიმკი;

თუ დათესავ ღვთისმოსაობას, სიკეთესა და სიმართლეს, მოიმკი კეთილდღეობასა და ღვთის ლოცვა-კურთხევას, ხოლო თუ დათესავ ბოროტებას, სიბილწესა და სიცრუეს, შედეგად მიიღებ მწუხარებას, ტანჯვასა და სიკვდილს.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანმა სიყვარული და სიკეთე თესოს და არა ბოროტება და სიცრუე?

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჭეშმარიტი რწმენა, რწმენა ერთიანი, განუყოფელი, წმიდა სამოციქულო ეკლესიისა, რომლის მადლსაც ატარებს მართლმადიდებელი სარწმუნოება და მისი კანონებით ცხოვრება.

საზოგადოება თანდათან მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქრისტიანული აღზრდის გარეშე არაფერი გამოვა. ამაზე პასუხისმგებლობა კი, რა თქმა უნდა, ეკისრება ეკლესიას: მღვდელმსახურებსა და სასულიერო განათლების მქონე ღვთისმოსავ მორწმუნეთ.

რევოლუციის შემდგომი დრო მეტად მძიმე პერიოდია ეკლესიის ისტორიაში. ეს არის ჟამი, როცა სხვათა და სხვათა აგზნებული გონებანი წყვეტდნენ საკითხს ეკლესიის ყოფნა-არყოფნის შესახებ. ისინი, რა თქმა უნდა, მხოლოდ გარეგნულ სახეს ხედავდნენ, ხოლო ღვთიური, მისტიკური არსი სარწმუნოებისა მათთვის გაუგებარი იყო.

იმ მძიმე წლებში ეკლესია იყენებდა მისთვის შესაძლებელ ყველა საშუალებას, რათა არ შეეწყვიტა მფარველობა და აღზრდა თავისი სულიერი შვილებისა. დღეს დრო შეიცვალა. ამიტომაც გაცილებით მეტი უნდა გაკეთდეს მორწმუნეთა სულიერი დონის ასამაღლებლად.

როდესაც ვლაპარაკობთ სულიერ, ზნეობრივ და გონებრივ განვითარებაზე, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ ზრუნვას ჩვენი შვილების, ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდაზე.

დამღუპველია, როცა ბავშვებს თავიდანვე ასწავლიან სი-

ცრუეს. ამით ამახინჯებენ მათ შეუბღალავ სულს და ჯერ კიდევ სუსტ ნებისყოფას.

ერთ სიცრუეს მეორე ემატება, მეორეს – მესამე და ასე დაუსრულებლად. ცოდვა თანდათან იკიდებს ფეხს, შემდეგ კი უკვე ჭირს სიმართლის გზით სვლა.

გზა სიმართლისა და ჭეშმარიტებისა არის ქრისტეს გზა. იგი ვიწროა და ეკლიანი, მაგრამ – კურთხეული და სამეუფო, ერთადერთი და გადამრჩენი. მაცხოვარი გვაფრთხილებს: „შევედით იწროჲსაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭჱ და ფართო არს გზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა. ვითარ-იგი იწრო არს ბჭჱ და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხორებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოვებენ მას“ (მათ. 7, 13-14).

ბედნიერია, ვისაც შეუძლია გაიმეოროს დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „გზაჲ ჭეშმარიტებისაჲ სათნო-ვიყავ და სიმართლენი შენნი (უფალო) მე არა დავივიწყენ“ (ფსალმ. 118, 30).

ასეთი პიროვნება მზად არის თავი დასდოს მოყვასისათვის. იგი ცხოვრობს ახლობელთა და შორეულთა, განსაკუთრებით კი გაჭირვებულთადმი სიყვარულით; განსაცდელის ჟამს დიდად მომთმენი და შემნდობია, ტირის მტირალთან, წუხს მწუხარესთან, უხარის მხიარულთან; მან არ იცის შიში საფრთხის წინაშე;

მინდა ასეთი მაგალითი მოვიყვანო ამერიკის პირველი პრეზიდენტის, ჯორჯ ვაშინგტონის ცხოვრებიდან:

როცა მას ცხრა წელი შეუსრულდა, მამამ დაბადების დღისათვის პატარა ცული უყიდა. გახარებული ბიჭუნა ბაღში გაიქცა იმ გადაწყვეტილებით, რომ მაშინვე გაესინჯა თავისი საჩუქარი. მამამისს აქ საუცხოო ხეხილი ჰქონდა ჩაყრილი და ხეივანი გაშენებული. პატარა ჯორჯმა დაიწყო ცულით მათი ჩეხვა.

საღამოს გავერანებული ბაღი რომ ნახა, მამამ მკაცრად იკითხა: ეს ვინ ჩაიდინა?

ბიჭი აკანკალდა, მაგრამ მაინც დაუყოვნებლივ მივიდა მამასთან, მის წინ დაიჩოქა და თქვა: მე ვარ დამნაშავე.

მამა შეძრწუნდა და არ იცოდა, რა ეთქვა. უცებ მის თვალებს ცრემლი მოადგა, ბიჭი გულში ჩაიკრა და უთხრა: შვილო, შენ ახლა იმაზე ასწილად მეტს მაძლევ, ვიდრე შენ შენი დაუფიქრებელი ქცევით დამაკარგვინე. ბედნიერი ვარ, რომ შეგიძლია, ყოველგვარი შიშის გარეშე აღიარო სიმართლე, არ უფრთხი დასჯას და შენზე შთაბეჭდილების შეცვლას (ა. დეკოპეტი, ქადაგებანი ბავშვებისათვის, რიგა, 1914, გვ. 66).

ძალიან ხშირად კი მშობლები თვითონ უბიძგებენ შვილებს სიცრუისაკენ, თვითონ აყალიბებენ მათ მლიქვნელებად და კარიერისტებად.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიხმობ:

აღმოსავლეთის ერთ-ერთმა მბრძანებელმა გადაწყვიტა, დაეახლოებინა ისეთი პიროვნება, რომელიც იქნებოდა არა მარტო გონიერი და უნარიანი, არამედ ერთგული და სანდო.

ერთხელ იხმო ხუთი ქვეშევრდომი, სხვათაგან სიბრძნით გამორჩეული. მეფეს თითებზე უძვირფასესი ხუთი ბეჭედი უელავდა. მან ბრძანა: მოგიწვიეთ იმიტომ, რომ სიმართლე მოვისმინო თქვენგან. ამ ბრილიანტებს ხომ ხედავთ, თქვენ მათ საჩუქრად მიიღებთ სიმართლისათვის.

შეთავაზებული ჯილდოთი გაბრუებულმა ოთხმა ქვეშევრდომმა მლიქვნელობა დაიწყო მეფის წინაშე. განადიდებდნენ მის სახელს და ძალას და ყველა დროის გმირთა შორის სწორუპოვრად სახავდნენ. ხოლო როცა საქებარი სიტყვები გამოელიათ, ახლა ღმერთთან შედარება დაუწყეს.

მეფემ თავისი ოთხი ბეჭედი დაპირებისამებრ მისცა მათ, შემდეგ კი მეხუთეს მიუბრუნდა და დუმილის მიზეზი ჰკითხა. თქვი, რას ფიქრობ ჩემი ხელისუფლებისა და დიდების შესახებ, – უბრძანა.

მე ვფიქრობ, – მიუგო მან, – ძალაუფლება ღვთისგან იმიტომ მოგეცა, რომ შენ შენს ხელქვეითთ მოუტანო ბედნიერება. დადგება დრო, როცა უფალი მკაცრად მოგკითხავს ანგარიშს. დიდება შენი ცრუა და საშიში, თუ შენ ცდილობ მტერზე ბატონობასა და მის დათრგუნვას და არ გსურს კეთილსინდისიერად აღასრულო შენი ვალი.

მეფემ უთხრა: მე არ გიბოძებ შენ მეხუთე თვალს, არამედ გიძღვნი ჩემს ნდობასა და სიყვარულს. დარჩი ჩემთან. მე ვპოვე შენში ჭეშმარიტი მეგობარი (ა. დეკოპეტი, ქადაგებანი ბავშვებისათვის, გვ. 70).

სიმართლის სიყვარული უდიდესი მადლია.

ისევე როგორც არ ძალგვიძს ყოფნა უჰაეროდ, უწყლოდ, უპუროდ, ასევე არ უნდა შეგვეძლოს ცხოვრება სიმართლის გარეშე.

უწყლოდ და ულუკმაპუროდ ადამიანი ფიზიკურად კვდება, სიმართლის გარეშე კი – კვდება მეორე, ანუ სულიერი სიკვდილით.

ჩვენ უნდა განვეშოროთ არა მარტო უხეშ ტყუილს, არამედ სხვებისთვის ხშირად ძნელად შესამჩნევ დახვეწილ სიცრუესაც. ნახევრად სიმართლე არის თვისება თანამედროვე ადამიანისა. ღვთის წყალობით უნდა განვთავისუფლდეთ ამ სენისაგან.

მადლობა ღმერთს, ხალხმა თანდათან იგრძნო წყურვილი სიმართლისა. მაგრამ ეს სწრაფვა არ უნდა იყოს ამა თუ იმ გარემოებით გამოწვეული. იგი უნდა იქცეს ჩვენს არსებით, განუყრელ, ყოველდღიურ და გამუდმებულ მოთხოვნილებად.

„ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ“ (მათ. 5, 6).

სამწუხაროდ, ადამიანები ხშირად ვერ გრძნობენ, რა არის სიმართლე.

მრავალნი არიან გულდახურულნი, რომელთაც არ შეუძლიათ

მიიღონ იესო ქრისტე – ჭეშმარიტება. იგი მიუწვდომელი და დაფარულია მათთვის.

ზოგნი „ჭეშმარიტებას“ სიცრუეში ხედავენ და ვერ ახერხებენ მისგან განთავისუფლებას.

„ვჭამოთ და ვსუათ, რამეთუ ხვალე მოვსწყდებით“ (1 კორ. 15, 32), – ბევრნიც ასე ფიქრობენ.

ასეთი ადამიანები უაზრო ყოფაში ატარებენ ცხოვრებას. სათნოება კი მათი სულის უმაღლესი მოთხოვნილება რომ იყოს, სულ სხვანაირად აღიქვამდნენ სამყაროს.

მაგრამ, მადლობა ღმერთს, უფალი მოწყალეა და სასოებას არ გვიკარგავს. ადამიანი ხომ ცოდვილია, მაგრამ საოცარი ის არის, რომ ცოდვის მორევში დანთქმულიც კი არ კარგავს იმედს გამოსწორებისას. ეს იმიტომ, რომ ჩვენში არასოდეს ქრება ღვთის ხატება.

ეკლესიის ვალია, დაეხმაროს დაცემულ პიროვნებას, რათა განეშოროს იგი სიბილწეს, სიცრუეს, იპოვოს ჭეშმარიტება და აღიაროს იგი.

დღეს უკვე გამოიკვეთა იმ აზრის სიმცდარე, ჩვენი საუკუნის დასაწყისში რომ მოედო მსოფლიოს; როცა ფიქრობდნენ, რომ მეცნიერულ აღმოჩენათა სიმრავლე ღვთის რწმენას საბოლოოდ შეარყევდა, რადგანაც იგი სამყაროს ყველა საიდუმლოს ახდიდა ფარდას და რელიგიისთვის ადგილი აღარ დარჩებოდა.

პირიქით კი მოხდა. რაც უფრო განვითარდა მეცნიერება, ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელი, მით მეტი აუხსნელი კითხვა დაიბადა, რადგანაც ამა თუ იმ აღმოჩენამ კიდევ უფრო დიდი ახალი საიდუმლოებანი გამოავლინა.

მეცნიერულმა წინსვლამ საბოლოო ჯამში ადამიანი ღმერთთან დააახლოვა. პიროვნებამ დღეს ნათლად იგრძნო, რომ იმაზე გაცილებით მეტი და ძვირფასი რამ სჭირდება, ვიდრე მას ტექნიკის

პროგრესი აძლევს; იგრძნო, რომ იგი ბედნიერებისა და სრულყოფისთვისაა შექმნილი და არა უაზრო, უმიზნო შრომისთვის, რასაც ათეულობით წელი შესწირა.

ეკლესიაა ის ერთადერთი სავანე, სადაც ადამიანს შეუძლია შეიცნოს თავი და იგრძნოს ამ სამყაროში თავისი ნამდვილი დანიშნულება.

ეკლესიის წევრნი რომ გავხდეთ, აუცილებლად უნდა მივიღოთ ნათლობის საიდუმლო.

ადრე ხალხი მთელი მონდომებით ემზადებოდა ამისთვის. პირველ საუკუნეებში ასეთი წესი იყო: ნათლობის მიღების მსურველს ნათლიები მიიყვანდნენ ადგილობრივი ეკლესიის ეპისკოპოსთან და დაადასტურებდნენ მოსანათლის მტკიცე განზრახვას. ნათლიების ამ განაცხადის შემდეგ ეპისკოპოსი მონათვლისთვის მოსულს კათაკმეველთა, ანუ ნათლობის მიღების მსურველთა სიაში შეიყვანდა; და იწყებოდა სწავლის პროცესი, რომელიც ერთიდან სამ წლამდე გრძელდებოდა. მათ ასწავლიდნენ მოძღვრები ან ეპისკოპოსის მიერ სპეციალურად დადგენილი დიაკონნი, ანდა ღვთისმორწმუნე განათლებული ქრისტიანები.

წირვის დროს კათაკმეველნი იყვნენ ტაძარში იმ დრომდე, ვიდრე დიაკონი იტყოდა ასამაღლებელს: „რაოდენი კათაკმეველნი ხართ, განვედით“ ... ამის შემდეგ ისინი ტოვებდნენ ეკლესიას, ლიტურღიას კი მხოლოდ მართალნი, ანუ მონათლულნი ესწრებოდნენ.

კათაკმეველნი თანდათან ხდებოდნენ ეკლესიის აქტიური წევრნი, გულდასმით ეცნობოდნენ ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, და ბოლოს მთელი შეგნებით იღებდნენ მის ნათელს – ინათლებოდნენ.

დროა, ამ ძველ კანონს სათანადო ყურადღება მივაქციოთ და კვლავ აღვადგინოთ ეკლესიაში კათაკმეველთა წესი. მით უმეტეს,

რომ ყოველი მღვდელმოქმედება და, განსაკუთრებით, საიდუმლო ორი ნაწილისაგან შედგება: მომზადების საფეხურისა და შესრულებისაგან.

თვითონ ეკლესიაც თავისებური მოსამზადებელი სავანეა, სადაც მორწმუნენი მარადიული ცხოვრების დაწყებისთვის იწვრთნებიან. ამავე დროს ეკლესია არის საიდუმლოთა აღმსრულებელი. აქ ადამიანი სულიერად იბადება, აქ ხდება მისი ფერისცვალება და სულიწმიდის ტაძრად ქცევა.

ასე რომ, ორბუნებოვნება ეკლესიაში წარსულ და მომავალ დროში ვლინდება.

ეკლესიურ ლოცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეკლესიაში აღწევს ადამიანი თავისთავთან ნამდვილ ერთობასა და მთლიანობას; ეს არის ის საოცარი სამყარო, სადაც ერთმანეთს უკავშირდება ზეცა და მიწა, ღმერთი და ადამიანი, ადამიანი და მოყვასი, რადგანაც აქ ვლინდება მთელი სისრულით იესო ქრისტე – ძე ღვთისა და ძე კაცისა, სათავე სინათლისა და სიმართლისა.

ჭეშმარიტებას, მართალია, სრულად ვერასდროს შევიცნობთ, მაგრამ მისკენ მუდმივი სწრაფვა აუცილებელია, ესაა ჩვენი მოწოდება.

ვინც მისდევს რწმენას, მსხვერპლად შეწირული სიყვარულისა და თავდადების გზას, შეუძლია პავლე მოციქულის მსგავსად თქვას: „ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ჩემთანა ცხოველ არს ქრისტე“ . დიახ, ქრისტეა მასთან და სწორედ ამაში პოვებს იგი აბსოლუტურ თავისუფლებასა და ნეტარებას.

დანო და ძმანო ჩემნო, ჩვენთვის დღეს მაცხოვრის აღდგომის სიხარული 9 აპრილის ღამეს თბილისში დატრიალებული ტრაგედიისა და მთიან აჭარაში სტიქიით მომხდარი უბედურების მწუხარებასთან არის წილნაყარი.

„მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან იჴსნნეს იგინი უფალმან“ (ფსალმ. 33, 20), – გვასწავლის დავით წინასწარმეტყველი.

რატომ ხდება ასე? – იმიტომ, რომ მართალი უყვარს უფალს; მას სჯის და ამ დასჯით წვრთნის; სურს, ჩაახედოს იგი საკუთარ სულში, დაანახოს შეცდომები და მათი დაძლევის გზები.

მთავარია გულისხმიერებამ და გონიერებამ არ გვიღალატოს, რომ სწორ გზას არ ავცდეთ.

დიახ, რჩეული ერისგან მეტს ითხოვს ღმერთი; რასაც სხვას აპატიებს, იმას ჩვენ არ მოგვითმენს იმიტომ, რომ მადლი დიდი მოგვცა და პასუხსაც მეტად მოგვთხოვს; არ გვაპატიებს განსაკუთრებით ურწმუნოებას.

ისტორიულად ჩვენ დაყოფის ცოდვა მოგვდგამს. შური და გაუტანლობა გვთიშავდა საუკუნეთა მანძილზე. ასეა ახლაც. ჩვენ ვერ დავძლიეთ ეს სენი. უფალი გვეხმარება, მწუხარებისა და დიდი ტკივილის ფასად აღვიძებს ჩვენს ეროვნულ სულს, გვკრავს და გვაერთიანებს. ამით გადავრჩებით. მივყვეთ ამ გზას, მოვუხმოთ სიბრძნეს, სიმშვიდეს, თორემ განსაცდელი გაცილებით დიდი შეიძლება გვერგოს.

9 აპრილის ღამემ ბევრი რამ დაგვანახა. დაგვანახა, რომ არ არსებობს სიკეთის მომრევი ძალა; და თუ ჩვენ რწმენით, სიყვარულითა და სიმართლით ვივლით, გამოვიჩენთ წინდახედულებას, გავიმარჯვებთ.

იმ ღამეს საქართველომ იტვირთა და თავის თავზე მიიღო უმძიმესი დარტყმა. ის, რაც აქ მოხდა, სხვაგან, ალბათ, არ განმეორდება. საქართველომ იხსნა სხვა ერები ასეთი განსაცდელისგან. ესეც ღვთისგან ჩვენზე დაკისრებული მისია იყო. ამისთვის ვმადლობთ ღმერთს.

საქართველოს ეკლესია აღავლენს ლოცვებს უდანაშაულოდ მსხვერპლშეწირულთა სულის საოხად, რათა უფალმან დააწესოს იგინი სავანესა მართალთასა. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი, ამინ!

მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ დღეს ზეიმის დღეა; ღვთაებრივი მადლი აღდგომის სიხარულისა სძლევს ყოველგვარ მწუხარებას. მაშ, შეიმოსეთ სიხარულით. იგი თქვენი მუდმივი თანამდევი იქნება, თუ სიყვარულის გზას აირჩევთ და მას გაჰყვებით.

გულითადად გილოცავთ წმიდა პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს. ღვთის მფარველობა, მშვიდობა მისი, სიყვარული და კეთილდღეობა არ მოგკლებოდეთ.

სააღდგომო ეპისტოლე ისუ ზირაქის წიგნის ამ სიტყვებით მინდა დავამთავრო: „ნუ ჰყოფ ბოროტსა და არ გეწიოს შენ ბოროტი. განეშორე უსამართლოსა და მიდრკეს შენგან“ (ზირ. 7, 1-2).

შევსთხოვ ღმერთს, რათა გიხაროდეთ ორსავე სოფელსა შინა.

ქრისტე აღდგა!

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1989 წ.

საშობაო ეპისტოლე

1990 წ.

„გამოეცხადა... უფალი სოლომონს და... უთხრა:
მთხოვე, რა გინდა, რომ მოგცე შენ. უთხრა
სოლომონმა: მიანიჭე შენს მორჩილს გული გონიერი...
რათა სიკეთე გაარჩიოს ბოროტებისაგან“ (3 მეფ. 3, 5,9).

კურთხეული ივერიის მართლმადიდებელ ქრისტიანებს და
სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:

ჩემო საყვარელო თანამემამულენო, ძმანო და დანო!

დღეს სასოებით ვხმობთ: გიხაროდეთ, – ემმანუელი მობრძანდება! გიხაროდეთ წარმართნო და შეინანეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი. „ჰე, მოვიდოდე, უფალო იესუ!“ (გამოცხ. 22, 20).

მაცხოვარი მუდამ ჩვენთან არის „ყოველთა დღეთა და ვიდრე

აღსასრულადმდე სოფლისა“ (მათ. 28, 20), მაგრამ ამ სიახლოვეს განსაცდელისა და მწუხარების ჟამს უფრო ნათლად ვგრძნობთ; ნათლად ვგრძნობთ ავადმყოფობის სარეცელზე მყოფნი, ხილულ და უხილავ მტერთან მბრძოლნი.

მართალია, მწუხარება სიმწარესთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამ დროს მარადიულობის საიდუმლოსაც ეზიარება ადამიანი. მისი აზროვნება სამყაროსა და ისტორიის ჰორიზონტალური აღქმიდან ვერტიკალურში გადადის.

თითოეულ ჩვენგანს, თითოეულ ერს თავისი ბედი აქვს. ისტორია ყველას კუთვნილ ადგილს უჩენს და შესაფერის მოთხოვნებს უყენებს.

გასული წელი ჩვენთვის მძიმე გამოცდის წელი იყო. მაგრამ ამავე დროს იგი იყო წელი სულიერი ამაღლებისა. ჩვენ კიდევ ერთხელ ნათლად დავინახეთ, ვინ ვართ, რისთვის მოვედით ამქვეყნად, საით მივდივართ...

დაიმსხვრა იდეალები, რადგან ისინი არამყარ საფუძველზე იყო დაშენებული, ჩვენ კი მარადიული გვეგონა.

დაიმსხვრა ილუზიები იმიტომ, რომ ისინი მოწყვეტილნი იყვნენ ღმერთსა და სიყვარულს. საშინელი ნგრევისა და ქაოსის შემდეგ უფალმა კვლავ აღამაღლა ადამიანის დაცემული სული, დაგვიბრუნა რწმენა და სიყვარული, ღირსება და დიდება.

ამ განცდით ვხვდებით დღეს ქრისტეს შობის არამიწიერ სიხარულს; მისი მადლის გარეშე არ უნდა დარჩეს არავინ. ოღონდაც ეს ზეიმი, ეს სიხარული მხოლოდ გარეგნულ ფორმებში არ უნდა გამოიხატოს.

დღეს ჩვენ სიღრმისეული აზრით სულიერად უნდა მივსწვდეთ ბეთლემის გამოქვაბულს – მაცხოვრის შობის ადგილს და ძალისაებრ ჩვენისა განვიცადოთ იქ აღსრულებული ღვთის დიდი საიდუმლო.

უფალი ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი საოცარი სიმდაბლით განეცხადა მსოფლიოს, რათა ყველასთვის დაენახვებინა ჭეშმარიტების, სიმართლის, სიყვარულის სიდიადე, სიდიადე მარადიულ ღირებულებათა, რომელთაც ვერაფერი დაფარავს, ვერავითარი ძალა ვერ შეცვლის, ვერ განაქარვებს.

იგი, რომელი არის ანი და Ѫ, დასაბამი და დასასრული ყოველთა (გამოცხ. 21, 6), იგი, რომელი არის მეუფე მეუფეთა და უფალი უფლებათა, იშვა ბეთლემს გამოქვაბულში. მან უარყო მეფის სასახლე, ოქროს ტახტი, დიდება მიწიერი და წარუდგა ქვეყანას ბაგაში მწოლი.

ერთი შეხედვით როგორი სუსტი და დაუცველი ჩანს ყრმის სიცოცხლე მისდამი მტრულად განწყობილ ამ სამყაროში. მაგრამ არა. მის სისუსტეში სულ სხვა სიძლიერეა, მის სიმდაბლეში – სხვა სიდიადე, მის მორჩილებაში – სულ სხვა სიკეთე. იგი მოვიდა სოფლად, რათა სძლიოს მის ბოროტებას. იგი მოვიდა სოფლად, რათა გაათბოს ჩვენი გაცივებული, დაშრეტილი გულები და აღავსოს იგინი დაკარგული სიყვარულით.

თვით შობის ღამის ზეცაა ამის მოწმე: „და მეყსეულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათაჲ, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“ (ლუკ. 2, 13-14).

აი, მიზანი ღვთის განხორციელებისა.

უფლის განკაცების მადლით განიპო კრეტსაბმელი ადამიანის გონებისა და სულის უგრძნობლობისა. ბეთლემელი მწყემსები გახდნენ ღირსნი, პირველთ ეხილათ გამოქვაბულის არამიწიერი დიდება და თაყვანი ეცათ ღვთაებრივი ყრმისათვის.

დღესაც მაცხოვრის შობის დღეა. მაგრამ ვინ პოვებს მას, რომ თაყვანი სცეს და შეუვრდეს?

მხოლოდ წმიდანი გულითა, რადგან მსგავსი მსგავსს შეიცნობს. წმიდა სახარებაც ბრძანებს: ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

და სად იხილავენ მას

– საკუთარ გულში.

ისევე როგორც სუფთა წყალში მკვეთრად აირეკლება ტყე, მზე, ცა, ასევე სუფთა გულში აისახება ღმერთი.

ასეთი გული სულიერად ბეთლემის გამოქვაბულს ემსგავსება. ასეთ გულში იშვება მაცხოვარი და არა მარტო იშვება, მუდმივად დაივანებს იქ.

ღმერთი არის შემქმნელი ჩვენი გულისა. იგი განწმედს და განაახლებს მას, ოღონდ ხელი არ უნდა შევუშალოთ და ჩვენი ნება არ უნდა დავუპირისპიროთ მის მაცხოვნებელ და აღმადგენელ ძალას. ეს კი გულისხმობს ღვთის მცნებების, ღვთის კანონების აღსრულებას.

მოსე წინასწარმეტყველს ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის ორმოცდამეათე დღეს შემოქმედისგან მიეცა კაცთა მოდგმის გადამრჩენელი, ჩვენი სულის ამამაღლებელი ათი კანონი, რომელთა დაცვა ყველა მორწმუნის ვალია. სწორედ მათ მინდა შევეხო საშობაო ეპისტოლეში.

პირველი ოთხი მცნება გვასწავლის, როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება უფლისადმი, ხოლო დანარჩენი ექვსი გვიხსნის ადამიანებთან, მოყვასთან სწორი თანაცხოვრების პრინციპებს.

პირველი მცნება: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთი უცხონი ჩემსა გარეშე“.

ეს მცნება მოითხოვს, რომ გვწამდეს, გვიყვარდეს, ვსასოებდეთ და თაყვანს ვცემდეთ ჭეშმარიტ ღმერთს.

დღეს, როგორც არასდროს, სწორედ ეს კანონია დარღვეული. ურწმუნოება, ღვთის არსებობისადმი ეჭვი, ეჭვი სულის უკვდავებისა...

ბინდავს ადამიანთა გულსა და გონებას. ზოგიერთნი მისდევენ მისნობას, ჯადოქრობას, ხშირია მწვალებლობა, მკრეხელობა, მღვდლისადმი, ეკლესიის სიწმიდისა და წმიდა საიდუმლოთადმი უსულგულო დამოკიდებულება. ხშირია გულგატეხილობა და სასოწარკვეთილება, რადგან ადამიანები ღვთის ნაცვლად იმედს ამყარებენ მათზე, რომელნი არიან ძლიერნი ამა სოფლისანი, ანდა საკუთარ მაღალ თანამდებობასა და სიმდიდრეზე.

ყოველივე ეს არის პირველი მცნების საწინააღმდეგო ცოდვები.

რომ შევიცნოთ ღმერთი, აუცილებელია, ვიკითხოთ წმიდა წერილი, წმიდა მამათა შრომები, უნდა ვიაროთ და ვილოცოთ ეკლესიაში, შევისწავლოთ ღვთის ქმნილება – ბუნება და კაცთა მოდგმის ისტორია, შევისწავლოთ ჩვენი სულიერი სამყარო. მაშინ ვიგრძნობთ შემოქმედის უნაპირო სიყვარულს, სიბრძნესა და მიუწვდომლობას, მაშინ ვიგრძნობთ, რომ „უფალი ღმერთი ერთ არს“ და შევიყვარებთ მას ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა და ყოვლითა ძალითა ჩვენითა (მარკ. 12, 29-30).

მეორე მცნება: „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი მისი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა ქვეშე ქვეყანისა: არა თაყვანისცე მათ, არცა მსახურებდე მათ“.

ეს კანონი კრძალავს ჭეშმარიტი ღმერთის ნაცვლად ფიზიკური სხეულების, არასულიერი საგნების, ცის მნათობების, ცხოველების, ფრინველების თაყვანისცემას. ქრისტიანისთვის კერპთმსახურებად ითვლება ასევე ცოდვითი მიდრეკილებებისადმი მონობა: ბევრნი ესწრაფვიან სიმდიდრის შეძენას, რადგან მათი კერპი არის სიმდიდრე; ზოგი პატივმოყვარეობის ავადმყოფური სენით არის შეპყრობილი; ზოგს მთავარ საქმედ ხორციელი სიამოვნება გაუხდია; სხვანი ლო-

თობენ, აზარტულ თამაშს მისდევენ... ღმერთი და მისი მსახურება კი აღარ ახსოვთ. თვით ცოდნის შეძენის დაუოკებელი სურვილი, მეცნიერულ აღმოჩენათა სიმრავლე ფასს კარგავს, თუ მას რწმენა და სიყვარული არ განსაზღვრავს, რადგან ასეთი ცოდნა შეიძლება დიდი ბოროტების მომტანი გახდეს.

მაშ, იყავით ბრძენნი, თავშეკავებულნი, თავმდაბალნი და ღვთისმსასოებელნი.

ზოგიერთი სექტანტური მიმდინარეობა წმიდანთა თაყვანისცემის გამო ადანაშაულებს მართლმადიდებელ ეკლესიას და ამას კერპთაყვანისმცემლობად გვითვლის.

ჩვენი პასუხი ასეთია: ხომ გვწამს, რომ ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთს ლოცვით შეეწიონ (რასაც სექტანტებიც არ უარყოფენ), ხომ გვწამს სულის უკვდავება და იმქვეყნად მარადიული ცხოვრება; და თუ ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისთვის ლოცვა, რატომ არ შეუძლიათ ღვთის წინაშე ჩვენთვის მლოცველნი და მვედრებელნი იყვნენ: ღვთისმშობელი დედა, წმიდა ნინო, წმიდა გიორგი და სხვანი. თავისი ღვაწლითა და სათნო ცხოვრებით მათ ხომ უფლისაგან განსაკუთრებული მადლი მოიპოვეს და ამდენად ღმერთი მათ თხოვნას უფრო არ ისმენს? რა თქმა უნდა, ეს ასეა.

სექტანტები ასევე განგვიკითხავენ ხატების გამო. მათ არ მოსწონთ, რომ ხატთან ვიჩოქებთ და ვემთხვევით მას. სინამდვილეში ჩვენ თაყვანსა ვცემთ არა ფიცარს ან საღებავს, არამედ იმ პირველსახეს, რომელიც გამოსახულია ხატზე; აზრობრივად ჩვენ სწორედ მას ვემთხვევით და მხოლოდ მის წინაშე ვიყრით მუხლს. ხატი არის სარკმელი ცისა.

ბიბლიიდან ვიცით, ათი მცნების მომღებელ მოსე წინასწარმეტყველს თვით ღმერთმა უბრძანა ტაძარში ქერუბიმების ოქროს ორი გამოსახულების დადგმა, რაც მან აღასრულა კიდეც.

ედესის მთავარს, ავგაროზს, იესო ქრისტემ გაუგზავნა თავისი ხატი, ხელთუქმნელად სახელდებული.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ლუკა მახარებლის მიერაა დაწერილი ღვთისმშობლის რამდენიმე ხატი...

წმიდანთა და ხატთა სასწაულთმოქმედი ძალის მრავალი მაგალითია ცნობილი. გავიხსენოთ თუნდაც ივერიის ღვთისმშობლის ან „ღირს არს ჭეშმარიტად“ სახელდებული ღვთისმშობლის ხატის სასწაულები; გავიხსენოთ, როგორ აღდგა მკვდრეთით მიცვალებული წმიდა ელისე წინასწარმეტყველის ძვლის შეხებისას. ეს ფაქტი ხომ წმიდა წერილშია დამოწმებული.

ასე რომ, მართლმადიდებელთადმი წაყენებული ბრალდება არასამართლიანია და მწვალებლურ აზრს შეიცავს.

მესამე მცნება: „არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა“.

დანაშაულია, როცა უბრალო და უსარგებლო ლაპარაკისას ღვთის სახელს ახსენებენ. კიდევ უფრო დიდი და მძიმე ცოდვაა, თუ ღვთის სახელით ტყუილად იფიცებენ. ღვთის გმობა, ღვთის სამართლის განკითხვა, ლოცვისას უგულისყურობა, აღთქმის დარღვევა... ყველაფერი ეს არის მესამე მცნების წინააღმდეგი. ღვთის სახელი დიდი კრძალვით და შიშით უნდა წარმოთქვათ. გაიხსენეთ, თუ როგორ აგვიწერს ესაია წინასწარმეტყველი თავის ხილვას: „ – ვიხილე უფალი მჯდარი ამაღლებული, ზეაღმართულ ტახტზე, და მისი კალთები ავსებდა ტაძარს. თავით სერაფიმები ედგნენ, ექვს-ექვსი ფრთა ესხა თითოეულს; ორით სახეს იფარავდნენ, ორით ფეხებს იფარავდნენ, ორით ფრენდნენ... და ამბობდნენ: წმიდაა! წმიდაა! წმიდაა საბაოთ უფალი! მისი დიდებით სავსეა ქვეყნიერება“ (ეს. 6, 1-3).

აი, როგორი მოწიწებით მსახურებენ ღმერთს ზეციური ძალები. მით უმეტეს ჩვენ მეტი რიდი და თაყვანისცემა გვმართებს.

მეოთხე მცნება: „მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი, ექვს დღეს იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღვთისა შენისა“.

ბიბლიაში წერია, რომ ღმერთმა ექვს დღეში შექმნა სამყარო, მეშვიდე დღეს კი დალოცა იგი, აკურთხა და საქმისგან დაისვენა. ეს მეშვიდე დღე იყო შაბათი.

ქრისტიანები უქმობენ შაბათსაც და კვირასაც, რადგან კვირა იესო ქრისტეს აღდგომისა და ჩვენი ხსნის დღეა.

მეოთხე მცნების დარღვევით სცოდავენ ისინი, რომელნიც ამ დღეებში არ უქმობენ, არ ზეიმობენ. დღესასწაული ყოველთვის წინადღის საღამოდან იწყება. თუ მორწმუნე ხარ, ამ დროს ყველა საქმე უნდა დატოვო და ეკლესიაში წახვიდე, რათა მიიღო ღვთის კურთხევა. დღესასწაულისა და კვირის წირვაზე დასწრება ხომ ყოვლად აუცილებელია. წირვისას იკითხება და იგალობება სპეციალური ლოცვები, რომელიც დიდი ძალის მიმცემია რწმენითა და სიყვარულით მოსულთათვის.

სამწუხაროდ, დღეს ხშირია ოჯახები, რომელთა წევრები გამუდმებით მუშაობენ, არ იციან შაბათ-კვირა და დღესასწაული. ისინი, როგორც წესი, უბარაქონი და უმადლონი არიან, რადგანაც მათზე არ არის ღვთის ლოცვა-კურთხევა.

მეხუთე მცნება: „პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“.

ეს მეტად მნიშვნელოვანი მცნებაა. მშობლების პატივისცემაზეა დამოკიდებული შვილების კეთილდღეობა. წმიდა წერილი გვასწავლის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედ-მამის დალოცვას, ოღონდ დალოცვა უნდა იყოს დამსახურებული, მშობლების დაფასებით მოპოვებული.

განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ავადმყოფ, ხანდა-

ზმულ, დაუძლურებულ მშობლებს. არადა ზოგიერთი თავიდან იშორებს მათ და მოხუცებულთა თავშესაფარში გზავნის. ეს საშინელი სისასტიკეა.

მშობლები წუხან, ტირიან შვილების უდიერი საქციელის გამო, თუმცა უმეტესწილად თვითონ არიან დამნაშავენი, რადგან ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით არ გაზარდეს ისინი.

დედ-მამის უპატივცემულობის მიზეზით შვილები შემდეგ სხვადასხვა ავადმყოფობით იტანჯებიან; მათ ოჯახში არ არის სიმშვიდე და სიყვარული.

ყველას უნდა ახსოვდეს: როგორც თვითონ ექცეოდა მშობლებს, ისე მოექცევიან მას მისი შვილები.

მეხუთე მცნება ასევე გულისხმობს კეთილ დამოკიდებულებას უფროსი ადამიანების, ახლობლების, მოძღვრების მიმართ. მაგრამ, თუ მშობელი ან ნებისმიერი სხვა პიროვნება ჩვენგან ღვთის საწინააღმდეგო საქმის აღსრულებას ითხოვს, არა ვართ ვალდებულნი დავემორჩილოთ მას.

მეექვსე მცნება: „არა კაც ჰკლა“.

მკვლელობა საშინელი დანაშაულია. სხვისი სიცოცხლის ხელმყოფი სცოდავს არა მარტო ადამიანის, არამედ ღვთის წინაშეც, რადგან ჩვენ არა გვაქვს უფლება ღვთის მიერ მონიჭებული სიცოცხლე მოვუსპოთ კაცს.

ამ ცოდვის ჩამდენი ადამიანი ამქვეყნადაც დიდად დასჯილია. გავიხსენოთ, პირველი მკვლელი, კაენი, რომელმაც თავისი ძმის, აბელის სისხლი დაღვარა, ადგილს ვერ პოულობდა ახლობლების წრეში. ამიტომაც სხვაგან გადაიხვეწა და იქ ტანჯვაში დალია თავისი დღენი, ხოლო ამ ცოდვის გამო სასჯელი მთელ მის მოდგმაზე გადავიდა. ასევეა ახლაც.

მკვლელობის განსაკუთრებული სახეა აბორტი. ამ დროს თვით

დედა ხდება მკვლელი საკუთარი შვილისა. სამწუხაროდ, ბევრნი ვერ გრძნობენ დანაშაულს, არადა ამისთვის მკაცრად დაისჯებიან. რა თქმა უნდა, დაისჯება ისიც, ვინც აბორტს აკეთებს.

დიდი ცოდვაა კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ, რადგანაც ჩვენ ამით ბოროტებას კი არ ვსპობთ, არამედ ვამრავლებთ. „ბოროტებას ბოროტებით ვერ განკურნავ, – გვარიგებს ბასილი დიდი, – მას მხოლოდ სიკეთით შეიძლება უწამლო“. ჰუმანურ, სამართლებრივ სახელმწიფოში არ შეიძლება არსებობდეს სასჯელის ეს არაადამიანური სახე.

საშინელი ცოდვაა თვითმკვლელობა. იგი პროტესტია ღვთის ნების წინააღმდეგ და სულიწმიდის გმობად ითვლება. თვითმკვლელი, თუ იგი ფსიქიკურად დაავადებული არ არის, საბოლოოდ წარიწყმედს სულს. მისთვის ლოცვაც კი არ შეიძლება.

ფიზიკურის გარდა, არის სხვა სახის მკვლელობაც: შეურაცხყოფით, ცრუმოწმეობით, დასმენით, ცილისწამებით... წმიდა იოანე ღვთისმეტყველი წერს: „ყოველსა რომელსა სძულდეს ძმაჲ თჳსი, იგი კაცის-მკლველი არს და იცით, რამეთუ ყოველსა კაცის-მკლველსა არა აქუს ცხორებაჲ“ (1 იოან. 3, 15).

ღმერთმა ყველა დაიფაროს ამ საშინელი ცოდვისაგან.

მეშვიდე მცნება: „არა იმრუშო“.

ეს მცნება კრძალავს არაკანონიერ, დანაშაულებრივ ურთიერთობას ქალსა და კაცს შორის. აქ შედის შემდეგი ცოდვები: სიძვა, მეძაობა, სისხლის აღრევა, გარყვნილება, ცოლ-ქმრული ცხოვრების დამახინჯებული სახეები...

„სიძვაჲ და ყოველი არა-წმიდებაჲ... ნუცაღა სახელ-ედებინ თქუენ შორის“ (ეფეს. 5, 3), – გვაფრთხილებს მოციქული პავლე. ადამიანს დიდი თავშეკავება მართებს; უფალი ბრძანებს: თუ კაცი ნდომით შეხედავს ქალს, მან უკვე იმრუშა თავის გულში (მათ. 5, 27-28).

არაწმიდა ფიქრები, სურვილები, უხამსი სიმღერები და ხუმ-

რობები, ზედმეტი გართობა, უზნეო სანახაობანი, ნაყროვანება, სასმელის უზომო სმა... არის ცოდვა, რომელიც მეშვიდე მცნების დარღვევითა და მძიმე დანაშაულით მთავრდება. დანაშაულს კი მოსდევს ღვთის სასჯელი.

მერვე მცნება: „არა იპარო“.

არავის აქვს უფლება აიღოს ის, რაც მას არ ეკუთვნის. აქ შედის შემდეგი ცოდვები: ქურდობა, ანუ სხვისი ნივთის, სხვისი საკუთრების მალულად აღება; ძარცვა – სხვისი ქონების ძალით მიტაცება; მკრეხელობა – ღვთისთვის მიძღვნილი, შეწირული ნივთებისა და საერთოდ საეკლესიო ქონების მითვისება ან მოპარვა; მექრთამეობა, მევახშეობა (როცა პროცენტით გასცემენ ფულს), მუქთახორობა...

ზოგჯერ ქურდები და დამნაშავენი თავიანთი საქციელის გამართლების მიზნით სახარებიდან იშველიებენ იმ ავაზაკის მაგალითს, რომელიც მაცხოვართან ერთად აწამეს და რომელიც მასთან ერთად სამოთხეში მოხვდა.

ავაზაკი შეწყნარებულ იქნა, რადგან სიკვდილის წინ მოასწრო მონანიება. მან მთელი არსებით იგრძნო თავისი განვლილი ცხოვრების სიმძიმე და განაჩენიც სამართლიანი გამოუტანა თავს და თავის ამხანაგს, რომელსაც მასთან ერთად აწამებდნენ. ჯვარზე გაკრული ის მიუბრუნდა მაცხოვარს და უთხრა: „ჩუენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენით, მოგუეგების“ (ლუკ. 23, 41).

იმდენად ძლიერი იყო მასში სინანული, რომ ცოდვით დამძიმებული მისი გული განიწმიდა და იგრძნო ის, რასაც სხვები ვერ ხვდებოდნენ; იგრძნო, რომ მის გვერდით ღმერთი ეწამებოდა; ამიტომ სთხოვა: „მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხჴდე სუფევითა შენითა“ (ლუკ. 23, 42).

და მიუგო იესომ: „ამენ გეტყჴ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“ (ლუკ. 23, 43).

ეს მაგალითი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ყველა

ცოდვიდან შეიძლება ამაღლება და განწმენდა; და რომ ღვთის მოწყალებას არა აქვს საზღვარი.

მეცხრე მცნება: „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“.

ეს მცნება ჩვენგან მოითხოვს სიმართლის გზით სვლას. მძიმე ცოდვად ითვლება: ცრუმოწმეობა, ცილისწამება, დაბეზღება, მოძმის განკითხვა...

ღირსი მამა ანტონი დიდი წერს: ურჩხულის ენა ნაკლებ საშიშია, ვიდრე ენა ცილისმწამებლისა, რადგან ასეთი კაცი ჩხუბსა და განხეთქილებას აგდებს მშვიდობით მცხოვრებ ადამიანებს შორის, თესავს ბოროტებასა და ღვარძლს ახლობლებში, არღვევს ერთობას. ვინც ასეთ პიროვნებას სახლის კარს გაუღებს, თვითონაც ცოდვის მორევში ჩავარდება. ასეთ კაცთან ურთიერთობა მკვლელთან ურთიერთობას ნიშნავს.

ცილისმწამებლის ენა მსგავსია გველის შხამისა. უმჯობესიც კია გველისა და მორიელის გვერდით ცხოვრება, ვიდრე ცილისმწამებელთან ახლო ყოფნა, რადგანაც იგი თავისი სენით სხვასაც აავადებს და ისინი ერთად განიკითხებიან ღვთის სამსჯავროზე.

ღმერთი მოწყალეა, მაგრამ იცოდეთ, ცილისწამების ცოდვა ძნელად შეენდობა კაცს. ამიტომაც, „ნუ შეგრცხვებათ ასეთი ადამიანებისაგან განზე განდგომისა, თორემ მათი შხამით თქვენც დაავადდებით“ (ანტონი დიდი).

მეათე მცნება: „არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა, მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყვეს მოყვასისა შენისა“.

ეს მცნება მოითხოვს, კმაყოფილნი ვიყოთ ჩვენი ხვედრით, ჩვენი მდგომარეობით, რათა ხელი არ დაგვრიოს სულის ფითრმა –

შურმა. შური პირველ ყოვლისა ზიანს აყენებს მას, ვინც ამ სენითაა შეპყრობილი.

სხვა ცოდვა უფრო უხეშია და სულშიც ისე არ ღვივდება, როგორც შური, – წერს ბასილი დიდი, – შური კი ისე ჭამს კაცის სულს, როგორც ჟანგი რკინას... შური არის წუხილი სხვის სიკეთესა ზედა.

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი კი ასე გვაფრთხილებს: შური წყლულია სულისა და საწამლავი მისი. იგია – ერთ-ერთი ყველაზე უსამართლო და, ამავე დროს, სამართლიანი ვნება. უსამართლო იმიტომ, რომ კეთილთა სიმშვიდეს არღვევს, სამართლიანი კი იმიტომ, რომ შინაგანად ახმობს მას, ვის სულშიც ბუდობს.

ჩვენ განვიხილეთ ათი მცნება, რათა ერთხელ კიდევ გვეგრძნო მათი სიდიადე და აუცილებლობა თითოეული ჩვენგანისათვის. ეს მცნებები ეკუთვნის მთელ მსოფლიოს და ისინი, ისევე როგორც შესაქმის აქტი, შედეგია ღვთაებრივი სიყვარულისა.

ზოგჯერ კითხულობენ – რად შექმნა ღმერთმა ქვეყანა, სადაც ამდენი უსამართლობა და მწუხარებაა?

ღმერთი სიყვარულია. მას არ შეუძლია იყოს მარტოობაში. სიყვარული ეძებს სხვას, რომ უყვარდეს და სურს, თვითონაც იყოს სხვისაგან შეყვარებული.

ამიტომაცაა შესაქმის აქტი ღვთაებრივი ბუნების გამოვლინება.

რაც შეეხება უსამართლობას, იგი მოდის არა ღვთისაგან, არამედ ადამიანისაგან. ადამიანს აქვს მონიჭებული თავისუფალი ნება, სიკეთისა და ბოროტების ქმნის სრული შესაძლებლობა, არჩევანის უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უფლის ხელში უბრალო მანქანა, იარაღი იქნებოდა.

მთავარია ჩვენ გადავწყვიტოთ, რას ვამჯობინებთ: სიკეთის ვიწრო, ეკლიან, მაგრამ გადამრჩენელ ბილიკს, თუ ცოდვის ფართო

გზით სვლას. ზოგჯერ ისიც ჭირს, გაარკვიო რა არის ცოდვა და რა – მადლი. ამიტომაც შესთხოვს ღმერთს სოლომონ ბრძენი: მოანიჭე შენს მორჩილს გული გონიერი, რომ სიკეთე გაარჩიოს ბოროტებისაგანო (3 მეფ. 3, 9).

გულის სიბრძნე მცნებათა დაცვით მოიპოვება; მაგრამ უმთავრესი მათ შორის არის შიში უფლისა.

„შიში უფლისაჲ – დასაბამი სიბრძნისაჲ“ (ფსალმ. 110, 10). „შიში უფლისაჲ – დასაბამი სიკეთისაჲ“ (წმიდა ისააკ ასური), – ბრძანებენ წმიდანნი.

ეს შიში განსხვავდება ადამიანური შიშისაგან. იგია რწმენასა და სიყვარულზე დაფუძნებული გრძნობა; გრძნობა, რომელიც პიროვნებას გადაარჩენს ცოდვითი მიდრეკილებებისაგან და ღირსყოფს მას ღვთაებრივ სიყვარულთან ერთად გახდეს მონაწილე კაცობრიობის ხსნისა. ამისთვის გაიღო ღმერთმა უდიდესი მსხვერპლი: „ძეცა თჳსი მხოლოდშობილი მოსცა მას (სოფელს), რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (იოან. 3, 16).

ძე ღვთისა, იესო ქრისტე, მოვიდა ჩვენთან, რათა, როგორც ერთი ფილოსოფოსი წერს, ნათლად დაგვენახა და მკვეთრად შეგვეგრძნო ჩვენი სისუსტე, ჩვენი უძლურება ყველაზე უმნიშვნელო საკითხებშიც კი, და დავლოდებოდით გამოწვდილ ხელებს, რომელიც ფეხზე დაგვაყენებდა.

მაცხოვარი იშვა, ხსნის გზა განათდა. მაშ, შევიმოსოთ მისი რწმენით და მისი მადლით, „რამეთუ ყოველი რომელი შობილ იყოს ღმრთისაგან, სძლევს სოფელსა და ესე არს ძლევაჲ, რომლითა სძლევს სოფელსა სარწმუნოებაჲ ჩუენი“ (1 იოან. 5, 4).

ქრისტე იშვა – ადიდებდეთ მას!

ქრისტე ზეცით გარდამოხდა – მიეგებეთ!

სიყვარულით გილოცავთ ყველას ქრისტეს შობის დიად დღესასწაულს. შევსთხოვთ ღმერთს, სულიერად ფეხზე დადგეს საქართველო; ვიყოთ ერთობით ღმერთთან და ერთმანეთთან „ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ და მივსცეთ მას დიდებაჲ, რამეთუ მოვიდა ქორწილი კრავისაჲ“ (გამოცხ. 19, 7).

ჩვენთან არს ღმერთი!

ქრისტეს შობა
თბილისი, 1990 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1990 წ.

ყოველთა ქართველთა, მკვიდრთა საქართველოჲსა
და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებთა:

„მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და
სიყვარული ღვთისა და მამისა და ზიარება სულისა
წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა“, ამინ.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო და დანო,

ქრისტე აღდგა!

„ღამე იგი განგუეშორა, და დღე შემოგუეახლა; განვიშორნეთ უკუე საქმენი ბნელისანი და შევიმოსოთ საჭურველი ნათლისაჲ“ (რომ. 13, 12);

პასექი ქრისტესი ძველ დროს მომხდარი სასწაულის გახსენება

კი არ არის, არამედ რეალური შეხვედრა აღდგომილ მაცხოვართან; ეს არის სიხარული, რომელსაც მხოლოდ მორწმუნე გრძნობს და განიცდის; ეს არის სიხარული, ადამიანის გულში დაუტევნელი. მისი მადლით აღვსილი ყველას სიყვარულით გილოცავთ:

ქრისტე აღდგა!

აღდგა მშვიდობა და ნათელი სოფლისა; აღდგა სიბრძნე და ჭეშმარიტება, აღდგა მეორე ადამი – ღმერთი ვნებული, უფალი უფლებათა. სხეულს გაყრილმა მისმა ყოვლადძლიერმა სულმა შემუსრა საკრველნი სიკვდილისა, ბჭენი ჯოჯოხეთისა და თავის მორწმუნეთ გაუხსნა წინაპართა ცოდვის მიზეზით დახშული კარი ცისა და სამოთხისა.

ქრისტე „მიეცა ცოდვათა ჩუენთათჳს და აღდგა განმართლებისა ჩუენისათჳს“ (რომ. 4, 25); ვემსგავსოთ ქრისტეს, რამეთუ ჩვენი ხსნისათვის მსგავს ჩვენდა იქმნა; განვღმრთდეთ, რამეთუ იგი ჩვენი მიზეზით განკაცდა; თავი დაიმდაბლა, რათა ჩვენ აღვემაღლებინეთ; სოფელს წარუდგა ღატაკი, რათა ჩვენ გავემდიდრებინეთ; იქმნა შეურაცხყოფილი, რათა ჩვენ განვედიდებინეთ; იყო სატანჯველით გვემული, რათა ჩვენ ძლევაჲ მოგვეპოვებინა; მოკვდა, რომ გამოვეხსენით; აღდგა, რომ ქვესკნელს შთაცვივნულნი ზეცის სიმაღლეს ვზიარებოდით (გრიგოლ ღვთისმეტყველი).

ნაწილობრივ მაინც რომ ვიგრძნოთ მაცხოვრის მიერ გაღებული მსხვერპლის სიდიადე და ჩვენდამი მისი უსაზღვრო სიყვარული, საკუთარ სულში უნდა ჩავიხედოთ; თითოეულმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად უნდა განვიცადოთ ჩვენი სისუსტენი, ვამხილოთ ჩვენი ცოდვითი მიდრეკილებანი, რათა მართალ მეზვერესავით გულით შევთხოვოთ შემოქმედს: ღმერთო, მილხინე მე ცოდვილს, და იმ

მეზვერესავით მივიღოთ შენდობა და მიტევება ცოდვათა ჩვენთა.

დიახ, დღეს ჩვენი მოვალეობაა, თვალი გავუსწოროთ რეალობას. შევჩერდეთ და ვიდრე ხვალისკენ მიმავალ გზას საბოლოოდ დავადგებოდეთ, დავფიქრდეთ, ვინ ვიყავით და რად ვიქეცით. დავფიქრდეთ, როგორ ვიპოვოთ საკუთარი თავი, საით გვიბიძგებს ინსტინქტი და სინამდვილეში კი სად არის ის ერთადერთი გადამრჩენელი ბილიკი, რომელსაც ჩვენი სული დაეძებს?

ჩვენს ეროვნულ არსს, ჩვენს ეროვნულ მთლიანობას, როგორც ბრძანებს წმიდა ილია მართალი, სამი მძლავრი ფესვი ასაზრდოებს: საკუთარი მიწა, ქრისტიანობა და ენა ქართული. მათ თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან თუ ქართველთა შორის დაიკარგა გრძნობა და განცდა ამ ჭეშმარიტებისა, იმ გადამრჩენელ ბილიკს ვერასოდეს მივაგნებთ.

სააღდგომო ეპისტოლეში მინდა შევეხო ჩვენი დღევანდელობის ზოგიერთ მტკივნეულ საკითხს.

სამწუხაროდ, წარსულმა წლებმა ჩვენს აზროვნებას ფსიქოლოგიური რღვევის დაღი დაასვა; მისი მიზანი იყო ადამიანის არსიდან ღვთის განდევნა და მისი ადგილის დაკავება. ამიტომ ყველაფერი, რაც აღნიშნულ პრინციპს არ ემორჩილებოდა, იდეოლოგიისთვის მიუღებელი იყო. არ სჭირდებოდა მას დემოკრატია, სიყვარული, თავისუფლება, ჭეშმარიტება... რწმენისა და ინტელექტის უარყოფამ განაპირობა მსოფლმხედველობისა და ზოგადადამიანური მრწამსის რღვევა; სინათლის ადგილას გამეფდა სიბნელე, სიყვარულის ადგილას – სიძულვილი, ცოდნის მაგივრად – უმეცრება, ღვთის ნაცვლად – ურწმუნოება. ზნეობა და სულიერობა ისე დაინთქა მკვდრად ნაშობი იდეოლოგიის სქემაში, ისე გაილია და გაფერმკრთალდა, ვერც კი ვიგრძენით, როდის დავკარგეთ იგი. ადამიანი იქცა მომავლისთვის მეტად საშიშ მანქანად, ავტომატად.

ჩვენი დაბალი სულიერობის მანიშნებელი ბევრი მაგალითია, ბევრი ფაქტია.

რით შეიძლება ავხსნათ, თუ არა ამით, ქართველის მიმართ ქართველი ადამიანისვე დაუნდობელი სისასტიკე? ჩვენი შვილები ჩვენ თვალწინ ერთმანეთს ხოცავენ ისეთი ღვარძლით, ისეთი გამეტებით, რომლითაც ქრისტიანი კაცი სამშობლოს მტერსაც კი არ გაწირავდა.

ანდა საიდან მოდის ჩვენი დაუოკებელი სურვილი, გამოსწორება დავიწყოთ სხვისით და არა ჩვენი თავით? რატომ ვხედავთ სხვის ნაკლს და საკუთარს კი არ ვამჩნევთ, რატომ ვხედავთ სხვა ადამიანში მხოლოდ „სავლეს“ და იმას კი არ ვფიქრობთ, რომ უფალს ძალუძს „სავლე“ აქციოს „პავლედ“, ცოდვილი – წმინდანად, ბოროტი – კეთილად. ამპარტავნება ჩვენი ხშირად იქამდეც კი მიდის, რომ ამ გარდაქმნასაც ვერ ვიტანთ; გვშურს, გვინდა, ადამიანი, რომელსაც ჩვენ ასე მკაცრად ვაკრიტიკებდით, განვიკითხავდით, სამუდამოდ ბოროტი დარჩეს. გვავიწყდება მაცხოვრის ერთ-ერთი მთავარი მცნება: ღვთისა და მოყვასის სიყვარული. ეს თუ ახლავს კაცს, მაშინ იგი მიმტევებელიცაა. ზოგიერთი კი ისეა გაბოროტებული, თვლის, თითქოს მიმტევებლობამ დაღუპა საქართველო.* ასეთ პიროვნებაში დაკარგულია არა მარტო ქრისტიანული სული, არამედ ადამიანურიც. უნდა გვახსოვდეს სიტყვები წმიდისა ბასილი დიდისა: ბოროტება ბოროტებით არ იკურნება, მას სიყვარულით უწამლებ მხოლოდ.

ქრისტიანულ რწმენაზე და სიყვარულზე დაფუძნებულმა მიმტევებლობამ კი არ დაგვღუპა, გადაგვარჩინა.

ჩვენი ერის წინაშე დიდი პრობლემები დგას. მდგომარეობა რთულდება და უარესდება იმითაც, რომ ქართველთა შორის არ არის თანხმობა, მეტიც, ხშირად მტრობაა, რაც განსაკუთრებულად გამოვლინდა თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ფონზე.

* მიმტევებლობა და უპასუხისმგებლობა სხვადასხვა ცნებაა.

მრავალპარტიულობა შესანიშნავი და ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობაა, მაგრამ მას ხომ უნდა კეთილად გამოყენება; ისეთ სახელმწიფოებში, სადაც დემოკრატია და პარტიების სიმრავლე უკვე საუკუნეობით არსებობს, გამომუშავებულია კამათის ეთიკა. ჩვენთან კი ეს არც იყო და არც არის. ჩვენი სულიერი და კულტურული დონე იმდენად დაბალია, რომ კამათის დროს გადავდივართ ერთმანეთის შეურაცხყოფაზე, მუქარაზე, არ ვერიდებით არც ცოცხალს, არც მკვდარს. ჯერ კიდევ ძველი რომაელები ამბობდნენ: მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვან, ან არაფერიო. ჩვენ კი წარმართების დონემდეც ვერ ავმაღლებულვართ. ცუდის თქმას არ ვჯერდებით, მკვდრებს საფლავებშიც აღარ ვაყენებთ.

დადგა დრო უფროსი თაობის ჯერ არნახული დაუნდობელი ლანძღვისა იმ საბაბით, თითქოს მან დაღუპა საქართველო.

ის კი გვავიწყდება, რომ XIX-XX საუკუნეებში ჩვენი ერის ცხოვრებაში მომხდარი ფაქტები შედეგი იყო სწორედ ქართველთა სულიერი დონის დაკნინებისა, სულმოკლეობისა, ურთიერთმტრობისა... და რომ წინაპართა ეს ნაკლი ჩვენშიცაა; ჩვენც მონანი ვართ ამ სიმდაბლისა, თავი კი უცოდველი გვგონია. საკითხავი ისიცაა, მათ ადგილას განა ჩვენ უკეთესნი ვიქნებოდით: გავუძლებდით კი იმ წლების სიმძიმეს?

საერთოდ ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდვა უნდა გვძულდეს, მაგრამ ცოდვის ჩამდენი ადამიანი, როგორც ბოროტის საცოდავი იარაღი, უნდა გვიყვარდეს და გვებრალებოდეს. იგი კი არ უნდა მოვიძულოთ, არამედ დავეხმაროთ მას ნაკლის დაძლევაში. მოძმის მხილებას კი სიყვარული უნდა ედოს საფუძვლად, თორემ იგი მოყვასის სიძულვილსა და მტრობაში გადაიზრდება და უფრო დიდი ბოროტების სათავედ იქცევა. ნებისმიერი პარტიის წევრსა თუ უპარტიოში, ხანდაზმულსა თუ ჭაბუკში მტერი კი არა, ჩვენი მამა, დედა,

და, ძმა, მეგობარი უნდა დავინახოთ და ამ თვალთახედვიდან უნდა ვიზრუნოთ ცხოვრების გამოსასწორებლად.

ღმერთი ითხოვს ჩვენგან შენდობას სხვათა, რათა მას მიეცეს საშუალება იყოს მოწყალე ჩვენდამი; და თუ არ შეგვიძლია მოწყალე ვიყოთ შეურაცხმყოფელთადმი, როგორღა ვთხოვთ უფალს შეწევნას, როგორღა ვამბობთ: „მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“, განა ჩვენ ცოდვებით ყოველდღიურად არ შეურაცხვყოფთ ღმერთს?! რატომ ვითხოვთ მისგან ლმობიერებას, როცა ჩვენ ულმობელნი ვართ?! და თუ ვაპ-ატიებთ მოყვასს შეცდომებს, ნუ ვიფიქრებთ, რომ კეთილნი ვართ მის მიმართ; სიკეთეს ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავს ვუკეთებთ.

გონიერნი მაშინ ვიქნებით, თუ საქმის კეთებას დავიწყებთ არა ლანძღვით, არამედ ერთმანეთის გვერდში ამოდგომით, ერთმანეთის მოსმენით, ურთიერთგაგებით, კარგი იდეების გაზიარებით.

სხვა გზა არ არსებობს; სხვა გზა დამღუპველია.

ვფიქრობ, სასწრაფოდ უნდა გაიმართოს ყველა პარტიისა და საზოგადოების წარმომადგენელთა კრება, რომელიც გამოიმუშავებს პარტიების კამათის ეთიკის კანონებს, რომლის დაცვაც აუცილებელი იქნება ყველასთვის.

ცნობილი ფაქტია, ადამიანები ნაკლებად იზიარებენ სხვათა შეხედულებებს, მაგრამ როცა ეცნობიან მათ აზრებს და თავისას ადარებენ, ხშირად შესაბამისი ცვლილებები შეაქვთ თავის მოქმედებასა და მიმართულებაში.

ამიტომაც, თუ გვინდა, რომ ერთიანი გონივრული აზრი ჩამოყალიბდეს, ჩვენთვის მიუღებელი პოზიციებიც ლეგალური უნდა გავხადოთ, თანახმა უნდა ვიყოთ, რომ პრესის საშუალებით ისინი საჯარო და ნათელი გახდეს მთელი საზოგადოებისათვის.

სხვადასხვა აზრი ერთმანეთზე მოახდენს გავლენას. ისინი

დაუახლოვდებიან, შეავსებენ, მიიზიდავენ ერთმანეთს და საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობენ პოზიციათა ურთიერთგაგებას, კონსოლიდაციას.

იმისთვის კი, რომ გავეცნოთ სხვათა შეხედულებებს, განვსაჯოთ და განვსაზღვროთ მომავლის მიმართულება, დრო გვჭირდება; მიუხედავად იმისა, რომ სულსა და ხასიათში გვიზის სიჩქარე, სულსწრაფობა უნდა დავიოკოთ, ხომ ფაქტია, როცა ვჩქარობთ, ბევრ შეცდომას ვუშვებთ.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მიტინგებისა და გაფიცვების სახით ევროპიდან შემოსულმა პროტესტის თუ აზრის გამოთქმის ამ ფორმამ დრო მოჭამა; ხალხი შეეჩვია მას, დაიღალა და უკურეაქცია გაჩნდა.

სასურველია, ყველა პარტიის მონაწილეობით შექმნილ კომპეტენტურ ორგანოსთან ჩამოყალიბდეს „იდეათა ბანკი“, რომელიც განიხილავს ყველა წამოჭრილ საკითხსა და წინადადებას, მთელი სამართლიანობით განსჯის მათ და საბოლოოდ დაასაბუთებს ამა თუ იმ აზრის სისწორეს ან უმართებულობას.

ორგანოს გადაწყვეტილებას უნდა დაეთანხმოს იდეის შემომტანი.

ორგანოს განაჩენი აუცილებლად უნდა შესრულდეს.

მე იმედის თვალით ვუყურებ მომავალს. ამის საფუძველს გვაძლევს თუნდაც 19 მარტს მომხდარი ფაქტი. ამ დღეს იმძლავრა ჩვენში მიძინებულმა სიყვარულმა, შეერთდა დაქსაქსული ქართული სული, სინანულის მადლით განიბანა და თანადგომისა და თანაგრძნობის სურვილით აღვსილი ერთგულების ფიცით წარდგა ღვთის წინაშე სიონის ტაძარში. ღმერთმა ისმინოს მათი, ღმერთმა დალოცოს და შეკრას საქართველო.

უნდა გვახსოვდეს, მტერი უძლურია, თუ ჩვენ ერთად ვიქნებით.

მან არ უნდა გამონახოს მოღალატე ჩვენ შორის. მტერი დღესაც არ გვაკლია, მაგრამ უფლისა და ღვთისმშობლის დედობრივ კალთას მინდობილნი, მათ ჩვენ ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებით მივმართავთ: „თივით ორსულნო, ჩალას დაბადებთ; ცეცხლია თქვენი სუნთქვა, თქვენივ შემჭმელი“ (ეს. 33, 11).

ხვალინდელ დღეზე ფიქრი განსაზღვრავს ჩვენს განსაკუთრებულ მზრუნველობას ახალგაზრდებზე; ეს სწორია, მაგრამ უფრო მეტი ყურადღება მოზარდ თაობას უნდა მივაქციოთ.

დღეს განსაკუთრებული მისია ეკისრებათ ქართველ დედებს. მათ უნდა შეძლონ ცხოვრების გაუკუღმართებული წესის შეცვლა. მათ აკვნიდანვე უნდა ჩაუნერგონ შვილებს ღვთისა და მოყვასის სიყვარული, ერთგულების, თანაგრძნობის უნარი...

ცხოვრება ისე როდია მოწყობილი, არავისთან შეგექმნას კონფლიქტი, არავის აწყენინო ან არავინ გაწყენინოს. ჩვენს შვილებს უნდა შეეძლოთ მოთმინებაც, შენდობაც, გატანაც. ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს მათ არ უნდა ვასწავლოთ ღირსების დაცვა. მაგრამ მათ ღირსება ღირსეულად უნდა დაიცვან, არა ლაჩრული გზით: კაცის კვლით, ბოროტებით, დაუნდობლობით, არამედ სიმართლით, მშვიდობით, ურთიერთპატივისცემით.

მოვუხმოთ სიბრძნესა და სიყვარულს, რამეთუ სიბრძნე მარტოოდენ სიყვარულშია.

ასევე საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებს.

აშშ-დან საქართველოში ჩამოსულ მოსწავლეთა ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი მიამბობდა, რომ ისინი კოლეჯებში გეგმით გათვალისწინებული საგნების გარდა ბავშვებს ასწავლიან ჩხუბისა და უსიამოვნების შემდეგ მასწავლებლებისა და მშობლების ჩაურევლად შერიგების სხვადასხვა გზას; ასწავლიან სიკეთის ქმნას, მიმტევებლობას, გაჭირვებულის დახმარებას, შრომის პატივისცემასა

და სიყვარულს. ჩვენ კი ამაზე არც გვიფიქრია. ჩვენ ვასწავლით, ვინ არის კლასობრივი მტერი და როგორ მოვსპოთ იგი.

სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში იკითხება საგანი, რომელსაც „ზნეობრივი ღვთისმეტყველება“ ეწოდება. თუ ღვთისმეტყველება ჯერ კიდევ მიუღებელია ჩვენს სკოლებში, ზნეობა ხომ აუცილებელია. საგანს დავარქვათ „ზნეობრივი კულტურა“ და შევიტანოთ იგი სკოლის პროგრამაში.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ თანამედროვე პედაგოგიკის ნაკლზე. გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, შემუშავებულია პროგრამა... მაგრამ იმას კი არავინ დაკვირვებია, რომ პირველი კლასიდან დამამთავრებელ კლასამდე ერთ სკოლაში მოსწავლეთა სწორად აღზრდა შეუძლებელია; რომ აბსურდი და უდიდესი დანაშაულია, როცა პირველკლასელს ვაიძულებთ, თითქმის იმდენივე ხანს იჯდეს გაკვეთილზე მობილიზებული, რამდენ ხანსაც ვთხოვთ, ვთქვათ, მეათე კლასის მოსწავლეს. სწავლების ასეთი ფორმით ხომ ბავშვს ძალაუნებურად რობოტად ვზრდით.

ყმაწვილის დატვირთვა თავდაპირველად მსუბუქი ფორმით, ვთქვათ 5 ან 10 წუთით უნდა დავიწყოთ. შემდეგ კი ნელ-ნელა გავზარდოთ დრო, რომ ის სიბეჯითეს თანდათან შეეჩვიოს. სწავლების პროცესში ჩვენი ის ნაკლიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველებს გვახასიათებს საქმის კარგად დაწყება, მაგრამ დამთავრება კი გვიჭირს, არ გვიყვარს მისი ბოლომდე მიყვანა. ამიტომ ბავშვს რა ხნის განმავლობაშიც დავსვამთ გაკვეთილზე, ისეთი დავალება უნდა მივცეთ, რომ იმ დროში აუცილებლად ჩაეტიოს, დაასრულოს იგი ან საქმის გარკვეული ნაწილი მაინც, რომ მას გამოუმუშავდეს დაწყებულის აუცილებლად დამთავრების სურვილი და მოთხოვნილება.

ალბათ, ყველაზე სასურველია, სკოლები დაიყოს კლასების მიხედვით: ერთი სკოლა იყოს პირველი კლასებისათვის, სხვა –

მეორე კლასებისათვის და ა.შ. ანდა ერთი სკოლა დაწყებითი კლასებისათვის, მეორე – მოზარდთათვის და ა.შ., სამწლიანი შუალედით თითოეული.

ბოლო წლების მღელვარებამ დაგვანახა, რომ ჩვენი მოქმედება ძირითადად გრძნობებსა და ემოციებზეა დაყრდნობილი და რომ გონება არ აკონტროლებს მას. ემოციურობა კარგია, იგი ჩვენი თვისებაა, მაგრამ არ არის საკმარისი. გვაკლია ღრმა ანალიზის უნარი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ადამიანის აზროვნება ზედაპირულია, მოკლებულია ღრმა განსჯას, რასაც მეცნიერები რადიოს, ტელევიზიის, პრესის, კინოს, თეატრისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების სიმრავლით ხსნიან. კაცი ვერ ასწრებს ყველაფრის აღქმას, ამიტომაც მისი გონება სწრაფად გადადის ერთი საგნიდან მეორეზე.

მიგვაჩნია, რომ ამ ხარვეზის გამოსწორება შეგვიძლია, თუ შეიქმნება I კლასიდან დამამთავრებელ კლასამდე სასკოლო კურსი ღრმა აზროვნების სწავლებისათვის, სადაც გამოყენებული იქნება ღვთისმეტყველების, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ანთროპოლოგიის... მონაპოვარი, ჩვენი ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი (თეორიული მასალა აუცილებლად მაგალითებით უნდა იყოს განმტკიცებული).

ღრმა აზროვნებასთან ზიარება ბავშვს მეტად გაუადვილებს სხვა საგნების ათვისებას. ამასთან, ჩვენ აღვზრდით ნამდვილად ჭკვიან ახალგაზრდებს, რომლებიც იცხოვრებენ და იმოქმედებენ არა მხოლოდ ემოციებით, თავისუფალნი იქნებიან მაქსიმალიზმისაგან და ჩვენზე უფრო გონიერად, რწმენით და სიმართლით წარმართავენ ცხოვრებას.

ქრისტეს აღდგომის ნათელი მოიცავს მთელ სამყაროს. მისი მადლით ნიშანდებულნი უნდა განვთავისუფლდეთ ცოდვისაგან,

რათა ვეზიაროთ ჭეშმარიტებას; თუ არ განვიძარცვეთ სხეული ძველი ადამისა და არ შევიმოსეთ ქრისტეს სამოსით, მარადიული სიკვდილისათვის გავწირავთ თავს.

მაგრამ იესომ ხომ შემუსრა საკვრელნი სიკვდილისა, – იკითხავს ზოგი.

სიკვდილი სამი სახისაა: ფიზიკური, სულიერი და მარადიული.

მაცხოვარმა ჩვენ სულიერი და მარადიული სიკვდილისაგან გვიხსნა; გვიხსნა სულიწმიდის განშორებისა და მარადიული სატანჯველისგან. მან თავისი სისხლით და ხორცით გამოისყიდა პირველქმნილი ცოდვა და ამით მორწმუნეთათვის სასუფევლის კარი შეაღო.

„მე ვარ აღდგომაჲ და ცხორებაჲ, – ბრძანებს უფალი, – რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხონდესვე. და ყოველი, რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე“ (იოან. 11, 25-26). აღდგომილი მაცხოვარი არის უტყუარი მტკიცება იმისა, რომ ჭეშმარიტება სძლევს სიცრუეს, სიკეთე – ბოროტებას, სიყვარული – სიძულვილს, სიცოცხლე – სიკვდილს.

მაშ, დავფლათ ჩვენი ცოდვითი მიდრეკილებანი და შევუდგეთ ქრისტეს; მასთან ერთად მოვკვდეთ, რათა მასთან ერთად აღვდგეთ და ვიდიდებოდეთ მასთან ერთად.

გიხაროდეთ, „რამეთუ უფალია ჩვენი მსაჯული, უფალია ჩვენი რჯულმდებელი, უფალია ჩვენი მეუფე; ის გადაგვარჩენს“ (ეს. 33, 22).

გიხაროდეთ, ქრისტე აღდგა!

აღდგომილმა მაცხოვარმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1990 წ.

საშობაო ეპისტოლე

1991 წ.

საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის
სულიერ შვილებს:

> „ასე ამბობს უფალი, შენი შემქმნელი... ნუ გეშინია, რადგან მე გიხსენი შენ, შენი სახელით მოგიწოდე, ჩემი ხარ შენ. როცა წყლებს გადახვალ, შენთან ვიქნები და მდინარეები არ წაგიღებენ. როცა ცეცხლში შეხვალ, არ დაიწვები და ალი არ მოგეკიდება, რადგან მე ვარ უფალი, შენი ღმერთი... შენი მაცხოვარი“ (ეს. 43, 1-3).

ევთისმოყვარენო ღვთივკურთხეულნო შვილნო საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიისა, მშვიდობა თქვენდა და სიხარული ღვთისა – მამისა და ძისა და სულისა წმიდისა,

რომელსა შვენის დიდება და თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გასაოცარი სიმდაბლით წარუდგა სოფელს უფალი ჩვენი. ჩვეულებრივი ადამიანური სამყოფლის ღირსიც არ გახდა იგი. ბეთლემის გამოქვაბულმა და ბაგამ შეიკედლა და გაათბო ძე ღვთისა.

ანგელოზთა დასი მის ქვეყნად მოვლინებას შეხვდა საზეიმო გალობით: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“. ამ დროს კი სოფელი, რომლის ხსნისთვისაც განხორციელდა იესო ქრისტე, უგრძნობი დარჩა აღსრულებული დიადი საიდუმლოს, ღვთის შობის მიმართ. ოდენ ციურნი მნათობნი იყვნენ მოწმენი უცხო სასწაულისა, მხილველნი ახლადშობილი მაცხოვრისა.

და გამოჩნდა უჩვეულო ვარსკვლავი, რომელმაც უწინამძღვრა და ბეთლემის გამოქვაბულთან მიიყვანა მოგვნი ბაგაში მწოლი ღვთის თაყვანისცემად.

სიდიადე და თავმდაბლობა – რა გაუგებარი და შეუთავსებელია ისინი ჩვენი აზროვნებისათვის. არადა აუცილებელია ჩავწვდეთ ამ სიტყვების აზრს და არა მარტო გავიცნობიეროთ იგი, არამედ ვიცხოვროთ ამ სულისკვეთებით, რათა შევძლოთ მივეგებოთ ჩვენკენ მომავალ მაცხოვარს.

თქვენ იკითხავთ: მივეგებოთ, მაგრამ რით? ოქროთი, გუნდრუკითა და მურით?

სჭირდება კი უფალს ცოდვით დამძიმებული ჩვენი სასახლეები და ქალაქები, სხვათა სიკვდილისა და მწუხარების ფასად შეძენილი ჩვენი ქონება ან ჩვენი ცოდნა, მაღალი თანამდებობა?

არა, მას მხოლოდ რწმენითა და სიყვარულით გამთბარი ჩვენი წმინდა გული სურს, რათა დაივანოს იქ და არასდროს განგვშორდეს.

ძველი რომაული გამონათქვამია: „მივედ, ვნახე, გავიმარ-ჯვე“. ზოგს მიაჩნია, რომ ღრმა აზრით სავსე ეს სამი სიტყვა რომის იმპერატორების მიმართ იყო თქმული. ვფიქრობ, იგი თითოეულ ჩვენგანსაც ეხება.

ყოველი ჩვენგანი ღვთის ნებით მოვიდა ამქვეყნად, რათა იხილოს იგი, სარწმუნოებით სძლიოს წუთისოფლის განსაცდელით სავსე ცხოვრებას და გამარჯვებული სუფთა გულით წარუდგეს შემო-ქმედს.

დიახ, ჩვენი ამქვეყნიური ყოფა რაღაც დიადისა და მარა-დიულის კარიბჭეა. მიწიერი ცხოვრება რთული, წინააღმდეგობებით სავსე და მრავალფეროვანია. ამ მცირე დროში უნდა მოვასწროთ სამყაროს რეალური სახის დანახვა, მისი სწორად აღქმა და, რაც მთავარია, შევძლოთ საკუთარი თავის შეცნობა. ხედავდე შენს თავსა და სამყაროს არა ერთმანეთისაგან განცალკევებულად, არამედ ერთმანეთში: შენს თავს – სამყაროში და სამყაროს – შენში, – აი, რას უნდა ვესწრაფოდეთ ჩვენ.

თავის შეცნობა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენში დაბუდებული სიცრუისა და ტყუილის აღმოჩენით უნდა დავიწყოთ. უნდა დავინახოთ ყოველივე არაჭეშმარიტი, ფარისევლური, რომელიც ბორკილად ადევს ჩვენს სულს; უნდა დავინახოთ ჩვენი ამპარტავნება და ეგოიზ-მი, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე თან გვდევს და გვიბიძგებს მრავალი ცოდვის ქმნისაკენ. ამ ცოდვით სავსენი ადვილად გავცემთ მეგობარს, ვღალატობთ სწორ იდეას, რომელსაც წლობით მივყვე-ბოდით, ვღალატობთ ჭეშმარიტებას...

და თუ გამოსწორების სურვილი გვამოძრავებს, თავმდაბლო-ბით უნდა შევიმოსოთ. მხოლოდ იგი სძლევს ამპარტავნებას.

წმიდა მაკარი დიდის ცხოვრებაში ვკითხულობთ: ერთხელ, როცა წმიდა მაკარი ჭაობიანი ადგილიდან პალმის ტოტებით ხელში თავისი სენაკისკენ მიდიოდა, გზად ეშმაკი შეხვდა, რომელსაც ცელი

მიჰქონდა. ეშმაკი შეეცადა ცელი წმიდანისათვის დაერტყა, მაგრამ ვერ შეძლო და გაბრაზებულმა უთხრა: დიდია ძალა შენი, მაკარი. მე არაფრით შემიძლია შენი ვნება. რასაც შენ აკეთებ, მეც იმავეს ვაკეთებ; შენ მარხულობ, მე სულ არ ვჭამ; შენ ფხიზლობ, მე საერთოდ არ მძინავს; მხოლოდ ერთი რამით მჯობიხარ.

– რით? – ჰკითხა წმიდანმა.

– თავმდაბლობით. შენი თავმდაბლობის გამო მე არ მაქვს ძალა შენს საწინააღმდეგოდ.

და როცა ღირსმა მამამ ხელნი აღაპყრო, დემონი უჩინარ იქმნა.

მსგავსი სულიერი სიმაღლე მხოლოდ დიდი სულიერი შრომით, გამუდმებული თვითდაკვირვებით, ამქვეყნიურ საცდურთა დათრგუნვითა და დიდი სარწმუნოებით მიიღწევა.

ხშირად ადამიანი ვერ უმკლავდება წუთისოფლის ამაო ყოფას, მის მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა კოლიზიას; მრავალფეროვანი არჩევანის შესაძლებლობა, ურთიერთგამომრიცხავ გარემოებათა თავმოყრა, გზა ფართო და გზა ვიწრო... აბნევს მის ცნობიერებას.

თუ პიროვნება ჭეშმარიტი სარწმუნოებით არ ცხოვრობს, მისი ინტერესები მიწიერი და მსწრაფწარმავალი სურვილებით განისაზღვრება, გზაც მისი არის ფართო და დამღუპველი მისი უკვდავი სულისთვის.

როდესაც წმიდა მეფე დავითის შემდეგ მისი ძე, სოლომონი, ავიდა სამეფო ტახტზე, უფალს მან, უპირველეს ყოვლისა, სიბრძნე და გონიერება შესთხოვა. „და უთხრა უფალმან სოლომონს: რაკი გულში ეს გქონდა და არ ითხოვე სიმდიდრე, ქონება, დიდება, შენი მტრების სული და არც ხანგრძლივი სიცოცხლე ითხოვე, არამედ მხოლოდ ცოდნა გამომთხოვე სამართავად ჩემი ერისა, რომელზედაც მე გაგამეფე, გეძლევა სიბრძნე და ცოდნა. ისეთ სიმდიდრეს, ქონებასა და

დიდებას მოგანიჭებ, რომლის მსგავსი არც შენს წინამორბედ მეფეებს ჰქონდათ და არც შენს შემდეგ ეღირსება ვინმეს“ (2 ნეშტ. 1, 11-12).

დიახ, თითოეული ჩვენგანისთვის აუცილებელია ღვთივბოძებული სიბრძნე და გონიერება, რათა შევძლოთ დავინახოთ საკუთარი თავი და სამყარო ისეთი, როგორიც ის სინამდვილეშია, დავინახოთ ისიც, რისი დათმობაც შესაძლებელია და ისიც, რაც უნდა დავიცვათ მტკიცედ; კარგად უნდა დავფიქრდეთ, რა ვაკეთოთ, რას ვესწრაფოთ, როგორ გავიმარჯვოთ.

უპირველესად ჩვენი ადგილი უნდა ვნახოთ ცხოვრებაში და განვსაზღვროთ სახე ჩვენი საქმიანობისა.

როდესაც სპეციალობას ვირჩევთ, პასუხი უნდა გვქონდეს კითხვებზე: ვისთვის იქნება საჭირო ეს საქმიანობა, მიგვიყვანს იგი ღმერთამდე, აქვს მას მარადიული ღირებულება?

დღეს, მართალია, ცოცხლები ვართ, მაგრამ, არ ვუწყით, რა გველის ხვალ. ღმერთი ჩვენგან ელოდება ჩვენი დანიშნულების აღსრულებას. ჩვენი მარადიული ცხოვრება დამოკიდებულია იმაზე, თუ დღეს რას ვაკეთებთ და როგორ ვაკეთებთ, ვზრუნავთ თუ არა ჩვენი სულიერი ამაღლებისათვის.

ყოველ ეპოქას თავის შეხედულება აქვს ადამიანზე. ადამიანს ხან აამაღლებდნენ, ხან – დაამდაბლებდნენ, ხან – აღმერთებდნენ. დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად, მაგრამ უმთავრესი – ხატება ღვთისა – უცვლელი რჩება ჩვენში და იგი იმდენად ძლიერი და განმსაზღვრელია, რომ შეუძლია მთლიანად შეცვალოს პიროვნება, თუ, რა თქმა უნდა, მას ამის სურვილი აქვს.

ჰარმონიული შერწყმა გონებისა და გულის შესაძლებლობებისა ეხმარება ადამიანს სულიერ, ინტელექტუალურსა და კულტურულ სრულყოფაში, თავის შეცნობაში. ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიბლიის შესწავლას.

ბიბლია არის ერთადერთი წიგნი კაცობრიობისა, რომელიც წარმოგვიდგენს ადამიანს ისეთს, როგორიც იყო და არის საერთოდ: დაცემული და აღმდგარი, აღმდგარი და დაცემული; გვიჩვენებს მის დიდებულ და სუსტ მხარეებს. ბიბლია არ პირფერობს და არც ამცირებს პიროვნებას, არამედ წარმოგვიდგენს მას ისეთს, როგორადაც ხედავს ადამიანს მისი შემოქმედი ღმერთი, ყოვლის მხილველი.

ბიბლია ხსნის ჩვენი სულის უფაქიზეს შრეებს, თვალნათლივ გვიჩვენებს შედეგს ცოდვისა და ბოროტებისა, შედეგს სიყვარულისა და სიკეთისა, გვიჩვენებს მარადიულ და წარმავალ ღირებულებებს.

ვინც დაკვირვებით კითხულობს წმიდა წერილს და სარწმუნოებით ცხოვრობს, მან იცის, რომ მარადიულისათვის უცხოა სიხარბე, იქ არ არის განყოფა ჩემსა და შენ შორის. ის ხედავს, როგორ შორდება ყოველივე საუკეთესო, კეთილშობილური ხარბ, თავისთავის მოყვარე სულს, რომელიც მარტოდმარტო იწვის დაუკმაყოფილებელი ეგოიზმის ცეცხლში; ეს ჯოჯოხეთური წვა არ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს. ბოლოს და ბოლოს იფერფლება თვითონ ადამიანი, მისი სინდისი და სამარადისოდ იღუპება სული მისი.

ასეთი ადამიანები ვიწრო ინტერესებით ცხოვრობენ. მათთვის უცხოა ამაღლებული გრძნობები. ჭეშმარიტად, დიადი აღმოჩენების სიხარული არასოდეს ეძლევა მათ, ვინც ცდილობს იგი თავისი ინტერესებისა და კეთილდღეობისათვის გამოიყენოს. და პირუკუ, ის, ვინც ივიწყებს თავისას და სხვებზე ზრუნავს, ზრუნავს მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა, ავადმყოფთა, ობოლთა და საერთოდ გაჭირვებულთათვის, სანაცვლოდ იღებს ისეთ სიხარულს და ღვთის ისეთ წყალობას, რომელსაც ვერ შეედრება ვერანაირი მიწიერი კეთილდღეობა.

ყოველი წელი, ყოველი განვლილი დღე გვაახლოებს მარა-

დიულობასთან. ყოველი ახალი წლის დადგომა მარადიულობის ძახილია ჩვენი გულის კართან; ეს არის დრო, როცა ჩვენ მიწიერი ამაოების იქით უნდა დავინახოთ წარუვალი ღირებულებები და ვეძებოთ გზები მათთან მიახლოებისათვის. დრო ჩვენ მოგვეცა იმიტომ, რომ გუშინდელთან შედარებით დღეს უკეთესნი გავხდეთ, ხვალ კი – დღევანდელზე უფრო კარგნი. უბედურია, ვინც დროს არ იყენებს და არ იცის მისი ფასი. დაკარგული ფული შეიძლება იპოვო, დარღვეული მეგობრობა განაახლო, შერყეული ჯანმრთელობა აღიდგინო, შეგიძლია იყიდო, გაყიდო და კვლავ იყიდო სახლი, მიწა, ქონება, მაგრამ არ არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ დაიბრუნო დაკარგული დრო. ვერ დაიბრუნებ ვერც ერთ წუთს, სიკეთის ქმნის გარეშე უქმად ჩავლილს.

ჩვენ ყოველ ახალ წელს ბედნიერებას ველოდებით, მაგრამ განა შეიძლება ბედნიერებას ველოდოთ ხვალ, თუ დღევანდელი დღე შუღლში, ურთიერთდაპირისპირებაში, უზრუნველობასა და ცოდვაში განვლიეთ? რა არის ხვალის დღე, თუ არა სხვა სახის დღევანდელობა? იცოდე, გულო ჩემო, ვიდრე შენ არ განიწმინდები რისხვისა და ურწმუნოებისაგან, ამპარტავნებისა და შურისაგან, ვერცხლისმოყვარების, მრუშობისა და სხვა სიბილწეთაგან და არ იქცევი ტაძრად სულისა წმიდისა, ვერასოდეს იქნები ბედნიერი. ჩვენ ვერ ვიქნებით ბედნიერნი, თუ არ აღვასრულებთ ჩვენს ვალს, ჩვენს დანიშნულებას ღვთისა და ერის წინაშე.

ჩვენი ბედნიერება რომ იყოს სრული, უნდა გავუფრთხილდეთ ოჯახს, მეგობრობას.

ოჯახი ბედნიერებასთან ერთად მოვალეობაცაა. მეუღლენი, უპირველეს ყოვლისა, მეგობრები უნდა იყვნენ. მოვიყვან ერთ-ერთი ქალბატონის ჩანაწერს მისი მეუღლის დღიურში: „ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნით საუკუნოდ. მე – შენ. ამაში შენ შეგიძლია იყო დარწმუ-

ნებული. შენ ჩემს გულში ხარ დატყვევებული და ვერც ვერასდროს განთავისუფლდები, რადგან გასაღები ამ გულისა კარგა ხანია დაიკარგა“.

ჭეშმარიტი მეგობარი რომ იყო, აუცილებელია გქონდეს ამაღლებული, მოსიყვარულე და მტკიცე სული. უნდა შეგეძლოს ბევრი რამის პატიება, ბევრის დავიწყება, ბევრის მოთმენა. დედობის, საერთოდ, მშობლის ვალის შემდეგ ამქვეყნად ყველაზე მეტ მსხვერპლს მეგობრობა ითხოვს. მეგობარს უნდა შევწიროთ არა მარტო დრო და გრძნობები, არამედ ჩვენი მთელი შესაძლებლობები და, თუ აუცილებელია, სიცოცხლეც კი; იმაზე სასიხარულო და განმამტკიცებელი აზრი რა უნდა იყოს, როცა იცი, შენი მეგობარი არასდროს გიღალატებს, არასდროს მიგატოვებს.

ამ სტრიქონებს რომ ვწერ, ვფიქრობ ჩვენს ახალგაზრდებზე, ჩვენი ქვეყნის მომავალზე.

მეტად რთულ, მძიმე და დაპირისპირებულ დროში ვცხოვრობთ, როცა დგება საშიშროება დამანგრეველი ძალადობის ბატონობისა, პოლიტიკით ახალგაზრდობის მასობრივმა დაინტერესებამ მოსწყვიტა ისინი მეცნიერების ღრმად შესწავლის სურვილს, მოსწყვიტა შრომას; სამაგიეროდ თავი იჩინა მრავალმა პოლიტიკურმა პარტიამ, ასოციაციამ და სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

ჩამოყალიბდა ისეთი პოლიტიკური პოზიციები, რომელნიც შერიგებისა და გაერთიანებისაკენ კი არ მოუწოდებენ ახალგაზრდებს, არამედ ქმნიან ბარიერებს, აცალკევებენ ხალხის ერთ ნაწილს მეორისაგან, რაც, არცთუ იშვიათად, აშკარა დაპირისპირებასა და მტრობაში გადადის. სამწუხაროდ, პირად ინტერესებსა და შეხედულებებს საზოგადოებრივი და ეროვნული ინტერესები ეწირება. უნდა ითქვას ისიც, რომ ხშირად ჩვენი ახალგაზრდობა თავის მსჯელობაში მეტად კატეგორიულია და მისი მოთხოვნები რეალობასაა მოწყვეტილი.

დავფქირდეთ, ნაადრევი ხომ არ არის ამდენი დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიის არსებობა, ნაადრევი ხომ არ არის ჩვენი ასე დაყოფა?

სხვადასხვა პოლიტიკური პარტია მაშინაა სასურველი, როცა ქვეყანა დამოუკიდებელი იქნება, როცა ჩვენი თავის ბატონ-პატრონნი ჩვენ ვიქნებით.

ახლა კი ყოვლად აუცილებელია გაერთიანება, ერთ ძალად შეკვრა და ქრისტიანული სიყვარულითა და ურთიერთგაგებით ჩვენ წინაშე წამოჭრილი პრობლემების დაძლევა.

ქვეყნად ყველაფერი იცვლება, მხოლოდ ჭეშმარიტებაა მარადიული. მიდიან ადამიანები, წარსულს ბარდება და მივიწყების ფერფლით იფარება სახელები ერთ დროს მიწიერი დიდებითა და პატივით გამორჩეულთა; მიდიან ბრძენნი და უბრალონი, მომხვეჭელნი, დიდებისმოყვარენი, კანონმდებელნი, მსოფლიო ბატონობის მსურველნი... ამ მშფოთვარე სამყაროს წინაშე უძლეველი არის მხოლოდ ბეთლემის გამოქვაბულის ბაგაში მწოლი ყრმის უწყინარი სიყვარული, მისი ჭეშმარიტი მეუფება სამყაროზე.

ადამიანთა ურწმუნოება და ეჭვი განქარდა მაცხოვრის მიერ მონიჭებული ღვთაებრივი სიყვარულით, რომლის სიდიადეს ჩვენი გონება ვერ მისწვდება. იგი შეიძლება მხოლოდ ვიგრძნოთ და განვიცადოთ იმ სიხარულის მადლით, რომელიც ამ სიყვარულისაგან მომდინარეობს.

როცა ჩვენ ვიწყებთ ღვთაებრივი სიყვარულის გაცნობიერებას და ვხდებით მონაწილე მისმიერი სიხარულისა, ყველა მიწიერი გაჭირვება, შიში და განსაცდელი უფერულდება, არარად იქცევა.

უნდა გვახსოვდეს, რომ სიყვარულის გარეშე სიხარულისკენ გზას ვერ გავიკვლევთ და არც სიყვარულისკენ არის სხვა გზა, თვინიერ ჩვენი ეგოიზმის უარყოფისა და მოყვასისათვის მსახურებისა.

ამ საშობაო ეპისტოლეში მინდა მივმართო საქართველოში

მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას: რუსებს, აფხაზებს, ოსებს, ებრაელებს, ბერძნებს, სომხებს, ესტონელებს, აზერბაიჯანელებს, უკრაინელებს, ქურთებსა და სხვათ. დანო და ძმანო ჩვენნო, მამაშვილური სიყვარულით შეგახსენებთ, რომ თქვენც ჩვენი ისეთივე სულიერი შვილები ხართ, როგორც ქართველნი. საქართველოში არასოდეს ყოფილა ვინმეს შევიწროება ეროვნული ან სარწმუნოებრივი ნიშნით; თქვენ იყავით და კვლავაც იქნებით ჩვენი ძმები და ამ დამოკიდებულებას ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს. გახსოვდეთ, ქართველთა ბედნიერება თქვენი ბედნიერებაცაა. ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ, ერთად უნდა ვიშრომოთ ჩვენი სულიერი და მატერიალური კეთილდღეობისათვის.

მიდის წელი სავსე განსაცდელითა და მღელვარებით, წელი, რომელმაც ნათელი მომავლის რწმენა ჩაგვისახა. ჩვენ იმედით შევყურებთ ხვალინდელ დღეს, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი, „ანი და Ѳ, დასაბამი და დასასრული“ ყოვლისა (გამოცხ. 22, 13).

ჩვენ წინაშე მომავლის კარი იღება. დე, იყოს იგი მშვიდობიანი, ღვთის სათნო და ბედნიერი; ღვთის მოწყალების იმედით აღვსილი ყველას გულითადად გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს, ბედნიერ და მშვიდობიან ახალ წელს. „აკურთხე, უფალო, გვირგვინი ამის წელიწადისა სახიერებითა შენითა“.

საშობაო ეპისტოლე მეფე სოლომონის ლოცვითა და კურთხევით მინდა დავამთავრო: „იყავნ, უფალი ღმერთი ჩუენი ჩუენთანა, ვითარცა იყო მამათა ჩუენთა თანა, რათა არა დაგვიტეოს ჩუენ“ (3 მეფ. 8, 57).

ქრისტეს შობა
თბილისი, 1991 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1991 წ.

საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი
ეკლესიის სულიერ შვილებს:

> „საგალობელ ყავთ სახელი უფლისა, რამეთუ
> დიდებულნი ქმნა, ამცნეთ ესენი... ყოველსა ქუეყანასა“
> (ეს. 12, 5).

„მშვიდობა თქვენთანა“, – პირველად ამ სიტყვებით აკურთხა აღდგომილმა მაცხოვარმა თვისი მოწაფენი. ამ სიტყვებითვე მიმართავს იგი დღეს მთელ კაცობრიობას, ბოროტების წყვდიადში, ომისა და ძალადობის მორევში დანთქმულ თითოეულ ჩვენგანს. და თუ შენ ქრისტიანი ხარ, გახსენ გულის კარი და იგრძნობ, უფლის ეს დალოცვა, როგორ უწამლებს შენი სულის შეუხორცებელ, ღია ჭრილობებს.

„ნუ ესავთ მთავართა, ძეთა კაცთასა, რომელთა თანა არა არს ცხორებაჲ... ნეტარ არს, რომლისა ღმერთი იაკობისი შემწე არს მისა, და სასოებაჲ მისი არს უფლისა მიმართ ღმრთისა მისისა“ (ფსალმ. 145, 3, 5).

ჭეშმარიტად, ერთადერთი იმედი და მხსნელი ჩვენი უფალია.

ძმანო და დანო ჩემნო, უფლის იმედითა და სიყვარულით აღვსილი გულითადად გილოცავთ პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ქრისტე აღდგა!

გწამდეთ ღვთისა და სასოებდეთ მას და ტანჯვა თქვენი სიხარულად შეგეცვლებათ.

წმიდა მამების სწავლებით, სულის ხსნის გზა სამ ძირითად საფეხურს მოიცავს:

უნდა განვეშოროთ ცოდვას:

ხოლო თუ შევცოდებთ, სინანულით უნდა განვიწმინდოთ;

მაგრამ თუ გულწრფელად ვერ მოვინანიებთ, მწუხარებას შეგვამთხვევს უფალი, რათა დანაშაული გამოვისყიდოთ.

ჩვენში უმრავლესობა, ალბათ, მესამე კატეგორიას ეკუთვნის, ამიტომაც განსაცდელი და მწუხარება არ გვტოვებს. მაგრამ გვწამს, მაცხოვარივე მოგვცემს ძალას მის დასაძლევად. მთავარია, შეჭირვების ჟამს არ დავკარგოთ ღვთისაგან ნაბოძები მადლი, მადლი სიყვარულისა და მუდამ გვახსოვდეს წმიდა ბასილი დიდის სიტყვები: ბოროტებას ბოროტებით ვერ განკურნავ, მას მხოლოდ სიყვარულითა და სიკეთით შეიძლება უწამლო.

წარსული თავისი ცოდვა-მადლით უკვე განგვშორდა. ჩვენ ახლა აწმყოსა და მომავალზე უნდა ვიფიქროთ.

ერთ-ერთმა დიდმა მეცნიერმა სიტყვა „დღეს“ ქვაზე ამოკვეთა

და საწერ მაგიდაზე დაიდო, რათა თავისი თავისთვის მუდამ შეეხსენებინა, რომ ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი დღევანდელი დღეა. დღეს მაქსიმალურად უნდა გაკეთდეს ყველაფერი კარგი და დიადი, რადგან ხვალ შეიძლება უკვე გვიანი იყოს. თუ ამ წესით ვიცხოვრებთ, ჭეშმარიტ გზაზე დავდგებით.

ჭეშმარიტების ძიება ადამიანის სულის თვისებაა და ეს პროცესი მას აუცილებლად მიიყვანს ღმერთამდე – აბსოლუტურ ჭეშმარიტებამდე და მოყვასის სიყვარულამდე. ჭეშმარიტების გარეშე არ არსებობს მომავალი, არ არსებობს ნამდვილი სიხარული, ცხოვრებას არა აქვს აზრი. უფალი ბრძანებს: „სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ (იოან. 8, 32).

დღეს თითოეული ჩვენგანი ოცნებობს თავისუფლებასა და მშვიდობაზე. სუვერენული სახელმწიფო, – ეს სიტყვები ხშირად გვხვდება ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, გვესმის ადამიანთა საუბრისას. ის კი გვავიწყდება, რომ ამასთან ერთად სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს სამართლიანი. სამართლიანობის გარეშე, რწმენისა და სიყვარულის გარეშე მშვიდობა ვერ დამყარდება. ქვეყანა, რომელიც ამ კანონებით არ ცხოვრობს, ჯოჯოხეთად იქცევა თავისივე ხალხისთვის. სრულყოფილი და სამართლიანი სახელმწიფო რომ შევქმნათ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები უნდა აღვზარდოთ სიყვარულის, რწმენისა და სამართლიანობის პრინციპებით. მაგრამ ჯერ უნდა გავარკვიოთ, საიდან და როგორ დავიწყოთ აღზრდა.

ცნობილი მეცნიერები, ფილოსოფოსები, ღვთისმეტყველები, ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ამ საქმეს ბავშვის დაბადების პირველი დღიდანვე უნდა შევუდგეთ. ამასთან მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ აუცილებელია ცოდნის მიცემასთან ერთად გრძნობათა აღზრდაზეც ვიზრუნოთ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გულის კულტუ-

რას. გული არის ადამიანის სულიერი და ხორციელი სიცოცხლის შეერთების ადგილი; აქედან მომდინარეობს კეთილი და ბოროტი ზრახვანი და ქმედებანი. ჩვენი გონება გარედან მიღებულ ინფორმაციას აგზავნის გულში; აქ ხდება ყოველივე ამის სამართლიანი ან უსამართლო განსჯა, რაც შემდეგ ჩვენს მოქმედებაში ვლინდება. გული არის ცენტრი მრავალგვარი სულიერი გძრნობისა, სხვადასხვა განცდისა, ცხოველური ვნებისა.

ასე რომ, გულში ყალიბდება და მწიფდება პიროვნების ზნეობრივი საფუძვლები, რომელნიც შემდეგ ადამიანის ცხოვრებაში იჩენს თავს.

წმიდა მეფე დავითმა, ფსალმუნთა შემქმნელმა, მშვენივრად იცოდა გულის მნიშვნელობა. იგი ასე შესთხოვს შემოქმედს: „გული წმიდაჲ დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა“ (ფსალმ. 50, 12).

გული, – ეს არის ადამიანის ყველაზე დიდი სიწმინდე, კვარცხლბეკი უზესთაესისა, ტაძარი სულისა წმიდისა. ამიტომაც მიმართავს უფალი თითოეულ ჩვენგანს: „მომეც მე, შვილო, გული შენი“ (იგავ. 23, 26).

ამის შესახებ დაწვრილებით იმიტომ ვსაუბრობთ, რომ მშობლები ანდა პედაგოგები, როცა შვილს ან მოსწავლეს ამა თუ იმ კეთილ რჩევას აძლევენ, ხშირად მათი ნათქვამი რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. უფროსების დარიგება, ახსნა, მტკიცება უმეტეს შემთხვევაში უნაყოფოა, რადგან თავიდანვე დაშვებული აქვთ ერთი დიდი შეცდომა: მათ ვერ შეძლეს ბავშვის გულის კარის გაღება. გული კი მხოლოდ სიყვარულით იხსნება.

მშობელმა თუ მასწავლებელმა, უპირველეს ყოვლისა, მსმენელთა სიყვარული უნდა დაიმსახუროს და გასაღებიც მის ხელში იქნება; გააღე გული, შედი შიგ, დაამყარე წესრიგი და შენი გემოვნებით

განალაგე ყოველი; ხელის შემშლელი არ გეყოლება.

მაგრამ სიყვარული რომ დავიმსახუროთ, ჯერ ჩვენ უნდა შევიყვაროთ ბავშვი ნამდვილი სიყვარულით. დიდებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვის მოტყუება შეუძლებელია; იგი გაცილებით იმაზე მეტს გძრნობს, ვიდრე ჩვენ გვგონია (ადამიანებს შორის ხომ, გარდა ხილულისა, თვალისთვის შეუმჩნეველი სულიერი კავშირიც მყარდება).

მაინც რა არის სიყვარული?

შესანიშნავად წერს ფილოსოფოსი პლატონი: „ერთიანობის, მთლიანობის დაუოკებელი სურვილი და მისდამი სწრაფვა არის სიყვარული“ (პლატონი, მ. 1990, ტ. II, გვ. 120). მაგრამ სიყვარულის არსს ყველაზე ღრმად და ნათლად მაინც წმიდა მოციქული იოანე ღვთისმეტყველი განმარტავს: „საყუარელნო, ვიყუარებოდით ურთიერთას, რამეთუ სიყუარული ღმრთისაგან არს და ყოველი, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი. რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარულისაჲ არს“ (1 იოან. 4, 7-8).

სიყვარული უნდა აღვზარდოთ და სიყვარული უნდა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს. ადამიანის სიცოცხლის მთავარი აზრიც ის არის, რომ უყვარდეს სხვა, უყვარდეს ღმერთი, უყვარდეს ბუნება, უყვარდეს კეთილნი და ბოროტნი, უყვარდეს ყველა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი; აუცილებელია, სხვებსაც ვუყვარდეთ.

რით დავიწყოთ? – ყველაზე მცირით, ერთი ადამიანით.

შენს დამოკიდებულებას ამ პიროვნებისადმი უნდა განსაზღვრავდეს არა ვალდებულება, არამედ სიყვარული, მასთან სულიერი ერთობის სურვილი. სხვა ადამიანში, თუნდაც ყველაზე შეუმჩნეველში ან ცოდვით დაცემულში, უნდა სცადო, დაინახო ღვთის ბრწყინვალების ანარეკლი, – მისი კარგი თვისებები და ასე შეიყვარო იგი.

შენს მოქმედებას საფუძვლად სიყვარული დაუდე და გახს-

ოვდეს: მთავარი ის კი არ არის, რამდენს გაიღებ გაჭირვებულის დასახმარებლად, არამედ ის, თუ სიყვარულის რა წილს ჩადებ შენ მიერ გაკეთებულ კეთილ საქმეში. ღვთის სახელით სიყვარულით აღსრულებული კეთილი საქმე მეტად დიდი მადლია წინაშე უფლისა.

ამ ეპისტოლეში მინდა შევეხო ჩვენი მოზარდი თაობის პრობლემას, აღზრდის საკითხს ოჯახსა და სკოლაში, საშუალო სკოლის საგანმანათლებლო კურსს და იმ ზოგიერთ გადაუჭრელ საკითხს, რომელიც დღეს დგას ჩვენ წინაშე.

პრობლემები ბევრია და ხშირად არც ვიცით, საიდან დავიწყოთ მათი მოგვარება. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მოზარდების მიმართ დიდად სცოდავენ როგორც ოჯახი, მშობლები, ისე სკოლა და პედაგოგები.

ოჯახზე რომ ღვთის ლოცვა-კურთხევა იყოს, ცოლ-ქმარს, აუცილებლად, ტაძარში უნდა ჰქონდეს ჯვარი დაწერილი; ხოლო თუ ისინი ჯვარდაუწერელნი არიან, მათი ურთიერთობაც და შვილებიც ღვთის კურთხევის მადლს მოკლებული არიან.

ბავშვის აღზრდისას ყველაზე დიდი ბიძგის მიმცემი მშობლების პირადი მაგალითია. იმ ოჯახში, სადაც ყოველდღიურად აღევლინება ლოცვა, სადაც მშობლები ყოველდღიურად კეთილსინდისიერად შრომობენ, ერთმანეთს სიყვარულითა და პატივისცემით მიმართავენ, ცდილობენ დაეხმარონ გაჭირვებულებს, იქ, სადაც არავინ არავის უყვირის, არ უხეშობს, არ ატყუებს... იზრდებიან ასეთივე კეთილი თვისებების მქონე პიროვნებები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შვილების ქრისტიანულ აღზრდას. დღესდღეობით მრავალი სექტა არსებობს: ბაპტისტების, ორმოცდაათიანელების, ევანგელისტების, იეღოველების, აღმოსავლურ რელიგიათა წარმომადგენლების: ბუდისტების, ინდუისტების, კრიშნაიტებისა და სხვათა. ისინი ცდილობენ, გაავრცელონ

თავიანთი ცრუ სწავლება, ეწევიან აქტიურ პროპაგანდას და ხშირად მიზანსაც აღწევენ, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებში, რადგან მათ ოჯახიდან არა აქვთ მიღებული საჭირო რელიგიური აღზრდა, არ იცნობენ მართლმადიდებლობას და მტკიცედ არ დგანან თავიანთ სარწმუნოებაზე.

უნდა ვიცოდეთ და მუდამ გვახსოვდეს, რომ მართლმადიდებლობაშია ჩვენი ძალა, რომ მხოლოდ მართლმადიდებლობამ შეინარჩუნა ის რწმენა, წესები და ტრადიციები, რომელიც უფალმა მოციქულებს დაუტოვა. ამიტომაც ჩვენი ეკლესია იწოდება სამოციქულო ეკლესიად და იგი დღემდე იცავს ერთიანი, განუყოფელი სამოციქულო ეკლესიის მრწამსსა და ტრადიციებს.

„მწამს... ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“, – ვკითხულობთ სარწმუნოების სიმბოლოში, რომელიც წმიდა მამათა მიერ I და II მსოფლიო საეკლესიო კრებებზე ჩამოყალიბდა. ამიტომაც დიდ ცოდვასა და დანაშაულს სჩადიან ისინი, რომელნიც ტოვებენ მართლმადიდებლობას და სხვა სექტებში გადადიან. თვითონ სიტყვა „მართლმადიდებლობა“, ანუ მართლად, სწორად დიდება ღვთისა, ჩვენი ეკლესიის ჭეშმარიტებაზე მეტყველებს.

ამის შესახებ იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ შეგახსენოთ, მარტო მართლმადიდებლურად მონათვლა არ არის საკმარისი, აუცილებელია ეკლესიური ცხოვრება, რათა ვიგრძნოთ ძალა და მადლი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და არასდროს განვეშოროთ მის ჭეშმარიტ გზას.

ოჯახის წევრები უნდა იცავდნენ ეკლესიურ წესებს: უნდა მარხულობდნენ, სახლში ყოველდღიურად უნდა ლოცულობდნენ; აუცილებელია შაბათ-კვირასა და დღესასწაულის დღეებში ეკლესიაში სიარული, სინანულითა და აღსარების საიდუმლოს მადლით ცოდვათაგან სულის განწმენდა, ხშირად ზიარება, ყოველ წელს სახლის

კურთხევა, აუცილებელია გარდაცვლილ ახლობელთა და წინაპართა სულებისათვის სპეციალურად მათთვის განკუთვნილ დღეებში ლოცვა... ასეთი ოჯახი, როგორც ამბობს წმიდა მოციქული პავლე, იქცევა „სახლის ეკლესიად“ და დაივანებს იქ უფალი და დაიცავს მას მშვიდობით, სიყვარულითა და კეთილდღეობით.

მაგრამ, სამწუხაროდ, ოჯახში უფროსები ხშირად არასწორად იქცევიან. ისინი კერპებივით ეთაყვანებიან თავიანთ შვილებს, რაც ღვთის საწინააღმდეგოა; განსაკუთრებულად ზრუნავენ მათ ჯანმრთელობასა და ფიზიკურ აღზრდაზე, ცდილობენ აუცილებლად მისცენ საშუალო და უმაღლესი განათლება; ყველაზე მთავარი კი ავიწყდებათ: ავიწყდებათ სულიერი აღზრდა, ავიწყდებათ ბავშვებში იმ მორალური თვისებების ჩამოყალიბება, რომელიც უნდა ახასიათებდეს მართლმადიდებელ ქრისტიანს.

საბოლოოდ შედეგიც სამწუხაროა: შვილები ნელ-ნელა კარგავენ მშობლების სიყვარულს, თანდათან შორდებიან მათ, ყურადღებას აღარ აქცევენ ანდა უპატრონოთა თავშესაფარში აბარებენ. იმაზე კი აღარ ფიქრობენ, რომ იგივე ხვედრი, ანდა უფრო უარესი, თვითონ მათ ელით.

„პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“, – გვასწავლის მეხუთე მცნება.

მშობლების პატივისცემა და მათი რჩევის გათვალისწინება არის საფუძველი ქალიშვილისა თუ ვაჟის მომავალი ოჯახის სიმტკიცისა და ბედნიერებისა. უპატივცემულობა კი – მიზეზი ოჯახის უბედურებისა და დარღვევისა.

პიროვნების ინტელექტუალური და სულიერი ჩამოყალიბებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლას. კარგად უთქვამთ: სკოლა ისეთია, როგორიც არის საზოგადოებაო.

საზოგადოება, როგორც ვიცით, დაავადებულია; შესაბამისად დასნეულებულია სკოლაც. ჩვენი საშუალო სკოლა კონსერვატიულია და ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ ცხოვრებისეულ მოთხოვნებს.

მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და საპატიო პროფესიაა მთელ მსოფლიოში, რადგანაც იგი ზრდის მომავალ თაობებს. ჩვენთან კი პედაგოგს არა აქვს ავტორიტეტი არც ოჯახში, არც საზოგადოებაში და არც მოსწავლეთა შორის. უფრო მეტიც, უმრავლეს შემთხვევაში მოწაფეს არ უყვარს სკოლა და არც აღმზრდელნი.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ მასწავლებლის შრომის სოციალურ და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე; ამის თაობაზე ადგენენ სხვადასხვა დეკლარაციებს... საქმე კი ადგილიდან არ იძვრის, პირიქით, უფსკრულისკენ მიექანება.

ჩემი შეხედულებით, ყველაზე დიდი ხელფასი, ნებისმიერი პროფესიის ადამიანებთან შედარებით, პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ. აქ უნდა მივიზიდოთ ყველაზე ნიჭიერი კადრები, ისეთნი, რომელნიც გამორჩეულნი იქნებიან არა მარტო ცოდნით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ღრმა რწმენით, სიყვარულით, დიდი მოთმინებით და სხვა კეთილი თვისებებით, რასაც შემდეგ ისინი თავიანთ მოსწავლეებს გადასცემენ.

მასწავლებლის შესახებ შეიძლება დაუსრულებლად ვილაპარაკოთ, მაგრამ მისი უპირველესი მოვალეობაა გააკეთოს ყველაფერი, თვით შეუძლებელიც კი, რათა მოსწავლეებმა ნამდვილი სიყვარულით შეიყვარონ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიყვარებენ ისინი საგანს, რომელსაც სწავლობენ.

მასწავლებელთა შორის, რა თქმა უნდა, დღესაც არიან ნიჭიერი პიროვნებები, რომელნიც, გარდა იმისა, რომ კარგად ფლობენ საგანს, დაინტერესებულნი არიან, მაგალითად, კარგი ბიბლიოთეკის

შექმნით, სოფლის მეურნეობით, ხელოვნებით, გატაცებულნი არიან ფილატელიით ან წერენ ლექსებს... და თავიანთ ინტერესებსა და მისწრაფებებს აღსაზრდელთაც უზიარებენ.

ასეთი პედაგოგები სხვათაგან განირჩევიან მაღალი სულიერობით, ზნეობით, კულტურით. ისინი ღიმილით შედიან საკლასო ოთახებში და თავიდანვე ქმნიან მშვიდ და სასიამოვნო განწყობილებას. არ იჩენენ პედანტობას ჟურნალში დასწრების აღრიცხვისას, არ ცდილობენ ორიანის დაწერას და იმ მოსწავლეთა დასჯას, რომელთაც არა აქვთ გაკვეთილი მომზადებული. ბავშვებთან მათი შეხვედრა რომ საინტერესო იყოს, ისინი რამდენიმე წუთს უთმობენ მეცნიერულ მიღწევებზე, ხელოვნების სიახლეზე ან სხვა საჭირო და მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარს.

მაგონდება ერთ-ერთი ჩემი პედაგოგი, რომელმაც გაკვეთილზე კონსპექტის რვეულთან ერთად ხელჩანთიდან ამოიღო დანა-ჩანგალი, კოვზი... და თითქმის მთელი გაკვეთილის მანძილზე გვიხსნიდა მათი ხმარების წესებს, სადილობის დროს ქცევის ეტიკეტს. ჩვენ იმ დღეს ბევრი რამ საჭირო შევითვისეთ. მის საგანს კი ამით არაფერი დაჰკლებია.

ამ ცოტა ხნის წინათ საპატრიარქოს რეზიდენციაში გვეწვივნენ თბილისის 126-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასელები. გაიმართა საინტერესო საუბარი, რომელსაც ბავშვებთან ერთად პედაგოგები და მშობლებიც ესწრებოდნენ. მე მათ ვუამბე საქართველოს ეკლესიის, საპატრიარქოს შენობის ისტორიის შესახებ; ვუთხარი ისიც, რომ საპატრიარქოში გახსნილია უფასო სასადილო ხელმოკლე სტუდენტებისთვის, გაჭირვებული მარტოხელებისა და მოხუცებისთვის. ბოლოს ვთხოვე მასწავლებლებს, რომ ამიერიდან აღარ დაეწერათ ორიანი მოსწავლეებისათვის და ბავშვებსაც, – რომ არ ჩაეგდოთ პედაგოგები უხერხულ მდგომარეობაში. ეს წინადადება სიხარულით მიიღო ორივე მხარემ.

სამი-ოთხი კვირის შემდეგ ისინი კვლავ მოვიდნენ ჩემთან და მოიტანეს შეგროვილი თანხა – ხუთასი მანეთი უფასო სასადილოსთვის.

ღირებული ეს ფული კი არ არის, არამედ სურვილი ბავშვებისა, მონაწილეობა მიეღოთ ღვთის სათნო საქმეში, რისთვისაც მათ მთელი დანაზოგი გაიღეს. შეიწიროს უფალმა მათი ქველმოქმედება და აკურთხოს ისინი.

ამ ქრისტიანულ საქციელში ჩანს პედაგოგთა კეთილი გავლენა.

როდესაც მასწავლებლის ნაკლზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი დამნაშავენი არ არიან; დამნაშავეა განათლების დღეს არსებული სისტემა, რომელმაც კარგა ხანია დრო მოჭამა, მაგრამ მაინც ვერავინ ბედავს მის შეცვლას.

ამ სისტემაში აღმზრდელი არარაობას წარმოადგენს. მას აძლევენ გარკვეულ პროგრამას და აიძულებენ მის შესრულებას; დაფიქრების საშუალებასაც კი უსპობენ იმაზე, რომ მიხვდეს, პროგრამის ათვისება კი არ არის მთავარი, არამედ ბავშვებისათვის მორალური, ზნეობრივი, სულიერი საზრდოს მიწოდება, რათა ისინი ჭეშმარიტ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ. პედაგოგი სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან, მშობლების, დირექტორისა და მოწაფეებისაგან იმდენად დათრგუნულია, რომ ფაქტობრივად დაკარგული აქვს თავისი თავისადმი რწმენა, თვითონაც ადვილად იმცირებს თავს და არც ცდილობს, როგორმე განშორდეს ამ ჭაობს.

მართალია, სავალალოა მასწავლებელთა მდგომარეობა, მაგრამ მთელი ტრაგედია მაინც ის არის, რომ ისინი ზრდიან ასეთივე შეზღუდულ და უსახო მომავალ თაობებს, შეუგნებლად უვითარებენ რა მათ სკოლისა და, საერთოდ, სწავლის სიძულვილს.

აიღეთ თუნდაც სახელმძღვანელოები, როგორ არის ისინი შედგენილი?! მე, მაგალითად, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს

განზრახ იმგვარადაა იქ მასალა წარმოდგენილი, რომ საბოლოოდ ჩაუკლან ბავშვს ცოდნის შეძენის სურვილი.

საშუალო სკოლის პროგრამაც ისეა აგებული, თითქოს მოსწავლეებს ყველაფრის ცოდნა ეძლეოდეთ. მაგრამ ეს ერთი შეხედვით; სინამდვილეში მიღებული ცოდნა არაფრის მომცემია, რადგანაც ყველა საგანი ზედაპირულად ისწავლება. ასეთივე მდგომარეობა გრძელდება ინსტიტუტებში. ასე ყალიბდებიან შემდეგ ამბიციური უმეცრები, რომელთა გამოსწორება უკვე შეუძლებელია.

იმედია, ახალი თაობა გაითვალისწინებს წარსულის ამ ნაკლოვანებებს და მიიღებს შესაბამის ზომებს.

იქნებ სჯობდეს, სკოლის პროგრამა და საგნები ცალ-ცალკე შეიქმნას ჰუმანიტარული და ტექნიკური განყოფილებებისათვის. ე.ი. გაგვეხსნა ერთი ტიპის სკოლები ჰუმანიტარებისათვის, მეორე ტიპისა კი – მათთვის, ვისაც ტექნიკური საგნები იტაცებს, მაგრამ ისე, რომ ორივე სახის სკოლაში დარჩენილიყო ზოგადსაგანმანათლებლო კურსი. სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, სხვებთან ერთად, ისწავლება ზნეობრივი ღვთისმეტყველება. საშუალო სკოლის პროგრამაშიც შეიძლებოდა შეგვეტანა ეთიკა.

განა დრო არ არის დავფიქრდეთ იმაზე, ტყუილად რატომ ვასწავლით ჩვენს ბავშვებს მაგალითად, ალგებრას, გეომეტრიას, ფიზიკას, ქიმიას და სხვა ისეთ საგნებს, რომლებიც ცხოვრებაში შეიძლება საერთოდ არ დასჭირდეთ; მაშინ, როდესაც არაფერს ვეუბნებით რწმენის, სიყვარულის, სიძულვილის, შურის, სინანულის, შერიგების უნარის, ამპარტავნების, თავმდაბლობის, სამართლიანობის, მოწყალების, სიცრუის, სიმართლის, შრომის მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ.

ამიტომაც შედეგად მივიღეთ საზოგადოება ქურდებისა და ბოროტმოქმედებისა, მლიქვნელთა, ცრუთა და უზნეოთა, დაბალმა

სულიერობამ სხვა მხრივაც იჩინა თავი ჩვენს ხასიათში: ადრინდელ ჩემს ეპისტოლეში უკვე მქონდა იმის შესახებ საუბარი, რასაც აქ კიდევ გავიმეორებ: ქართველები ემოციური ხალხი ვართ, ამიტომაც ჩვენს მოქმედებას ხშირად გრძნობები წარმართავს, გრძნობა კარგია, იგი გულიდან მომდინარეობს, მაგრამ არ არის საკმარისი, აუცილებელია გონების, ზოგჯერ ცივი გონების კონტროლი, რომ სწორად განვსაზღვროთ ჩვენი საქციელის შესაძლო დადებითი ან უარყოფითი შედეგები.

ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთმა ცნობილმა ქართველმა მწერალმა საუბრისას ასე ბრძანა: თუ ვინმე დამარტყამს, მეც დავარტყამ და სულაც არ ვფიქრობ, რა შეიძლება ამას მოჰყვესო.

დიახ, ეს ქართულ ხასიათში დევს და იგი ჩვენი დიდი ნაკლია. ასე ცხოვრება არ გამოგვადგება. აუცილებლად უნდა ვიფიქროთ, რა იქნება შემდეგ, რადგანაც ეს „შემდეგ“ ჩვენთვის, ჩვენი ხალხისთვის შეიძლება საბედისწეროდ იქცეს.

ჩვენი შვილებიც უნდა შევაჩვიოთ განსჯას, გონიერ აზროვნებასა და მოქმედებას. ამიტომაც ყოველნაირად უნდა შევეცადოთ, კონცენტრირება გავუკეთოთ მთელ ჩვენს სულიერ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და შევქმნათ საშუალო სკოლის ყველა კლასისათვის ფილოსოფიური ღრმა აზროვნების კურსი.

წიგნები უნდა შედგებოდეს კანონებისა და ღრმა აბსტრაქტული აზროვნების შემცველი მაგალითებისაგან. რა თქმა უნდა, გამოყენებული უნდა იყოს ღვთისმეტყველება, ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ანთროპოლოგია, ლიტერატურა, ისტორია და სხვა დისციპლინები.

პროგრამა თანდათან უნდა რთულდებოდეს ისე, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღოთ ანალიტიკურად, ღრმად მოაზროვნე ახალგაზრდები.

ალბათ, ასევე საჭიროა, მეცნიერთაგან შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს პროგრამას და შეადგენს წიგნების სერიალს ბავშვების აღზრდის თაობაზე ოჯახში. ყველნაირად უნდა ვეცადოთ, პატარები თავიდანვე მიეჩვიონ ფიქრს; დაე, მათ ნორჩ თავებსა და გულებში დაიბადოს ახალი იდეები, თუნდაც უტოპიური; შემდეგ ეს ყველაფერი თავისთავად მოწესრიგდება.

დღეს სკოლადამთავრებული ყმაწვილები საერთოდ არ იცნობენ ცხოვრებას, არ არიან მასთან შეგუებულნი, არ არიან შრომას შეჩვეულნი და ხშირად სრულიად შემთხვევით ხვდებიან ამა თუ იმ სასწავლებელში.

ვფიქრობ, სკოლაში ყოფნის პერიოდში მოსწავლეები ხშირად უნდა ატარონ ქარხნებში, ფაბრიკებში, სამეცნიერო ცენტრებში, რომ მათ გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ ამა თუ იმ საქმიანობაზე. საშუალო სკოლაში ბავშვმა აუცილებლად უნდა შეითვისოს რაიმე ხელობა, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოადგება. არჩეული სპეციალობა უნდა აინტერესებდეს მოსწავლეს და უნდა იყოს ისეთი, რომ ამ ხელობით, საჭიროების შემთხვევაში, ირჩინოს თავისი თავიც და ოჯახიც.

ბოლოს მინდა შევეხო მშობლებისთვისაც და მასწავლებლებისთვისაც ერთ მეტად საყურადღებო საკითხს, საკითხს სიტყვის მნიშვნელობის შესახებ.

სიტყვა არ არის მარტო ბგერათა ერთიანობა; მასში განსაკუთრებული მისტიკური ძალაა ჩადებული.

მშობლებო! არასდროს, არავითარ შემთხვევაში არ დასწყევლოთ თქვენი შვილები, არამედ აკურთხეთ, გეცოდებოდეთ და გიყვარდეთ ისინი. იცოდეთ, თქვენი სიტყვები დიდი ძალისაა და აუცილებლად შესრულდება. ბიბლიაც გვასწავლის, რომ კურთხევა მშობლებისა განამტკიცებს შვილების სახლებს, მათ ოჯახებს, წყევლა კი საფუძვლამდე ანგრევს მათ.

მასწავლებლებო! თქვენმა სიტყვამ, თქვენმა კეთილმა ან უხეშმა დამოკიდებულებამ შეიძლება გადაარჩინოს ან დაღუპოს აღსაზრდელი. ხომ ნათქვამია: ხეს რომ ყოველ დღე შესძახო, გახმიო, გახმება. ნურასოდეს ეტყვით ბავშვებს, რომ უნიჭონი და ცუდნი არიან, შეიბრალეთ ისინი და ნუ დაამცირებთ კლასის წინაშე.

განსაკუთრებული ყურადღებით მოექეცით ე.წ. ძნელადაღსაზრდელთ. სწორედ მათგან გამოდიან გენიალური ადამიანები ან ცნობილი დამნაშავენი. ასეთი ბავშვები ფლობენ დიდ ენერგიას და ითხოვენ განსხვავებულ დამოკიდებულებას. კარგი აღმზრდელის ხელში ისინი გამორჩეულ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან, თუ არა და მათი განვითარება სხვა მიმართულებით წავა.

ყოველთვის გახსოვდეთ: თითოეულ თქვენს მოსწავლეში ჩადებულია რაღაც განსაკუთრებული ნიჭი და უნარი. მიეხმარეთ მას, გამოავლინოს იგი.

პედაგოგს, რომელიც ვერ იოკებს სიბრაზეს, საჯაროდ კიცხავს და შეურაცხყოფს მოსწავლეებს, უნდა ეყოს ვაჟკაცობა და გამბედაობა იმისა, რომ თვითონ დატოვოს სკოლა. იგი შეიძლება გამოდგეს ნებისმიერ საწარმოში, დაწესებულებაში, მაგრამ არა სკოლაში, რადგანაც ის ვერ შეძლებს რწმენითა და სიყვარულით აღზარდოს კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარის მქონე მომავალი თაობა. ეს კი ჩვენ წინაშე მდგარი მეტად რთული, მაგრამ აუცილებლად გადასაწყვეტი ამოცანაა.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ხელი შევუწყოთ ბავშვების სულიერ ამაღლებას, ხელი შევუწყოთ მათი ნორჩი, შეურყვნელი გულის კულტურის სრულყოფას. წმიდა იოანე კრონშტადტელი ამბობს: „გული მეტად ფაქიზი, სულიერი, მსუბუქი და თავისი ბუნებით ზეციურია. გაუფრთხილდით მას. ნუ დაამძიმებთ, ნუ გაამიწიერებთ. იყავით მეტად თავდაჭერილნი ჭამა-სმისას და საერთოდ ერიდეთ ხორციელ სიამოვნებებს. გული ტაძარია ღვთისა. ვინც დაანგრევს

ღვთის ტაძარს, მას დასწყევლის უფალი“. სხვა ადგილას კი იგივე წმინდანი წერს: „გულის სიცოცხლე სიყვარულშია, ხოლო ღვარძლი და მტრობა მოყვასისა კლავს მას. უფალი იმიტომ გვაცხოვრებს ამ სოფლად, რომ ღვთისა და მოყვასის სიყვარულმა მთლიანად მოიცვას ჩვენი გული. ამას ელის იგი ყველასგან. ეს არის მიზეზი და მიზანი ქვეყნის არსებობისა“.

ასეთი ფიქრებითა და სურვილებით ვეგებებით ჩვენ აღდგომილი მაცხოვრის ბრწყინვალე დღესასწაულს – პასექს უფლისა.

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“.

დაე, ღვთაებრივმა ნათელმა დაივანოს ჩვენს სახლებსა და გულებში და დაემკვიდროს ჩვენ შორის თვისითა მადლითა და კაცთმოყვარეებითა; განგვაშოროს ურთიერთ სიძულვილს, შურსა და მტრობას.

დღეს მე სიყვარულით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძმებო: რუსებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, სომხებო, აზერბაიჯანელებო, ებრაელებო, ქურთებო, ესტონელებო და ყოველნო მკვიდრნო ღვთივკურთხეული საქართველოს მიწისა. თქვენ ხომ მრავალი წელია ქართველთა გვერდით ცხოვრობთ და ძმური ურთიერთობის გარდა მათგან სხვა არაფერი გინახავთ. გახსოვდეთ, საქართველო ადრეც გიცავდათ და კვლავაც დაგიცავთ. ხოლო ის, ვინც ჩვენ შორის ღვარძლსა და მტრობას თესავს, ჩვენი საერთო მტერია.

მშვიდობა და ღვთის კურთხევა იყოს ჩვენთან და ჩვენ შორის, ამინ.

განსაკუთრებული გრძნობით მინდა მივმართო შიდა ქართლის მცხოვრებთ: როგორც ქართველებს, ისე ოსებს. შეწყვიტეთ მტრობა და შუღლი. თქვენს შვილებს მომავალში ხომ ერთად მოუწევთ ცხოვრება; დაფიქრდით ამაზე; რას უმზადებთ მათ?

მწამს, ღვთის წყალობით, დადგება მშვიდობიანი დრო და კვლავ ძმური ურთიერთობა დამყარდება ჩვენ შორის.

უფალო, მუხლმოდრეკილნი ვდგავართ შენ წინაშე სუსტნი და ცოდვილნი არა იმისათვის, რომ მოვიწონოთ ან ვიმართლოთ თავი, არამედ გთხოვოთ შენდობა და შემწეობა; გევედრებით, არ მოგვაკლო შენი კურთხევა, რათა ჩვენზეც აღსრულდეს სიტყვები შენი: „მშვდობასა დაგიტევებ თქუენ, მშვდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ“ (იოან. 14, 27).

ღირსგვყავ, უფალო, შენი ღვთაებრივი მშვიდობისა.

„გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე და მოხედე ვენახსა ამას და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენამან შენმან“.

ძმანო და დანო ჩემნო, გიხაროდეთ

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

პასექი ქრისტესი
თბილისი, 1991 წ.

საშობაო ეპისტოლე

1992 წ.

საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ერთგულ, ღვთივკურთხეულ შვილს:

ქრისტესმიერ საყვარელნო ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, დანო და ძმანო, ღვთისმშობლის საფარველით დაცული ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო, უცხოეთში მცხოვრებო თანამემამულენო. მოგვეახლა ბრწყინვალე დღესასწაული ქრისტეს შობისა, მაგრამ ამ დიდებულ ზეიმს საქართველო სევდიანი ხვდება.

ძმათა სისხლისღვრით გამოწვეული ტკივილი ბოლომდე გაცნობიერებული არც არის. ტრაგედია მოხდა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელ სწორ გზას ვერ ვიპოვით, თუ მო-

ვლენებს მიუკერძოებლად არ გავაანალიზებთ და ყველასთვის სამწუხარო შედეგის მიზეზებს არ აღმოვფხვრით.

საქართველოს ისტორიაში მოხდა მეტად სავალალო ფაქტი: ერი დაიყო. ქალაქებსა და სოფლებში, სამსახურებში მოსახლეობა დაუპირისპირდა ერთმანეთს; დაუპირისპირდნენ ერთმანეთს თაობები, ოჯახის წევრები...

შექმნილმა მდგომარეობამ იმდენად იმოქმედა ხალხის ფსიქიკაზე, რომ მასა ეგზალტირებული და არაწმიდა ძალის მიერ ადვილად სამართავი გახდა.

ადამიანები გაბოროტდნენ, გახშირდა ცილისწამება, მკვლელობა, კიდევ უფრო დაეცა ზნეობა, დადგა ჟამი განუკითხაობისა.

მოსახლეობის ნაწილი გაღიზიანდა ეკლესიის მიმართაც. იმის ნაცვლად, რომ ეკლესია თვითონ დაეცვათ პოლიტიკისაგან და ამ მძიმე ჟამს ერის ერთობის, მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის აღევლინათ გულმხურვალე ლოცვა ღვთის მიმართ, მას დაპირისპირებულ მხარეთა შორის არჩევანის გაკეთება მოსთხოვეს.

განა შეიძლება, ეკლესია დადგეს პოლიტიკის გამო ორად გახლეჩილი ერის რომელიმე მხარეს და თავისი მხარდაჭერით მისცეს მორალური უფლება ერის ერთ ნაწილს მეორის გასანადგურებლად?

ჩვენ წინ რომ უცხო მტერი ყოფილიყო, პირველნი შევეგებებოდით მას, მაგრამ ჩვენს სამწყსოში, ჩვენს შვილებს შორის არჩევანის გაკეთების უფლება არ გვქონდა.

განა ზნეობრივია, დედამ განასხვავოს შვილები ერთმანეთისგან, თუ ყველა ღონე უნდა იხმაროს ძმათა შორის შუღლის დასაცხრობად?

ეკლესიამაც, ვიდრე იყო ამის შესაძლებლობა, არაერთხელ სცადა დაპირისპირებულ მხარეთა შერიგება და მათ შორის არსებული

პრობლემების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტა.

მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქოში გამართულმა ადრინდელმა შეხვედრებმა ნაყოფი არ გამოიღო, ეკლესია მზად იყო და გამოთქვა სურვილი, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, 21 დეკემბერს მოლაპარაკებისთვის კვლავ ეხმო ორივე მხარის წარმომადგენლები, მაგრამ ეს წინადადება არ მიიღეს... და ჩვენ დაგვრჩა ერთადერთი საშუალება მოქმედებისა – ლოცვა; რაც დიდი სასოებით აღევლინებოდა ჩვენს ტაძრებში.

ლოცვას რომ უდიდესი ძალა აქვს, იცის ყველა ჭეშმარიტმა მორწმუნემ; რწმენით აღვლენილი სავედრებელი ყოვლისშემძლეა. თვით უფალი ბრძანებს: „უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ და არა შეორგულდეთ... ჰრქუათ თუ მთასა ამას: „აღიფხუერ ამიერ და შთავარდი ზღუასა!“ – იყოს ეგრეთ. და ყოველსა, რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ“ (მათ. 21, 21-22).

ამ განსაცდელის ჟამს ჩვენმა ხალხმა სწორედ ლოცვა დაივიწყა, აუმღვრეველი გულით ლოცვა. დაივიწყა, რომ ღვთის ხელშია ყოველი, რომ „არა ცხოვნდების მეფე მრავლითა ძალითა თჳსითა და გმირი არა განერეს სიმრავლითა ძალისა მისისაჲთა“ (ფსალმ. 32, 16) და რომ მხოლოდ „უფალი არს ძალ ერისა თჳსისა“. „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტჳრთმძიმენი და მე განგისუენო თქუენ“, – ბრძანებს მაცხოვარი.

ახლახან მომხდარი მოვლენები მიგვანიშნებენ, რომ იწყება ჩვენი განწმენდა მწუხარებისა და ტანჯვის გზით. მაგრამ ეს პროცესი ხალხში ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად მიმდინარეობს. საჭიროა მეტი სულიერება, მეტი გულისხმისყოფა.

ადამიანები იბადებიან, კვდებიან, მათი სიცოცხლე ქრება ჩვენ თვალწინ... ჩვენი შინაგანი სამყარო კი უგრძნობი რჩება, თითქოს ეს ყველაფერი სხვაგან ხდებოდეს. არასწორად ვფიქრობთ წუთი-

სოფელზე, მარადიულ ცხოვრებაზე; გვავიწყდება, რომ გარდაცვალება არ ნიშნავს სულის სიკვდილს, არამედ – მის მეორედ დაბადებას, სულის განთავისუფლებას გვამის სიმძიმისაგან. და ვიდრე ჩამოკრავს საბედისწერო წუთი გარდაცვალებისა, უნდა ვიზრუნოთ განწმენდაზე, შინაგან ფერისცვალებაზე.

მძიმეა ჩვენი ცხოვრება. უღმრთოების მრავალწლიანმა უღელმა უკიდურესად გამოფიტა ერის სასიცოცხლო ძალები. ხალხის ზნეობრივი დაუძლურების მიზეზი ღვთის მადლისა და ეკლესიური ცხოვრებისაგან დაცილებაა, ანუ მოშორება იმ საყრდენისა, რომლის დახმარებითაც სწორად უნდა გვეცხოვრა. სამოცდაათწლიანმა ბატონობამ თავისი დაღი დაასვა ჩვენს სულს; მაგრამ მართალნი არ ვიქნებით, თუ პასუხისმგებლობას მოვიხსნით და ქრისტიანობისაგან ჩვენს განდგომას მხოლოდ ძალმომრეობით ავხსნით.

რატომ იყო, რომ წარსულში, არანაკლები შეჭირვების ჟამს, სარწმუნოების შეცვლა იშვიათობას წარმოადგენდა, ახლა კი მოწამებრივი ღვაწლის მტვირთველნი ერთეულებიღა დარჩნენ.

რა არის ამის მიზეზი? – ისევ და ისევ ეკლესიისაგან განდგომა. ეს სენი საერთო საკაცობრიოა. მეოცე საუკუნეში მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა აღმავლობამ ადამიანი აღავსო ამპარტავნებით და გაუჩინა ცრუ ილუზია იმისა, რომ იგი საკუთარი გონებითა და ძალით შეძლებდა ნამდვილად ბედნიერი ცხოვრების მოწყობას. ღვთისა და ეკლესიის მორჩილება „უმწიფარი“ კაცობრიობის ისტორიულ ეტაპად იქნა განხილული, მაგრამ მოჩვენებითი „სრულწლოვანება“ საბედისწერო აღმოჩნდა. საკუთარ თავს მინდობილი კაცობრიობა მოსწყდა ღმერთსა და ბოროტის ბადეში გაეხვია. უტყუარი ნიშანი ამისა თანამედროვე ადამიანის ზნეობრივი დაცემა და გადაგვარებაა.

დღეს ბევრს ჰგონია, რომ იგი მორწმუნე ქრისტიანია, მაგრამ სცდება. პიროვნებისათვის დამახასიათებელ რელიგიურ გრძნობას ისინი ხშირად რწმენად მიიჩნევენ. სინამდვილეში კი, რელიგიური

გრძნობა არის მხოლოდ ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ღვთის შემეცნებისა. ნამდვილი რწმენა კი შედეგია ამა თუ იმ პიროვნებაში ღვთის განცხადებისა და მისი სრულყოფა სარწმუნოებრივი ცხოვრებით ხდება.

ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე ცალკეულ ადამიანს თუ ერს თვით ღმერთმა დაუდგინა მეგზურად და მასწავლებლად ეკლესია, – „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“, უძლურება ბოროტისა, რამეთუ იგია შეურყვნელი დამცველი ღვთის სიბრძნისა. უფალი ბრძანებს: „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათ. 16, 18).

სამწუხაროდ, არაეკლესიური სულისკვეთების სენი ჯერ კიდევ ძალიან ღრმად ყოფილა ჩვენში ფესვგამდგარი.

უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა გააცნობიეროს ინტელიგენციამ, რადგან იგია ერის მოაზროვნე და წარმმართველი ძალა. ინტელიგენცია ჭეშმარიტების შეცნობაში უნდა დაეხმაროს ხალხს, მაგრამ როგორ შეძლებს იგი ამას, თუ თავად იქნება მოწყვეტილი ღვთაებრივი სიბრძნის წყაროს – ეკლესიას? ეკლესიის გარეშე იგი მხოლოდ კაცობრივი გონების ნაყოფს გამოიღებს და ამით გაუცნობიერებლად ზიანს მოუტანს ხალხს. მათ მსგავსთა მიმართ ბრძანებს უფალი: „ამაოდ მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა“ (მათ. 15, 9).

ინტელიგენცია უნდა იქცეს მრევლის იმ რჩეულ ნაწილად, რომელიც, ვითარცა ანთებული სანთელი, წყვდიადში მყოფ ერს ღვთისაკენ მიმავალ გზას გაუნათებს.

ხალხი სულიერად დასაპურებელია და პურის მიმწოდებელი ხელი არ გვყოფნის. „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი – მცირედ“. შევსთხოვთ უფალს, „რაჲთა გამოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თჳსსა“ (მათ. 9, 37-38).

მთავარი მიზეზი ეკლესიისგან ხალხის მოწყვეტისა მაინც ამ-

პარტავნება იყო. დღესაც ეს ცოდვა გვღუპავს. ამპარტავნების გამო ვისჯებით. უფალი გვწვრთნის, რათა დამდაბლებულნი ღვთისსათნო გზაზე დავდგეთ და მოვიპოვოთ მადლი წინაშე მისსა.

სიმდაბლის საოცარი მაგალითი თვით იესო ქრისტემ მოგვცა. უფალი, რომელსაც ელოდა მთელი კაცობრიობა და რომლის შესახებაც წერდნენ წინასწარმეტყველნი, ყოვლად შეუმჩნეველი საოცარი სიმდაბლით მოევლინა ამ ქვეყანას.

იმ დროის გავლენიანი საზოგადოება ფუფუნებითა და სიმდიდრით იყო გალაღებული. ქრისტეს შობისთვის კი მრავალრიცხოვან სასახლეებსა და შენობათა შორის ერთი უბრალო ღარიბული სახლიც კი არ მოიძებნა; იგი დაიბადა ბეთლემის გამოქვაბულში, იქ, სადაც მწყემსები უამინდობისას საქონელს აფარებდნენ.

ამ დიდი საიდუმლოს აღსრულებისთვის ეს გამოქვაბული და ბაგა უფრო სასურველი და წმინდა აღმოჩნდა, ვიდრე მსოფლიოს ყველა სასახლე და სამეფო პალატი.

საოცარია, პირველმხილველნიც განხორციელებული მაცხოვრისა იყვნენ უბრალო მწყემსები და არა განმგებელნი ქვეყნისა ანდა სხვა მაღალი თანამდებობის პირნი; მწყემსები, რომელთა ყველაზე დიდი სიმდიდრე მათი სუფთა, წრფელი გული იყო.

იესო ქრისტეს განმაცვიფრებელ თავმდაბლობაშია სწორედ მისი ღვთაებრივი სიდიადე.

მშვენივრად წერს წმიდა იოანე დამასკელი: „კურთხევითა ღვთისა და მამისა მხოლოდშობილმა ძემ – სიტყვამ ღვთისა და თავად ღმერთმა... ერთარსმა მამისა და სულისა წმიდისა, მარადიულმან და დაუსაბამომან მოდრიკა ცანი და გარდამოხდა; მიუწვდომელი სიდიადე თვისი მიუწვდომლად დაამდაბლა და მიეახლა თავის მონებს გამოუთქმელი და გასაოცარი მოწყალებით. სრული ღმერთი იქმნა სრულ კაცად, რათა ეწამლა ჩვენი ურჩობის ცოდვისათვის და

ქცეულიყო მაგალითად მორჩილებისა, მორჩილებისა, რომლის გარეშეც შეუძლებელია გადარჩენა“.

ქრისტეს შობა არის ადამიანის ხელახალი დაბადება არა ყოვლისშემძლეობით, არამედ მსხვერპლშეწირული სიყვარულით (სერგი ბულგაკოვი).

შობა ქრისტესი არის საიდუმლო ღვთის განხორციელებისა. ძე ღვთისა მოგვევლინა ძედ კაცისა, რათა დაცემულნი ცამდე ავემაღლებინეთ. ყოვლის შემოქმედმა თავი დაუმორჩილა სჯულის კანონის ყველა მოთხოვნას, გამოგვისყიდა კანონით გასამართლებულნი, მოგვიხსნა ბეჭედი განდევნილისა და გვქმნა შვილად ღვთისა.

მან არასწორი განვითარება კაცობრიობისა შეცვალა ახლით. სამყაროს მიზიდულობის ცენტრი, ცოდვის შედეგად ღმერთს მოწყვეტილი, თავის ძველ ადგილს დაუბრუნა და მოდგმა ყოველი და ჟამი ყოველი მოიცვა, რათა მსოფლიოსათვის მოეტანა ნამდვილი თავისუფლება და ჭეშმარიტი სიყვარული და ეჩვენებინა გზა განღმრთობისა.

დღეს უფალი თითოეულ ჩვენგანს მიმართავს წმიდა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებით: განიბანეთ, „განიწმინდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა. სიკეთის ქმნა ისწავლეთ, ეძიეთ სამართალი, შეეწიეთ ჩაგრულს, განიკითხეთ ობოლი, ქვრივს გამოესარჩლეთ. მერე მოდით და ცილობა ვყოთ, ამბობს უფალი: მეწამულიც რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით განსპეტაკდება, ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლის ფთილასავით გახდება. თუ მორჩილნი იქნებით და გამგონენნი, მიწის დოვლათს შეჭამთ; თუ განდგებით და გაურჩდებით, მახვილი შეგჭამთ!“ (ეს. 1, 16-20).

ძმანო და დანო ჩემნო, შევსთხოვოთ ახლადშობილ უფალს, იესო ქრისტეს, მოამზადოს ჩვენი გულები სულიერი ფერისცვალები-

სათვის, მოგვცეს მადლი სიმდაბლისა და მორჩილებისა, ცოდვათა მიტევებისა, მადლი სიყვარულისა და მშვიდობისა, სული ერთობისა, რათა ვიყოთ ღვთის ნების აღმსრულებელნი, ძედ მისად ვიწოდოთ და ურცხვენელად ვთქვათ – „მამაო ჩვენო... იყავნ ნება შენი“...

კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს და დამდეგ ახალ წელს.

გიხაროდეთ, უფალი ჩვენთან არს.

ქრისტეს შობა
თბილისი, 1992 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1992 წ.

საქართველოს ეკლესიის ღვთივკურთხეულ შვილებს

„შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს
სასუფეველი ცათაჲ“ (მათ. 4, 17).

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონთა დასნო, ძენო და ასულნო ღმრთისანო, მკვიდრნო საქართველოჲსა და უცხოეთში მცხოვრებნო თანამემამულენო, ლოცვითა და შუამდგომლობითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, მამა ზეციერმან მოგანიჭოთ მადლი სულისა წმიდისა, რათა სუფევდეს თქვენ შორის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოება, სიყვარული, სასოება, სიხარული, მშვიდობა, კეთილ საქმეთა შინა წარმატება, ხოლო ბოროტისაგან განრიდება და განთავისუფლება.

ქრისტესმიერი სიყვარულით ყველას გილოცავთ პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს:

ქრისტე აღდგა!

მაშ, შევიმოსოთ სიყვარულით და ვადიდებდეთ მას, ჩვენთვის ჯვარცმულს და მკვდრეთით აღმდგარს, ჩვენს სასოებასა და ნუგეშს – ქრისტეს; სიყვარულს განუზომელს, სიბრძნეს მიუწვდომელს, მშვიდობას უფლისმიერს.

სიკვდილის დამთრგუნველი მაცხოვრის წყალობა და მადლი ეფინება ყველას, მაგრამ ბევრს არ ძალუძს მისი შეგრძნება, რადგან ცოდვებით დამძიმებული სული ვერ იღებს ნათელს; და განა ჩვენ შორის ცოტაა ასეთი?!

ამიტომაც გვიჭირს დღეს ცხოვრება. ქართველი ხალხი ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ხშირად ვერ აგნებს ნამდვილ მიზეზს ჩვენი ყოფისა...

რატომ არის ამდენი მკვლელობა, მტრობა, ქურდობა; საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება, ხოლო შრომაში – უბარაქობა;

რატომ არის ამდენი ცილისწამება, გაუტანლობა, სიძულვილი, შფოთი, ღალატი; ასეთი შური, მრისხანება, ღვარძლი, სიცრუე;

რატომ ირღვევა ოჯახები, დაიკარგა სიყვარული, თაობათა შორის – პატივისცემა;

რატომ არის ამდენი ლოთი, ნარკომანი, მეძავი, მრუში;

რატომ კლავენ დედები შვილებს?!

იმიტომ, რომ მოიშალა საფუძველი ჩვენი ზნეობისა, დაიკარგა შიში უფლისა, განცდა ცოდვისა.

თავის დროზე რწმენა ჩაუკლეს ხალხს და მის ნაცვლად დანერგეს შიში ძალაუფლებისა და კანონის მიმართ. სასჯელის რიდით

საზოგადოება ასე თუ ისე თავს იკავებდა მდაბალ ვნებათა გამოვლენისაგან, მაგრამ დღეს, როდესაც სხვადასხვა გარემოების გამო კანონი ნაკლებად კანონობს, ერთბაშად იფეთქა ღვთის მადლმოკლებულ საზოგადოებაში დაბუდებულმა ბოროტებამ.

თუ გვსურს სწორ გზაზე დადგომა, წარსულის გათვალისწინებით უნდა შევხედოთ ჩვენს აწმყოსა და მომავალს.

ყველა ერის წარსულში ჩანს ხალხის ნიჭი, ხასიათი, შესაძლებლობა, იკვეთება მისი ადგილი ამ ქვეყანაზე, საცნაური ხდება მასში ჩადებული ღვთის განგებულება.

ამიტომაც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, ისტორიულად რა გვახასიათებდა დადებითი და რა უარყოფითი, რომ კეთილი გზა კვლავაც გავაგრძელოთ, უკეთური კი შეძლებისდაგვარად მოვიკვეთოთ.

ამ ეპისტოლეში შევეცდებით, მოკლედ განვიხილოთ ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი მხარე და გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება მის მიმართ.

სამწუხაროდ, დღეს ქრისტიანები მხოლოდ სახელითღა ვართ, სინამდვილეში კი ურწმუნოთა ცხოვრებით ვცხოვრობთ.

განა ამაზე არ მეტყველებს ის დაპირისპირება, რაც ამჟამად ქართველთა შორის ხდება? განხეთქილების მიზეზად შეიძლება ესა თუ ის პიროვნება დავასახელოთ, მაგრამ პიროვნებას რომ დასაყრდენი არ ჰქონდეს ხალხის ფართო მასებში, ეს არ მოხდებოდა. საყრდენი კი წინააღმდეგობის, დაპირისპირების სულით დაღდასმული ჩვენი შინაგანი სამყაროა. დაპირისპირების ცოდვა ამპარტავნებიდან მოდის, რაც ოდითგან მოგვდგამს, ოღონდ დღეს იგი განსაკუთრებულად მკვეთრი ფორმებით ვლინდება. ამის მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ მეტად დაბალია ჩვენი ინტელექტუალური დონე. წლების მანძილზე განათლებულობით ვამაყობდით, არადა

გვაქვს მხოლოდ ზერელე ცოდნა და, აქედან გამომდინარე, ზერელე აღქმა საგნებისა და გარემო სამყაროსი.

ამასთან ვერ ვხედავთ ზღვარს ცოდნასა და განათლებას შორის, ვერ ვგრძნობთ, რომ განათლება უფრო მეტის მომცველია, ვიდრე ცოდნა. ამიტომაც, ყველა მცოდნე ადამიანი განათლებულად ვერ ჩაითვლება. განათლება, ინტელექტი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მაღალ ზნეობას, რწმენას, სიყვარულს, სულიერობას.

სენი, რომელიც თანამედროვე საზოგადოების თითქმის ყველა ფენას ახასიათებს, არის დაბალი სულიერობა. ეს ითქმის ჩვენს ინტელიგენციაზეც. ხშირად პრესით თუ ტელევიზიით გამოდის ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი, მეცნიერი, მწერალი ან ცნობილი ხელოვანი, რომელიც, ერთი შეხედვით, არ უარყოფს ღმერთს, მაგრამ რელიგიურად ისე მცდარად აზროვნებს, რომ ერთ მნიშვნელობას ანიჭებს იესო ქრისტეს, მუჰამედს, ბუდას...

როგორ შეიძლება ქრისტიანობის, მუსულმანობის, ბუდიზმის გათანაბრება? ეს ხომ ამ რელიგიების უცოდინარობის მაჩვენებელია და ნიშნავს იმას, რომ გაცნობიერებული არ გვაქვს ცხოვრების უმთავრესი მიზანი, არ ვზრუნავთ ჩვენს უკვდავ სულზე და არ გვაწუხებს, რომ არასწორი პოზიციის გამო იგი შეიძლება სამუდამოდ წარვიწყმიდოთ.

ინტელიგენციის და, საერთოდ, გავლენიან პიროვნებათა ბედნიერებაც და უბედურებაც ის არის, რომ მათ თავიანთი მრწამსით, თავიანთი ცხოვრებით სულიერად შეიძლება გადაარჩინონ ან დაღუპონ არა მარტო თავიანთი თავი, არამედ გარშემო მყოფნი და სხვა მრავალნიც.

დღეს ჩვენს ინტელიგენციას იმაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე თვითონ გრძნობს. ის როლი, რასაც თავის დროზე ასრულებდა სამეფო დინასტია, თავადაზნაურობა, ეკლესიასთან

ერთად უნდა იტვირთოს ინტელიგენციამ. იგი უნდა იქცეს ერისთვის ჭეშმარიტი გზის გამკვლევად, ეროვნული მრწამსის, კულტურის და ხელოვნების დამცველად და შემქმნელად. ამიტომაც ხელი უნდა შევუწყოთ მისი დიდი ნიჭისა და მაღალი თვისებების მაქსიმალურ გამოვლინებას ერისა და ღვთის სამსახურად.

თუ ნორმალური საზოგადოების შექმნა გვსურს, ჩვენმა ინტელიგენციამ, ერისმთავრებმა უპირველესად უნდა იზრუნონ მოზარდი თაობის სწორ აღზრდაზე. ადამიანის ბუნება დაცემულია და ჩვენი ცოდვისმიერი თვისებანი ასაკისდა მიხედვით გამოვლინდებიან. ამიტომაც ბავშვებმა თავიდანვე უნდა ისწავლონ ავისა და კარგის გარჩევა, ბრძოლა ბოროტებასთან და უფლის შეწევნით დაძლიონ მანკიერი მიდრეკილებანი. ამ რთულ საქმეს მასწავლებლები სიფრთხილით უნდა მოეკიდონ. კარგი იქნება, თუ ისინი უზნაძის განწყობის თეორიით იხელმძღვანელებენ და პიროვნულ თვისებათა გათვალისწინებით მიუდგებიან თითოეულ აღსაზრდელს. ბავშვებს თავიდანვე უნდა გავუღვიძოთ გრძნობა ადამიანის ღირსების დანახვისა და დაფასებისა, განვამტკიცოთ რწმენა იმისა, რომ ყოველი ჩვენგანი ღვთისაგან განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული, ოღონდ აუცილებელია ამ მადლის გამოვლენა.

მოზარდი თაობა უნდა დავუახლოვოთ შრომას, შევაყვაროთ მიწა, ყვავილები, ცხოველები, ბუნება; ვასწავლოთ მასთან კავშირი, რათა მან შემდეგ ადვილად დაამყაროს ჰარმონიული ურთიერთობა გარემოსთან.

სამწუხაროა, რომ ყოველივე ამის განსახორციელებლად ცოტა გვყავს სათანადოდ მომზადებული პედაგოგები; არა გვაქვს კარგად შედგენილი პროგრამები.

სკოლის ცხოვრებაში სიახლის შეტანა რომ აუცილებელია, ყველა გრძნობს, მაგრამ ზოგჯერ არასწორ ნაბიჯებს დგამენ. მა-

გალითად, აპირებენ ინგლისური სკოლების გახსნას, სადაც პირველი კლასიდანვე ყველა საგანს ბავშვებს უცხოელები შეასწავლიან და ეს მიაჩნიათ ფრიად სასარგებლოდ; სინამდვილეში კი იგი დიდი შეცდომაა და ნიშნავს ჩვენს წარსულს მოწყვეტილი თაობის აღზრდას, ანდა, ფიქრობენ რელიგიური სკოლების დაარსებას, სადაც საღვთისმეტყველო გაკვეთილებს პასტორები ჩაატარებენ. განა შეიძლება ასე ხელვყოთ ჩვენი მეობა?

მართლმადიდებელი სარწმუნოება ხერხემალია ჩვენი ეროვნული სხეულისა. მისი შეცვლით ან დაკარგვით ჩვენ ვკარგავთ ქართულ სულს. ამის მაგალითი ბევრი გვაქვს; მხოლოდ ორს დავასახელებთ: წინა საუკუნეებში, გაჭირვების გამო ზოგიერთმა ქართველმა კათოლიკობა მიიღო, რადგან თურქნი კათოლიკებს რომის სიძლიერის გამო არ ეხებოდნენ. დღესაც მათი შთამომავალნი, საქართველოში მცხოვრებნი, თავიანთ თავს ფრანგებს უწოდებენ.

ცარიზმის გამთიშველი პოლიტიკის წყალობით სომხები XIX საუკუნეში განთავისუფლებულნი იყვნენ გადასახადისაგან. ბევრმა ქართველმა ცდუნებას ვერ გაუძლო და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მიიღო გრიგორიანული სარწმუნოება. დღეს ეს ხალხი ფაქტობრივად დაკარგულია საქართველოსათვის. ეს ერთი მხარეა საკითხისა. მაგრამ უმთავრესი მეორეა, ანუ შეგნება იმისა, რომ თითოეული ჩვენგანის მრწამსი, აღმსარებლობა, ღვთის ჭეშმარიტ გზას უნდა დაეფუძნოს. მართლმადიდებლობა არის ის სარწმუნოება, რომელმაც შეურყვნელად დაიცვა იესო ქრისტეს და მის მოციქულთა სწავლება. მართლმადიდებლობამ დაიცვა ერთიანი განუყოფელი ეკლესიის ტრადიცია. მართლმადიდებლობის გარეშე არ არსებობს ხსნა, რადგან ქრისტეა თავი ეკლესიისა და ეკლესიაა მისტიკური სხეული მისი და თუ არ ვიქნებით წევრი მისი ეკლესიისა – ნაწილი მისი სხეულისა, წილი არა გვაქვს მაცხოვართან. „ეკლესიის

გარეშე ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს ყოველივეს: ჰქონდეს რწმენა მამის, ძისა და სულიწმიდისა, ქადაგებდეს, საიდუმლოებსაც აღასრულებდეს, იყოს დაფასებული, მაგრამ სულის ხსნას ვერ შეძლებს – ვერ მოიპოვებს მარადიულ ცხოვრებას“ (ნეტარი ავგუსტინე).

უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია მუდამ წმინდაა. ცალკეულ სასულიერო პირთა თუ მორწმუნეთა უღირსი საქციელი ვერ დაჩრდილავს მის სიდიადეს. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ეკლესია მებრძოლია, რამეთუ გამუდმებით უპირისპირდება ბოროტებას. უკეთურობამ შეიძლება მას დაღი დაასვას, მაგრამ გამარჯვებული მაინც ყოველთვის იქნება ეკლესია, რადგან იგი თვით უფლის მიერ კლდესა ზედა არის დაფუძნებული და „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან მას“.

70-წლიანმა მძიმე ცხოვრებამ საქართველოს ეკლესიაზეც იქონია გავლენა, დღეს ჩვენს მოძღვართა შორის ბევრნი არიან თავდადებულნი, მაგრამ არიან სუსტნიც. მე იმედი მაქვს, ღვთის შეწევნით, მომავალში კიდევ უფრო გამრავლდებიან კეთილმსახური მოღვაწენი, ბერ-მონაზონნი, რომელნიც ვითარცა მანათობელნი ლამპარნი, ხალხს უჩვენებენ უფლისაკენ სავალ სწორ გზას და მსხვერპლშეწირული სიყვარულის მადლით მიეხმარებიან მათ ჯვრის მტვირთველობაში.

თანამედროვე ეტაპზე მეტად აუცილებელია სხვა სახელმწიფოთა მიმართ სწორი დამოკიდებულების გამომუშავება. დღეს მსოფლიო ჩაბმულია ერთობლივ პროცესებში. ეკონომიკურად, პოლიტიკურად თუ ინტელექტუალურად წამყვანი ძლიერი ქვეყნებინებით თუ უნებლიეთ ერევიან სხვა ერების ცხოვრებაში და არ აძლევენ მათ საერთო ჯაჭვიდან ამოვარდნის საშუალებას; ეს კი დიდ საფრთხეს უქმნის მცირერიცხოვანი ხალხების სულიერ და კულტურულ თვითმყოფადობას. იმავე პრობლემების წინაშე ვდგავართ ჩვენც. დასავლეთის ქვეყნებისაგან საქართველოს პოლიტიკურად ისეთი

დიდი საშიშროება არ ემუქრება, რამდენადაც მორალური და ზნეობრივი. ჩვენთვის ასევე დამაბრკოლებელია მათი ინდიფერენტულობა ეროვნული და სარწმუნოებრივი საკითხებისადმი.

ქართველ ხალხს მიმბაძველობისაკენ ლტოლვა ახასიათებს. ეს კარგია, თუ სასარგებლოს სწავლობ, ანუ გაქვს ნიჭი თეთრისა და შავის გარჩევისა, მაგრამ საშიშროება სწორედ ის არის, რომ ხშირად განსჯის უნარი გვეკარგება და ცალმხრივად, ბრმად ვიღებთ სხვისი ცხოვრებისა თუ აზროვნების წესს.

ჩვენ აუცილებლად უნდა შევითვისოთ სხვათა გამოცდილება და მიღწევები, ოღონდ საკუთარ საფუძველზე დაყრდნობით. მხოლოდ მაშინ იქნება იგი ღირებული ჩვენი ხალხისთვის და ანგარიშგასაწევი და დასაფასებელი სხვა ქვეყნებისთვისაც. ასე შეიქმნა მსოფლიოში ცნობილი ქართული კულტურა და დღესაც ეს გზა უნდა გავაგრძელოთ.

ამ საქმეში მეტად დიდი როლი უნდა დაეკისროს ეროვნულ მოძრაობას.

ზოგიერთის ფიქრით, ეროვნული მოძრაობა დროებითი მოვლენაა, რომლის მიზანი ერის განთავისუფლებისათვის ბრძოლაა. ასეთი შეხედულება მცდარია. ვიდრე ვარსებობთ როგორც ერი, უნდა იყოს ეროვნული მოძრაობაც, რომელმაც უნდა მოიცვას ჩვენი ცხოვრების ნებისმიერი სფერო და ყველაფერი უნდა გააკეთოს ხალხში ზნეობის ამაღლებისათვის, ქრისტიანული მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცებისათვის, ქართული ხასიათის გათვალისწინებით ჩვენი შინაგანი დადებითი ძალების გაღვიძებისა და ახალი იდეების განხორციელებისათვის, პიროვნების ტალანტის მაქსიმალური გამოვლენისათვის.

ვფიქრობ, ხელისუფლების, ეკლესიის, ინტელიგენციის, ახალგაზრდობისა და საერთოდ ერის საუკეთესო ნაწილის წარმომადგენლებმა უნდა შეიმუშაონ და ჩამოაყალიბონ ეროვნული მოძ-

რაობის პროგრამა; უნდა განისაზღვროს, რას უნდა მოიცავდეს იგი და სად როგორ განხორციელდეს. ამავე დროს უნდა განისაზღვროს სავარაუდო უარყოფითი შედეგებიც.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა არც ერთ სახელმწიფოსთან, და განსაკუთრებით მეზობელ ერებთან, არ გვქონდეს მტრული დამოკიდებულება.

ამიტომაც საჭიროა მაღალი ინტელექტის მქონე დიპლომატების აღზრდა; საჭიროა დიპლომატიური სკოლის დაარსება, სადაც ახალგაზრდები შეითვისებენ ჩვენი ხალხისა და მსოფლიო ქვეყნების დიპლომატიურ გამოცდილებას და შეძლებისდაგვარად გააკეთებენ ყველაფერს, რათა საქართველომ თავისი ადგილი დაიკავოს მსოფლიოს ერთა შორის.

ჩვენ წინაშე ასევე დგას პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი.

წმიდა წერილიდან ვიცით, რომ ადამიანი არის ღვთის ხატი და მსგავსი განსაკუთრებული ქმნილება. იგია ქვეყანასა და ზეცას, მიწიერ და სულიერ სამყაროს შორის დამაკავშირებელი ძალა.

ადამიანი დადგენილია სამოთხეში მოქმედებისათვის, მისი დაცვისათვის, რაც ბოროტისაგან საკუთარი სულის დაცვას ნიშნავს და გულისხმობს ღვთის სიყვარულს, შრომის სურვილს, შემეცნების უნარს და, რა თქმა უნდა, ზნეობრივ ცხოვრებას.

ადამიანთა ერთობა ქმნის ოჯახს, გვარს, ერს, სახელმწიფოს: სულიერად განწმენდილ პიროვნებათა კავშირი – ასეთივე სახელმწიფოს, ხოლო ცოდვისაგან დათრგუნულთა ერთობა – შესაბამის ოჯახსა და საზოგადოებას. ამიტომაც, ვინც ფიქრობს ერის მომავალზე, უპირველესად უნდა იფიქროს თავის სულიერ ამაღლებაზე და დაიწყოს ერის გამოსწორება თავისი თავის განწმენდით – საკუთარი ჯვრის მტვირთველობით, ღვთის ჭეშმარიტ გზაზე დადგომით. მხოლოდ

ამის შემდეგ დაინახავს ადამიანი სინამდვილეში სხვას რა უჭირს და იმასაც მიხვდება, როგორ უშველოს მას.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქვეყნის განმგებელთ – როგორც საერო, ისე სასულიერო პირთ. ხშირია შემთხვევა, როცა თანამდებობის მქონე თავისი არასწორი საქციელის გამო იქცევა კერპად. წმიდა მამები გვარიგებენ, რომ ხალხზე მოქმედება და მისი მოქცევა უნდა მოხდეს ისე, რომ ჩვენ ჩრდილში დავრჩეთ, ხოლო ერმა უპირველესად ადიდოს ღმერთი და არა კაცი.

ნებისმიერი ხალხის ისტორიაში დაუვიწყარია მათი სახელები, რომელნიც თავიანთი სიწმინდით ამგვარად ემსახურნენ ერს. ასეთი იყო, მაგალითად, წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი. „გალობანი სინანულისანი“ არის პიროვნული და ერის ცოდვების მტვირთველი ქვეყნის განმგებლის აღსარება. დღევანდელი ადამიანი იმდენად დაცემულია, რომ აღარ ესმის, რატომ გამოთქვამს ასეთ სინანულს მეფე წმინდანი. ხალხს აღარა აქვს ხმამაღლა გაცხადებული აღსარების სიდიადის შეგრძნება;

„გალობანი სინანულისანი“ საკუთარი თავის გაკერპების წინააღმდეგ ბრძოლის დასტურიცაა, ისევე როგორც დავითის სურვილი, დაკრძალულიყო გელათის ტაძრის კარიბჭეში, რათა კაცთა და პირუტყვთ მის საფლავზე დაედგათ ფეხი.

ამგვარი დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი დავით აღმაშენებლის ზნეობის, მისი სულიერი სიწმინდის მაჩვენებელია; ამის საწინააღმდეგო მაგალითია, ვთქვათ, ნაბუქოდონოსორი, რომელმაც თავისი კერპი აღმართა და უნდოდა ყველას თაყვანი ეცა მისთვის იმიტომ, რომ მისი მიზანი იყო ამქვეყნიური, მიწიერი დიდებისა და ნეტარების მოპოვება, საკუთარი „მეს“ დამკვიდრება.

ასე რომ, პიროვნების როლი და შესაძლებლობა კაცობრიობის ცხოვრებაში განუზომელია. მას შესწევს ძალა, ღმერთამდე ამაღლდეს სათნოებით და ქვესკნელამდე დამდაბლდეს უკეთურე-

ბით, ამპარტავნებით. ყველაფერი ჩვენს თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული.

„იყვენით უკუე მობაძავ ღმრთისა, ვითარცა შვილნი საყუარელნი, და ვიდოდეთ სიყუარულით, ვითარცა-იგი ქრისტემან შემიყუარნა ჩუენ და მისცა თავი თჳსი ჩუენთჳს შესაწირავად“ (ეფეს. 5, 1-2), – გვარიგებს მოციქული.

უფლის მცნებებით ცხოვრება, მართალია, ჭირს ჩვენს აპოკალიფსურ დროში, მაგრამ ღმერთი არ დაგვტოვებს და შეეწევა ჩვენს უძლურებას.

სასოებდით მაცხოვარს, რამეთუ „იცის უფალმან ღმრთის მსახურთაჲ მათ განსაცდელთაგან ჴსნაჲ“ (2 პეტრ. 2, 9).

მაცხოვრის აღდგომის დღესასწაული არის საფუძველი ჩვენი სარწმუნოებისა, იმედი ჩვენი მომავლისა, ჩვენი ერის გადარჩენისა.

სააღდგომო ეპისტოლე წმიდა იოანე ოქროპირის სიტყვებით მინდა დავამთავრო: მოდით ყველანი, განიცადეთ სიხარული უფლისმიერი; მდიდარნო და გლახაკნო, ზეიმი ჰყავთ ერთად; ჭირთა დამთმენნო და სულმოკლენნო, თაყვანი ეცით დღესა ამას. სარწმუნოების ტრაპეზი იხმიეთ ყოველთა და მიიღეთ სიმდიდრე მადლისა... ამიერიდან ნუ შეაძრწუნებს სიკვდილის შიში თქვენს გულებს, რადგან მაცხოვრის მადლით განთავისუფლდით. დათრგუნა სიკვდილი სიკვდილით მოცულმა, წარტყვენა ჯოჯოხეთი ქვესკნელში ჩასულმა... „სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი?“ (1 კორ. 15, 55).

აღდგა ქრისტე, დაემხნენ დემონნი, აღდგა ქრისტე და განიხარეს ანგელოზთა, აღდგა ქრისტე და აღდგა სიცოცხლე საუკუნო. დიდება მას უკუნისამდე.

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1992 წ.

საშობაო ეპისტოლე

1993 წ.

ივერიის წმიდა მიწის ღვთივკურთხეულ შვილებს

„აჰა, მოვალ ადრე. მტკიცედ იპყარ, რაცა გაქვს, რათა არავინ წარგტაცოს გვირგვინი შენი“ (გამოცხ. 3, 11)

ყოვლადუსამღვდელოეს მწყემსმთავრებს, მოძღვრებს, დიაკვნებს, ბერ-მონაზვნებს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ღვთისმოსავ მართლმადიდებელ ქრისტიანებს, ღვთისმშობლის წილხვედრი კურთხეული ივერიის მკვიდრთ და ჩვენი სამშობლოს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ.

მშვიდობა, სიხარული და კეთილდღეობა მოგმადლოთ მოწყალე და სახიერმა უფალმან.

განგვეშორა მძიმე წელი. წელი დიდი იმედებისა და დიდი

განსაცდელისა. მწუხარებამ უფრო მეტად დაგვაახლოვა ღმერთს და ერთმანეთს და მეტი სიბრძნეც შეგვძინა, რადგან დაგვაფიქრა არა მარტო პურზე არსობისა, არამედ მარადიულ ღირებულებებზეც.

სულიერმა და მატერიალურმა გაჭირვებამ დაგვანახა, რომ არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა, ოღონდ აუცილებელია განვითარების ახალი გზების მოძებნა, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, ღვთის სასოებით საკუთარ თავზე დაყრდნობა და ჩვენი შესაძლებლობების წარმოჩენა.

წინააღმდეგობების მიუხედავად გასულმა წელმა იმედი ჩაგვისახა, ამიტომაც, მართალია, სულიერი ტკივილით, მაგრამ ღვთის შეწევნის რწმენით ვხვდებით უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს – შობას უფლისას.

შობა ქრისტესი – ეს არის მისტიკური აქტი, რომელსაც ბოლომდე ვერასდროს ჩავწვდებით. იგია გამოვლინება ადამიანისადმი ღვთის უსაზღვრო სიყვარულისა და მისთვის თავგანწირვისა; აქტი ღვთისა და კაცის შეერთებისა.

უფალი მოგვიახლოვდა, რათა ჩვენც აღვდგეთ და მივიდეთ მასთან. იგი არ ითხოვს სიმდიდრესა და მაღალ თანამდებობას, არც ოქროს, გუნდრუკსა და მურს, რაც მოგვებმა მიართვეს ბეთლემში ახლადშობილს. მისთვის ძვირფასი მხოლოდ ჩვენი გულია. ამიტომაც თითოეულს მოგვმართავს: შვილო, მომეც გული შენი.

რად სურს ღმერთს ჩვენი გული? – მხოლოდ იმიტომ, რომ შეძლოს ჩვენს სულში დაივანოს და თავისი უსაზღვრო სიყვარულით, სიწმიდითა და სიმშვიდით გაგვათბოს, დაგვიბრუნოს დაკარგული მადლი და ჩვენთვის ჯვარცმული, კვლავ ჩვენთან ერთად შეხვდეს ჩვენი ცხოვრების ტკივილს, ჩვენთან ერთად დაითმინოს და ევნოს, რათა გვაცხოვნოს და მარადიული ნეტარების ღირსი გაგვხადოს.

დიდება შენდა, უფალო, გმადლობთ, უფალო.

მაგრამ, ღმერთო, შენ ხომ იცი ჩვენ ვინ ვართ, რამეთუ ქმნილნი ხელთა შენთანი ვართ. იცი, რომ გული ჩვენი არის არაწმიდა; ოდითგან შეგთხოვთ დავით წინასწარმეტყველის სიტყვებით: „გული წმიდაჲ დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა“ (ფსალმ. 50, 12), „მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა“ (ლოცვა).

გმადლობთ, უფალო, რომ გვაჯილდოვებ სინანულის გრძნობით, ცოდვის შეგრძნების უნარით და გამოსწორების სურვილით – შენკენ სწრაფვით.

მეოცე საუკუნე უხეში მატერიალიზმის თაყვანისცემის ხანაა. ესაა დრო, როცა ცდილობდნენ ადამიანებისთვის შეექმნათ წარმოდგენა, თითქოს მატერიალური ყოფის გარდა სხვა სიცოცხლე არ არსებობს და რომ სულიერი მოვლენები ოდენ ჩვენი ტვინისა და ნერვული სისტემის გამოვლინებებია.

რა იყო მიზეზი ღმერთის დავიწყებისა?

პირველ რიგში, ამპარტავნება. ადამიანური შესაძლებლობების არასწორი აღქმა, სულიერი დაცემა.

ჯერ კიდევ პლინიუს-უმცროსი წერდა: ადამიანის ბუნება გაყალბებულია, რადგან მასში უკიდურეს სულიერ სიღატაკესთან შერწყმულია უსაზღვრო ამპარტავნება.

პასკალი ადამიანს განიხილავდა, როგორც „მოაზროვნე ლეღწამს“ (ანუ შინაგანად არამყარს), როგორც სამყაროს სივრცეში გაბნეულ ქვიშის მარცვალს, რომლის სიძლიერე სულიერობასა და აზროვნებაშია; და თუ ეს მადლი დაიკარგა, მარცვალიც განქარდება. სამწუხაროდ, არა მარტო ცალკეული ადამიანები, არამედ მთელი რიგი ქვეყნები მსხვერპლნი გახდნენ ამ მარტივი ჭეშმარიტების დავიწყებისა.

გერმანელი ფილოსოფოსი პაულსენი შენიშნავს: ძნელია უა-

რყო მატერიალიზმი არა იმიტომ, რომ იგი სიმართლეს ქადაგებს, არამედ იმიტომ, რომ ძნელია დაუპირისპირდე წმინდა წყლის სისულელეს.

საოცარია, რომ მატერიალიზმის მიმდევართა შორის იყვნენ განათლებული და ზოგჯერ გენიალური ადამიანებიც, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ, მართალია, გენიოსობა ღვთის დიდი მადლია, მაგრამ მთავარი მაინც ნიჭის სწორად წარმართვაა. მრავალია მაგალითი იმისა, თუ რა საშინელი შედეგი მოაქვს გაუკუღმართებულ გენიას.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მატერიალიზმი შობს ტოტალიტარიზმს, ჩვენ კარგა ხანია ვცხოვრობთ ასეთ დროში. ტოტალიტარიზმის მიზანია ადამიანის სრული გარდაქმნა იდეოლოგიური წყობის შესაბამისად. პიროვნება იცვლება მის მოქმედებაზე და, რაც მთავარია, აზროვნებაზე მკაცრი კონტროლის დაწესებით. ტოტალიტარიზმი კარნახობს ყველას, როგორ უნდა იფიქრონ და ითხოვს უსიტყვო მორჩილებას, რაც ნიშნავს ინდივიდუალობის, პიროვნული საწყისის გაქრობას.

ამ მოვლენამ საკმაოდ ღრმა კვალი დააჩნია ჩვენს შინაგან სამყაროს. პოსტტოტალიტარულ დროში ყველაზე რთული სწორედ სულიერი მონობიდან განთავისუფლების, ღვთივმომადლებული ინდივიდუალური თავისუფლების მოპოვების, პასუხისმგებლობის შეგრძნებისა და ავისა და კარგის სწორად გარჩევის პროცესი იქნება.

მატერიალიზმის დღემდე არსებული ფორმა თანდათან უკანა პლანზე გადადის და ადგილს უთმობს მის სხვა სახეს – ტექნოკრატიზმს და ეკონომიკას.

საზოგადოების ზრუნვა ეკონომიკის წინსვლისათვის არ არის საშიში, თუ მასთან ერთად განვითარდება ადამიანის სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობები: ჭეშმარიტი სარწმუნოება, ეკლესიურობა, ზნეობა, მეცნიერება, ხელოვნება.

ჩვენ არ გვაქვს უფლება თანამედროვე ცივილიზაციის ყველა უბედურების საწყისად მეცნიერება დავსახოთ. ადამიანი უბრალოდ სულიერად მოუმზადებელი შეხვდა მეცნიერულ აღმოჩენებს. პიროვნების სულიერი განვითარების პროცესი მეტად ჩამორჩა ტექნიკურ პროგრესს და რადგან ერთი მეორეს არ განაპირობებს, დაირღვა წონასწორობა; ამან კი წარმოშვა საშიშროება და ჩვენ წინაშე დააყენა მრავალი გადაუჭრელი პრობლემა.

ამიტომ დღეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიზრუნოთ ერის სულიერი ამაღლებისათვის, რომ სათანადოდ მომზადებულნი შევხვდეთ დასავლეთის ქვეყნების „უცხო კეთილდღეობას“, თორემ იმ მადლსა და თვითმყოფადობასაც დავკარგავთ, რაც წინაპართაგან რაღაც ფორმით დღემდე მაინც შევინარჩუნეთ.

სულიერება ხალხში თავდაპირველად გზას იკვლევს ცალკეულ მადლმოსილ პიროვნებათა წყალობით, შემდეგ კი ეს ნიჭი ეფინება მთელ ერს და ამაღლებს მას, ამიტომაც პიროვნების როლი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესია.

არიან ადამიანები ღვთის ნიშნით გამორჩეულნი, რომელნიც თესავენ სიყვარულს, სათნოებას, ქმნიან, აშენებენ, იწვიან და სხვას გზას უნათებენ. არიან პიროვნებანი დემონური ბეჭდით დაღდასმულნი – დამანგრეველი ძალით აღვსილნი.

მსოფლიო ისტორია იცნობს მრავალ მაგალითს იმისას, თუ როგორ ნადგურდებოდა მასები, იქცეოდა სახელმწიფოები განდიდების მანიითა და ეშმაკეული ამპარტავნებით შეპყრობილი „გენიალური უტვინოების“ ხელში, რადგან ისინი, როცა ასპარეზიდან მიდიოდნენ და იღუპებოდნენ, ღუპავდნენ ხალხსაც.

სიწმინდე კი სიმშვიდით მოქმედებს, იგი არ ხმაურობს, არ ყვირის. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ მთელი წლების თუ საუკუნეების შემდეგღა აღწევს ჩვენამდე სიტყვანი და დარიგებანი ღვთის სათნო და ბრძენ ადამიანთა, გმირული საქმეები ჩვენს წინაპართა. ისინი

შეუმჩნევლად უცვლიან ელფერს ჩვენს შინაგან სამყაროს და იდუმალ გავლენას ახდენენ ჩვენს ყოფაზე.

ერთ-ერთი მაგალითი ამისა არის ცხოვრება XVII საუკუნეში რუმინეთში მოღვაწე, ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ანთიმოზ ივერიელისა, რომელმაც მთელ მსოფლიოს უჩვენა სიწმიდის, მოყვასის სიყვარულისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მაგალითი და რომელიც რუმინეთის ეკლესიამ 1992 წელს წმინდანად შერაცხა.

დღეს განსაკუთრებით ხშირად ვლაპარაკობთ თავისუფლებაზე. თავისუფლება ზოგს თავაშვებული ცხოვრების უფლება ჰგონია, ზოგს – დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქეობა; უმთავრესი კი ავიწყდებათ იმიტომ, რომ ამ ცნებაში ხშირად გარეგნულ, მიწიერ გაგებას გულისხმობენ და არ ფიქრობენ მის შინაგან პროცესზე – სულიერ თავისუფლებაზე.

ზნეობრივი თავაშვებულობა ცოდვის მონობაა, წმიდა პავლე მოციქული წერს: „თავისუფლებისათვის ხართ, ძმანო, ხმობილნი; მაგრამ ხორციელი განცხრომისთვის ნუ მოიხმართ თავისუფლებას, არამედ სიყვარულით ჰმონებდეთ ერთურთს“ (გალ. 5, 13).

რაც შეეხება ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ზრუნვას, ხალხის სულიერი ამაღლების გარეშე იგი მეტად ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს, რადგანაც ერი თავისი უმეცრებისა და უზნეობის მსხვერპლი გახდება.

პოლიტიკური თავისუფლება მძიმე ცოდვათაგან თავისუფალმა საზოგადოებამ უნდა მოიპოვოს, ეს ღვთის კანონია. ასე რომ, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ამავე დროს თითოეული ჩვენგანის შინაგან სრულყოფას, შინაგან თავისუფლებას ითხოვს.

უფალმა კაცი ხატად და მსგავსად თვისსა შექმნა, მაგრამ დაცემის შემდეგ ადამიანის სუფთა სულს შეერია სხვადასხვა ცოდვა და დაბინდა იგი. ის, ვინც შეძლებს ცოდვათაგან განწმენდას, ხდება

თავისუფალი, თავისი თავის უფალი, ღვთის მსგავსებით შექმნილი თავისი უბიწო სულის პატრონი. ამიტომაც წერენ ბრძენნი: შეიძლება მონობაში იყო, მაგრამ თავისუფლება ვერ წაგართვან და შეიძლება თავისუფლებაში განცხრომით ცხოვრობდე და მონა იყო, თანაც იმდენი ბატონის, რამდენი მანკიერი თვისებაცა გაქვს.

ადვილი არ არის ჩვენს მდაბალ ვნებებსა და აზრებზე, ჩვენში მიმდინარე სულიერ და ფიზიკურ პროცესებზე გამარჯვება. ჩვენი სული ვიდრე ხორცის ტყვეობაშია, ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის დაუსრულებლად იქნება და ვაი მას, ვინც ბოლომდე მდაბალ ვნებათა მსახურად დარჩება.

წმიდა წერილი გვაფრთხილებს: საქმენი ხორცთანი არიან: „სიძვა, უწმინდურება, ბილწება, კერპთმსახურება, მწამვლელობა, მტრობა, შუღლი, შური, რისხვა, განხეთქილება, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, მემთვრალეობა, ლირწება და სხვა მისთანანი. წინასწარ გეტყვით... რომ ამის მოქმედნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს “ (გალ. 5, 19-21).

სამწუხაროდ, ეს მანკიერებანი ახასიათებს ჩვენს საზოგადოებას და, მიუხედავად ამისა, გვსურს დამოუკიდებლობა. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა განვთავისუფლდეთ ცოდვის მძიმე უღლისაგან; ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ეკლესიის მადლით.

ძალიან ბევრს არ ესმის ეკლესიის ძალა და მნიშვნელობა. წმიდა მამებმა კი, რომლებიც შიგნიდან ხედავდნენ ეკლესიის სიდიადეს, ჯერ კიდევ IV საუკუნეში ასე გადმოსცეს მისი არსი: „მწამს ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. ...რამეთუ მხოლოდ ასეთი ეკლესიის დამაარსებელი და თავი არის იესო ქრისტე.

„ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათ. 16, 18), – ბრძანებს უფალი. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ეკლესია მუდმივ ბრძოლაში იქნება ბორო-

ტებასა და ცოდვასთან, მაგრამ ჯოჯოხეთის ძალებიც კი ვერაფერს დააკლებენ, რადგან ეკლესია არის წმინდა და გამოსყიდულია უფლის სისხლით. სულიწმიდა ტრიალებს ტაძარში და განწმენდს ყოველივეს და ყველას, ვინც რწმენითა და სიყვარულითაა მოსული. „ნეტარ ხარ შენ ეკლესიავ მართლმორწმუნეთა, რამეთუ მეფემ მეფეთამან დაიდგინა შენში სავანე. ურყევია შენი საძირკველი, რამეთუ უფალი მცველ შენდა არს. ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოგერევიან და მგელნი მტაცებელნი ვერ შეგმუსრავენ და ვერც სიმტკიცეს შენსას შეასუსტებენ. ო, მშვენიერო და ბრწყინვალე სახლო უფლისა, რა დიდებული ხარ შენ!“ – წერს წმიდა ეფრემ ასური.

ეკლესიამ მისცა საქართველოს ისეთი საოცარი პიროვნებანი, როგორიცაა: წმიდა ნინო, განმანათლებელი ივერიისა, წმიდა იოანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი, ანტონ მარტყოფელი, წმიდა მეფენი: მირიანი და ნანა, ვახტანგ გორგასალი, არჩილი და ლუარსაბი, დავით აღმაშენებელი, თამარი, ქეთევან წამებული, დემეტრე თავდადებული და სხვანი მრავალნი, სათნონი ქრისტესნი და, საერთოდ, ყველაფერი ის, რითაც ჩვენ ვამაყობთ ოცსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ეკლესიური ცხოვრების, ეკლესიური აზროვნების გამოვლინებაა.

როდესაც თანამედროვე ისტორიკოსები და ზოგჯერ ღვთისმეტყველნიც ეკლესიაზე წერენ, უფრო ხშირად მის გარეგნულ მხარეზე ამახვილებენ ყურადღებას ან წარსულის მიხედვით აფასებენ მის როლს. ეკლესია გაცილებით იმაზე დიდია, ვიდრე ჩვენ გვგონია. ეკლესია მისტიკური სხეულია უფლისა. ეკლესია მასში მყოფი მრევლი კი არ არის მხოლოდ ან დედამიწაზე მცხოვრები მორწმუნენი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, უფალი, ღვთისმშობელი მარიამი, ანგელოსთა დასი და წმიდანთა მთელი კრებული შეერთებული მლოცველთა ჯგუფთან; ამიტომაც არის ტაძარი – ცა დედამიწაზე.

ის საშინელი მოვლენები, რაც ჩვენ გვერდით ხდება: მკვლელობა, ძალადობა, ძარცვა, ვერაგობა, თავაწყვეტილი ვნება... შედეგია ურწმუნოებისა და არასულიერობისა.

ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა ჩვენი ხალხის, ჩვენი ახალგაზრდობის, ბავშვების, ინტელიგენციის გაეკლესიურება. „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულიწმიდისა, რომელიც გაქვთ ღმრთისაგან, და არ ეკუთვნით თქვენს თავს?... ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულითა და სულით“ (1 კორ. 6, 19-20).

ჩვენდა სამწუხაროდ, უმრავლესობას დაკარგული აქვს დანაშაულის შეგრძნებისა და განცდის უნარი და თავი უცოდველი ჰგონია. ეს კი ამ პიროვნებათა დაბალი დონის მაჩვენებელია. ადამიანი, რაც უფრო მაღლა ადის სრულყოფის კიბეზე, მით უკეთ ხედავს თავის თავს და, აქედან გამომდინარე, – თავის ცოდვებსაც, (უცოდველი არავინაა) და ეუფლება გრძნობა სინანულისა და სურვილი გამოსწორებისა.

ეკლესიის მთავარი არსი ის არის, რომ აქ მღვდლის საშუალებით ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა ყველა ჩვენი უწმინდურების მიზეზის – ცოდვისგან განთავისუფლებისა; ამქვეყნად მხოლოდ მოძღვარს აქვს ღვთისგან მინიჭებული მადლი ცოდვათა გახსნისა და მიტევებისა. აღსარებითა და ზიარებით პიროვნებაში ხდება სულიერი ფერისცვალება, შინაგანი წონასწორობის აღდგენა. ღმერთი მწუხარებისაგან გათანგულს ნუგეშს აძლევს, შურისძიების სურვილით შეპყრობილს – მიტევების მადლს, აფორიაქებულს – სიმშვიდეს, დაჩაგრულს – სულიერ ძალას.

„მე ვსუფევ მაღალში, – ბრძანებს უფალი, – და სიწმიდეში, მაგრამ მე ვარ ტანჯულთანაც და სულით გლახაკთან, რათა ცხოველვყო გლახაკთა სული და ცხოველვყო ტანჯულთა გული“ (ეს. 57,

15); „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ“ (მათ. 11, 28).

ასეთი დაღლილი არასდროს ყოფილა ადამიანთა მოდგმა, არასდროს მდგარა კაცობრიობა ასეთი კატაკლიზმების წინაშე: ინგრევა ქვეყნები და სისტემები, მსწრაფლ იცვლება მოვლენები, რაც ნიშანია იმისა, რომ ჟამი ახლო არს. „აჩრდილს მიუყვება ადამიანი, მაგრამ ამაოდ ფაცი-ფუცობს, აგროვებს და არ იცის, ვის დარჩება“ (ფსალმ. 38, 6-7).

წარსული განვლილია, მომავალი არ ჩანს, აწმყო კი მეტად ბუნდოვანია, ერთადერთი ნუგეში არის უფალი. „მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ (მათ. 28, 20), – ჩაგვესმის მისი სიტყვები.

ხშირად მეკითხებიან, თუ როგორ ვხსნით რელიგიური თვალსაზრისით დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას.

ამჟამად საქართველოში ომია, გარეშე მტრისაგან თავსმოხვეული ომი, ხელოვნურად შექმნილ კონფლიქტთა სერია. ჩვენ ვიცავთ არა მარტო საზღვრების მთლიანობას, არამედ ჩვენი ხალხისა და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ერთა წარმომადგენლების რწმენას, კულტურას, ისტორიას, ტრადიციებს.

მართალია, ყველას გვიჭირს, მაგრამ იმედი გვაქვს, ერთად დავძლევთ ამ სიძნელეებს და აუცილებლად გავიმარჯვებთ. ღმერთი არ დაუშვებს საქართველოს გაყოფას. ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია და ათასობით წმიდანთა სისხლით განბანილი მათი ლოცვა შეგვეწევა.

ექსტრემისტებისა და სეპარატისტების მიზეზით მრავალი ახალგაზრდა დაიღუპა. დაიხოცნენ ქართველები, აფხაზები, ოსები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვანი. ცრემლმა და სიკვდილმა შეაბიჯა ბევრ ოჯახში, დაქვრივდნენ ახალგაზრდა დედები, დაობლდ-

ნენ ბავშვები... ბევრი ახალგაზრდა დახეიბრდა.

მე მინდა ვუთხრა ყველას, აქ მყოფსა და იმქვეყნად წასულს (ისინიც ხომ ცოცხლები არიან და ესმით ჩვენი): დიდია თქვენი ღვაწლი ქვეყნის წინაშე და დიდი იქნება ჯილდოც თქვენი, უფლისგან ბოძებული. თქვენ ხომ თავისუფლებისათვის, სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის, ჩვენი ნათელი მომავლისათვის იბრძოდით; თქვენ იბრძოდით წყვდიადისა და უმეცრების წინააღმდეგ. ჭეშმარიტად დიდია თქვენი მსხვერპლი და ამდენად თქვენი დამსახურებაც ღვთისა და სამშობლოს წინაშე.

ჩვენ იმედით ვუყურებთ მომავალს და გვჯერა, რომ გონიერება, სიყვარული, სიკეთე და ძმობა გაიმარჯვებს.

ეს ერთი მხარეა მოვლენისა, რაც შეეხება მის სულიერ არსს, მინდა გითხრათ, რომ ადამიანებს ხშირად მაშინ მიაჩნიათ თავი ბედნიერად, როცა ყველაზე უბედურნი არიან. არის პირიქითაც.

ომი, გაჭირვება – სინამდვილეში მოწოდებაა სინანულისა და განწმენდისაკენ; იგია საშუალება ხანგრძლივი ძილისაგან ჩვენი გამოღვიძებისა და ღმერთთან დაახლოებისა. ხილულ მწუხარებაში ყოველთვის უხილავი მადლი იმალება. „როგორც თესლის აღორძინებისათვის აუცილებელია წვიმა, ისე ჩვენთვის ცრემლები. როგორც მიწას სჭირდება დამუშავება, რომ კეთილი ნაყოფი გამოიღოს, ისე ჩვენს სულებს – მწუხარება და განსაცდელი, რომ დარბილდეს ჩვენი სიმკაცრე და დაიძლიოს ჩვენი ამპარტავნება“ (იოანე ოქროპირი), რაც განსაკუთრებით გვახასიათებს ჩვენ.

ოქრო და ვერცხლი მაღალი ტემპერატურის გარეშე მინარევებისაგან ვერ განიწმინდება, ასევე ვერც ჩვენი სული – მწუხარების გარეშე.

მახსენდება მაკაბელთა წიგნიდან შემდეგი ადგილი: „ეს სასჯელი დასაღუპად კი არა, ჩვენი ხალხის გამოსაფხიზლებლად იყო

გამიზნული. ბიწიერებას რომ დიდი ხანი არ ეძლევა და იმთავითვე სასჯელით აღიკვეთება, სწორედ ესაა დიდი წყალობის ნიშანი.

რაც შეეხება სხვა ხალხებს, ღმერთი მოთმინებით აყოვნებს მათ დასჯას, ვიდრე ისინი მთლიანად არ აივსებიან ცოდვებით. ჩვენ კი ასე არ გვექცევა იგი; არ ელის ჩვენი ცოდვების სავსებას, რომ მერე შური იძიოს ჩვენზე. ამიტომაც არ მოუკლია ჩვენთვის მოწყალება და, თუმცა უბედურებით კი გვსჯიდა, მაინც არ გაუწირავს თავისი ხალხი“ (2 მაკ. 6, 12-16).

ასე რომ, დღეს საქართველოში მიმდინარე მოვლენები არის ნელი და მტკივნეული პროცესი „უძღები შვილის“ დაბრუნებისა. ჩვენს სულიერ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რამდენად მალე განვთავისუფლდებით სასჯელისაგან. სიძნელეებს არ უნდა შევუშინდეთ, რადგან ღვთის ძალა სწორედ რომ უძლურებაში ცხადდება, ოღონდ უფალს უნდა მივენდოთ სრულად, თავშეწირვამდე.

მიწიერი ჩვენი ცხოვრება უდაბნოში მოგზაურობაა. ჩვენ აქ მხოლოდ მგზავრები ვართ; დღე დღეს აუწყებს მარადიულობის კარიბჭესთან ჩვენს მიახლოებას; მთავარია, იქ წარვდგეთ ღირსეულად. ღვთის დიდი წყალობაა, რომ არ ვიცით ჩვენი აღსასრულის დღე, რათა ყოველთვის გვახსოვდეს სიკვდილი და ყოველი დღე გავატაროთ ისე, თითქოს იგი იყოს უკანასკნელი. ამაშია სიბრძნე. ჯერ კიდევ ანტიკური დროის დიდმა პიროვნებამ, პლატონმა, სიბრძნის მოყვარება – ფილოსოფია განმარტა, როგორც მზადება სიკვდილისათვის.

„მართალთათვის და ცოდვილთათვის სიკვდილი იგივეა, რაც მკვდარი ზღვა ძველ აღთქმაში ებრაელთა და ეგვიპტელთათვის. პირველთათვის იგი იყო გადასასვლელი აღთქმულ ქვეყანაში, ხოლო მეორეთათვის – მიზეზი სიკვდილისა. მსგავსად ამისა, მართლის სიკვდილი არის დასაწყისი ნეტარი მარადიულობისა – აღთქმული

ქვეყნისა; ცოდვილთათვის კი – მიზეზი მეორე სიკვდილისა – მარადიული სატანჯველისა“ (სულიერი მდელო).

ეს საუკუნე ღვთისგან ხალხს სინანულისთვის მიეცა. ფუტუროლოგნი ამტკიცებენ, რომ თუ კაცობრიობამ კიდევ იარსება XXI საუკუნეში, იგი მეტად რელიგიური ასწლეული იქნება, რადგან ხალხი დაიღალა, უღვთოდ დაცარიელდა ტაძარი სიყვარულისა.

დღეს კი ჩვენ ვართ მოწმე არა მარტო თანამედროვე ისტორიის ტრაგიზმისა, არამედ მოახლოებული აპოკალიფსური დროისა. სულ უფრო მკვეთრად ჩაგვესმის სიტყვები: „მე ვარ ანი და ჲ, იტყჳს უფალი ღმერთი, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოცხ. 1, 8).

ღვთის მოწყალების იმედით აღვსილი ყველას გულითადად გილოცავთ ქრისტეს შობის დღესასწაულს. დამდეგი ახალი წელი დე იყოს ყველასათვის მშვიდობის, კეთილდღეობისა და სიკეთის მომტანი, წელი სიყვარულისა და შერიგებისა: „განვიშორნეთ უკუე საქმენი ბნელისანი და შევიმოსოთ საჭურველი ნათლისაჲ“ (რომ. 13, 12).

„იშვა ყრმა, მოგვეცა ძე... და ეწოდა სახელად... ღმერთი ძლიერი, მშვიდობის მთავარი“ (ეს. 9, 5), „ღმერთმან მშვიდობისამან,... სრულგყოთ თქვენ ყოველი კეთილი საქმის მის ნებისაებრ აღსასრულებლად და იყოს თქვენში ის, რაც სათნო ჩანს მის წინაშე“ (ებრ. 13, 20-21). „რომელმან სძლოს, ესრეთ შეიმოსოს სამოსელი სპეტაკი“ (გამოცხ. 3, 5).

გიხაროდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი, ამინ.

ქრისტეს შობა
თბილისი, 1993 წ.

სააღდგომო ეპისტოლე

1993 წ.

ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის ღვთივკურთხეულნო შვილნო:

„აწ განთავისუფლებულ ხართ ცოდვისაგან
და დამონებულ ხართ სიმართლესა“
(რომ. 6, 18).

ყოვლადუსამღვდელოესნო მწყემსმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ძენო და ასულნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ივერიის წმიდა მიწის მკვიდრნო და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, გიხაროდეთ,

ქრისტე აღდგა!

აღდგა დაკარგული ერთობა ღმერთთან, აღდგა სასოება და იმედი კაცთა, აღმობრწყინდა მზე სიმართლისა და გამოჩნდა გზა მარადიული ნეტარებისა; მდიდართ და გლახაკთ, ბრძენთ და უსწავლელთ, ხანდაზმულთა და ყრმათ, – ყველას უხმობს უფალი სიხარულის ტრაპეზზე, რათა მიაგოს თითოეულს ღირსებისაებრ მათისა. „ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნენ უშჯულოებანი და რომელთა დაეფარნენ ცოდვანი“ (რომ. 4, 7).

ვინ არის ღირსი ამ მადლისა, ასეთი მოწყალებისა? – ის, ვისაც ესმის ამქვეყნიური ცხოვრების არსი, ვინც სიტყვით და საქმით შეძლებისამებრ ადიდებს ჭეშმარიტ ღმერთს და აცნობიერებს თავის მისიას ამ წუთისოფელში.

ყოველ ადამიანს საკუთარი იდეა, საკუთარი მისწრაფება აქვს, რომლის განხორციელებისთვისაც იგი იღვწის, მაგრამ არსებობს ყველასათვის საერთო იდეაც – ეს არის სწრაფვა ამაღლებისაკენ, ღვთის მსგავსებისაკენ.

რა საქმიანობასაც არ უნდა ეწეოდეს კაცი, უმთავრესი მისთვის შემოქმედთან მიახლების სურვილი უნდა იყოს. ბიბლიაში ვკითხულობთ, ყოვლადწმიდა სამებამ ადამიანის შექმნა რომ გადაწყვიტა, ბრძანა: „ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ“ (დაბ. 1, 26). მაშასადამე, რადგანაც ადამიანი ღვთის ხატად შეიქმნა, სწრაფვა სრულყოფისაკენ, პირველსახის, ანუ ღვთისაკენ იმთავითვე მის თანდაყოლილ ბუნებრივ თვისებად იქცა. ამიტომაც სურვილი განვითარებისა და წინსვლისა თითოეულ ჩვენგანში არსებობს, ოღონდ უნდა ვიცოდეთ, რას გულისხმობს ჭეშმარიტი ამაღლება და ჩვენი ყოველი მოქმედებაც აქედან გამომდინარე უნდა შეფასდეს.

იდეა უნდა ჰქონდეს ერსაც; მას ცხადად და გარკვეულად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, საუკუნეთა მანძილზე უპირველესად რას ემსახურა. ჩვენი ხალხის ისტორია გვაფიქრებინებს, რომ ღვთისაკენ სწრაფვის ძირითად იდეას, უპირველეს ყოვლისა, მოყვასის სიყვარუ-

ლით ვახორციელებდით და მიუხედავად ყველაფრისა, დღესაც ვახორციელებთ. ეს სიყვარული ადუღაბებს და ამთლიანებს სრულიად საქართველოს.

ალბათ ესაა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ წარსულშიც და ახლაც შინაური თუ გარეშე მტერი არ მოგვკლებია – ბოროტი ძალა ებრძვის სიყვარულის მატარებელ ერს, რათა ეს ნიჭი დააკარგვინოს, რადგან იცის, მიზნის მიღწევის შემთხვევაში, უფალს განგვაშორებს; ამიტომაც ამ მადლს განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ და ღმერთთან და ერთმანეთთან სიყვარულით გავერთიანდეთ.

უფალი ადამიანს თავისუფალი არჩევანის უფლებას აძლევს: პიროვნება თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რას ემსახუროს: ცოდვას თუ სიკეთეს, ბოროტებას თუ სიყვარულს. სასუფეველი ღვთისა იძულებით მოიპოვება, რადგან ცოდვასთან ბრძოლით და მასზე გამარჯვებით ხდება ადამიანისა და ღვთის ნების შეერთება – სინერგია, რაც არის საფუძველი პიროვნების გადარჩენისა.

გზის არჩევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გულს, რადგან იქ იბადება როგორც ბოროტი, ისე კეთილი ზრახვანი. თუ გული სუფთაა და სავსეა რწმენით, სასოებითა და სიყვარულით, თუ იქ არ ბუდობს შური და მტრობა, თუ მას შეუძლია სხვისი სიხარულისა და ტკივილის გაზიარება, იქ მადლი განმრავლდება და იგი სულიწმიდის სავანედ იქცევა; ასეთი გული ადვილად სძლევს მიწიერ საცდურს, რომელიც ყოველდღიურად ცდილობს ბიწიერების ჭაობში ჩვენს დანთქმას.

მაგრამ როგორ განვიწმინდოთ გული ცოდვათაგან?

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვისწავლოთ სამართლიანი განსჯა საკუთარი თავისა. ჩვენს სულში ორი „მე“ უნდა განვასხვავოთ და ყოველ ჩვენს საქციელსა და გულისხმიერ ზრახვას სხვისი თვალითაც შევხედოთ.

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს: „ჩვენში ორი გონია.

ერთი კეთილია და შედეგია ყოველივე მშვენიერისა, მეორე კი – დაცემული და მდაბალ ვნებათა მსახური. ერთი გონება ნათლისაკენ ისწრაფვის და სურს თაყვანი სცეს ქრისტეს, ხოლო მეორე, ხორცისა და სისხლის გონება, ქრის ბნელსა შინა და მზად არის ტყვე იქმნას ბელიარისა“. ხოლო წმიდა ისააკ ასური ბრძანებს: „ნეტარ არს კაცი, რომელი შეიცნობს თავის უძლურებას, რამეთუ ამის ცოდნა ხდება საწინდარი კეთილწარმატებისა“. ასეთი ადამიანი განკითხვის ცოდვისაგან თავისუფლდება, თავმდაბლობით იმოსება და ღვთისა და მოყვასის სიყვარულით ივსება, ხოლო „სიყუარულმან მოყუასსა თჳსსა ბოროტი არა უყვის“ (რომ. 13, 10).

მაგრამ არიან პიროვნებანი, რომელნიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ და თავიანთი მდაბალი „მეს“ ეგოისტურ მოთხოვნილებებს ემონებიან. მათთვის გაუგებარია შეგონება: „იცხოვრე სხვისთვის, თუ გსურს ემსახურო შენს თავს“.

არიან ასევე პიროვნებანი, ბოროტის ქმნის სურვილით შეპყრობილნი, ღვარძლით აღვსილნი, რომელნიც ირგვლივ სიძულვილს თესავენ, და სხვაშიც მხოლოდ ბოროტებას ხედავენ. გავიხსენოთ ერთ დროს კეთილი მეფე საული, შურისა და ეჭვის ნიადაგზე ისე დაეცა, წმიდა დავით წინასწარმეტყველის მოკვლა სურდა, თუმცა მხოლოდ მისი ფსალმუნები კურნავდა მის სულს. ასეთი ადამიანები სიყვარულის ნაკლულოვანების გამო იტანჯებიან. მათ, მართალია, ხშირად მწუხარება მოაქვთ მოყვასისათვის, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც საკუთარ თავს მტრობენ, რადგან სულიერი სიხარულისთვის სიცოცხლეშივე მკვდარნი არიან, იმქვეყნად კი უცილობელ სატანჯველს იმზადებენ.

ბოროტთა სიბოროტე უნდა გვძულდეს, მაგრამ ქმნილება ღვთისა უნდა გვიყვარდეს და გვებრალებოდეს. უცოდველი არავინ არის, დაცემის გარეშე ცხოვრება არ არსებობს, მაგრამ აუცილებელია,

სურვილი გვქონდეს გამოსწორებისა, ღვთის გზით სვლისა.

ჩვენს სხეულს სიცოცხლეს სული ანიჭებს, სულს – ღმერთი. და როგორც სულს გაყრილი სხეული კვდება, კვდება სულიც ღმერთს განშორებული. ამიტომაც ჭეშმარიტებასთან წილნაყარ კაცზე დიადი არაფერია და არც უფალს მოწყვეტილ ადამიანზე მდაბალი და საცოდავია ვინმე.

ბოლო დროს მრავალი უარყოფითი თვისებისა და ემოციის გამოვლენის მოწმენი გავხდით. ეკონომიკურმა გაჭირვებამ ცხოვრება კიდევ უფრო დაამძიმა და ზოგიერთში მომავლის სერიოზული შიში დაბადა. ხშირად გვესმის სიტყვები: „კატასტროფული მდგომარეობაა“, „რა გვეშველება?“ არადა „უწყით, რამეთუ ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინებაჲ – გამოცდილებასა და გამოცდილებაჲ – სასოებასა“ (რომ. 5, 3-4).

ამასთან, სიტუაციას სწორად ვერ ვაფასებთ. გვეგონა იმპერიიდან გამოსვლისას ხალიჩებს დაგვიფენდნენ. მოსალოდნელი კი, ახლანდელთან შედარებით, უფრო უარესი მდგომარეობა იყო.

„რა გვეშველება?“ – ურწმუნოთა კითხვაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომავლის იმედი ადამიანის იდეის ნაწილია და ქრისტიანულ სათნოებათაგან ერთ-ერთი პირველთაგანი.

პიროვნება თუ ერი თვითონ ქმნის თავის ხვედრს. თუ ჩვენ ღვთის მცნებათა დაცვით ვიცხოვრებთ და ღვთის შიში და სიყვარული იქნება ჩვენი თანამდევი, ვერავითარი ძალა ვერ მოგვერევა.

ვინ გადაარჩენს მას, ვის წინააღმდეგაც ღმერთია აღმდგარი? ვინ სძლევს მას, ვისი შემწეც უფალია?

ერის ზნეობრივ სახეს ყოველთვის რჩეულნი წარმოაჩენდნენ. მადლობა ღმერთს, ასეთი შვილები ჰყავს ჩვენს სამშობლოს. ჩვენ ამასთან მოწმენი ვართ იმისა, თუ რამდენი ახალგაზრდა უანგაროდ ეწირება საქართველოს მიწა-წყლის დაცვას აფხაზეთში, რაც ერის

სულიერი პოტენციალის გამოვლინებაა.

ორასი წელია საქართველოსთვის არ გვიბრძოლია. ამ ომმა გაგვახსენა, რომ სამშობლო მხოლოდ კი არ გვაძლევს, მსხვერპლსაც ითხოვს ჩვენგან. დღეს მრავალი ჭაბუკი რწმენითა და მამულის წინაშე ზნეობრივი ვალის კარნახით იბრძვის. მართალია, დიდია ქვეყნის მთლიანობისათვის თავდადებულთა რიცხვი, მაგრამ გვჯერა, ღვთისა და ერის წინაშე დამსახურებისთვის ისინი სასუფევლის ღირსნი გახდებიან და ქართველთა ზეციურ მხედრიონს შეუერთდებიან. ჩვენ პატივს მივაგებთ იმ აფხაზ ახალგაზრდებსაც, რომელნიც თითქოს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის რწმენით დაეცნენ, სინამდვილეში კი გარეშე ძალების ბოროტი ზრახვების მსხვერპლნი გახდნენ.

დრო კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს მტყუანსა და მართალს. ისტორია, კაცობრიობის გამოცდილება ადამიანებს ბევრს ასწავლის, მხოლოდ უგუნურნი ქმნიან აწმყოს წარსულის გაუთვალისწინებლად. რა სამწუხაროა, რომ ზოგჯერ ასეთი პიროვნებები თავისი მიწიერი ვერაგი მიზნების განხორციელებისათვის ასეულობით ადამიანის დაღუპვას ახერხებენ.

ჩვენ საქართველოს ხვალინდელ დღეზეც უნდა ვიფიქროთ. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა კავშირი გვექნება მეზობელ ქვეყნებთან, საერთოდ გარე სამყაროსთან. ურთიერთობები ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე უნდა იყოს აგებული, რაც მაღალ დიპლომატიასა და სულიერობას მოითხოვს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხშირად ვინც კამათში იმარჯვებს, მეგობრებს კარგავს. ამიტომ სხვა ქვეყნებთან დაკავშირებით წონასწორობის დაცვა გვმართებს.

რაც შეეხება ჩვენი ცხოვრების წესს, ვფიქრობთ, ვიდრე ადამიანები არ მოიპოვებენ შინაგან თავისუფლებას, ანუ არ განშორდე-

ბიან ცოდვას, დემოკრატია ცხოვრებაში ვერ განხორციელდება და მხოლოდ ლოზუნგად დარჩება.

ერის სულიერი ამაღლების საქმეში დიდი როლი ეკისრება ინტელიგენციას. ჩვენ ამ მხრივ ნამდვილად გვყავს ის ძალა, რომელიც შეძლებს ხალხს გაუძღვეს, ოღონდ აუცილებელია ეკლესიასთან მისი დაკავშირება, რათა ამპარტავნობამ და თვითდაჯერებამ არ იმძლავროს მასში.

დღეს გვიკვირს მათი, ვინც ადრე კერპებს სცემდა თაყვანს; და განა უფრო მეტად საწყალობელი არ არის ის „ბრძენი“, რომელიც თავის შემოსაზღვრულ გონებას კერპად აქცევს და მხოლოდ მისგან ისმენს „ჭეშმარიტებას“ ? გონიერება რწმენის გარეშე სუსტი ხელჯოხია, რომელიც აუცილებლად გადატყდება.

ინტელიგენციამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენს ხელოვნებას, პრესას, ლიტერატურას, განსაკუთრებით კი რადიოსა და ტელევიზიას.

უნდა აიკრძალოს ამორალური და ე.წ. ძალადობის ფილმების ჩვენება. საზოგადოებაში ისედაც დიდი უარყოფითი მუხტია დაგროვილი, ეს კი უფრო აძლიერებს ამგვარ ემოციებს და ადამიანურ ურთიერთობებს ძაბავს.

ჩვენი გული და აზროვნება სიკეთისაკენ უნდა მივმართოთ, რათა დავიბრუნოთ ნამდვილი სარწმუნოება, და ამპარტავნობისაგან განთავისუფლებულებმა ავაღორძინოთ ჭეშმარიტი სიყვარული.

სათნოებათა შორის ყველაზე ადვილად განსახორციელებელი მოწყალების გაცემაა. დღეს, როდესაც ძალიან ბევრს უჭირს, მრავალი შესაძლებლობაა სიკეთის ქმნისა. მწყურვალისათვის ერთი ჭიქა წყლის მიწოდებაც უფლის წინაშე დიდად შერაცხილია.

შეეწიე გაჭირვებულს, თუ გსურს ღმერთი შენც შეგეწიოს, მიანიჭე მოყვასს დროებითი სიხარული, თუ გსურს მარადიული ნეტარების

ღირსი გახდე, გაუნაწილე ქვეყნიური სიკეთე სხვებს, თუ გინდა, რომ ზეციურ მადლს ეზიარო.

შევსთხოვ ღმერთს, ღვთაებრივი სიყვარულის უშრეტი წყაროდან გარდამოიღვაროს ჩვენს გაციებულ გულებში რწმენა, სასოება, მშვიდობა და სიყვარული, რათა შეურცხვენლად შევხვდეთ დღეს მსოფლიო სიხარულის დღესასწაულს სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებისა.

„სადა არს საწერტელი შენი, სიკუდილო? სადა არს ძლევაჲ შენი, ჯოჯოხეთო?!“ (ოს. 13, 14)

სიკვდილი დაემხო, ჯოჯოხეთი შეიმუსრა.

ქრისტე აღდგა!

გიხაროდეთ.

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1993 წ.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია II-ის აღსაყდრებიდან 30 და დაბადებიდან 75 წლის საიუბილეო კომისია

ტექსტი დასაბეჭდად მოამზადეს:
გვანცა კოპლატაძემ
გრიგოლ რუხაძემ

ტექსტზე მუშაობდნენ:
მონაზონი ელენე (ნაფეტვარიძე)
ნინო კვანტალიანი
ნინო ანანიაშვილი
მზია ჩხაიძე
რუსუდან ჩირგაძე
მარგო ინასარიძე
ბელა გვილია

გამომშვები რედაქტორი:
თინათინ მხეიძე

ფოტო:
მიხეილ ზენკო

დიზაინი:
შ.პ.ს. „სინთეზისი“

არტ დირექტორი
არჩილ თურმანიძე

დიზაინერი
ნატო ყუბანეიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ივლიტა ექვთიმიშვილისა

დაბეჭდილია:
SIA "Jelgavas Tipografija" რიგა, ლატვია

© საქართველოს ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული
კვლევის საერთაშორისო ცენტრი

ISBN 978-9941-0-1041-5
ISBN 978-9941-0-1042-2

UDC (უაკ) 27-475.5+27-282.5
ე-726

2009, SYNTHESIS ad